

გ. ჯალაბაძე

ადმოსავლეთ საქართველოს  
სამიწათმოქმედო იარაღების  
ისტორიიდან



## შესავალი

კ. მარქსი, ასაბუთებდა რა შრომის გენეზისის საკითხებს, წერდა: „*დღემიწა ადამიანის საზრდოს თავდაპირველი საკუქნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც*“<sup>1</sup>. ამ არსენალში უამრავი წლების მანძილზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა სხვადასხვა სახის შრომის საშუალებანი, რომელთა შესწავლასაც კ. მარქსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. „*რა მნიშვნელობაც დაშენილი ძვლების აგებულებას აქვს მოსპობილი ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ-საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად. ეკონომიურ ეპოქებს განასხვავებს ერთმანეთისაგან არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ როგორ იწარმოება*“<sup>2</sup>. თუ როგორი სახის იარაღებით იყო წარმოდგენილი ჩვენი კვლევის სფერო — აღმოსავლეთ საქართველოს მემინდვრეობა, ამაზე ქვემოთ სათანადო მასალა მოცემული.

ძველი საქართველოს სახალხო ეკონომიკის ძირითად წყაროს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. სახალხო ეკონომიკა ამა თუ იმ ქვეყნისათვის ისეთი ბაზისია, რომელიც თავისი განვითარების დონით ამა თუ იმ ხალხის სოციალურსა და იდეოლოგიურ დონესაც გამოხატავს. საქართველოს სახალხო ეკონომიკის ძირითადი დარგის — მიწათმოქმედების, ერთი მხრის სამეურნეო იარაღების შესწავლა ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო საკითხია. იგი შედარებით რთულ ამოცანასაც წარმოადგენს, საკითხის სირთულეს იწვევს საქართველოს გეოგრაფიულ-კლიმატური გარემოს მრავალმხრივობა, სადაც თითქმის ბუნების ყველა პირობაა წარმოდგენილი, დაწყებული მუდმივ-ყი-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 140.

<sup>2</sup> კ. მარქსი, იქვე, გვ. 141.

ეულოვანი ადგილებიდან, დამთავრებული მარადმწევანე დაბლობებით, სადაც არც უდაბნონი და ადგილნი ხორშაკეულნი აყო გამორიცხული.

გეოგრაფიული მრავალფეროვნება სამიწათმოქმედო იარაღების თავისებურ შეხამებას მოითხოვდა. დასავლეთ საქართველოს რბილ და ნესტიან ნიადაგებს ზერელე დამუშავებაც ყოფნიდა, აღმოსავლეთ საქართველოს „ძძიმე მინდორი“ კი ნიადაგის ღრმად დამუშავებას საჭიროებდა. მდებარეობით განსხვავებული პირობებში განსხვავებულ იარაღებს განაპირობებდა, მაგრამ ამ განსხვავებულობის შიგნით განვითარება აღმაველი გზით მიდიოდა. სამეურნეო იარაღები, მიუხედავად განსხვავებული ნიშნებისა, მაინც ერთი-მეორესთან ერთი გარკვეული საერთო ნიშნით არიან დაკავშირებულნი, რაც მათს გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს. ამათუ იმ სამეურნეო იარაღის ჩამოყალიბების საქმეში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვით იმ კულტურას, რომლის მოვლამოყვანასაც მისდევდნენ ამა თუ იმ კუთხეში.

„...წარმოების იარაღების განვითარება და გაუმჯობესება, — გვასწავლის სტალინი, — ხორციელდებოდა წარმოებასთან დამოკიდებულების მქონე ადამიანების მიერ, და არა ადამიანებისაგან დამოუკიდებლად, — მაშასადამე, წარმოების იარაღების ცვლილებასთან და განვითარებასთან ერთად იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ ადამიანები, როგორც საწარმოო ძალთა უმნიშვნელოვანესი ელემენტი, იცვლებოდა და ვითარდებოდა მათი საწარმოო გამოცდილება, მათი შრომის ჩვევები; „მათი უნარი წარმოების იარაღების გამოყენებისა“<sup>3</sup>. საბჭოთა ეთნოგრაფია, უპირველეს ყოვლისა მატერიალური დოვლათის მწარმოებლის ისტორიას სწავლობს, რომლის გასაღებიც წარმოების განვითარებაშია მოცემული. „...საზოგადოების განვითარების ისტორია, — წერს სტალინი, — არის უწინარეს ყოვლისა, ისტორია წარმოების განვითარებისა, ისტორია წარმოების წესებისა, რომლებიც სიკვლავან ერთიმეორეს საუკუნეთა მანძილზე, ისტორია საწარმოო ძალთა და ადამიანების წარმოებითი ურთიერთობის განვითარებისა“.

სამიწათმოქმედო იარაღები წარმოების იმ ნაწილს შეადგენს, რომელიც წარმოების ცვლილებებსა და განვითარებას პირველობის აძლევს<sup>4</sup>. ამდენად ძველი სამიწათმოქმედო იარაღების შეს-

<sup>3</sup> სჯ. კომპარტ. ისტორია, თბ., 1938. გვ. 14.

<sup>4</sup> იქვე, 147.



წავლა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ ის ელემენტო, რომელიც ხელს უწყობდა ძველ საქართველოს ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში საწარმოო ძალთა განვითარების საქმეს.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს სამართლიანად უწოდა სახენელი იარაღების ცოცხალი მუზეუმი. პროფ. გ. ჩიტაიამ თავის სათანადო გამოკვლევებში მეცნიერულად დაასაბუთა, რომ საქართველო სახენელი იარაღების ცოცხალი მუზეუმი. მაგრამ საკითხი მარტო სახენელებთან როდი ჩერდება, იგი უფრო შორს მიდის და სახენელებთან ერთად, მიწათმოქმედების სხვა სახის იარაღებიც საქართველოს სინამდვილეში ისევე მდიდრად არის წარმოდგენილი, როგორც სახენელთა მრავალსახეობა.

ჩვენი კვლევის საგანი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სამიწათმოქმედო იარაღებია. ქვეყნის ერთი ნაწილით შემოფარგვლა კვლევის ობიექტს არა ზღუდავს. შედარებისა და ამა თუ იმ იარაღის საკითხის გარკვევისას, დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სამიწათმოქმედო იარაღებსაც ვეხებით.

ჩვენი საგნის კვლევის ძირითადი წყარო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებია, სადაც მთელი რიგი წლების მანძილზე თავს იყრის მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. ამავე საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიერ შეკრებულ იქნა ეთნოგრაფიული მასალა ველზე. საველე ეთნოგრაფიული მასალის შეკრება გვიხდებოდა 1949 წლის ქართლის მესამე კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციასა და სამგორის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ბონაწილეობის დროს; მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპედიციასთან ერთად თიანეთის, დუშეთის, მცხეთის და კასპის რაიონებში 1952 წელს; გორის, ქარელის, ზნაურის და სტალინის რაიონებში ეთნოგრაფიული მივლინების დროს 1952 წელს, სიღნაღის, თელავის, თეთრიწყაროს, დმანისის რაიონებში 1953 წელს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიულ ექსპედიციასთან ერთად ყვარლის და ზაქათალის რაიონში 1953 წელს.

ველზე ჩვენ მიერ მასალა იკრიბებოდა ქართველ ეთნოგრაფთათვის ნაცადი და გამართლებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენებით. მასალის შეკრებისას მივმართავდი როგორც ერთეულ მთხრობელთან მუშაობას, ისე რამდენიმე მთხრო-

ბელთან ერთდროულად. ხშირად ცალკეულ მთხრობელთა ნამუშაობის შემოწმების მიზნით გასაუბრებას ვაწყობდი მთხრობელთა ჯგუფთან.

თემის დამუშავებაში გარკვეულად ხელი შეგვიწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში მუშაობამ (ქუთაისის, თელავის, სიღნაღის, სტალინირის). ამას გარდა, ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის და საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმებში დაცულ სამიწათმოქმედო იარაღების კოლექციებს.

წინამდებარე შრომა შეიცავს ხუთ ძირითად თავს. I თავში განხილულია ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღები, II თავში სახენელი იარაღები, III თავში საოშ-სათარცხები, IV თავში სამკალ-სათიბები და სალექი იარაღები, V თავში მოსავლიანობის გადიდების ხალხური წესები.

შრომა თავისი პირდაპირი დანიშნულებით ითვალისწინებს მემინდვრეობის იარაღებისა და, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული სამეურნეო იარაღების ფონდის შესწავლას. უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ ქართველ ტომთა წინაპრების და წინა აზიის სხვა ტომების: ხეთების, სუმერების, ქალდეველების და ურარტუს სახელმწიფოთა ნამოსახლარებზე მისდევდნენ<sup>5</sup>, ხორბლეულის კულტურის ფართოდ მოყვანას, რომის დიდი საირიგაციო მშენებლობა, რომელიც ურარტუს სახელმწიფოს ტერიტორიაზე დასტურდება, ნიშანია განვითარებული მიწათმოქმედებისა<sup>6</sup>. ძველ საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს ჩვენში ბოლომდე შემორჩენილი ხორბლეულის პირველადი კულტურის ფორმები<sup>7</sup>. ხორბლეულის ადრეულ ფორმებს უხვად ნახულობენ არქეოლოგები საქართველოს ტერიტორიაზე<sup>8</sup>. აქვე კულტივირებულ ძველ

<sup>5</sup> Б. Плотровский, Кармир-Блур, I, Ереван, 1945, გვ. 28.

<sup>6</sup> გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951, გვ. 109.

<sup>7</sup> გ. მენაბდე, საქართველო ხორბლის ძველი კულტურის ქვეყანა, თბ., 1950, გვ. 17.

<sup>8</sup> ლ. დეკატელევიჩი, შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები, რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 6; გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაქარგორა, მიმომხილველი, II, თბ., 1951, გვ. 255.

ხორბლეულთა შესწავლამ გამოავლინა, რომ უძველესი ხანიდან საქართველოს ტერიტორიაზე, შედარებით სხვა ქვეყნებთან ხორბლის ყველაზე მეტი ენდემური სახეობანია შემორჩენილი<sup>9</sup>.

ხორბლეულის ესოდენ მრავალსახეობა მის დამუშავების უარკვეულ წესს თხოვლობდა. პროფ. გ. ჩიტაიამ ქართლის სამიწათმოქმედო კულტურის შესახებ ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დაამტკიცა, რომ დოლისპური მინდვრის დამუშავების უარკვეულ წესთან და სახენელ იარაღთან იყო კავშირში, კერძოდ ანუულთან და საანეულო გუთანთან<sup>10</sup>. ქართველთა მიწათმოქმედების უძველესი კულტურა რომ. მაღალ დონეზე მდგარა და ამასთან ძველადაც გამოყენება ჰქონია განვითარებულ სამეურნეო იარაღებს, ამაზე მეტყველებს როგორც ქართველ ხალხში, ისე მის მეზობელთა შორის გავრცელებული მრავალი ლეგენდა. ამ ლეგენდების სიუჟეტში სახენელის გამოგონებას ან ქართველთა მიაწერენ, ან მათ მიიჩნევენ განვითარებული რკინის გუთნით მომუშავედ<sup>11</sup>.

მკვლევართა აზრით ბრინჯაოს ხანის საქართველოს ტერიტორიაზე მიწათმოქმედებაში გაბატონებული იარაღი თოხია<sup>12</sup>. აღნიშნულ მოსაზრებაში ძირითადად დასაყვლეთ საქართველო ივარაუდება, მაგრამ თუ დავაკვირდებით არქეოლოგიურ თოხებს, ნათლად დავინახავთ მის შესატყვის ტრადიციულ გაგრძელებას არა მარტო დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილ იმერულ თოხში<sup>13</sup>, არამედ ეს შეიმჩნევა საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ძველი ტიპის თოხებშიც. როგორც ვხედავთ, თოხის გამოყენება მრავალმხრივი იყო; ამავე დროს იგი ქვეყნის გარკვეულ ზოლში ჩანს გაბატონებული. თოხს გვიანაც მიწის პირველადი დამუშავების, საყანე მიწის გადაჩერკვისათვის იყენებდნენ<sup>14</sup>.

<sup>9</sup> В. Менабде, Пшеницы Грузии, Тбили., 1948, გვ. 9—10.

<sup>10</sup> Г. Читаия, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, გვ. 105.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, გვ. 262—265; Г. Читаия, დასახელებული შრომა, გვ. 104; მისივე; ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში, გვ. 222.

<sup>12</sup> ოთ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, 1953, გვ. 219.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 199.

<sup>14</sup> მ. პოლიევკოვი, სტოლნიკი ტოლოჩანოვის და დიაკ იველიევის ელჩობა იმერეთში 1650—1652, თბ., 1926, გვ. 187; Белокурова, Посольства дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю (1639—1640), გვ. 337.

თოხური მეურნეობა, ე. ი. თოხით მიწათმოქმედების წარმოება, ა. არციხოვსკის აზრით, მემინდერეობაში წამყვანი არასდროს და არც ერთი ტომისათვის არ უნდა ყოფილიყო, რომ თოხურ მიწათმოქმედებას მხოლოდ დამხმარე მეურნეობის წარმოებაში უნდა ჰქონოდა გამოყენება<sup>15</sup>. აღნიშნული მოსაზრება ერთი მხრივ სიმართლეს მოკლებული არაა, მაგრამ ავტორი უნდა ითვალისწინებდეს იმ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებსაც, სადაც თოხით მიწათმოქმედებას ჰქონდა ადგილი. ჩვენ სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ბრინჯაოს ხანისათვის დასავლეთ საქართველოს პირობებში თოხი წამყვანი იარაღი ყოფილიყო.

მკვლევართა აზრით ხელით სამუშაო იარაღების გარკვეული სახეობიდან ვითარდება გამწვევი ძალით მომუშავე იარაღი — სახენელი.

სახენელის განვითარების საფუძვლად ერთნი თოხს (პანი, ბრუნგარტი, რაუ), მეორენი ბარს (ლეზერი, ბიშოპი), სხვანი ბარსაც და თოხსაც (ნოპზა, მონტანდონი) აღიარებენ<sup>16</sup>. Kothle. Heinz-ის აზრით უძველესი სახენელის ტიპი არც თოხიდან და არც ბარიდან არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ ისეთ სამუშაო იარაღიდან, რომელიც ფორმით ნიჩაბს წააგავს და ბარისაგან განსხვავებით რამდენადმე შიგნით მოხრილი სამუშაო პირით ხასიათდება. ამავე ავტორის აზრით ხენა-თესვა ნეოლითის ხანიდან უნდა დაწყებულიყო<sup>17</sup>. ჩვენი მასალების მიხედვით სახენელის პირველი სახეობა ბართოხას ტიპის იარაღიდან უნდა იყოს განვითარებული.

საქართველოს პირობებში წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო იარაღების გარკვეულ სიძველეზე მიუთითებს ზოგიერთი სამეურნეო იარაღების და ამ იარაღებთან დაკავშირებული საქმიანობის (თოხლამაგ-აზერბაიჯანურში), თუ შრომის ორგანიზაციის გამომხატველი ტერმინების (მოდგამი — სომხურში და თურქულში) ქართველთა ეთნიკური ფარგლების იქით ფართოდ ფეხის მოკიდება.

<sup>15</sup> А. В. Арциховский, Социологическое значение эволюции земледельческих орудий. РАНИОН. 1 М., 1927, გვ. 127.

<sup>16</sup> Г. Чнтая, К вопросу о происхождении апазских пахотных орудий, сообщение первое. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 11, № 3, თბ., 1941. გვ. 296.

<sup>17</sup> Kothle, Heinz, Völkerkundliche Beiträge zur Ethnohistorie, Forschungen und Fortschritte, Brl., 1948 I. Heft 23/24, გვ. 274.

ქართული სამეურნეო იარაღების ზოგიერთი სახეობა გარკვეულ ნათესაობაშია წინააზიის კულტურულ სამყაროსათვის დამახასიათებელ სამეურნეო იარაღებთან (წერაქვები, თოხები, სახენელები). წინა აზია კი მკვლევართა აზრით მიწათმოქმედების კულტურის უძველესი კერა იყო (შვეინფურტი, ჰანი, გრადმანი, შრედერი, ჰუბერი). ამ კულტურულ სამყაროს წრეში იყო აგრეთვე მოქცეული ქართველური ტომები.

## თავი პირველი

### მეინდვკრობაში გამოყენებული ხელით სამუშაო იარაღები აღმოსავლეთ საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღთა შორის ყველაზე უფრო მარტივი იარაღის სახით უბრალო სწორი ჯოხი წარმოგვიდგება. აღნიშნულ ჯოხს, როგორც ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, ქართლში ნივრის კბილების მიწაში ჩაფლვის მიზნით იყენებდნენ. მეორე სახეობა მარტივი იარაღისა ჩეკია, რომელსაც ქართლსა და კახეთში ყანის სამარგლად ხმარობდნენ. ჩეკი ბრტყელი, ზოგჯერ რკინის საჭრელით შეიარაღებული პირით ჯურის ყანაში სარეველა ბალახების ამოსადირკვად გამოიყენებოდა. ჯოხისა და ჩეკიასნაირთა გამოყენებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე დახულ მიწაში ბელტების დასაფშენელად<sup>1</sup>. ჯოხი კაცობრიობის უძველესი სამეურნეო იარაღია<sup>2</sup>, რომელსაც საბრძოლო დანიშნულებითაც დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ. კერძოდ, საბრძოლო შუბი ჯოხის განვითარების გარკვეული სახეობაა, რომელიც სამეურნეო დანიშნულების ჯოხისაგან განსხვავებით სათანადო წვერბუდიანი ლითონით იყო შეიარაღებული. ზოგჯერ ეს საბრძოლო დანიშნულების ჯოხი-შუბი სამეურნეო დანიშნულებითაც გამოუყენებიათ<sup>3</sup>.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდებში დაცულია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოსული და საყოველთაოდ გავრცელებული ხელით სამუშაო იარაღები. აქ

<sup>1</sup> ალ. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბ., 1941, გვ. 42—43. შეადარე ივ. ჯავახიშვილი, საქ. გეოგრაფიული ისტორია, წ. 1, გვ. 156—157.

<sup>2</sup> E. Werth, Grabstock, Hacke und Pflug, Ludwigsburg, 1954, გვ. 128.

<sup>3</sup> გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII—B. 1944, გვ. 187.

წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების თოხები, წერაქვები, ქარჩები, ბარები, ბართოხები და სხვ.

აომოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თოხის გამოყენება მიწის დამუშავების მრავალსახეობაში მოწმდება; თოხი გამოიყენება ახოს ალების საქმეში, მოხნული ბელტების დასაშლელად ანუ დასაჩერკნად, ბალ-ვენახში და ბოსტნეულში სამუშაოდ, სიმინდის გასათოხნად და სხვ.

იმის მიხედვით თუ რა დანიშნულებისათვის კეთდებოდა, მკვლელი შესაფერისი ზომა-წონის რკინის თოხს ვაკედავდა. ახოს ალების საქმეში სხვა ფორმის თოხი იყო საჭირო, ასეთ თოხს „ნაფოტა პირი“ ე. ი. ბრტყელი პირი უნდა ჰქონოდა. ბოსტნეულში სახმარი თოხი მსუბუქი ტარით ხასიათდება, რომელსაც საბას ლექსიკონის მიხედვით ნამგალივით მოხრილი ტანი და დაკბილული სამუშაო პირი ჰქონია, ამ თოხს ძველად რქმევიცა შ ა ლ თ ა. ბოსტნის თოხის აღსანიშნავად ტერმინი შალთა სოფ. დილოშში დღესაც ცოცხლობს და აქ შალთა თოხების მრავალსახეობაა ხმარებაში. განსხვავდებოდა ასევე სიმინდის სათოხნი და საჩერკნი თოხები. საჩერკნი თოხი შედარებით მძიმე უნდა ყოფილიყო, საჩერკნი თოხის ფუნქციას შეადგენდა ან ბალ-ვენახში მიწის მოძვრა-გადაბრუნება ან ხნულში დათესვის დროს ბელტების დაშლა. ამ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა თოხის გამჭრელუნარიანობას. საჩერკნი თოხი უფრო „დალაბრა“ — „ბლაგვი“ — სამუშაო პირით ხასიათდებოდა. სიმინდის სამარგლოდ გამოსაყენებელი თოხი უფრო ბასრი კეთდებოდა. თოხის ტანიც შიგნით უნდა ყოფილიყო „მოქანდული“, რომ თოხის გამოსმის დროს უფრო „გამყოლი“ ყოფილიყო. თოხების მრავალსახეობიდან აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ორი სახეობის გამოყოფა ხერხდება — თოხი მხრებ დაქნილი, რომელიც ხელეჩოს ფორმას გვაგონებს და თოხი მხრებგაშლილი, რომელიც ოთხკუთხა სახითაა წარმოდგენილი.

მხრებდაშვებული ანუ ხელეჩოსნაირი თოხები ოთხკუთხა თოხებთან შედარებით უფრო თოხის პირვანდელ სახეობას მოგვაგონებს და ბრინჯაოს თოხების გარკვეული განვითარების შედეგად წილებული ჩანს. ოთხკუთხა თოხი აღნიშნულის შემდგომ განვითარებულ სახედ გვესახება.

მხრებ დაშვებული თოხი (ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდი 28 — 29/1, 30 — 40/)), როორც ეთნოგრაფიულ სინამდვი-

ლემი<sup>1</sup>, ისე არქეოლოგიურ მასალებშიც მრავლად დასტურდება. მისთვის დამახასიათებელია მაღალი ტანი (ძირითადად ჰველ ბრინჯაოს და რკინის თოხებში) და მოკლე გორდა პირი. ბრინჯაოს თოხებისათვის დამახასიათებელი ვიწრო შვეტი ტანი (ბრინჯაოს თოხები კოდის წყაროდან)<sup>6</sup> განათხარ რკინის თოხებში ფორმას იცვლის და პირის სიგანე თანდათან ფართოვდება (რკინის თოხი სოფ. ორბელიდან, საქ. ძუხუემის არქეოლოგიის ფონდი № 12 — 28/5; 12 — 28/4). მხრებდაშვებული თოხები გავრცელებულია, როგორც დასავლეთ საქართველოში (იმერეთი), ისე აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყი).

მხრებდაშვებულ თოხს თავისი სახესხვაობები გააჩნია, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოყვანილობითა და დანიშნულებით განირჩევიან. ერთ მათგანს განეკუთვნება თ რ ი ა ლ ე თ უ რ ი თ ო ხ ი, რომელიც გავრცელებულია ძირითადად თეთრწყაროს რაიონში. აღნიშნულ თოხს ჩვენ პირობითად თრიალეთურს ვუწოდებთ, რადგან ამგვარი თოხი ყველაზე მეტად ამ კუთხეშია გაბატონებული. თრიალეთური თოხი ხასიათდება ვიწრო სქელი პირით. მაღალი და მძიმე ცულისებური ტარსაგები ყუით. ერთი შეხედვით აქაური თოხის გარჩევა ხელეჩოსაგან ძნელდება კიდევ. თრიალეთური თოხი ძალზე წააგავს კასტელის მიერ ჩახატულ ხელეჩოს<sup>7</sup>. ქართველი მჭედლის ცნობით, ხელეჩოსნაირ თოხს სპეციალურად ბთიელებისათვის აკეთებდნენ, რადგან იქ ამგვარ თოხებს ახოს აღების სპქმეში დიდი გამოყენება ჰქონია (ვასო სოლომონის ძე მაზანაშვილი, 53 წლისა, მჭედელი, სოფ. ზერტი, გორის რ-ნი). როგორც ჩანს ამ ტიპის თოხი თავისი ვიწრო სქელი პირითა და მძიმე ყუით საკმაოდ მოხერხებული იარაღი უნდა ყოფილიყო. რომლის საშუალებითაც ადვილი დასაძლევია იყო ახალნატებსში შემორჩენილი ხის ფესვების ამოთლა-ამოყრა. ამ ფუნქციის შესრულებაში მას ხელს უწყობდა ტანის მოხრილობა და შიგნით ნალესი პირი. ხელეჩოსნაირი თოხების გამოყენებას რუსეთის სი-

<sup>1</sup> ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი. ქართული სამეურნეო იარაღი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-B, 1954, გვ. 100, 103, 104.

<sup>2</sup> ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 189, 194.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 194.

<sup>7</sup> იხ. კასტელის ალბომი, თამარაშვილის გამოცემა, თბ., 1906, სურ., № 7 „გლუბები მუშაობის შემდეგ“.



ნამდვილეშიც ჰქონია ადგილი, სადაც იგი აგრეთვე ახოს იარაღად იყო მიჩნეული<sup>8</sup>. თრიალეთური ხელეჩოსნაირი თოხი თავისი აგებულებითა და ფუნქციით ახოს დასამუშავებელ სპეციალურ იარაღს ქორჩს უახლოვდება, მაგრამ მასთან შედარებით რამდენადმე გაუმჯობესებულია.

სწორმხრიანი ანუ ოთხკუთხედის ფორმის თოხი წარმოდგენილია მხრებით, ყუით, სატარე ნაჩვრეტით, გულით და სამუშაო პირით (საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში დაცული №№ 16—16—26 (124, 62—39) 23, 63—39 (8 და სხვ.). ოთკუთხა ფორმის თოხები გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (შიდა ქართლი, რაჭა, გურია, სამეგრელო და სხვ.). ოთხკუთხა თოხები მხრებდაშვებულ თოხებთან შედარებით მეტი სიმძიმითა და ტლანქი დამუშავებით ხასიათდება. როგორც მასალებიდან ირკვევა, აღნიშნული თოხები შედარებით მძიმე სამუშაოებისათვის იყო გათვალისწინებული, მაგ., ჩერკვნისა, ახოს აღების და სხვა სათანადო საქმისათვის<sup>9</sup>. არსებობდა შედარებით მცირე ზომის მხრებგაშლილი თოხიც, რომელიც როგორც მებოსტნეობაში, ისე სიმინდის სამარგლადაც იხმარებოდა.

ხელით სამუშაო იარაღების გარკვეულ სახეობას შეადგენს ახოს აღების საქმეში საკმაოდ ფართოდ გამოყენებული სახეცვლილი თოხის ფორმის იარაღი ქარჩი-ქორჩი. (საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია №№ 28—45) 63, 28—45), 3, 21—48 2, 1—48) 3 და სხვ.). ქარჩი ძირითადად ხოს დასამუშავებელი იარაღია.

ახო — საბას განმარტებით გატეხილი საყანური. საყანურის გატეხისათვის საჭირო იყო გარკვეული მუშაობის ჩატარება. ამ მუშაობის ერთ საფეხურს შეადგენდა გაჩეხილ-გადამწეარი ტყის გარკვეული ადგილის ხის ფესვებისაგან გასუფთავება და მიწის გადაბრუნება. ამ ფუნქციას წარმატებით ასრულებდა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული იარაღი ქარჩი, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში დასტურდება. განსაკუთრებით კი საქართველოს მთიანეთში. ქარჩი წარმოადგენს რკინისაგან დამზადებულ

<sup>8</sup> П. Н. Третьяков. Подземное земледелие в Восточной Европе, Изд. ГАИМК, т. XIV, вып. I, М., 1932, гл. 22.

<sup>9</sup> ოთხკუთხა თოხს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მშენებლობის დროს; კირისა და ქვიშის გადარევის საქმეში. თოხით კეთდებოდა ქვიშის „კალო“. და სხვ.

მსხვილი სატარის მქონე და ვიწრო სქელპირიან იარაღს, რომლის სიგრძე 15 — 25 სმ არ აღემატება, ხოლო სამუშაო პირის სიგანე 5 — 10 სმ-ს შუა მერყეობს<sup>10</sup>.

ქარჩი ოდნავ შიგნითაა მოქანდული-მოხრილი. ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ვლინდება, რომ ქარჩის სატარის გაწყობა ორგვარად შეიძლებოდა: ერთ შემთხვევაში ტარი პირდაპირ ქარჩის ყუაში პორიზონტალურად ედგმოდა, მეორეჯერ კი ზემოდან მოხრილი ჯოხის სახით ეგებოდა. ორივე შემთხვევაში ქარჩის პირის აღნაგობა იგივე იყო, იცვლებოდა მხოლოდ ტარსაგები ყუის ფორმა. პირველში თუ თოხისებრი სატარე იყო წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში ტარსაგები სახნისის ფორმაზე ცერებგაშლილი რჩებოდა. სათოხნ და ხელეჩოსნაირთა ტარსაგების ასეთი ფორმა ძალზე ძველია. ტარსაგების აღნიშნული ფორმა ერთის მხრივ ჩვენ პირობებში ჯერ კიდევ ინგილოურმა ბრინჯაოს ბარმა შეინარჩუნა, მეორე მხრივ ამგვარი ტარის დასაგების მქონე იარაღები უხვად მოიპოვება ჩრდილო კავკასიის განათხარ მასალებშიც<sup>11</sup>. გახსნილი. ე. ო. პირობითად რომ ვუწოდოთ, სახნისის მაგვარი ტარსაგებიანი დამოწმებულია მეჭუდის ხეობაში. აღნიშნულ ტიპის ქარჩს აქაური მკვდლები ამზადებდნენ. ქარჩი თუ ახოს იარაღთა შორის ერთ-ერთი ძირითადი მიწის გადასაბრუნებელი საშუალება იყო, მის გვერდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თანაარსებობდა მსგავსი იარაღები: ც უ ლ წ ე რ ა ქ ვ ა, ბ ა რ თ ო ხ ა (ლიახვის ხეობა). ქ ა რ ჩ ი, ც უ ლ ქ ა რ ჩ ი (ხევსურეთი, გუდამაყარი, მთიულეთი), წ ა ლ კ ა ტ ი (ლეჩხუმი), თ ო ხ უ რ ა, ბ ა რ თ ო ხ ა (იმერეთი), ბ ა რ ჯ უ კ ი, კ ა ფ ი ა, თ ო ხ - წ ე რ ა ქ ვ ა (რაჭა), ჩ ე ნ გ ი (სამეგრელო)<sup>12</sup>.

ხელით სამუშაო იარაღთა გარკვეულ სახეობას წარმოადგენს ბ ა რ ი (მუზეუმის კოლექცია №№ 62 — 39/21, 62 — 39/14 — 15 დ. სხვ.), რომელიც სამკუთხა სამუშაო პირითა და ვერტიკალურ მიმართულებაში მოწყობილი ტარსაგებით ხასიათდება. გა-

<sup>10</sup> ნ. რეხვიაშვილი, ქართული სამეურნეო იარაღი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, 1954, გვ. 91.

<sup>11</sup> მოსკოვის სახ. ისტორიული მუზეუმის № 25276 კოლექცია სოფ. კომუნთიდან (თერგის აუზი).

<sup>12</sup> ნიკ. რეხვიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97.

წყობილი ბარი შედგება: ბარის — ე. ი. რკინის ნაწილის, ტარის და სატერფულისაგან. ბარს ჩვეულებრივ ადგილობრივი მკედლები ამზადებდნენ რკინის ცხელი ჰედვით. ბოლო ხანებში ბარის დამზადება თხელი თუნუქის ფურცლისაგან წარმოებს. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით მკედლის მიერ ცხელი ჰედვით დამზადებულ ბარს „ქართულ ბარსაც“ უწოდებენ. ქართული ბარი განსხვავდება ყუის ე. ი. ტარსაგების მოყვანილობით: ქართული ბარი ერთიანი რკინის ნაჭრით მზადდებოდა და ყუა გადაღლებული ან გადაკერილი ჰქონდა, ქართული ბარი უფრო მახვილი იყო და მძიმე. ქართული ბარის სიგრძე 40 სმ აღწევდა; ფრთებთან უდიდესი სიგანე 28 სმ-ს არ აღემატებოდა, სამუშაო პირის სიმაღლე 30 სმ-ს.

ბარი ძირითადად სწორ-ვაკე ადგილების სამუშაო იარაღია. მას უმთავრესად გამოყენება აქვს მებალეობა-მევენახეობაში, აგრეთვე სხვა სახის სამუშაოებზედაც — მშენებლობაზე, არხების გაყვანასა და სხვ.

ბარვის შესახებ ისტორიული ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. თვით ბარის გამოსახულება გვხვდება ისეთ ძეგლებზე, როვორც არის, მაგ., მე-6 საუკუნის ზვარტნოცისა (სომხეთში) და IX საუკუნის დავით გარეჯის ბარელიეფები. ერთ-ერთ საინტერესო წყაროდ ამ მხრივ მაინც ჯრუქის ოთხთავაში წარმოდგენილი ვენახის ბარვის მინიატურა გვევლინება<sup>13</sup>, რომელიც XII საუკუნით თარიღდება<sup>14</sup>. ბარვა საბატონო ბეგრის ერთი სახეობაც ყოფილა. მაგ., მეთვრამეტე საუკუნის ერთ სიგელში ბარძიმ ამილახვარი თავის მოურავს არიგებს, რომ ჩამოთვლილი სოფლების მოსახლეობისაგან სხვა გამოსაღებთა შორის „... ერთ ღლეს ბარვას იმსახურებდე“<sup>15</sup>. თვით ტერმინი ბარი მკვლევართა აზრით გარკვეულ კავშირში ჩანს სუმერულ mar-თან რომლის ქვეშაც თოხი და ბარი maru — თოხის სახელის ქვეშ ერთიანდებოდა. ასევე თოხისა და ბარის მნიშვნელობას გამოხატავდა აკადურში maru. გ. ჩიტაიას აზრით mar შესატყვისს პოულობს ქართვე-

<sup>13</sup> ჯრუქის ოთხთავი, „ჯრუქის მეორე“, საქ. სახ. მუზეუმის ძველ ხელნაწერთა განყოფილების H ფონდის № 1667, გვ. 52.

<sup>14</sup> საქ. სახ. მუზეუმის ძველ ხელნაწერთა გზამკვლევი, 1952, გვ. 188.

<sup>15</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 11, 1953, გვ. 190.

ლურშიც ბარის, ბარგი, ბერგის სახელში<sup>16</sup>. შესაძლებელია ძველ ქართულში ბარი ტერმინის. პარალელურადვე არსებობდა სახელი „სათხარი“. სწორედ ბარის ტიპის იარაღს უნდა ვარაუდობდეს შიოს ცხოვრების ავტორი, როცა ეკლესიის საფუძვლის ჩაყრაზე აღნიშნავს: „დასცა სათხარი მამამან წმინდამან შიო და აღაშენა ეკლესიაჲ სადიდებლადო“<sup>17</sup>. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც ხომ ბარი სათხრელი იარაღი ყოფილა<sup>18</sup>.

თოხისა<sup>19</sup> და ბარის ტიპის იარაღები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მომდინარეობს. დაწყებული ხის და რქის თოხებიდან რკინა ფოლადის თოხამდე. თოხებისა და ბარების გამოყენება სხვადასხვა სამუშაოთა ხასიათის და ადგილ-მდებარეობის მიხედვით კლასიფიცირდება. თოხი და ბარი, როგორც ბარის ისე მთის პირობებში არსებულ მემინდვრეობაში საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა, თოხი შედარებით ბართან, უფრო მთის ზოლში იყო გაბატონებული, თუმცა ბარის მებოსტნეობაში წას გარკვეული ადგილი ეჭირა და შალთა-თოხის სახით ბოსტნეულის სამარგლად ხმარობდნენ. მევენახეობაში — ვაზის კულტივაციისა და წიღნვის საქმეში ძირითად იარაღად ბარი იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქიზიყში და თუშეთში ბარი სახნისსაც ეწოდებოდა. სახნისისა და ბარის გაიგივება მარტო მათი ერთიმეორესთან მოყვანილობის დამთხვევისგან არ უნდა გამომდინარეობდეს. ბარისა და სახნისის ურთიერთმიმართებაზე უნდა მეტყველებდეს ქართულში ნაბარის გამოსახატავად გამოთქმა „ფეხით ნაბარი“ („ფეხით ნაბარში სიმინდ-ლობო მოგვეყავდა“. ვანო ზაქარიასძე ქურდაძე 90 წლისა, სოფ. დირბი, ქარელის რ-ნი).

ქართული ხელით სამუშაო იარაღებიდან მეტად მნიშვნელოვანია ბართოხა, რომელიც თავისი აგებულებითა და მუშაობის პრინ-

<sup>16</sup> Г. Ч и т а я, К вопросу о происхождении абхазских похотных орудий, Сообщение второе, საქ. მეცნ. ჯაკადემიის მზამბე, ტ. 11, № 4, 1941, გვ. 373.

<sup>17</sup> ცხოვრება შიოსი და ევაგარსი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, 1946, გვ. 160.

<sup>18</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, ბარი.

<sup>19</sup> ს. ჯიქიას გამოკვლევით, „ახერბაიჯანულში“ თოხნა ზმნისათვის სპეციალური ეროვნული ტერმინი არ არსებობს და გამოყენებულია ქართულიდან შესული თოხი და მისგან წარმოებული „თოხალამაგ“ (კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 398).

ციპით აერთიანებს როგორც წერაქვის, ისე თოხის და ბარის მუ-  
შაობის ელემენტებს (დარტყმა. გამოწვევა, ბელტის მოჭრა და გა-  
დმოვდება). ბართოხა თავისი აგებულებით მარტივი სახენელის  
წინაპირობად გვესახება, რომელსაც სამუშაო ტარის დაგრძელებით  
და ბარის დასაგებ მუხლთან კუთხის შემცირების შემდეგ უნდა  
შექმნა ხელით სამუშაო იარაღიდან სახენელისაკენ გარდაქმავალი  
ტიპის სამუშაო იარაღი. ბართოხა თავისი მოყვანილობით რკინის  
ბარს წარმოადგენს. ჩვეულებრივი ბარისაგან განსხვავდება მხო-  
ლოდ სიდიდით, იგი ბარზე პატარაა. ბართოხას ტარი წარმოად-  
გენს 90°-ით მოხრილ ჯოხს, რომელიც ზეჰოდან იყო დაკებული.  
მუშაობის პროცესი კი ისეთივე სახით სრულდებოდა. როგორც  
თოხით მუშაობისას. ბართოხას დიდი გამოყენება ჰქონდა ახოს  
აღების. საქმეში. გარდა ამისა მას ხმარობდნენ აგრეთვე ხენის  
დროს დარჩენილი მოუხნავი ადგილების — ხარვეზებზე  
გამოსასწორებლად. ბართოხას გამოყენების არეალი ძი-  
რითად მთის ზოლის ის ნაწილია, სადაც ნიადაგები მაგარი სტრუქ-  
ტურით ხასიათდება მაგ., ლიახვის ხეობა ჩვესურეთი. ბართოხას  
იყენებდნენ ხეულების გასაფხვიერებლადაც<sup>20</sup>.

რადგან ზემოთ ხელით სამუშაო იარაღებს შეეხებოდა და ახოს  
აღების საქმეში ზოგი მათგანის უპირატესობაზე მიუთითებდა. სა-  
ჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ თვით ახოს აღების წესს. ეთ-  
ნოგრაფიული მასალებით ცნობილია. რომ ახოს აღებას იმ ადგი-  
ლებში მიმართავდნენ, სადაც ჰარბ მოსახლეობას სახნავ-სათესი  
მიწა აღარ ჰყოფნიდა და სადაც მისი გაფართოების საშუალებას  
ადგილმდებარეობა იძლეოდა. საამისოდ წინასწარ ხდებოდა ადგი-  
ლის შერჩევა. საახოე ადგილი უნდა შეპირობებული ყოფილიყო  
მისასვლელი გზებით, სწორსა და მზიან ადგილებზე მდებარეო-  
ბით. შერჩეული ადგილის ასათვისებლად საჭირო იყო სათანადო  
იარაღები. ამ იარაღებში შედიოდა: ც უ ლ ი, ხ ე რ ხ ი, წ ე-  
რ ა ქ ე ი, ბ ა რ ი, თ ო ხ ი, და ქ ა რ ჩ ი, ზოგჯერ ბ ა რ თ ო-  
ხ ა, ც უ ლ ქ ა რ ჩ ი/ და სხვ. იმის მიხედვით თუ როგორი ადგი-  
ლი იყო გასატენი, სამუშაო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პე-  
რიოდებდნენ ნაწილდებოდა. ასე, მაგ., ტყიანი ადგილის გასატენად  
საჭირო იყო პირველ რიგში ტყის გაჩეხვა. მთხრობლის გადმოცე-

<sup>20</sup> С. В. М а ч а б е л и. ЭК. быт гос. крестьян Горийского уезда, Тифл. губернии, МЭКБГКЗК т. VI, ч. I. стр. 209.

მით, „ტყე კათათვეში უნდა გაჩეხილიყო — ახალ მთვარეზე რო ლეს შემდეგ ფესვში ჭია გაუჩნდებოდა“ (სანდრო ლევანის ძე რა-ზმაძე, 63 წლისა, სოფ. ჭარები, სტალინირის რ-ნი 1952 წ.). გა-ჩეხილი ხეებიდან ნაწილს საშენ მასალად და შეშისათვის ხმარობ-დნენ, ნაწილი კი ადგილზე რჩებოდა. „მარიამობის თვეში, რომ გახმებოდა მას ცეცხლს მიუჯიდებდნენ“. შემოდგომით გადამწვარ ადგილს ბარით გადაბარავდნენ-გადაქორჩიდნენ. ამ დროს მუშას თან ჰქონდა წამოღებული ცული და წერაქვი მიწიდან ხის ფესვე-ბის იოლად ამოყრის მიზნით. ასეთ მუშაობას საახოედ ტყის გა-ტეხვა ეწოდებოდა. სხვადასხვა ადგილას შემჩნეულია ხეების გახმობის მიზნით ხის შემოკოდვა-შემოყვერვის წესი. შემოკოდვა ნიშნავს ხის ძირთან ახლოს ცულის საშუალებით კანის ზოგჯერ ღრმადაც შემოთლას. ასეთი წესი ახოს ალების საქმეში შედარე-ბით არქაულ სახეს ატარებს.

ახოს ალების მეორე სახეობას, რომელიც საქართველოს ბა-რის პირობებში მოწმდება, უმთავრესად ბუჩქნარ-ჭალაკიანი ადგი-ლების გატეხვა წარმოადგენს. ამ სახის ახოს ალების წესში ცეცხ-ლის გამოყენებას ხშირად არც მიმართავენ, ბუჩქოვან-ჭალაკიანი ადგილების გატეხვა წინდაწინ ე. ი. რამდენიმე ხნით ადრე გაკაფ-ვა-გაჩეხვას არ ითვალისწინებს. მას მიმართავენ შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. აქ უფრო ამოფესვა ე. ი. ბუჩქის ფესვებიდან ამოყრა ხდება, რისთვისაც გამოყენებული იყო ბარი, წერაქვი და ცული. ამ შემთხვევაში ბართოხა ან ცული აღარ გამოდგებოდა; ხშირი ფესვნარისა და ამავე დროს ნედლი ბუჩქების ამოსაყრე-ლად აღნიშნული იარაღების ეს ორი სახეობა უძლური იყო. ახოს ალების მთურ წესში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოხი და სა-ერთოდ თოხისებრ პორიზონტალური ტარით მომუშავე იარა-ღი იყო წამყვანი, ვაკე ადგილებში კი ბარი. თოხის ფართოდ გა-მოყენებას და ბარის შეზღუდვას მთა ადგილებში, ამ იარაღების მუშაობის პრინციპი და გარკვეული გეოგრაფიული მდებარეო-ბა სპირობებდა. ბარი ნიადაგს შედარებით ღრმად ამუშავებს, თოხი კი უფრო ზედაპირულად. ბარით მომუშავე სამუშაო ვე-ლისკენ ზურგით — პირუკუ სვლას აკეთებს, თოხით მომუშავე პირიქით. ბარით მომუშავე წელშია გამართული და დრო და დრო ტანის სიმძიმე და ძალა სატერფულზე გადააქვს, ხელით კი ბარის ტარს, როგორც ბერკეტს მუხლზე დაყრდნობით დასწევს და

ბელტს ამოსწევს, რითაც მუშაობის სათანადო ეფექტით დამთავრება ხდება. ბარით ბელტი ამოაქვთ და წინ, ზურგზე გადაბრუნებით აგდებენ. მთის ფერდობიან პირობებში ბარით მუშაობა ძნელია, რადგან ბარის მუშაობის სპეციფიკა (მუშაობის დროს უკან სვლა) მომუშავეს არ აძლევს საშუალებას სატერფულზე სიმძიმის გადატანისას სწორი მდგომარეობა შეინარჩუნოს.

ზემოთ წარმოდგენილი ახოს თოხები, ქარჩები, ბართოხები, არა მარტო ახოს ალების სისტემაში, არამედ საერთოდ მთის ზოლის მიწათმოქმედებაში ფართოდ იყო დანერგული. ეს ჯერ კიდევ XVII საუკუნეში რუს ელჩებსაც შეუნიშნავთ<sup>21</sup>. მათი გამოყენება ხდებოდა, როგორც ახოს, ისე ხნულების გადასაჩერკნად. თოხს ხნულების გადასაჩერკნ საშუალებად იყენებდნენ მაგ., ლიახვის ხეობაში.

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხსა და რკინის ხელით სამუშაო იარაღების ნაირსახეობა მოწმდება. ხელით სამუშაო ხის იარაღიდან აქ წარმოდგენილი იყო უბრალო ჯოხი — მარგილი, რომელიც ეტიმოლოგიურად მარგვლასთან მიდის.

ამავე დროს სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია ხის თოხების გამოყენება. იმავე სვანეთში ხმარებაში ყოფილა ხის ბარიც<sup>22</sup>. ხის თოხების გამოყენების მაგალითები სხვა ძველ ხალხთა სამიწათმოქმედო კულტურაშიც უხვად დასტურდება, მაგ., ეგვიპტის ძველი იმპერიის ხანაში<sup>23</sup>. აქ თოხები არა მარტო სამიწათმოქმედო, არამედ დამწერლობაშიც გარკვეული მნიშვნელობის გამომხატველი იყო. ხის თოხების გვერდით ნიადაგის დამუშავების მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე რქითა და ლულოვანი ძვლით შეიარაღებული ჯოხები. თონით მიწის დამუშავების კულტურა უკვე ნეოლითის ხანისათვის საკმაოდ განვითარებული ჩანს. საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ნეოლითელი, როგორც არქეოლოგიურმა მასალებმა ცხადყო, რქის თოხებს

<sup>21</sup> მ. პოლიევიტოვი, დასახელებული შრომა, გვ. 187; Белокуров, დასახელებული შრომა, გვ. 337.

<sup>22</sup> G. Merzhacher, Aus dem Hochregionen des Kaukasus, Band I. Leipzig, 1901, გვ. 347. აღნიშნულ გვერდზე წარმოდგენილია სვანის ტიპი ხის ბარით.

<sup>23</sup> И. Л. Снегирев и Ю. П. Францов, Древний Египет, Л. 1938, გვ. 87.

იყენებდა. რქის თოხების გამოყენება ნეოლითის ხანისათვის არ-  
ქეოლოგ ნ. კილაძის აზრით, — დაკავშირებული უნდა ყოფილი-  
ყო გარკვეულ სამეურნეო კულტურასთან. კერძოდ, იგი ამ კულ-  
ტურაში ფეტვს ვარაუდობს, რომელიც არ მოითხოვს ნიადაგის  
ღრმად დამუშავებას და ამავე დროს საქართველოსთვის საკმაოდ  
ძველ ხორბლეულთა სახეობად ითვლება<sup>24</sup>.

ბრინჯაოს ხანის საქართველოში ნაირსახოვანი თოხები დას-  
ტურდება. განთხარი ბრინჯაოს ხანის თოხებზე დაკვირვება გვარ-  
წმუნებს, რომ აღნიშნულ იარაღებს საკმაოდ საფუძვლიანად ჩამო-  
ვალიბებული წინაპარი გააჩნდათ. მათში დატულია საერთოდ თო-  
ხისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი პირობა (წელში ოდნავ  
მოხრილია, ტარსაგები გამოყვანილია საკმაოდ სიფრთხილით და  
ბრინჯაოს, როგორც რბილი ლითონის ძალის სათანადო გათვა-  
ლისწინებით. ამიტომ ტარსაგები ყუამილიანი აღნაგობით ხასიათ-  
დება და ხშირად პირის მეტი სიმაგრისათვის გრძივი ნეკნებიც ჩას-  
დევს). იმავე ბრინჯაოს ხანისათვის მიწათმოქმედებაში გარკვეუ-  
ლი გამოყენება უნდა ჰქონოდა ბრინჯაოს სეგმენტურ იარაღებს<sup>25</sup>.  
ასევე სავარაუდოა, რომ თიანეთისა და დმანისის მიდამოებში  
აღმოჩენილ სპილენძის ნისკარტიან ცულებს ახოს აღების საქმე-  
შიც სათანადო გამოყენება ჰქონოდა. აღნიშნულ ცულებს ანალო-  
გი მოეპოვება დნებრისა და ყუბანის აუზში, სამხრეთით კი ალა-  
ვერდის (დღევანდელი სომხეთის) ახლოს. ყველა ესენი კი მესო-  
პოტამიურ (ლაგაშის ხანის) საომარი ცულის ანალოგიურად მიიჩ-  
ნევა და თარიღდება III ათასწლეულით. პროფ. ბ. კუფტინს ამ  
ტიპის ცულის წარმოშობის აუზად კავკასიის სამყარო მიაჩნია<sup>26</sup>.  
აღნიშნული ნისკარტიანი ცული (იხ. მუზეუმის კოლექცია № 11 —  
32/63, 11 — 32/70, 10 — 53, 5 — 37/5) ახოს აღების საქმისათვის  
ამიტომ არის საგულვებელი, რომ მას ტანი და ტარსაგები წერა-  
ქვისა გააჩნია, ნისკარტ გრძელი კონუსური და შიგნით მოყვა-  
ნილი, ტანი შვეტი და ოდნავ შიგნით შეზნექილი, არაფართო სა-

<sup>24</sup> П. З. К и л а д з е, Многослойный археологический памятник „Сагларджиლე“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 565.

<sup>25</sup> გ. ნ ი ო რ ა ძ ე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, 1944, გვ. 190—191.

<sup>26</sup> Б. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской ку-  
льтуры на Кавказе, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII—B, 1943, გვ. 401.



შეშაო პირი. აღნიშნული გარემოება გეაფიქრებინებს, რომ ამ ტრპის იარაღით ადვილი შესასრულებელი უნდა ყოფილიყო ნიადაგში ფესვების ჩაჭრა და ჩაჭრილი ფესვების ამოყრა: ჩაჭრას ცული აწარმოებდა, ხოლო ამოყრას ნისკარტი. აღნიშნული კომბინირებული იარაღის ფუნქცია, ცხადია, მხოლოდ ამით არ უნდა ამოწურულიყო. მისი გამოყენება ისევე მრავალმხრივი უნდა ყოფილიყო, როგორც მაგ., ბრინჯაოს სეგმენტური იარაღისა.

საქართველოს ისტორიულ ხანაში მიწათმოქმედების ხელით სამუშაო იარაღს განეკუთვნება აგრეთვე ორთოხი. ორთოხი ორი სამუშაო პირით ხასიათდება. ორთოხის ერთი ეგზემპლარი დატულია მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც აღმოჩენილია სოფ. შრომაში<sup>27</sup>. აგებულებით იგი საქმალად მარტივია. წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ბრინჯაოს იარაღს, რომელსაც ტარსაგები ხერელი ცენტრში აქვს მოთავსებული. ორთოხი, როგორც არქეოლოგი ოთ. ჭაფარიძე ასკვნის, შერწყმული ტიპის იარაღია<sup>28</sup>, რომელიც მოგვიანო ხანაშიც გარკვეულ დანიშნულებით უხმარიათ. კერძოდ ქვების მოსაკოდად თუ დასამუშავებლად<sup>29</sup>. საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში საკმალად მრავლადაა წარმოდგენილი შერწყმული სახის. იარაღები. მაგ., ბართოხი, თოხწერაქვი, ორთოხი, ცულთოხი და სხვ.

ქართველთა ძველ მიწათმოქმედებაში ხელით სამუშაო იარაღებიდან ერთ საგულისხმო იარაღს უროც შეადგენდა. ივ. ჭავჭავიძის აღნიშნული გარემოებისათვის თავის დროზე მიუქცევია ყურადღება; ურო, როგორც გარკვეული სამეურნეო იარაღი, იხსენიება ეფრემ მცირეს ერთ წერილში, საიდანაც სათანადო ამონაწერი, ივ. ჭავჭავიძის თავის შრომაში (საქართველოს ეკონომიური ისტორია) აქვს მოტანილი. წერილის ნაწყვეტში ვკითხულობთ, რომ ბერი კვირიაკე კეტებითა და უროებით „ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანობისაგან ყანობირ კმნილსა“ ნიადაგს ამუშავებდა<sup>30</sup>. უროს მაგვარი იარაღის მიწათმოქმედებაში

<sup>27</sup> ოთ. ჭაფარიძე, დასახელებული შრომა, გვ. 175.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 179.

<sup>29</sup> „... აღიღო ქელითა თჳსითა ორთოხი რკინისა და გამოაქანდაკა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა“, ბასილ ხარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ხარზმელისა; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, 1946, გვ. 92.

<sup>30</sup> ივ. ჭავჭავიძის, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1 1930, გვ. 154.

გამოყენების სხვა მაგალითი საქართველოში ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ რომ ამგვარ იარაღს მართლა უნდა ჰქონოდა ნემინდვრობაში გარკვეული ადგილი, ამას ძველი სამიწათმოქმედო ქვეყნის — ეგვიპტის მაგალითიც მოწმობს. ძველი ეგვიპტის მიწათმოქმედებაში ხნულის უროებით დამტვერვა მიწის დამუშავების გარკვეული საფეხური იყო, რომელიც თესვის შემდეგ სრულდებოდა<sup>31</sup>.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ზოგიერთი არქეოლოგიური ნივთი საკმაოდ ახლო ნათესაობას ამჟღავნებს და უშუალო წინაპარიცაა საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ ხელით სამუშაო იარაღისა (სურ. 1). როგორც არქეოლოგიურ<sup>32</sup> ისე, ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ხელით სამუშაო იარაღების მრავალსახეობა, ნათლად მიუთითებს მიწათმოქმედების მრავალ დარგოვანებაზე. კერძოდ, მევენახეობა, მებოსტნეობა, მებაღეობაზე.



ხელით სამუშაო იარაღებს ადგილობრივი მკედლები ამზადებდნენ, მაგრამ ზოგ კუთხეში იგი მზა სახით მეზობელი რაიონებიდანაც უხვად შემოდიოდა. ასე მაგ., დასახლებული იარაღების ზოგიერთი სახეობა ქართლის დასავლეთ ნაწილში რაჭიდან და იმერეთიდან ცხენებით გადმოჰქონდათ თურმე იქაურ<sup>33</sup> მკედლებს. გადმოტანილ იარაღთა შემადგენლობაში, მთხრობელთა გადმოცემით, წარმოდგენილი ყოფილა: ცულები, ბარები, თოხები და სხვ. შემოტანილ იარაღიდან უფრო მეტა სახელი „საჩხერისა და კიათურის იმერლების ნახელავს ჰქონია, რადგანაც ისინი უფრო ფოლადს აკეთებდნენ“ (სოსო ოსიტაშვილი, 82 წლისა, სოფ. თიღვა, ზნაურის რ-ნი, 1952 წ.). აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოდან შემოტანილი სამეურნეო იარაღი პატარა ლიახვის ხეობაშიც პოულობდა გავრცელებას. აქ განსაკუთრებით დიდხანს შემოინახა თავი იმერულმა წაღმა<sup>34</sup>.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით ბარი და თოხი ორი საკმაოდ განსხვავებული ფორმის სამუშაო იარაღია. პირველ დღეს ნიადაგის პირველად სამუშაოებისათვის გამოიყენება, მეორე კი როგორც ნიადაგის პირველადი (ჩერკენა), ისე მეორედი სახის (თოხნა)

<sup>31</sup> Georg Steindorff und Walther Wolf, Die Thebanische Gräberwelt, Leipziger Ägyptologische Studien, Hamburg, 1936, ტაბ. VIII.

<sup>32</sup> ნ. რეხვიაშვილი, მკედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 109, სურ. 93.

სამუშაოებისათვისაც (ტაბ. I). ორივე მათგანი ინდივიდუალური სახმარი იარაღია. ერთითაც და მეორითაც მხოლოდ ერთი კაცი



სურ. 1. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გაგრცელებული თოხების ზოგიერთი ტიპი და მათი არქეოლოგიური პარალელები 1—2—3—4—5 ეთნოგოაფიულ ყოფაში არსებული. დანარჩენი განათხარი სპილენძ-ბრინჯაოა თოხებია

მუშაობს, მიუხედავად ამისა, ამ იარაღებით მუშაობას მაინც ახლავს გარკვეული სეზონური ხასიათის კოოპერაციული მუშაობის ფორმა. ეს დროებითი შრომითი გაერთიანება ცნობილია რ ი გ-

რიგას და ნაცვალგარდას სახელით. განსხვავებისათვის უმატებენ ხოლმე ბარვის ან თოხნის რიგ-რიგას. ბარვის ან თოხნის რიგ-რიგაში ორიდან ათამდე მამაკაცი ერთიანდებოდა. ისინი ერთი მეორეს მორიგეობით შველოდნენ. ბარვის რიგ-რიგა უფრო ვენახების დამუშავებისას დგებოდა, გაზაფხულის დასაწყისში. თოხთან დაკავშირებული რიგ-რიგა კი ჩერკნის ან სიმინდის თოხნის დროს. რიგ-რიგას თითოეული წევრი თავის დროზე უნდა გამოცხადებულიყო სამუშაოზე ისე, რომ დილით მზის ამოსვლისას ადგილზე ყოფილიყო. „სადამოს შაშვი რომ გალობით მზის ჩასვლას ამცნობდა, მუშაობა უნდა დაემთავრებინათ“. ვინაიდან წლის დროთა მიხედვით სამუშაო დღის სიდიდე იცვლებოდა. სანაცვლო შველა გარკვეულ დროში უნდა მომხდარიყო. ზამთრის რიგ-რიგა მხოლოდ ზამთარში უნდა ანაზღაურებულიყო, ზაფხულისა ზაფხულში.

## თავი მეორე

### სახვნიელი იარაღები

ძველად ხვნის ქვეშ გამწევი ძალით მოქმედი იარაღების საშუალებით მიწის გადაბრუნება იგულისხმებოდა<sup>1</sup>.

ხვნის განვითარებული სახეობა გულისხმობს სახვნიელი იარაღის საშუალებით ერთ გარკვეულ დონეზე ბელტის ორ სიბრტყეში ჰორიზონტალურ (სახნისის საშუალებით) და ვერტიკალურ (სავეეთის საშუალებით) აკრას და ფრთის დახმარებით მის გადაბრუნება-დაშლას. ძველ ქართულ სახვნიელთა ზოგიერთ სახეობას, მათ შორის რაჭულ სახვნიელს, მიუხედავად იმისა, რომ საკეთელი და ფრთა არ გააჩნდა, თავისი საკმაოდ რთული აგებულების, კერძოდ ფარფლიანი ქუსლის წყალობით ბელტის ორ სიბრტყეში მოკრა და მისი დაშლის საკმაოდ უნარი გააჩნდა<sup>2</sup>.

ნიდაგის სახნავ იარაღებად ძველთაგანვე გამოყენებული ყოფილა, როგორც მარტივი, რომელსაც მხოლოდ მიწის აქეკვა-აჩეჩვა შეეძლო, ის რთული სახვნიელები. საერთოდ საქართველო სახვნიელ იარაღთა მრავალსახეობით ყველა სხვა ქვეყნისაგან გამოირჩეოდა.

ტერმინი „სახვნიელი“ ძველთაგანვე ყველა ტიპის სახვნიელ იარაღთა ზოგადი სახელი იყო, რომელშიც შედიოდა როგორც სახნისიანი ჩუთ-კავი, ისე სახნის-საკვეთიან-ფრთიანი გუთანო<sup>3</sup>.

„სახვნიელი“, როგორც ტერმინი, რამდენადმე ადრე უნდა არსებულებოდა, ვიდრე დანაწევრებული სახვნიელთა სახელები და მათი სახეობანი. გვიან, სახვნიელმა, როგორც სახვნიელის კერძო სა-

<sup>1</sup> დაბაჯება, მსაჯულთა, 3,31.

<sup>2</sup> გ. ჩიტიანი. რაჭული სახვნიელის ფარფლიანი ქუსლი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941. გვ. 186.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, 1930, გვ. 156.

ხელწოდებამ, ველარ დაიტია განვითარების შედეგად სახვნელთა მრავალსახეობა და ზოგად ტერმინად იქცა. მის შიგნით მოხდა სახვნელების სახეობათა მიხედვით სათანადო სახელწოდებათა შექმნა. მიუხედავად ამისა, სახვნელი, როგორც იარაღის კერძო სახელი, მთლად მაინც არ დაკარგულა. იქ, სადაც იარაღის ერთი სახეობა მოქმედებდა, სახელი სახვნელი შემოინახა. მაგ., ხევსურეთში და რაჭაში, აქაურსახვნელთა კერძო სახელწოდებად სახვნელი დარჩა<sup>4</sup>. თუ რა სახით იყო წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოში სახვნელი იარაღები, ჩვენ განვიხილავთ თანამიმდევრობით მარტივიდან რთულ იარაღისაკენ, ისე, როგორც პროფ. გ. ჩიტაიას აქვს წარმოდგენილი ქართულ სახვნელ იარაღების ტაბულაზე<sup>5</sup> (სურ. 2).

თ უ შ უ რ ი კ ა ვ ი. საქართველოს სახვნელ იარაღთა შორის თუშური კავი ყველაზე უფრო მარტივი აგებულების იარაღია. იგი შედგება: მხრის, ხელნის და საკვეთლისაგან. კავის მხარი ოდნავ გახრილი გრძელი ხეა (სიგრძით 2,5 მეტრი), რომელსაც წინ უღელზე მისაბმელად გაყრილი აქვს ჩხირი, უკან ორი ვერტიკალური ნაჩერეტი აქვს, ერთში ხის საკვეთელი, ხოლო მეორეში — ხელნა თავსდება (საკვეთელის სიგრძე — 25 სმ, ხელნის სიგრძე 70 სმ)<sup>6</sup>.


აღნიშნულ იარაღს ხევსურეთშიც იყენებდნენ, რომლის საშუალებითაც ნიადაგს მხოლოდ „გაწერავდნენ“ — კვალს გააგებდნენ, ხოლო შემდეგ იმავე კვალზე აჩაჩს გაატარებდნენ ხოლმე. კავის გამოყენებით მის მიმყოლ აჩაჩს რამდენადმე უმსუბუქდებოდა მიწის გაპობა, რადგან აჩაჩის სახნისს, რომელიც ჰორიზონტალურ სიბრტყეში კრიდა ბელტს, წინდაწინ უკვე ვერტიკალურ სიბრტყეში გაჭრილი სახნავი ფენა ხედებოდა. ამას გარდა, კავის საკვეთლით გაჭრილი ხაზი სახნავ ფენაში ღრმად ჩადიოდა და ხელს უწყობდა დაყამირებული სახნავი ფენის აქეჭვას და „გადვიძებას“. დაყამირებულ ფენაში გავლებულ კვალს შეეძლო რამდენადმე სინესტის უკეთ შენახვა. ეს, რა თქმა უნდა, იარუსიან

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 156.

<sup>5</sup> Г. Ч и т а я, Земледельческие системы и пахатные орудия Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1951, იბ. თანდართული სქემა.

<sup>6</sup> დაწვრილებით ზოგები იხ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლი, უნივერსიტეტის შრომები, XVIII, გვ. 188.

ჩვენას არ წარმოადგენდა, მაგრამ ეს იყო ერთგვარი მარტივი სა-  
შუალება სახნავი ფენების იარუსებად დამუშავებისა. ჩვენი აღნი-



სურ. 2. საქართველოში გავრცელებული სახეული იარაღების გან-  
ვითარების სქემა პროფ. გ. ჩიტაიას მიხედვით

შნული მოსაზრება იქიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც კავის  
და აჩაჩის შერწყმულ მუშაობას ვაქვირდებით, კავი საკვეთლით

წარმოვიდგება სახნისიანი სახენელის — აჩაჩის მთლიანობაში. მაგრამ აქ ეს მთლიანობა გათიშულია, როგორც იარაღის აღნაგობით, ისე ცალკეულ იარაღში საკუთარი გამწევი ძალით. ამ იარაღების რეგულირება ცალ-ცალკე მგუთნავის ხელში იყო და კავის მუშაობის სიღრმეც მის სურვილზე იყო დამოკიდებული. ასე, რომ კავის საკვეთელი და მისი მუშაობის სიღრმე მთლიანად სახენელის მუშაობასთან იყო დაკავშირებული, კავის საკვეთელი ერთ გარკვეულ სიღრმეს არ იცავდა.

აქ დასახელებულ კავის ტიპის სახენელს დასავლეთ ევროპაშიაც ჰქონია გამოყენება, მაგ., ვალახიაში<sup>7</sup>, უნტერკერტენსა, კირხბახში (დასავლეთი გერმანია) და შვედეთში<sup>8</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახენელების ამ მარტივ ტიპებს ბრაუნგარტი თოხებსაც უწოდებს, რადგან ასე უწოდებენ მრავალ სხვა ხალხებშიაცო, — აღნიშნავს იგი<sup>9</sup>. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუშები კავის საკვეთელს „ბარს“ უწოდებენ. გ. ჩიტაიას ცნობით თუშები ბარს თოხის აღსანიშნავად ხმარობენ<sup>10</sup>. კავის ტიპის სახენელის დანიშნულებას დასავლეთ ევროპაშიც იგივე შეადგენდა, რაც მას თუშეთში აქვს, მაგრამ ბრაუნგარტი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო ამგვარი მუშაობის გამომწევი მიზეზი. გ. ჩიტაიას აზრით, ამ სახენელის გამოყენება შეპირობებული იყო „მთის ზოლის მეურნეობასთან და მის ბუნებრივ პირობებთან: ხრიოკი, მწირი და ფიცხი ნიადაგი პლუს მთაგორიანი რელიეფი“<sup>11</sup>. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავი დამხმარე იარაღის ფუნქციის შემსრულებელია, ე. ი. მას კვალს გავლება და სახნავი ნიადაგის ფენის აქეკვა უწარმოებია, მაგრამ ეს უშუალო ფუნქცია კავისა უფრო გვიან უნდა იყოს შემუშავებული. ამ ტიპის იარაღის თავდაპირველი დანიშნულება იგივე ხვნა უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ტიპის სახენელი იმდენად მარტივი აგებულებისა და მსუბუქია, რომ თუკი ოდესმე ადამიანები სახენელი იარაღების გამწევი ძალის როლში გამოდიოდ-

<sup>7</sup> R. Braungart. Die Urholmat der Landwirtschaft aller Indogermanischen Völker, Heidelberg, 1912, გვ. 135.

<sup>8</sup> გ. ჩიტაია. რაქული სახენელის ფარფლიანი ქუსლი, უნივერსიტეტის შრომები, XVIII, გვ. 188.

<sup>9</sup> R. Braungart. დასახელებული შრომა, გვ. 135.

<sup>10</sup> გ. ჩიტაია, დასახელებული შრომა, გვ. 187.

<sup>11</sup> იქვე. გვ. 188.



ნენ, მათი სახენელის პირველსახეობა თუშური კავისმაგვარი უნდა ყოფილიყო (სურ. 3).

ჩუთი. თუშური კავის შემდეგ თავისი მარტივი კონსტრუქციული აგებულებით გამოირჩევა ჩუთი. ჩუთი ანუ კავი, როგორც მას ქართლში უწოდებენ, ორი ტიპისაა: სამმხრიანი და ოთხმხრიანი.



სურ. 3. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სახენელი იარაღები

სამმხრიანი ჩუთი შედგება ერთიანი მხარკბილასა და სახენლურისაგან. მას კბილაზე წამოეცმოდა სახნისი, ჩუთისათვის მასალად ყველაზე მეტად წიფელი იყო გამოყენებული, განსაკუთრებით ეტანებოდნენ ძირეულ ორტოტა წიფელს. წიფელი დასაძუშავებლად იოლო იყო და გახმობის შემდეგ საკმარად მაგარი გაწიფილდა. შერჩეულ ხეს ცულით მოჭრიდნენ, გააკაპიტებდნენ და დააგდებდნენ, რომ გამხმარიყო. შემდეგ გამოთლიდნენ, კბილას

გარკვეულ ზომაზე. დააყენებდნენ, სახელნე ნაჩვრეტს საჭრეთ-  
ლით ამოკრიდნენ. ხელნად სწორ ჯოხს გამოთლიდნენ, რომელსაც  
სახელურს ბუნებრივ ტოტიდან გამოუყვანდნენ ან შალაფით ამო-  
ხვრეტილ ნასვრეტში მრგვალ ჩხირს ჩაუმაგრებდნენ. მხარის თავ-  
ზე ორ ნაჩვრეტს ამოულებდნენ უღლის მოსაბმელი წნელების გა-  
საყრელად და ჩუთი მზად იყო. ჩუთს კბილაზე რკინის ტოლ-  
ფერდა სახნისი უკეთდებოდა, რომელსაც ადგილობრივი მკედ-  
ლები ამზადებდნენ. ჩუთში ჩვეულებრივ უღელი ხარი იბმოდა და  
ერთი კაცი უძღვებოდა. ჩუთით მუშაობას უმთავრესად ნატეხ ნა-  
პუშევარ მიწებში აწარმოებდნენ. ასე, მაგ., აჩუთავდნენ ნასიმინ-  
დარს, მძრალს, ანეულს და ზოგჯერ ნაქერალსაც. ჩუთით შესრუ-  
ლებულ მუშაობას აჩუთვას, აოშვას და აკავებასაც უწოდებდნენ.  
ჩუთის უძველეს სახეობად აკად. ივ. ჯავახიშვილს სტრაბონის მიერ  
აღწერილი ალბანური სახვნელი მიაჩნია<sup>12</sup>. აქ აღწერილი ჩუთის  
გავრცელების არეალი უმთავრესად სამხრეთ საქართველოს ზეგა-  
ნია (სურ. 3, 2, 5).

სამმხრიან ჩუთისნაირ სახვნელთა ტიპს განეკუთვნება აგრეთ-  
ვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სახვ-  
ნელები<sup>13</sup>, იმ განსხვავებით, რომ მთის პირობებში წარმოდგენი-  
ლი სამმხრიანი სახვნელები კბილაში 90° მოხრილი მხარით არიან.  
ჩადგმული, მაშინ როცა ქართლის სამხრეთში გავრცელებული ჩუ-  
თის მხარი და კბილა ერთი მთლიანი ხის ტოტიდანაა გამოყვანი-  
ლი და მხარის კბილასთან მდებარეობაც 90°-ზე ბევრად ნაკლებ  
კუთხეს შეადგენს. ჩუთის ეს უკანასკნელი სახეობა თავისი მარტი-  
ვი აგებულებით საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ სამმხ-  
რიანი სახვნელების წინაპარს მოგვაგონებს. მთის პირობებში წარ-  
მოდგენილი სამმხრიანი სახვნელის განმასხვავებელი ნიშნები  
თავს იჩენს აგრეთვე მხარის აგებულებაში, მაგ. მთიულეთში; მოკ-  
ლე მხარია საკვეთლით, ხევში გრძელი და გადაბმული, თუშეთში  
გრძელი მხარი უსაკვეთლოდ, ხოლო ხევსურეთში გრძელი მხარი  
საკვეთლით<sup>14</sup>. აქ ჩამოთვლილ ჩუთისნაირ სახვნელებს ერთიმეო-

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. 1, 1930, გვ. 13, 178.

<sup>13</sup> ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 64; მისივე, თუშეთი, 1935, გვ. 46; მისივე, ხევსურეთი, 1935, გვ. 53.

<sup>14</sup> Г. Ч и т а я, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, ВЭК., Тб., 1952, იხ. თანდართული სქემა.

რისაგან მარტო მხარი როდი განასხვავებს, ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ქუხლის ფორმითაც. თუშური სახენელის ქუხლი „ყურებით“ არის წარმოდგენილი და მესხური. ჩუთის „კბილას“ წაავაეს<sup>15</sup>. რაც შეეხება მოხევეურ „ხარის გუთნის“ ქუხლს, იგი მოკლე და მაღალ ზურგიანია. ამრიგად ყოველ კუთხეში თუ მიკრორაიონში თავისებური კონსტრუქციის სახენელთაა გვაქვს საქმე. მათი ერთი მეორესთან მსგავსება ჩონჩხის სამშხრიანობაში გამოიხატება. ამიტომ ჩვენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამშხრიანი სახენელები ერთი ტიპის ჩუთისნაირთა ქვეშ მოვაქციეთ (სურ. 36, 71, 9, 17).

ჩუთის მეორე სახეობა „ოთხმხრიანი“ ჩუთია, რომელიც ზემო ქართლსა და შიდა ქართლში დასტურდება. ამ სახის ჩუთს შეიძლება ვუწოდოთ ბარის მსუბუქი სახენელი.

ოთხმხრიანი ჩუთი შედგება: მხარის, ხელნის-მანჭი, ხმალას, კბილას და სახნისისაგან. ჩუთის დასამზადებელ მასალად გამოყენებული იყო: მუხა, იფანი, თელა, წიფელი და სხვ. საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცულია 1949 წელს ქართლიდან შემოსული ოთხმხრიანი ჩუთი № 38-49/41 (სურ. 312). აღნიშნული ჩუთი დამზადებულია ვაშლის ხისაგან. ჩუთი მეტად მცირე ზომისაა და მსუბუქი, რომელიც შემდეგი განაზომებით წარმოდგეიდება: მხარი სიგრძით 223 სმ, სისქით 7 × 5 სმ; მხარი მანჭიდან კბილას სიგრძემდე პორიზონტალურად გასდევს, ხოლო შემდეგ ზემოთ არის გახრილი და თავაწეული, რომელსაც დაბოლოებაზე აქვს ოთხკუთხა ნაჩვრეტი, ზომით 5 × 4 სმ; მხარის ბოლო შედგმულია მანჭში და მაგრდება კინჭილაქით. მხარს მანჭიდან წინ 15 სმ დაშორებით აქვს ვერტიკალური ნაჩვრეტი ზომით 9 × 2,5 სმ, რომელშიაც კბილადან ამოყრილი აქვს ხმალა. მანჭი სიგრძით 75 სმ, ჩადგმულია კბილაში და მაგრდება კინჭილაქით. მანჭს აქვს მხარის შესადგმელი ნაჩვრეტი ზომით 8 × 3 სმ, კბილიდან ნაჩვრეტამდე 17 სმ-ია. მანჭი ბოლოვდება სახელურით. ჩუთის კბილა სოლისებური მოყვანილობისაა, სიგრძით 57 სმ. კბილა უკანიდან ირიბადაა

<sup>15</sup> შეადარე, ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 46; მისივე, მესხეთ-ჯავახეთი, 1938, გვ. 148.

შეკრილი, ეს ადგილი ოდნავ განიერიცაა — 13 სმ, კბილა წვერ წათლილია სახნისის წამოსაგებად. წვერთან კბილას სიგანე — 9 სმ-ია. კბილას სისქე 7,5 სმ-ია, აქვს ორი ვერტიკალური ნაჩვრეტი წინა ( $7 \times 3$  სმ), რომელშიც ხმალა თავსდება და უკანა ( $7 \times 3,5$  სმ) მანკის ჩასადგმელად. ხმალას და მანკის დასამაგრებლად კბილა მთელ სიგანეზეა შალაფით გახვრეტილი, რომელშიც ხის ლურ-სმპნია გახეშილი. ხმალა იფანისაა, სიგრძით — 40 სმ., სიგანე — 7 სმ, სისქე — 3 სმ; სიმალლე კბილადან ხმალამდე 20 სმ-ია. იგი ერთი თავით კბილაში ზის, მეორე თავით მხარში გადის და სოლითა და კინკილაქით მაგრდება.

ოთხმხრიანი ჩუთი სამმხრიანისაგან საკმაოდ განსხვავდება. მთის სამმხრიანი სახენელები ტლანქი კონსტრუქციით ხასიათდებიან და საკმაოდ მძიმენი არიან. აქ, რასაკვირველია, მათი დანიშნულებრივი გამოყენების საკითხია ვადამწყვეტი. როგორც ცნობილია, მთის სახენელების დანიშნულებას ხვნა წარმოადგენდა, ბარის მსუბუქი სახელების დანიშნულება კი მოხნულის ან რბილი ნიადაგების ხელახალი დამუშავება იყო. ასე რომ ქართლის სამხრეთში გავრცელებული სამმხრიანი ჩუთის სიმსუბუქე მთიურ სამმხრიან სახენელებთან შედარებით ამავე მიზეზით უნდა იქნეს ახსნილი. ისე, როგორც ქართლური ოთხმხრიანის ფშაური ოთხმხრიანი სახენელისაგან განსხვავდება მათს სხვადასხვა დანიშნულებითვის გამოყენებიდან გამომდინარეობდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩუთი გამოყენებული იყო მიწათმოქმედებაში იმ მიზნით, რომ ნიადაგის ზერელე ხვნა ეწარმოებინათ. მაგრამ ყოველგვარი ნიადაგის ხვნა ჩუთით შეუძლებელი იყო, რადგანაც ის თავისი აგებულებით სუსტი იყო და ნაკლები გამწვევი ძალაც ებმოდა (უღელი ხარი). მას იყენებდნენ ანეულების, ნაწვერლების, ნასიმინდრების და მძრალეების დასახნავად, ანუ როგორც მეორენაირად აღნიშნავენ — ასაჩუთავად — ასაოშად.

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე საშუალება მოგვეცა ჩუთით მუშაობის ოთხი სხვადასხვა სახის პროცესი დაგვედგინა. აღნიშნული გარემოება რამდენამდე იმაზედაც მეტყველებს, რომ ჩუთი, ძველად გარკვეული ძირითადი სახენელი იარაღიც უნდა ყოფილიყო და მრავალგზისი ხქნის წესიც გუთნის გაჩენამდე მის ფუნქციად არის სავარაუ-

დებელი. გუთნის გაჩენის შემდეგ კი ჩუთის ფუნქცია ვიწროვდება და იგი ძირითადი იარაღიდან დამხმარე სახენელის ადგილზე ინაცვლებს.

პატარა ლიახვის ხეობაში ოთხმხრიანი ჩუთი სამი სხვადასხვა სახელით დავამოწმეთ, სახელდობრ: პ. ლიახვის მთის ზოლში მას ოქოქას უწოდებენ; გარდამავალ ზოლში და მთის ძირა ბარში-ოშს, ხოლო ბარში-ჩუთს. ამავე სახის ჩუთს ფრონეს ხეობაში კავის სახელით იცნობენ. ჩუთისნაირთა გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია, იგი ოდნავ სახეცვლილი გვხვდება, როგორც კავკასიის, ისე წინა აზიის, შუა აზიის და ევროპის ქვეყნებშიც. ჩვენ აქ არ შევეჩვებით მისი გენეზისის საკითხს, ვინაიდან იგი საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული პროფ. გ. ჩიტაიას შრომაში „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში“. ავტორი მიუთითებს, რომ „სტრაბონზე ბევრად ადრინდელ ხანაში წინა აზიაში, სახელდობრ ბაბილონში, დამოწმებულია კომპლექსური ფორმის ერქვანი“<sup>16</sup> (იგივე ჩუთი გ. ჯ.), სავარაუდოა ქართული ჩუთის წარმოშობა-განვითარების თვითმყოფადობა.

როდესაც ზემოთ წარმოდგენილი იარაღის დათარიღების საკითხი იმის, ჭერჭერობით პასუხის გაცემა ერთობ ჭირს, რადგან არქეოლოგიური განათხარი მასალა უძველესი ხანის სახენელთა რაიმე ნაშთს საქართველოს თუ კავკასიის ტერიტორიაზე არ იცნობს. მიუხედავად ამისა ჩვენ მოგვეპოვება მეორე რიგის არქეოლოგიური მასალები ბრინჯაოს თხებების და ნამგლების სახით, რომელთა გამოყენება და მათი ადგილზე დამზადება განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიუთითებს. ენგელსი ეხება რა ბარბაროსობის შუა საფეხურზე მდგომ დასავლეთ აზიის ტომებს, აღნიშნავს, რომ პურეულობის მოყვანა აქ თავდაპირველად საქაიხლას გამოკვების მოთხოვნილებას უნდა გამოეწვია<sup>17</sup>. ჩვენ მიერ აქ განხილული თუშური კავი და ერთიანი ხის ტოტისაგან დამზადებული ჩუთი შესაძლებელია პირველყოფილ სახენელის ტიპად მივიჩნიოთ და ბარბაროსობის შუა საფეხურის სახენელ იარაღად ვალიაროთ, სწორი უნდა იყოს ბ. ეავრონკოვის აზრი იმის შესახებ, რომ

<sup>16</sup> გ. ჩიტაიკ, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში, გვ. 221.

<sup>17</sup> ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1932, გვ. 26.

ერთიან ხის კავს, როგორც პირველყოფილი გუთნის პირველ ტიპს, აკუთვნებს ნეოლითის მეორე ნახევრის ხანას<sup>18</sup>.

რკინის სახნისის გაჩენას კი, როგორც ცნობილია, ენგელსი ბარბაროსობის ზედა საფეხურისათვის ვარაუდობს<sup>19</sup>. უკანასკნელ ზანებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დასტურად იმისა, რომ ენეოლითის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მიწათმოქმედების კულტურა მაღალ დონეზე იდგა, საუკეთესო მასალებს მიაკვლია ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში. აქ შემონახულ დანახშირებულ პურეულის მარცვლებში შეუიარაღებელი თვალითაც განირჩევა ხორბლის ორი ჯიში.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უძველესი ხანიდან შუამდინარეთი წარმოადგენდა მიწათმოქმედების უძველეს კერას, რომელიც მკვლევართა აზრით არა მარტო მარცვლეული კულტურების, არამედ სახვნელი იარაღების სამშობლოდაც არის აღიარებული (E. Huber, Körnische, Gradman, Schweinfurt, E. Hahn, O. Schrader და სავ.)<sup>20</sup>, და საქართველო სინამდვილეში არსებულ და შემონახულ ხორბლეულია ჯიშებსა, ადვილი წარმოსადგენია, რომ ქართველთა წინაპარი ტომები ადრეული ხანისათვის რანდენიმე ტიპის მარტივ სახენელს დაუფლებული უნდა ყოფილიყვნენ.

აჩაჩი. საქართველოში მთიან ზოლში და კახეთში „აჩჩას“ კეჭ იგულისხმება ჩუთზე ცოტა მოზრდილი და მძიმე სახვნელი იარაღი, რომელსაც ჩუთისაგან განსხვავებით საკვეთელი გააჩნია. აჩაჩი ოთხმხრანი სახვნელი იარაღია. იგი შედგება მხრის, აელნის. კბილას, ქუსლის, იმალას, სახნისის და საკვეთლისაგან (სურ. 3—13. 17

აჩაჩის დასამზადებლად გამოყენებული იყო თელა, იფანი, წიფელი, მუხა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული აჩაჩი № 13—29/17 ჩამოტანილია 1929 წელს ფშავიდან (სოფ. მალაროსკარი) გ. ჩიტაიას და ვ. ბარდაველიძეს მიერ. მუზეუმის სა-

<sup>18</sup> Б. Жаворонков, От мотыги к трактору, М., 1924, გვ. 13.

<sup>19</sup> ფრ. ენგელსი, დასახ. შრომა, გვ. 27.

<sup>20</sup> E. Huber, Das Bier im Alten Babylonien zur Zeit der Sumerer. Veröffentlichungen der Gesellschaft für die Geschichte und Bibliografie des Brauwesens, Brl., 1928, გვ. 9--10.

ინვენტარო დავთარში გატარებულია „გუთანი“ — „აჩაჩინ“ სახელით. აღნიშნული სახენელი 1953 წლამდე ხევისურეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე იყო გატანილი, სადაც მას საექსპოზიციო დარბაზის ცენტრალური ნაწილი ჰქონდა დაკავებული. № 13 -- 29/17 აჩაჩის მხარი წარმოადგენს გრძელ ხეს, რომელიც ერთი თავით შედგმულია ხელნაში და სოლით არის ჩამაგრებული. მხარს აქვს ორი ოთხკუთხა ნაჩვრეტი ხმალასთვის და საკვეთლისათვის. საკვეთლის ნაჩვრეტიდან წინ ერთ მეტრზე მხარს აქვს საღვედე ნაჩვრეტი. აქედან კიდევ ერთი მეტრით წინ მხარი მალაა ახრილი და ბოლოზე საჯამბრე ნაჩვრეტით ბოლოვდება. ქუსლი შედგება ყურებისა, კბილასა და ორი ნაჩვრეტისაგან. ნაჩვრეტებში მაგრდება ხელნა და ხმალა. ყურები აკრილ მიწას აბრუნებს და ფშვნის; კბილას წვერზე სახნისი წამოეცმოდა. ხელნა მაგრდება ქუსლის უკანა ნაჩვრეტში, რომელშიც მხარის ერთი ბოლო გაეყრებოდა, ხელნას აქვს ორი სახელური. ხმალა ბრტყელი ფიცარია, სიგრძით 54 სმ, სიგანით 13 სმ, სისქით 2 სმ. ხმალა ერთი თავით ქუსლშია ჩამაგრებული, მეორეთი — მხარში. ხმალა ოთხმხრიანი სახენელის ძირითადი ატრიბუტია. აჩაჩი იმიტომაცაა ოთხმხრიანი, რომ ზმალა გააჩნია. ხმალასთვის შედარებით მაგარი ხის მასალა უნდა შეერჩიათ, მაგ., მუხა, იფანი, თელა და ჯაგრცხილა.

ხმალას ძირითადი დანიშნულება იყო თანაბარი სიმაღლე და სინჯარე დაეცვა მხარსა და ქუსლას შორის. ამასთან. როდესაც მიწათმოქმედება გამწევი ძალისათვის მუშაობის შემსუბუქებისა და ხეულისათვის მეტი სტრუქტურის მიცემის მიზნით ქუსლას სიგრძე გაზარდა, გრძელი ქუსლა რომ მხართან მაგრად ყოფილიყო დაცავშირებული, საჭირო გახდა რალაც შემაერთებელი ნაწილის ჩადგმა, რომელიც სახენელების ტერმინოლოგიაში ხმალას სახელით არის ცნობილი. სამმხრიანი სახენელის გაოთხმხრიანებაში სწორედ ხმალას გაჩენა ივარაუდება. ქართული ოთხმხრიანი სახენელით არაერთი მკვლევარი ყოფილა დაინტერესებული (Braungart, Nopcsa, Leser, Werth-ი და სვ.). მაგრამ მათ რატომღაც ეს სახენელი ევროპიდან შემოტანილად მიაჩნიათ. უკანასკნელად ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ გაიმეორა წინა აზიის, სახელდობრ თურქეთში გავრცელებული სახენელების მკვლევარმა Werth-მა, რომელმაც ხაქართველოში „იზოლირებული სახით“ წარმოდგენილი ოთხმხრიანი

სახენელი კვლავ ევროპის წყალობად მიიჩნია<sup>21</sup>. თუ როგორ თახდათან ვითარდებოდა ქართულ სახენელებში სამმხრიანი სახენელი ოთხმხრიანად იმავე ხმალას წყალობით, ამას ზემოთ დასახელებული რკვევრები არ ითვალისწინებენ. რომ ხმალა ოთხმხრიან სახენელში მხრის მოხრილობასთან ახლოს იდგა და აქედან იგი თანდათანობით წინ ინაცვლებდა, ე. ი. შორდებოდა მოხრილობის ადგილს, ეს თვალნათლივ არის წარმოდგენილი მესხურ და თრიალეთურ ჩუთში. რომ თვით ეს პროცესი ე. ი. ხმალას თანდათანობითი დაშორება მხრის მოხრილობიდან, გამოწვეული იყო ქუსლას დაგრძელებით გრძელი ქუსლა კი მხართან ხმალას გარეშე მყარ მდგომარეობას ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომ საჭირო იყო სამუშაო წვერთან ხმალას დაახლოვება.

ხმალას არარსებობა სახენელებში ერთი მხრივ ქუსლას სიმოკლით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ კი მოკლე ქუსლიანი სახენელების დანიშნულება პირველყოვლისა ახალ ნატეხებში მუშაობა იყო, მაგრამ იქ, სადაც მოკლე ქუსლიანი სახენელის ფუნქციას უშუალოდ ხენა შეადგენდა, ხმალას მაგიერობა მხრის სიბრტყით იყო დაძლეული. ასე იყო, მაგ., გურულ და მეგრულ სახენელებში, ასე იყო აღმოსავლეთ საქართველოს მარტივ სახენელებში (ხევსურული). ხმალას გაჩენა სამმხრიან სახენელებში სახენელის განვითარების ერთი საფეხურია, რომელიც შესაძლებელია საკვეთლის გაჩენამდე არსებობდა, მაგრამ სამმხრიან სახენელში ხმალას არ არსებობა საკვეთლის გამომრიცხველი არ არის. ამის მაგალითს ხევსურული „სახენიელი“ წარმოადგენს. ხმალას, როგორც სახენელის ერთი სამუშაო ნაწილის წარმოშობა-განვითარება. ქართულსახენელებში თვალნათლივ არის წარმოდგენილი. მისი გაჩენის შედეგად სამმხრიანი სახენელის ოთხმხრიან სახენელად გარდაქმნისა და ამ მიზეზების გზებიც ქართულ სახენელთა განვითარებაში კარგად ვლინდება. ამდენად, ოთხმხრიანი სახენელის გარედან შემოტანილობა, როგორც ეს ბურჯუაზიულ შეცნიერებს მიაჩნიათ, დაუჭერებელია<sup>22</sup>.

ხელნა ანუ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უწოდებენ, მანჭი, იგივე ერქონაჲ (ხევი), წარმოადგენს სამკაპა.

<sup>21</sup> E. W e r t h, Die Türkischen und Mesopotamischen Pflügen. Zeitschrift für Ethnologie, Brl., 1933., 3/5, გვ. 352.

<sup>22</sup> ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ გ. ჩი რ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმოხილველი. 1, 1949, გვ. 375.



ჟონს, რომელსაც ერთი კაპი დანარჩენი ორის პერპენდიკულარულად აქვს მოწყობილი. ხელნა ერთი თავით ქუსლშია ჩადგმული, ორკაპა ღერები კი წარმოდგენს აჩაჩის მართვის საშუალებას, რომლითაც მხენელი სახენელის რეგულირებას ახდენს. ხელნა შუაში ამოჩერებულია, სადაც მხარის თავი იდგმოდა.

აჩაჩის სხვა ნაწილებიდან აღსანიშნავია სახნისი და საკვეთელი. სახნისი ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა, საკვეთელი გრძელტარიანი რკინის ბლაგვ დანას მოგვაგონებს (სახნის-საკვეთლის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აჩაჩის მხარს ორი ნაჩერეტი აქვს, — ერთი დაბოლოებაზე, რომელშიაც მოკლე ღვედი გაეყრებოდა და უღელზე მიიბმოდა, ხოლო მეორე აჩაჩის მხარის დახრაზე, სადაც გრძელი კვანტების შემწეობით წინა გამწევი ძალის შესაბამელი უღლები აიბმოდა.

აჩაჩის ეს სახეობა უმთავრესად ისეთ ადგილებში იყო გამოყენებული, სადაც ნიადაგი წარმოდგენილი იყო თხელი სახნავი ფენის სახით, მდებარეობა კი მთის ვაკე ადგილებს წარმოდგენდა, გამორიცხული არ იყო მთის ფერდა ადგილებიც. საერთოდ აჩაჩი, როგორც უფროთ სახენელი, შეფარდებული იყო მთის პირობებთან, სადაც მრავალხარბმულ მძიმე გუთნის მუშაობას ჩამოთვლილი მიზეზები ზღუდავდა. ეს რომ ასეა, ამის მაგალითს გვიდასტურებს თრიალეთში ჩამოსახლებულ მთიელთა მიერ თან ჩამოტანილი აჩაჩი, რომლის დანერგვა თუმცა სცადეს, მაგრამ ადგილობრივმა პირობებმა იგი ვერ შეითვისა. აჭაური მიწა ურწყავობის გამო ღრმა ხენას მოითხოვდა, რაც, ცხადია, აჩაჩს არ შეეძლო.

ამას გარდა პურეულის გარკვეული ჯიშების მოყვანა ნიადაგების სამძრალო და საანეული სახის მიწის სამუშაოებთანაც გარკვეულ კავშირში იმყოფება. ამ მიზნებისათვის კი დიდი გუთანნი ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი იყო. აქედან გამომდინარე ცხადია, საქართველოს მთიელთა მიერ აჩაჩის დანერგვის ცდა თრიალეთში ნაყოფს ვერ გამოიღებდა. აჩაჩი ბარის პირობებში დიდ გუთანთან შედარებით ისეთ მძლავრ და ეფექტურ იარაღს აღარ წარმოდგენდა, როგორც ეს უკანასკნელი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა რთული სამიწათმოქმედო სამუშაოების დაძლევა: ყამირის გატეხვა, ანეულის ხენა და სხვა. აჩაჩი ბარის

მიწათმოქმედებაში მხოლოდ მეორე რიგის სამუშაოებისათვისღა რჩებოდა. კერძოდ, ანეულის ან მძრალის ხელახლა გადასახნადად, მაგრამ იგი თვით ამ მეორე რიგის სამუშაოების შესრულებაში შეზღუდული იქნა მსუბუქი სახვნელის ჩუთის და მეტად მძლავრი საოში იარაღის ფორჩხის მიერ, რომელთაც აგრეთვე მეორე რიგის სამუშაოთა შესასრულებლად იყენებდნენ. სახვნელი აჩაჩი ბარის პირობებში ადრევე მსუბუქი სახვნელის სახით უნდა ყოფილიყო ცნობილი; საბა ორბელიანის განმარტებითაც აჩაჩი უღელი ხარის სახვნელია<sup>23</sup>. ამდენად ჩვენს მიერ აღწერილი ოთხმხრიანი ჩუთი, რომელშიც უღელი ხარი იბმოდა და ფშაური ნძიმე აჩაჩი, ტიპოლოგიურად ერთი რიგის სახვნელებია, სხვადასხვა ბუნებრივ გარემოთა შესაბამისად, დამუშავებული.

ორხელას ტიპის იარაღები. აღმოსავლეთ საქართველოს სახვნელთა ერთ-ერთ თავისებურ ტიპს ორხელასნაირი სახვნელები წარმოადგენს. ორხელა, რომელსაც პატარალიახვის ხეობაში ოქოქასაც უწოდებენ, შედგებოდა მხრის, ქუსლის, ორხლის, კოკოშის, სახნისისა და საკვეთლისაგან. ორხელის ხაწილები ერთი მეორეში ჩამაგრებული იყო სოლებითა და ჭინჭილაქებით. ბარის ორხელას ხშირად საკვეთელი არ გააჩნდა. მხარი წარმოადგენდა მოხრილ ხეს, რომელსაც ტყეში შეარჩევდნენ, გამოთლიდნენ და კერის აყრებზე ან სათონის თავზე გაახზობდნენ. მხარს ჰქონდა ვერტიკალური ნაჩვრეტი, რომელშიც საკვეთელი იყო ჩამაგრებული 5 სოლით. მხარს წინ ძირიდან ამოეკეროდა კოკოშა, კაკუჩა<sup>24</sup>. კოკოშა მხარეზე მიკრული იყო ხის ორი სიმსკვალით, კოკოშას საშუალებით შესაძლებელი იყო სენის სიღრმის რეგულირება; თუ სახნავი ნიადაგი სიციხებით იყო გამოვვალული, ორხელის მოკიდება რომ გაადვილებოდათ, კოკოშას მოხსნიდნენ, თუ ნიადაგი რბილი სახნავი იყო, რომ ორხელა ნიადაგში ზომავზე მეტად ღრმად არ წასულიყო, კოკოშას გაუქვებდნენ. ქუსლა ფორმით ყურებიან დიდ სოლს წარმოად-

<sup>23</sup> საბა-ანეულის ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1927, იხ. აჩაჩი.

<sup>24</sup> კაკუჩა — დამოწმებულია ჩვენ მიერ სოფ. აწრისხევში. კაკუჩას ქართლში უწოდებენ თავმოხრილ ჯოჯას. კოკოშის ნაცვლად ორხელის მხარს ზოგჯერ ქვემოდან შედგმული აქვს თავმოხრილი ჯოჯი, რომლის რეგულირება შეიძლება ზემოკან დამაგრებული სოლის საშუალებით. კაკუჩიანი ორხელა აწყამად ინახება სტალინის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, კოლექცია № 1740.

გენდა, ქუსლას ჰქონდა „საშვრიე“, ფრთები და ერთი ნაჩვრეტი. საშვრიეზე სახნისი წამოიციმოდა, ნაჩვრეტში მხარის ბოლო და ორხელა იყო ჩამაგრებული, ფრთები კი წარმოადგენდა აჭრილი ბელტის გვერდზე გადასაწევ საშუალებას. ქუსლას წიფლის ხისაგან ამზადებდნენ. ორხელა მუხისაგან კეთდებოდა, იგი წარმოადგენდა სამ შტოსაგან შედგენილ ერთიანი ხის ტოტს, რომელიც ტანით ჩასმული იყო ქუსლას ნაჩვრეტში. გამწვევი ძალის შებმა ორხელაში კვანტებისა და უღლების საშუალებით ხდებოდა. კვანტის ჩასაბმელად მხარს კოკოშასთან გააჩნდა ნაჩვრეტი, რომელშიც მუხის წნელის საშუალებით კვანტს ჩაუბამდნენ. ბარში ორხელას კვანტების მაგიერ ღვედით ამუშავებდნენ. ორხელაში ჩვეულებრივ 4 — 5 უღელი გამწვევი ძალა იბმოდა. პატარა ლიახვის ხეობაში უღლებს თანამიმდევრობით სათანადო სახელები ჰქონდა: 1. გუთნისთავის უღელი, 2. საძირის უღელი, 3. სარეკის უღელი, 4. სადგომის უღელი და 5. წინა უღელი.

ორხელით ხენასთან დაკავშირებული იყო შეამხანაგებით მუშაობა, ამას მოდგამობა ეწოდებოდა. თუ უღელ ხარზე თითო დღეს მოირიგებდნენ, მოდგამს მაშინ 12 — 13 დღიანი თაობა ამოყავდა, ე. ი. ორხელით მუშაობის ერთი რიგი 12 — 13 დღეს გრძელდებოდა. ბარში ორხელას საგაზაფხულო სახნავებისათვის იყენებდნენ. რადგან ანეულისათვის ივნის-ივლისში იხვნოდა და ნიადაგი საკმაოდ იყო გამაგრებული, ამიტომ ორხელა არ ივარგებდა, რადგან მისი კონსტრუქციული სიმსუბუქე ველარ უმკლავდებოდა მაგარ ნიადაგს. მთის ზოლში კი ანეულის ხვნა წარმატებით არ სარგებლობდა. მთაში ხანგრძლივი ზამთრიანობის გამო შემოდგომის ხორბლეულის თესვას ეგრე რიგად არ მისდევდნენ. მთის იმ ზოლში, სადაც ორხელას საანეულოდ თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებდნენ, ამ ხენას ცუდ უღელას უწოდებდნენ (ზემო ჰარები, სტალინირის რაიონი). ორხელას მოდგამს ახასიათებდა „კუტ ალოს“ ამოყვანაც, რაც ორხელას მოდგამში შემავალ ხელმოკლე კაცისადმი ერთ დღით დახმარებას ნიშნავდა. ორხელით მუშაობა ბარის პირობებში, როგორც დიდი გუთნით მუშაობისას, ნაღრივ ან ნაზურგით სკოდნიათ. მთის პირობებში ამ წესით ხენას ფერდობი ადგილები ამნელებდა. ამიტომ მთაში ხენის თავისებური წესი ჰქონიათ გამოყენებული, რაც გამოიხატებოდა ორხელის ქვემოდან ზემოთ გარდიგარდმოდ ხენით სვლაში. ამ წესით ხენა, ცხადია, გარკვეული

საშუალებაც იყო, დიდი წვიმების შემთხვევაში ნათესები რომ არ დახრამულიყო — არ ჩამორეცხილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ორხელა სახენელი საკმაოდ სუსტი აგებულების იარაღი იყო, მას დადებითი მხარეებიც გააჩნდა. რაც მთავარია, მას ნაკლები გამწევი ძალა ესაჭიროებოდა. განსაკუთრებით, მას ურწყავი რაიონების სახნავეებში ჰქონია წარმატება, რადგან იქ სახნავი ნიადაგები ნაკლებ იყო დაქაობებულ-დაბალანბებული. ამიტომაც ურწყავ მინდვრიან სოფლებში ორხელას გაუმჯობესების ცდასაც ჰქონია ადგილი და მისთვის ფრთაც მიუმატებიათ. ორხელას ტიპის სახენელები ბარის მიწათმოქმედებაში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 30-იან წლებში ორხელა დიდი გუთნის გვერდითკახეთის მემინდვრეობაშიც ისევე მოქმედებდა, როგორც ქართლში<sup>25</sup>. ორხელას გარკვეულ განვითარებულ სახეობას წარმოადგენს რაჭული სახენელი<sup>26</sup>.

**ჯილდა და აჯილდა.** აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებაში საკმაოდ ძველი სახენელი იარაღის სახით გამოიყურება ფამფალაკიანი სახენელი ჯილდა.

ჯილდა საბა-სულხან ორბელიანის განმარტებით უფროთო ერქვანი ყოფილა. იგი ფართოდ იქნა შენარჩუნებული გვიანდლამდე<sup>27</sup>. ჯილდამ თავი მესხეთ-ჯავახეთის მიდამოებში შემოინახა<sup>28</sup>. იგი შედგება ტოლ გოგორებიანი ფამფალაკისაგან, ვერტიკალურ ჰორიზონტში მოხრილი რვილისა და ყურებიანი კბილისაგან, რომელსაც საკვეთელი არ გააჩნია. ჯილდას გამოსახულება დამოწმებულია სამხრეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთი, თეთრი წყაროს რაიონი), ძველი საფლავის ქვების მხატვრობაშიც. კერძოდ, 1953 წელს ჩვენ მიერ, ნასოფლარ ჰივქავას საფლავის ქვაზე დამოწმებული იქნა ჯილდას ტიპის სახენელი, რომელსაც ორი ტოლი გოგორა და მრუდე ყელიანი უფროთო რვილა აქვს. აღნიშნულ მხატვრობაში წარმოდგენილ ჯილდას ჩვეულებრივი ჯილდებისაგან განსხვავებით საკვეთელიც გააჩნდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირ-

<sup>25</sup> Parrot, Reise zum Ararat, I, Brl., 1834, გვ. 58.

<sup>26</sup> გ. ჩიტაია. რაჭული სახენელი, ენიშკის მოამბე. ტ. I, მისივე, რაჭული სახენელის ფაზილიანი ქუსლი, თსუ შრომები. ტ. XVIII, 1941.

<sup>27</sup> გ. ჩიტაია. მასალები საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისათვის. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1928.

<sup>28</sup> გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., ტ. V, 1930.

ს. მ ა ქ ა ლ ა თ ი ა, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 71, გვ. 147.

ვებით უფრო ძველ ჯილდას საკვეთელიც უნდა ჰქონოდა<sup>29</sup>. ჩვენი წარუდით ნაჭიკვაკვების საფლავის ქვის მხატვრობაში წარმოდგენილი ჯილდა ძველი ტიპისა უნდა იყოს. ჯილდას გავრცელების არეალი ერთგვარად სამხრეთ ქართლის ზეგანს სცილდება და აღმოსავლეთით სომხეთში იჭრება, ხოლო დასავლეთით, როგორც გარკვეული სახის სახენელების სახელწოდება, აჭარაში გადადის<sup>30</sup>. მესხური ჯილდის ერთგვარ წინაპრად გ. ჩიტაია მიიჩნევს ნესხურ „ა რ ო ნ ა ს“. არონას თითქმის ისეთივე ყურებიანი კბილა ანასიათებს, როგორც ჯილდას. ყურებიანი კბილას შემწეობით არონა და ჯილდა აჭრილ ნიდავს გვერდზე ყრიდნენ და ამსხვერვედნენ, რითაც კბილა ერთგვარად მარტივი ფრთის როლში გამოდიოდა<sup>31</sup>. ჯილდა, როგორც მისი კონსტრუქციიდან ჩანს, წარმოადგენს ფრთიანი გუთნისაკენ გარდამავალ იარაღს, რომელსაც დიდი გუთნისაგან განსხვავებით ფრთა, ზოგ შემთხვევაში საკვეთელი და ზანტუები არ გააჩნია, თუმცა გუთნისათვის დამახასიათებელი ზოგი ელემენტების ჩანასახები უკვე მოცემული იყო.

ჯილდას ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს იმავე სამხრეთსა-ქართველოში გავრცელებული სახენელი იარაღი აჭილდა. 1953 წელს საშუალება გვქონდა ალგეთის ხეობაში დაგვემოწმებინა აჭილდა. სახენელის ეს თავისებური ტიპი ჯერ კიდევ 1926 წელს გ. ჩიტაიას მიერ იქნა პირველად მიკვლეული თრიალეთში<sup>32</sup>.

აჭილდით მომუშავე ტბისელი (თეთრიწყაროს რ-ნი) არსენ სანდროს-ძე დავითაშვილი დასახელებული სახენელი იარაღის შესახებ ასეთ ცნობებს გვაწვდის: „პირველად გამოვჭერი გუთანი იფანისა, მერე გავთაღე თეთრ-რცხილას კბილა, მერე სახელური იფანისა და მარხილი. შემდეგ მუსხის ფრთა გავთაღე. სახნის-საყვეთი აჭილდას პატარები უნდოდა. მსუბუქია, უღელი ხარიც ყოფნიდა, ამით ბევრსაც ვხნავდით“. აჭილდას მხარი აჩაჩის მხარიათ

<sup>29</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, 1930, გვ. 167.

<sup>30</sup> ივ. ჯავახიშვილი, იგივე ნაშრ., გვ. 187; Ф. Марков, Экономич. быт. гос. крестьян Эриванского уезда. МИЭКБГКЗК Ш, ч. 1, стр. 89; Х. А. Вермилшев, Сем. недели у гос. крестьян Закавказья. СМИЭКБ-ГКЗК, IV, 1868, стр. 263-264.

<sup>31</sup> გ. ჩიტაია, მასალები საქ. სახენელი იარაღების ისტორიისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1930, გვ. 277.

<sup>32</sup> მისივე, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 211.

გრძელი იყო და უღალადე აღწევდა. აჯილდას მაგვარი სახენე-  
ლი ჩვენ მიერ დამოწმებული იქნა დიდი გომარეთის საფლავის ქვა-  
ზე. აჯილდა ჩვენი დაკვირვებით შექმნილი უნდა იყოს სამი სხვა-  
დასხვა სახენელის ზოგიერთი ელემენტის შერწყმა-შეჯარებით..  
კერძოდ, აჯილდაში მოცემულია დიდი გუთნისათვის დამახასიათე-  
ბელი ფრთა, მ ა რ ხ ი ლ ი ანუ კვალის მანჭი, საკვეთელი და  
ცალფერდა სახნისი, არონა||არუნას გრძელი მხარი და ჯილდისათ-  
ვის დამახასიათებელი კონსტრუქციული სიმსუბუქე, რის წყალობი-  
თაც აჯილდა განთავისუფლდა ფამფალაკის აუცილებლობისაგან.  
სულხან-საბა ორბელიანი აჯილდას, როგორც სახენელის გამომხატ-  
ველ ტერმინს არ იცნობს. ცხადია, მის დროს რომ სახენელს აჯილ-  
და რქმეოდა, ქართველ ლექსიკოგრაფს იგი არ გამოეპარებოდა,  
რადგან თვითონ ამ კუთხის მკვიდრი იყო<sup>33</sup> აღსანიშნავია, რომ  
თვით აჯილდა ორი განსხვავებული შედგენილობისა გვხვდე-  
ბა: I აჩაჩის მაგვარია, რომელიც აღბუღალის რაიონის სოფ. ქსო-  
ვრითსა და ლიგურეთში გ. ჩიტაიას მიერ იქნა დაფიქსირებული<sup>34</sup>,  
II-კი უფამფალაკო ფრთიანი სახენელის სახითაც არსებობდა.

გუთანი. აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სი-  
ნამდვილეში გუთანი რამდენიმე სახელით არის ცნობილი: ქართუ-  
ლი გუთანი, დიდი გუთანი, მუხრანული, კაკაბური, გომარული,  
იმერული, შავი გუთანი და სხვ. ყველა აქ ჩამოთვლილი გუთნის  
სახეობანი მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ეს გან-  
სხვავება ან მათს კონსტრუქციაში მდგომარეობს, ან მასალაში,  
რითაც ეს გუთნებია დამზადებული. ნუშაობის პრინციპი კი ყველა  
წათგანისათვის ძირითადად იგივე რჩებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული გუთნის შესახებ სა-  
თანადო გამოკვლევები არსებობს<sup>35</sup>. ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი  
მასალა ქართული დიდი გუთნის შესახებ რამდენიმე დამატებით  
ცნობასა და მუზეუმში დაცული გუთნების აღწერილობას ითვა-  
ლისწინებს.

<sup>33</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, პიტარეთის და გუდარების საფლავის ქვები, საქ. მუზე-  
უმის მოამბე. III. 1927, გვ. 125—126.


<sup>34</sup> მისივე ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში. საქ.  
მუზეუმის მოამბე. ტ. IV, 1928, გვ. 211.

<sup>35</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. 1,  
1930; გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში,  
საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV. 1928; მისივე ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია  
1948 წლისა. მიმომხილველი, ტ. 1, 1949.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცულია რამდენიმე გუთანი (№№ 85 — 39/45; 87—39/46; 39—1/33; 90—13/3; 19—47/103; 19—47/101; 19—47/102; 19—47/97 და სხვა). მათ შორის შედარებით ნაკლებ ნაკლულოვანია 1947 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ს. ხეობაში შექმნილი დიდი გუთანი № 19—47/103; აღნიშნული გუთანი შედგება რვილის, მანჭების, ფრთის, ხმალას, კბილას, სახნისის, საკვეთლის, კაკაბას, საჯამბრის და ფამფალაქის მოწყობილობისაგან (სურ. 4).

რვილა იფანისაა, მრუდყელიანი, გ. ჩიტაის ჩაწერილი მასალის მიხედვით „თევიანია“<sup>36</sup>, შუაში და უკან რვილა მსხვილია, ხოლო წინ წვრილი და ცხვირ ალებული. იგი უკანა ბოლოთი შედგმულია ველის მანჭში, სადაც მაგრდება მოძრავი სოლითა და კინკილაქით (ფარეშით). მანჭიდან წინ 30 სმ-ის დაშორებით შალაფით ამოჭრილ ხერელში ჩასმულია მრგვალი სოლი, რომელზედაც წნელით მიბმულია ფრთა. მანჭიდან წინ 50 სმ-ის დაშორებით ხმალაა მოთავსებული. ხმალას ბუდე ზომით 13 X 5 სმ-ია. ხმალასთან რვილის სიმახო 12 X 11 სმ-ია. მანჭიდან 77 სმ-ზე რვილზე ამოჭრილია საკვეთლის ბუდე 8 X 7 სმ-ი ზომით. ხმალას ბუდესთან რვილის სიმახო 13 X 12 სმ-ია. მანჭიდან წინ 120 სმ-ის შემდეგ იწყება რვილის დაბლა დაშვება და შიგნით მოხრა, მანჭიდან 208 სმ-ზე მოთავსებულია საჯამბრე. სულ რვილის სიგრძე 335 სმ-ია, პლუს მანჭში შედგნული კდეული 16 სმ. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მდგარ რვილის წვერიდან მანჭამდე შიგნითა მხრიდან რომ სწორი ხაზი გავავლოთ, რვილის უდიდესი მოხრილობიდან სწორ ხაზამდე 19 სმ დაშორებას მივიღებთ. ასეთივე ზონითაა დაშორებული რვილის სიმრუდე დაბლიდან გავლებულ სწორი ხაზიდან. როგორც ჩანს, გუთნის გამკეთებელი რვილის სიმრუდეს საკმაოდ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა. იმავე რვილის სიმრუდეზე ბევრად იყო დამოკიდებული კბილას, სახნის-საკვეთლის, ფრთის, ხმალას და მანჭების მდებარეობა. კერძოდ, კვეთაში საკვეთელი 35° აღმაცრივ იდგა, ე. ი. შიგნით იყო მოხრილი. ასევე იყო მოწყობილი ხმალა და კვლის მანჭი. მიუხედავად ამი-


<sup>36</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმოხილველი. I, 1949, გვ. 370.



სურ. 4. კარბული დიდი გუიანი



სა, მუშაობის დროს სახნავე კვალი აღმაცრივ აჭრილი არ გამოდიოდა. აქ, რასაკვირველია, ნიადაგის წინააღმდეგობა გუთანს აიძულებდა გასწორებულიყო და 35° დაშვებული დაცერება დაეკარგა. ეს მეტად რთული პროცესი ცხადია, ჩვენი გლებობისათვის არავის არ უსწავლებია; იგი საკუთარი ემპირული ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე მიღწეული ჩანს. ქართული გუთნის მრუდრვილიანობას კარგა ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს. ქართული გუთნის მრუდი რვილის მაგალითებს უხვად ვადასტურებთ ძველ საფლავის ქვებზე გამოხატულ გუთნებში (სურ. 5). მრუდი რვილის საწ-



ზ. 5. სახენელების გამოახულები საფლაოს ქვებზე: 1. სოფ. გომარეთიდან, 2. სოფ. ნიჩბისიდან

ყისები ჭერ კიდევ ქართულ მსუბუქ სახენელებში იყო მოცემული, სახელდობრ, ჩუთში, აჩაჩში, ორხელაში, ჭილდაში და სხვ. გუთნის

რვილის ასეთ ფორმას ბევრად აპირობებდა გუთნის ფამფალაკის გარდა, სახნავი ნიადაგის ხარისხი. როგორც ზოგადი ლიტერატურიდან ვიცით, დასავლეთ ევროპის ფამფალაკიან გუთნებს რვილა სწორი ხისა უკეთებოდა. იქ რვილის სიმრუდეს ვერც ვამჩნევთ. აღმოსავლეთ საქართველოს მძიმე — მაგარი ნიადაგების დასანგრევად საჭირო გუთნის გამძლე მოწყობილობა ეთლიანად რვილზე იყო ასხმული. ამდენად რვილა საკმაოდ მაგარი ხის ჭიშისაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული, სახელდობრ: მუხისა, იფნისა, თელისა, ჭაობის წიფლისა და სხვ. მთხრობლის გადმოცემით „მაგარ რვილს ზარივით ხმა უნდა ჰქონოდა“. ხშირად ნეტი სიმაგრისათვის რვილას რკინის ლატანს გააკრავდნენ და რკინასვე რგოლებით შემოსალტავდნენ.

აღნიშნულ გუთანს ფრთა მუხისა აქვს. იგი ერთიანი ფიცარია, სიგრძით 103 სმ, სისქით 3 სმ; ფიცრის სიგანე თავში 51 სმ-ია, ბოლოში 36 სმ, ფრთა კბილაზე მიმაგრებულია „კაკაბით“, რვილზე კი წნელით. ფრთაში შემოდის კვლის მანჯის საყრდენის წვერი. ფრთას აქვს სახელური. თავისი აგებულების მიხედვით იგი ნეტა უზბრალოა. მექანიზატორების დასკვნით ქართული გუთნის ფრთა ცილინდრულია, რომელიც აჭრილ ბელტს ზურგზე აბრუნებს და აშხვრევს, მაგრამ საკმაოდ დიდ ძალას თხოულობს<sup>37</sup>.

გუთნის ხმალა იფანისაა, სიგრძით 72 სმ, სიგანე 11 სმ, სისქე 3,5 სმ. ხმალა კბილასა და რვილს აერთებს. კბილაში ხმალა ძირიდან ამოეყრება. მალლა ამოვარდნისაგან ამას აკავებს ოდნავ სოლი-სებური ფორმა. ხმალა რომ რვილში მყარად იდგეს, ფარეში აქვს გაყრილი, გვერდებში კი საველებელი სოლებით იჭედება. საველებელი სოლებით ხდებოდა სახნავი ველის შემციობა-მომატება, ხოლო რვილში ხმალას აწევ-დაწევა, სახნავი ფენის სიღრმის რეგულირებას იწვევდა. ხმალას დანიშნულება ზარტივ სახვნელებში აჭრილი ბელტის გახლეჩვასა და რვილსა და კბილას შორის მყარ ნდგომარეობის დაცვაში გამოიხატებოდა. დიდ გუთანში ეს მოვალეობა ნაწილობრივ საკვეთელზე გადავიდა, ხოლო მის უცილობელ ფუნქციად რვილასა და კბილას შორის სათანადო მანძილის შენარჩუნება დარჩა. ამავე დროს მასზე ნიმაგრებული იყო ფრთის ერთი თავი.

<sup>37</sup> კ. ლ ე ჟ ა ვ ა, მ. თ ო დ რ ა ძ ე, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, I, 1927, გვ. 16.

გუთანს გააჩნდა აგრეთვე მანკები კვლის და ველის. კვლის მანკი სიმაღლით 78 სმ-ია. მანკის თავი სახელურის როლსაც ასრულებს; მანკში გაყრილია ველის მანკისა და კვლის მანკის და-ბაკავშირებელი ჯოხი, რომელსაც ზედა კაკაბსაც უწოდებენ (ქართლი). აღნიშნულ კვლის მანკის ძირი დაკავშირებულია ქვედაკაკაბით „დიდი კაკაბა“ (ქართლი) კბილასთან. კვლის მანკი ჩვენ ნიერ აქ წარმოდგენილი აღწერის სახით ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში გულდენშტედტსაც დაუმოწმებია. კვლისა და ველის მანკს შორის 44 სმ-ია, კბილასა და კვლის მანკს შორის კი 17 სმ. ველის მანკი წარმოადგენს 140 სმ. სიგრძის შუაში ოდნავ გახრილ ჯოხს. ველის მანკი ჩადგმულია კბილაში. კბილადან 21 სმ მანკს აქვს რვილას შესადგმელი ნაჩვრეტი, რომელშიც სამატი სოლიც თავსდებოდა. აღნიშნული ნაჩვრეტი 16 X 3 სმ. კბილადან ზემოთ 46 სმ-ზე მეორე ნაჩვრეტი აქვს, რომელშიც კაკაბას თავია შედგენული. ველის მანკს აქვს სახელური. ქართულ გუთნებში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მანკები სამი სახისა მოწმდება. ნანკების შედგენილობის მიხედვით აქ აღწერილი სახეობა პირველ ტიპს განეკუთვნება: იგი ოთხკუთხა ჩარჩოს ფორმისაა. მეორე სახეობა მანკისა ჩვენ მიერ იქნა დამოწმებული სამგორში. სანგორული გუთნის ველის მანკს კვლის მანკი კაკაბით კი არ უკავშირდება, არამედ „კვლის მანკი, — მთხრობლის გადმოცემით, — დოინჯით შედის ველის მანკში“. ე. ი. კვლის მანკი ნოხრილ ხეს წარმოადგენს, რომელიც რვილის გასაყარის ზემოთ გამკოლ ნაჩვრეტში შეიდგმოდა ხოლმე. მანკების მესანე ფორმა უფრო გვიანდელი უნდა იყოს; ჩვეულებრივი ხის გუთნისაგან თავისი კონსტრუქციით რამდენადმე განსხვავებულმა და გაუმჯობესებულმა მუხრანულმა გუთანმა მანკების ეს სახეობა ირჩია, რაც გამოიხატებოდა ორი ნანკის ბოთლისებურ ფორმით დაყენებაში. ქართლის ველზე სწორედ ამ ტიპის მანკებიანი გუთანი იყო გავრცელებული. რაც შეეხება პირველი ტიპის მანკებიან გუთანს, თიანეთისა და დუშეთის რაიონებში იყო წარმოდგენილი. მანკების მესამე ფორმა I და II ტიპის მანკებთან შედარებით რამდენადმე ძლიერი იყო, რადგან ხვნის პროცესში გამოწვეული წინააღმდეგობა, რომელიც ფრთის საშუალებით კვლის ნანკას გადაეცემოდა და ჩარჩოს შეკვრისსუსტადგილზე მოქმედებდა, ახლა მთლიანად ორივე მანკზე ნაწილდებოდა. ამაში ხელს უწყობდა მანკების სამკუთხედისებური ფორმით შეკვრა.

აღნიშნული გუთნის კბილა მუხისაა, სიგრძით 104 სმ; თავში ვიწროა და ცალ მხარეზე წათლილი, ბოლოში მსხვილი და განიერი. კბილას აქვს ორი ვერტიკალური ნაჩერეტი, ერთი ხმალას მოსათავსებლად, ზომით  $13 \times 4$  სმ, ხოლო მეორე ველის მანქის ჩასადგმელად ზომით  $6 \times 5$  სმ; კბილას შიგნით მხრიდან ორი ნაჩერეტი გააჩნია. რომლებშიც თავსდება წინა და უკანა კაკაბა, ზომით  $4 \times 1,5$  სმ. კბილა წინ წათლილია სახნისის ზომაზე. ქართულ გუთანს კბილაზე გარედან გაკრული ჰქონდა „საქლეში“. საქლეში ბოლო ხანებში რკინისა უკეთდებოდა, ადრე კი ხისა სკოდნით. საქლეშის დანიშნულება იყო გაცვეთისაგან კბილას დაცვა, ხვნის დროს, როცა გუთნეული თავსა და ბოლოში გადიოდა. გუთანს კბილას გარეთა გვერდზე დაყრდნობით გაათრევდნენ ხოლმე. გადათრევის დროს კბილას ძალა ადგებოდა და ცვდებოდა. საქლეში თუ გაცვდებოდა, მას გამოუცვლიდნენ.

ამავე გუთანს აქვს რკინის სახნის-საკვეთელი. სახნისი შედგება: ყბების, საშვრიეს და პირისაგან. სახნისი ცალფერდაა. სიგრძით 44 სმ. სამუშაო პირის სიგრძე 44 სმ, პირი დაკერებულია სამი მანქვალით. სახნისი კბილზე წამოიკმობდა ყბებით და სოლებით მაგრდებოდა. სახნისის სოლების საშუალებით ხდებოდა ხვნის რეგულირება, კერძოდ სიღრმის. საკვეთელი რკინისაა, შედგება: ტარის, პირის, ყუის და წვერისაგან. საკვეთლის სიგრძე 65 სმ, ტარის — 31 სმ, ყუის სისქე 2 — 3 სმ, პირის უდიდესი სიგანე 9 სმ-ია, წვერთან 4 სმ.

ფამფალაკი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ფამფალაკი ერქვანთ იარაღი ყოფილა. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფამფალაკი დამოწმებულია სახენელი იარაღების გუთნისა და ჯილღას შემადგენლობაში.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცულია ორი ფამფალაკი: № 38 — 49/38 და 19 — 47/103; აღნიშნული ფამფალაკები ნაკლულოვანნი არიან. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ფამფალაკის შემადგენლობაში შედის: შოლტა, კვლის გოგორა, ლერძი, ჩხა, საველბეგელი სოლი, ჩორჩოტინები (წნელის), კინკილაქები, საჯამბრე და საღვედე კორა და ცანდი. № 19 — 47/103 ფამფალაკი შედგება ჩხის, შოლტას, ველისა და კვლის გოგორების და ლერძისაგან. შოლტა წარმოადგენს დაახლოებით 336 სმ-ის სიგრძის არასწორ ლატანს,

რომელიც ერთი თავით შედგმულია ღერძში და ჰინქილაქითა და საველებელი სოლით არის გამაგრებული. შოლტას აქვს საჯამბრე ნაჩვრეტი. შოლტაზე ქვემოდან შესმულია საღვედე კორა. რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებით იცნობენ; მაგალითად, სამგორში მას ბაყაყს უწოდებენ, თრიალეთში — დათეს, შიდა ქართლში — საღვედე კორას და სხვ. შოლტაზე ზენოდან უღელთან ახლოს პატარა მრგვალი ჩხირია ჩამაგრებული ცანდის დასაკაეებლად. შოლტას დაბოლოებაზე ორი სატაბიკე ნაჩვრეტი აქვს.

ფამფალაკის ღერძი იფანისაა, ღერძის მარჯვენა მხარეზე დიდი გოგორაა მოთავსებული. გოგორებს შორის ღერძის სიგრძე 110 სმ. დიდ გოგორაში ღერძი შედის 43 სმ-ით და ჰინქილაქით მაგრდება. შალტასთავის და საველებელი სოლის მოსათავსებლად ღერძზე ამოჭრილია ჰორიზონტალური გამჭოლი ნაჩვრეტი (15 × 3 სმ), დიდი გოგორის მხარეზე ღერძზე ამოჭრილია ჩხის ჩასამაგრებელი ნაჩვრეტი. ველის გოგორაში ღერძი შედის 23 სმ-ით და ჰინქილაქით მაგრდება. ველის გოგორა კაკლის ერთიანი ხისაგან არის გამოთლილი. მისი d — 39 სმ. საღერძე ნაჩვრეტის d — 9 სმ, გოგორის სისქე — 5 სმ, შუაში უფრო სქელია. ველის გოგორას ხშირად ღირლიტასაც უწოდებენ (კახეთი).

კვალის გოგორა საკმაოდ რთული აგებულებისაა. იგი ისეთივე წესით არის „აშენებული“, როგორც ურმის თვალი: შედგება მუხის მორგეისაგან. (მორგეის d — 23 სმ, სიგანე — 30 სმ, საღერძე ჰრილის d — 7,5 სმ), რომელშიც შემდეგ რკინის მილი ჩაუდგამთ და გარედან რკინის საღტებით მოუჭედიან. მორჯკა ირგვლივ რვა ამოჭვრეთილი აქვს სოლებისათვის, რომლებშიც ჩასხმულია ოთხი დედალი და ოთხი მამალი სოლი. სოლები მუხისაა, სოლებზე ჩამოდგმულია წიფლის ოთხი ფერსო (სოლების სიმაღლე 19 სმ. ფერსოს სიმაღლე — 5,5 სმ.). კვალის გოგორის სიმაღლე — 71 სმ-ია.

აღწერილი ფამფალაკის ანალოგიურია საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია № 38 — 49/38 გუთნის ფამფალაკიც. გარდა განხილული ფამფალაკის ტიპისა, აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ფამფალაკის სხვა ტიპიც დასტურდება; კერძოდ ფამფალაკის ფუნქციას შეადგენს სახენელ იარაღის მარჯვე მოხმა-

რებაში ხელის შეწყობა. ამ მიზანს ფამფალაკი გოგორების საშუალებით აღწევს. მძიმე გუთანში კი ეს მით უფრო ზედმიწევნით დაძლეულია არათანაბარი ზომის გოგორებით შედგენილი კონსტრუქციით; ასე რომ არათანაბარი ზომის გოგორებით წარმოდგენილი ფამფალაკა დიდი გუთნის ნაწილია. აღმოსავლეთ საქართველოსავე პირობებში დამოწმებულია ფამფალაკის მეორე ტიპიც, რომელსაც თანაზომიერი გოგორები გააჩნია. აღნიშნული ტიპი უმთავრესად სამხრეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. თანაზომიერ გოგორებიანი ფამფალაკი ქრისტეფორე კასტელსაც დაუმოწმებია.

იტალიელი მოგზაურის ჩახატული სურათი, მართალია, სრულყოფილად ვერ გადმოსცემს სახენელს, მაგრამ ამ შემთხვევაში მხატვარს სახენელის ზოლოდ ერთი ნაწილის გადმოცემა განუზრახავს, კერძოდ ფამფალაკისა, რომელიც სურათზე წარმოდგენილია: გოგორების, ლერძის და ჩხის სახით. რომ ერქვანის ტიპის სახენელებს ეს ორი ტიპის ფამფალაკი ქართველებს ისტორიულ ხანაშიც ჰქონიათ, ამაზე მიუთითებს ძველი საფლავის ქვებზე დღემდე კიდევ შემონახული მხატვრობა. კერძოდ, ძველი ნასოფლარის ნაჰივჰავების (თეთრი წყაროს რაიონი) საფლავის ქვის მხატვრობაში ერქვანის ტიპის სახენელს, რომელშიც სამი უღელია გაბმული, ტოლი გოგორები აქვს. ტოლგოგორებიანი ფამფალაკია დამოწმებული ს. მაკალათიას მიერ სოფ. ბარალეთის საფლავის ქვებზედაც<sup>38</sup>. ტოლგოგორებიანი ფამფალაკი გააჩნდა მესხურ ჯილდას, რომლის შესახებაც ფართო აღწერილობა აქვს მოცემული გ. ჩიტაიას. „ფამფალაკი, წერს გ. ჩიტაია (იგულისხმება მესხური ჯილდის ფამფალაკი გ. ჯ.), შედგება ლერძ-გოგორებისა, შოლტისა და უღლისაგან. ლერძის ბოლოებში გაყრილია „გოგორები“; გოგორები ორივე ერთი ზომის არის“<sup>39</sup> და სხვ.

ამრიგად, ფამფალაკის ორი ტიპი წარმოგვიდგება ერთ შემთხვევაში ტოლი, ხოლო მეორე შემთხვევაში არა თანატოლი გოგორებით. ეს უკანასკნელი შედარებით განვითარებულ სახეობად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან იგი განვითარებული სახენელის — გუთნის შემადგენელი ნაწილია. ქართულ სრულყოფილ

<sup>38</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938, გვ. 151.

<sup>39</sup> გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისათვის, საქ. მუხ. შობაძე, V, 1930, გვ. 272.

გუთანში კვალის გოგორა ველის გოგორაზე თითქმის 30 სწ-ით მაღალი კეთდება. ჩვენ ხელთ არა გვაქვს მესხური გუთნის ფამფალაკის ანაზომები, მაგრამ თუ ს. მაკალათიას წიგნში დაცულ ჩანახატების მიხედვით ვიმსჯელებთ<sup>40</sup>, აქ მესხური გუთნის ფამფალაკის გოგორები არც თანატოლი არიან, და არც ზომაში ნაკვეთად განსხვავებული. ამიტომაც, ველის გოგორა, ისე როგორც კვლის გოგორა, ფერსო სოლებიანია, მაშინ, როცა ქართლური გუთნის ველის გოგორა მისი მცირე დიამეტრის გამო ძნელი იყო ფერსო სოლებიანი სახით ეშენებინათ. გულდენშტედტმა<sup>41</sup> ხომ ველის გოგორა ერთიანი და კვლის გოგორასთან შედარებით საკმაოდ მცირე ზომისა დაადასტურა.

ასეთი მცირე განსხვავება გოგორების სიდიდეთა შორის შეუმჩნევა გ. ჩიტაიას ნიერ წალკის საფლავის ქვაზე დამოწმებულ (XVI — XVIII სს.) გუთნის მხატვრობაშიც. ასევე ს. მაკალათიას მიერ სოფ. ბარალეთის საფლავის ქვაზე დამოწმებული მხატვრობაში<sup>41</sup>. აღსანიშნავია, რომ ს. მაკალათიას დასახელებულ წიგნში წარმოდგენილი მესხური გუთნის სურათზე ფამფალაკს ჩხა მარცხენა მხარეზე აქვს ნოთავსებული. თუ ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო და ჩხა ფამფალაკის ველის გოგორისაკენ იდგმოდა, მაშინ კასტელის მიერ მოცემული ფამფალაკის სურათი ზედმიწევნით ემთხვევა მესხური გუთნის ფამფალაკს, განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია კასტელის სურათზე გოგორების ტოლმეტობის. თუნცა ოდნავი განსხვავებული სიდიდით წარმოდგენა, ისე. როგორც ეს იყო ნამდვილად მესხურ გუთანში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დას. ევროპული გუთნები გვიანდლამდე სწორი რვილითა და თანატოლი გოგორებით ხასიათდებიან. ქართული ფამფალაკი ამ მხრივ ბევრად დაწინაურებელი ჩანს. ფამფალაკის განვითარებული სახეობის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ, პირველყოვლისა მესხური ჭილღის ტოლგოგრებიანი ფამფალაკი. ფამფალაკის გაჩენის აუცილებლობა ერთი მხრივ კოკოშის მიწაზე ცოცვის თავიდან აცილების სურვილს უნდა გამოეწვია, მეორე მხრივ კი მიწის ღრმად დამუშავებისათვის მძიმე სახენელის შექმნის ცდასა და მისი უკეთ რეგულირებისაკენ მიდრეკილებას.

<sup>40</sup> ს. მაკალათია, დასახ. შრომა, გვ. 145.

<sup>41</sup> მისივე, დასახ. შრომა, გვ. 154.

პროფ. გ. ჩიტაია, განიხილავს რა ტერმინ გუთნის ზოგად კავ-  
კასიურობისა და ფამფალაქის სიძველის საკითხს, აღნიშნავს, რომ  
გუთანი, როგორც ტერმინი, ქართველ ტომებში გამოხატავდა არა  
მარტო ფრთა-ფამფალაქიან სახვნელ იარაღს, არამედ ზოგად ტერ-  
მინადაც გვევლინება. ამავე დროს გუთანი ქსნის ხეობაში და ქო-  
ბულეთში (სოფ. ბობოყვათი) სახვნელის ქუსლას ერქვა<sup>42</sup>. ჩვენ  
მიერ შეკრებილი მასალებით გუთანი რვილსაც ეწოდებოდა (ფრო-  
ნეს ხეობა; თრიალეთი). ქართველთა მეზობელ ტომებში — სომ-  
ხებსა, აზერბაიჯანელებსა და თურქეთში ტერმინი გუთანი ფამფა-  
ლაქიანი სახვნელის გამომხატველია. გ. ჩიტაია მიიჩნევს, რომ მე-  
ზობლებს ტერმინი გუთანი მაშინ უნდა ესესხათ „როდესაც გუთა-  
ნი უკვე ფამფალაქიან სახვნელს აღნიშნავდა“<sup>43</sup>. მეზობელ ტომებს  
ფამფალაქიანი სახვნელი ქართველთაგან უნდა გადაეღოთ და ამდენ-  
ად ფამფალაქის წარმოშობაც ქართველებში უნდა ვეძიოთო<sup>44</sup>,  
დასძენს იგი.

მისივე აზრით ბარის პირობებისათვის ღერძ-გოგორებია კანო-  
ყენება სახვნელი იარაღის კომპლექსში აუცილებელი იყო, რადგან  
ბარის ყამირზე წეწენიან სახვნელს არ შეეძლო მუშაობა<sup>45</sup>, ამი-  
ტომ „გუთნის ფამფალაქის ისევე, როგორც მთლიანად ბარული-  
გუთნის წარმოშობისათვის ქართველ ტომებში ყველა წინაპირო-  
ბა მოცემული იყო. ამიტომ რეტის გალიიდან რომაელების ნეშ-  
ვეობით ფამფალაქის (თუნდაც ტოლთველებიანისა) მომდინარეობა  
დამაჯერებელი არ არის. ეს წინაპირობაა სათანადო სამეურნეო ვი-  
თარებასთან ერთად, შუალედი რგოლის არსებობა რაჭული სახ-  
ვნელის, ქსნური მთის გუთნის და ორხელა გუთნის სახით, ერთი  
მხრით ფრჩხილებიანი სახვნელის და ფრჩხილებიან-გოგარებიანი.  
ურმის არსებობა მეორე ნხრით“<sup>46</sup>.

ფამფალაქი, როგორც ერქვნის ტიპის სახვნელის შემადგენე-  
ლი ნაწილი, ადგილობრივი წარმოშობისაა, ამაზე ნათლად მიუთი-  
თებს ისტორიულ ხანაში მისი კონსტრუქციული გარდაქმნის კონ-

<sup>42</sup> გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, ენიშის მოამბე, V—VI, 1939, 83-497.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 497.

<sup>44</sup> იქვე, 497.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 499.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 499.



კრეტული მაგალითები. საქართველოს სინამდვილეში ორი ტიპის ფამფალაკი დგინდება: ტოლგოგრებიანი და არათანატოლგოგრებიანი. ეს უკანასკნელი შეხამებული იყო ღრმად ჩხენელ და მძიმე აგებულების ქართულ დიდ გუთნით მუშაობასთან.

ილახი ანუ ადლაბარჯი. ილახი სახენელი იარაღის უშუალო ნაწილი არ იყო, მაგრამ დიდი გუთნის მინდორში გატანისას მას გარკვეული როლის შესრულება უხდებოდა. ილახი წარმოადგენდა ორკაპა ხეს, რომლის საერთო სიგრძე 2,5 — 3 მეტრი იყო. ილახის ცალ თავს ფამფალაკზე გამოაბამდნენ, ორპით კი იგი მიწაზე მიეთრეოდა. ამ ორკაპზე გუთანს დააკრავდნენ და ასე გაჰქონდათ იგი სოფლიდან მინდორში. გუთნის გატანის სხვა საშუალება მისი თვით ფამფალაკზე დაკვრა იყო. თუ მინდორი ძალზე შორს მდებარეობდა, მაშინ გუთნის გატანა ურმით იცოდნენ. ასე იყო, მაგ., ქიზიყში, სადაც სოფლიდან სახნავსათესი მინდორები 15 — 20 — 40 კმ-თაც ყოფილა დაშორებული. გუთნის მინდორში გატანისას გუთნეულის წინა უღელს ან ყველა ტაბიკი, ან შუა ტაბიკი ტყემლისა უნდა ჰქონოდა. მორწმუნე მთხრობლის გადმოცემით ტყემლის ტაბიკიან გუთნეულს ავი თვალით შემხედავი ვერ ავინებდა და არც ავი სული მიეკარებოდა. მინდორში გასვლის წინ გუთნის ფრთაზე კვერცხი უნდა დაეხალათ — გაეტეხათ, თან იტყოდნენ „ასე გასკდეს შენი ავი თვალით შემხედავი“.

სპეციალური დანიშნულების გუთანი. ქართული ხის დიდი გუთანი ბარის ტიპიურ სახენელ იარაღს წარმოადგენდა, რომელშიც საკმაო რაოდენობის გამწევი ძალა იყო განოყენებული. ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ დიდ გუთანს არა მარტო სახნავად, არამედ სხვა მიზნითაც იყენებდნენ; კერძოდ, სავენახე ადგილის გასატეხად, ან სარუე არხების გასაკვლევეად. სავენახე ადგილის გადასაბრუნებლად ჩვეულებრივ გუთნისაგან განსხვავებით საკმაოდ დიდი ზომის გუთნის გამოყენება სცოდნიათ. ასე, მაგალითად, მთხრობლის გადმოცემით, ერთი ასეთი დიდი გუთანი, რომელიც სავენახე ნიადაგის გასატეხად ყოფილა გამოყენებული, ხაშურის რაიონში სოფ. აზარმეთელ ვინმე კაჭუნაშვილს ჰქონია. მის მიერ სპეციალურად დამზადებულ სავენახე გუთანს კვლის გოგორად ურმის თვალი ჰქონია შედგმული. ასეთ გუთანს ერთი მეტრი სიღრმის და ერთი

ნეტრი სიგანის კვალი მიჰქონდა თურმე. ნასში 16-დან 20 ულამ-  
დე ხარი და კამეჩი ჰყოლია შებმული. ამ დიდი გუთნით ერთი დღის-  
ხენა, გადმოცემით, 15 მანეთამდე ფასობდა, მაშინ, როცა ჩვეულებ-  
რივი გუთნით დღიური ხენა 3—4 მანეთი ღირდა (სიკო ნადირააძე, 72  
წლისა, სოფ. თიღვა, ზნაურის რაიონი, 1952 წ.). სამწუხაროდ ამ  
გუთნის შესახებ ჩვენ ნხოლოდ სიტყვიერი მასალაა მოგვეპოვება.  
მაგრამ, რომ ამგვარი ე. ი. სავენახე დიდი გუთანი იშვიათი მოვ-  
ლენა არ უნდა ყოფილიყო, ამას სარწყავი არხების გაყვანასთან და-  
კავშირებული თქმულებებიც მოწმობენ. ერთი ქართლური თქმუ-  
ლებით, „იკორთის მონასტრის ბერმა ლეკებისაგან ატიალეებულ  
სოფელ ქვეშის დასახლება გადაწყვიტა, მაგრამ ქვეში ურწყავი  
იყო, რაც ნას მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდა. წყლის  
გამოყვანისათვის კი საჭირო იყო საკმაოდ გრძელი არხის გაჭრა —  
მდ. პატარა ლიახვამდე. ბერს ბოლოს შემდეგი ხერხისათვის მიუ-  
მართავს: დიდ გუთანში 9 უღელი ხარი და კამეჩი შეუბამს, კამე-  
ჩებისათვის თითო თუნგი ღვინო დაუღვეინებია და მდ. პატარა  
ლიახვზე სოფ. არბოსთან გუთანი მოუკიდებია, რის შემდეგაც  
გუთნის ნაკვალევით ქვეშში წყალი ჩაუყვანია. ამის შემდეგ ბერს  
ატიალეებულ ქვეშში სამი კომლი დაუსახლებია: ცოხნიაშვილი, ოქ-  
რუაშვილი და ჩიტუნაშვილი (ალექსი იოსების ძე ლოლოშვილი,  
110 წლისა, სოფ. ქვეში, გორის რაიონი, 1952 წ.). გუთნით გაუტა-  
ნია აგრეთვე ვინმე ყაიბულას, ყაიბულას რუ — დიდი ლიახვიდან  
სოფ. ბრეთამდე. გუთნით რუს გატანის ეს ორი მაგალითი მეტად  
საგულისხმოა; ეგების ალაზნის არხის გატანის საქმეშიც დიდმა  
გუთანმა თავისი წვლილი შეიტანა. ეს მით უფრო სავარაუდოა, რად-  
გან ალაზნის სარწყავი სისტემა თავისი დროისათვის (XII საუკუნე-  
ნე) დიდ შრომატევად სამუშაოს შეიცავდა.

ღვედი. რამდენადმე უღელბმული გამწვევი ძალით მომუშა-  
ვე სახენელთა შემადგენლობაში ერთი თვალსაჩინო ნაწილი ღვე-  
დი იყო, რომელიც წარმოადგენდა თასმის რამდენიმე წვერით დაწ-  
ნულ საბელს. ღვედზე მოწყობილი „საქლეშებისა“ და „ასაკრავე-  
ბის“ საშუალებით გამწვევი ძალის უღლები ჩაიბმოდა.

ღვედს, როგორც გამწვევი ძალის სახენელ იარაღთან დამაკავ-  
შირებელ საშუალებას, დაბადების ქართველი მთარგმნელი კარ-  
გად იცნობს, თუმცა იქ სხვა შესატყვისით არის მოხსენიებული.  
ესაიას „წინასწარმეტყველებაში“ ვკითხულობთ: „ვამ რომელნი

მოზიდვენ ცოდვათა მათთა ვითარცა საბლითა გრძელითა, და ვითარცა უღლითა ევნითა დიაკეულისათა, რომლითა უსჯულოებით“ (ესაია, ე, 18). საბა ორბელიანის განმარტებით „ევანი“ იგივე ერქვანთ ღვედია, რომელსაც მეორე სახელი „იმანტაც“ რქმევია. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ სამი სახელიდან დღეს-დღეობით მხოლოდ ღვედი გვაქვს შემორჩენილი, რომლის ქვეშ აღმოსავლეთ საქართველოში ტყავისაგან დაწნული მსხვილი და გრძელი საბელი იგულისხმება. გარდა იმისა, რომ განწევი ძალის ერთი მეორისაგან დასაკავშირებლად თასმით დაწნული საბელი იყო გამოყენებული, ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ღვედის შემცველი სხვა საშუალებებიც დასტურდება. ასე, მაგალითად: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამ როლს ასრულებდა კვანტები. კვანტები წარმოადგენდა ხის მოკლე ლატნებს. საბას განმარტებით კვანტი უღლეულთ გადასამბელი ლატნები ყოფილა, რომელიც გამოიყენებოდა „ღვედის წილ“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცულია მეჯუდის ხეობიდან 1949 წელს ჩამოტანილი კვანტები. აღნიშნული კვანტები ხის მოკლე და მსუბუქი ლატნებია, რომლებსაც თავსა და ბოლოს თითო ნაჩვრეტრ გააჩნიათ; ორ კვანტ განოშვებით გადაბმის ადგილზე უღელი შეიბნოდა, თითოეული კვანტის სიგრძე 110 სმ. კვანტები, როგორც ღვედის შემცველი საშუალება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იყო გამოყენებული, მაგრამ იგი არც აღმოსავლეთ საქართველოს ბარისათვის ყოფილა უცნობი. ქიზიყის მიწათმოქმედებაში კვანტებს გარკვეული გამოყენება ჰქონდა, ხოლო კვანტის ნაცვლად სახელი შოლტკაევი (ანაგა, ბოდბისხევი) და ზინზილაკი (ნუკრიანი) რქმევია. შოლტა საბას განმარტებით ერქვნის იარაღია, შოლტკაევი კი ჩვენ ორი სახელის — შოლტასა და კავის შერწყმასთან გვაქვს საქმე. შოლტა ერქვნის ცოგორების დერძიდან პირველ უღლამდე დამაკავშირებელ ხეს ერქვა. შოლტკაევი კი, როგორც სახელის შედგენილობაც გამოხატავს, კავიან ლატანს ეარაუდობდა. მართლაც, შოლტკაევი თავისი ფორმით სწორი ლატანი იყო, რომლის ერთი თავი კავით ბოლოვდებოდა. კვანტებითა და შოლტკაევით მუშაობა შედარებით ღვედით მუშაობასთან ერთობ ძნელი იყო, განსაკუთრებით ეს სიძნელე თავს იჩენდა ხოლმე სახვნელის თავსა და ბოლოს გასვლაში

გუთნეულის მობრუნების დროს. ყველაზე უფრო ძნელი იყო წინა ხარის შემობრუნება; ამიტომ იმავე ქიზიყში ეს სიძნელე იმით იყო დაძლეული, რომ წინა ხარებს კვანტების ან შოლტკაეის ნაცვლად ჯაჭვი ან ჰაპანი ჰქონდა გამობმული. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თუ უღლიდან უღლამდე ორი კვანტი იყო ჩამობმული, ქიზიყის მიწათმოქმედებაში უღლიდან უღლამდე სამარშინიანი ლატანი იყო გამოყენებული.

იმავე შოლტკავს, ზინზილას ქიზიყში საყვეარსაც უწოდებენ. ლევდის მაგიერი საშუალებანი თუმცა ღვედთან შედარებით ბევრად იოლ გასაკეთებელს და იაფ საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ საკმაოდ მოუქნელი და მუშაობაში შემაფერხებელი იყო<sup>17</sup>. ქართულ გუთანში უღლები „სამალდებით“ ან წნელის „ასაკრავებით“ იყო ღვედზე მიბმული. სამალდე ისეთივე წესით მზადდებოდა, როგორც ჯამბარა, ე. ი. სათანადო ზომის ტყავის შეგრებით.

საინტერესო გარემოებას, რომელიც ღვედთან დაკავშირებით იქნა ინგილოებში დამოწმებული, წარმოადგენს ლევდის ნაცვლად ვილური ვაზის გამოყენება. 1953 წლის მაისში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლე ინგილოებში ვმუშაობდით, სადაც სოკუ. ითითალაში მცხოვრებმა 120 წლის აბდურახმან ყადირაშვილმა გვიამბო: „წინათ ღვედი ვაზით იყო, მეხრეები ტყიდან ვაზს მოიტანდნენ,

---

<sup>17</sup> ს. შაკალათიას ხის ლატნების გამოყენება ლევდის მაგიერ დამოწმებული აქვს მთიულეთში. იხ. მისი მთიულეთი, 1930, გვ. 44; კვანტებო ლევდის მაგიერი გამოყენებული იყო ძველი ყაბარდოს მიწათმოქმედებაში. სსრკ ხალხის ლენინგრადადის ეთნოგრაფიული მუზეუმის ყაბარდოს გამოყენებაზე წარმოდგენილია ყაბარდოელი გუთნის მონდელი № 6572—1. აღნიშნული მონდელი გაწყობილია უღლებითა და შოლტა ლირლიტით. მონდელის მიხედვით გუთანში ჩაბმული უღლები მეტად თავისებურად უკავშირდება ერთი მეორეს. კვანტები გუთნის შოლტას გაგრძელებაზე მიზნული და არა შოლტას ძირზე, როგორც ეს ქართულ გუთნებში და გვიანდელ რკინის გუთნებში იყო წარმოდგენილი. უღლის ჩაბმა და კვანტების ერთი მეორეზე გადაბნა ნოკლე საუღლე კვანტებით არის მოწყობილი ასე, მაგალითად. უღელი ორ კვანტ შუა თავსდება. ეს ორი საუღლე კვანტები მოკლებია. რომლებიც თავისი კიდევით გრძელ კვანტს უკავშირდებიან. ერთი მეორესთან გადასაბმელად ტაბიკებია გამოყენებული. სახენელში კვანტების გამოყენებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ინდოეთის მიწათმოქმედებაში (იხ. C. K. Kalkar, Indigenous implements of the Bombay Presidency, Bombay, 1915, გვ. 2. ამავე გვერდზე წარმოდგენილია ინდოური სახენელი, რომელშიც კვანტების საშუალებით შებრულია ყვეარი ხარი).

კრიკინას ეძახდნენ; იმით ჩირჩოლს დაგვიხდნენ, ამოვქნიდით, რომ გაწყდებოდა მზათ იყო კიდევ სხვა“. ღვედის ნაცვლად ეპის გამოყენებას ქიზიყის მიწათმოქმედებაში უკონია ადგილი. ალექსი საბას ძე ქუფარაშვილის (ნუკრიანი, სიღნაღის რ-ნი) გადაწყვეტით „ღვედის ნაცვლად, ხშირად ქალებში იყო უსურვაში და იქას ჩაუბავდნენ“. უფრო გვიან ღვედის ნაცვლად (განსაკუთრებით კახეთში) ჯაჭვს იყენებდნენ, რომელიც თავისი სიმძიმით, გუთნეულისათვის არც თუ იმდენად სახარბიელო იყო. გუთნეულის ჯაჭვი და ჯაჭვისავე ჯამბარა გუთნის სახნის-საკვეთელთან ერთად ი. სერებრიაკოვის ცნობით 9 ფუტს შეადგენდა<sup>18</sup>. მარტო ჯაჭვი მისივე ცნობით 5 ფუტს აღემატებოდა. აქედან გასაგებია, რომ ნახევარ ფუტზე ნაკლები წონის ღვედი, გუთნეულისათვის, რამდენადმე იოლი და შეღავათიანი სახმარი უნდა ყოფილიყო, რკინის ჯაჭვთან შედარებით. თუ რას წარმოადგენდა ეს თასმით ჩაწნული ღვედი, ევანი ანუ იმანტა, ანდა როგორ მზადდებოდა იგი, ამის შესახებ მცირე რამ შეიძლება ითქვას.

დაბადების ტექსტში „ევანთან“ „ღიაკეულის“ ხსენება შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს. გამოთქმა „ევანთა ღიაკეულისათა“ გვაფიქრებინებს, რომ აქ ღვედის, ე. ი. ხბოს ტყავით დამზადებული ევანი უნდა იგულისხმებოდეს. ამ მოსაზრებას ერთგვარად ამაგრებს ჩვენს მიერ ქიზიყში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა, სადაც ჰაპანს ხბოს ტყავისაგან ამზადებდნენ (გიგა იობას ძე ქუფარაშვილი, 70 წლისა, ნუკრიანი, სიღნაღის რაიონი, 1953 წ.). იმავე ქიზიყური მასალებიდან ვიცით, რომ გუთნეულის უღლების ერთი მეორესთან ჩასაბმელად გამოყენებული იყო ხის შოლტკავეები, უფრო მოქნილ ასაბმელ საშუალებას კი მხოლოდ წინა ხარის ჩასაბმელად იყენებდნენ. ამ მოკლე ჰაპანს, რომელიც მხოლოდ ორ უღელს აკავშირებდა, ერთი ხბოს ტყავი ყოფნიდა. ამასთან, უღლიდან უღლამდე დამაკავშირებელ საშუალებას შედარებით დიდი ძალაც არ ადგებოდა, ვიდრე 5 — 6 უღელ ბმულ ერთიან ღვედს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ჰაპანისათვის ხბოს ტყავით დამაკავშირებელი იყენენ. ამასთან არ უნდა გამოვუშვათ მხედველობიდან ქიზიყის მეურნეობის ნორე დარგი — მევენახეობა, რაც ღვინოს გადასაზიდ ქურჭლის დიდ რაოდენობას საჭიროებ-

<sup>18</sup> И. Серебряков, Сельское хозяйство в Елисаветпольском уезде, Тб., 1862, стр. 100.

და. შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს არც ის გარემოება, რომ ქიზიყის მიწათმოქმედებაში, მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობას საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა, ღვედი ისე ფართოდ არ იყო დანერგილი, როგორც ნაგ., ქართლში და გარე კახეთში. სავარაუდოა, რომ ქიზიყში მოზრდილი საქონლის ტყავი უმეტესად გამოყენებული იყო ღვინის გადასაზიდ ჭურჭლისათვის, კერძოდ რუმბების დასამზადებლად. საყურადღებოა ისიც, რომ ქიზიყში მეღებლობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ჩვენივე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დამოწმდა, რომ ქიზიყიდან ტყავის გამოსაყვანი თრიმლის შესაგროვებლად ქართლში გადმოდიოდნენ.

ღვედის მოხელის გადმოცემით (ისაკო გიორგის ძე ცარიელა-შვილი, 75 წლისა, სოფ. ზერტი, გორის რ-ნი, 1952 წ.), „ღვედისათვის ხარის ტყავი საღია და უკეთესია, კამეჩისა ცოტა ფონთა — დუნია. ის წყალს იღებს და გვიან შრება; ხარისა ფიცხია, მალე შრება და გვიან ლპება. ტყავის დასაჭრელად ფანქარს გამოაბამ ბაწარს. ბაწრის ერთ წვერს ლურსმით დააწაგრებ ტყავის შუაში და შემოხაზავ. შემდეგ გარშემო შემოაჭრი ფენტხებს. შემონაჭერი ფენტხებიდან ორი სამატი კეთდებოდა, რომელიც უღლის ღვედზე მისაბმელად გამოიყენებოდა. შემოჭრის დროს ტყავი ბალნით ქვეშ უნდა იყოს, სუფთა პირით ზემოდან. თუ სქელი ტყავია, ცოტა წვრილათ უნდა აიჭრას, თუ თხელია — თითნახევარის სიბრტყეზე. სქელ ტყავს ერთი თითის სიგანე ყოფნიდა. ტყავი გარშემო უნდა აბრუნო და სირგვლივ აჭრა. ნარჩვენა ხელში დანა გიჭირავს, მარცხენა ხელით ტყავს შემოაბრუნებ. ტყავი ხმელი უნდა დაჭრა. დაჭრას რომ მოვრჩებით, ამის მერე ვიწყებთ დაჭრილი თასმის გადაფხეკას. ვფხეკავთ იმავე დანით — გავაცლით ბალანს, შემდეგ დავალბობთ წყალში, ჯობია ცხელ წყალში. დამბალ თასმას აზომავ 8 მხარსა (თითო მხარი 160 სმ-ია, მხარე ორივე გაშლილი ხელის სიგრძე. გ. ჯ.) და გამოვა ოთხი უღლის სამყოფი ღვედი. თუ თასმა მეტი გექონდა, 20 — 24 წვერი თასმით დაეწნავდით, თუ ნაკლები — 18 — 20 წვერით. პირველად ათი თასმა უნდა გადაიწნას შუაზე, შემდეგ ეს გადაიკვეცება და დაიწყება ოცი თასმით წნვა. ამ გადაკვეცილს ბაყაყი ჰქვია. აპით უნდა გამოედოს საღვედე კორას. წნვის დროს ყოველი ორი მეტრის გამოშვებით კეთდება საუღლე კულამი. ამ კულამს საქლე-ში გადაეკერის.

საქლეში ტყავია, რომელსაც ხის კულამზე გადააკრავენ, რომ უღელმა და გამოდებულმა სამატმა ღვედი არ გაცვიტოს“. კულამს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელი რქმევია, — კულამი, კულანა, კულა, რიკი და სხვ. ღვედის დაწნვა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო იყო. ერთი ხელოსანი ერთი ღვედის დაწნვას (ოთხი უღლის სამყოფს) ექვს დღეს უნდებოდა. ხელფასად უმთავრესად ჭირნახულს ღებულობდნენ. ჩვეულებრივ, ერთი ღვედის დაწნვაში ერთ კოდ პურს და „ანაგულს“ აძლევდნენ. ანაგული ტყავის დაჭრის დროს დარჩენილი ნაწილი იყო, რომელშიც ერთი წყვილი ქალამანი გამოდიოდა. ჭირნახულის გარდა ღვედის მოხელეებს ფულადაც უნაზღაურებდნენ. ერთი ღვედის დაწნვა XIX საუკუნის მიწურულში საშუალოდ 12 — 15 მანეთამდე ფასობდა. „ერთი ღვედის“ ქვეშ ყოველთვის ოთხი უღლის საყოფი ღვედი ივარაუდებოდა. გუთნეულს, თუ მასში 8 უღელი იბმოდა, ორი ღვედი ესაჭიროებოდა. საქართველოს სინამდვილეში ადგილი ჰქონდა ზოგჯერ 10 — 11 და 12 უღელბმულ გუთნეულით მუშაობასაც. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა გარეკახეთის მიწათმოქმედებაში. კერძოდ, 1949 წელს სამგორის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობის დროს ჩვენ მიერ დადასტურებული იქნა ძველი სამგორის მიწათმოქმედებაში 11 უღელბმული გუთნეულით მუშაობა. აქ, ცხადია, ორი ღვედი აღარ კმაროდა და მესამე ღვედიც ჰქონიათ ჩაბმული. თითოეული ღვედისათვის საჭირო იყო ორი კამეჩის ან სამი ხარის ტყავი.

ღვედის მოხელეები ქართლის სოფლებში იშვიათად იყვნენ ადგილობრივნი. ჩვენ მიერ შეკრებულ ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დგინდება მეტად საგულისხმო ფაქტი, სახელდობრ, დაწყებული ქარელის რაიონიდან ბტკვრის ნარჯვენა და მარცხენა სანაპიროების გასწვრივ გარე კახეთის, თეთრიწყაროს რაიონის სოფლების ჩათვლით, ღვედის მოხელეებად ხევსურები გვევლინებიან. აღნიშნულ მოვლენას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ქართლის II და III კომპლექსურ-ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ. ხევსური ღვედის მოხელეები ორი სამი კაცი ერთად ცხენებით გადმოდებოდნენ. მათი ჩამოსვლის ჩვეულებრივი დრო ზამთარი იყო. ისინი სოფლიდან-სოფელში დადიოდნენ და მუშაობდნენ. მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელფასად აღებულ ჭირნახულს შეკრებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. თუ ღვედის მოხელე ადგილობრივი ან მეზობელი სოფლიდან იყო,

მას ამ საქმეზე, სპეციალურად მიიწვევდნენ და მუშაობისას კარგად უმასპინძლებოდნენ. დაწულ ღვედს, გადმოცემით დედაბოძებს შორის გააბამდნენ, შემდეგ კეტით „დააქანხრაკებდნენ“ — დაქიმავდნენ და ცხვრის ღუნით გაპოხავდნენ. ღვედი დამზადებულიც იყიდებოდა, რაც 25 — 40 მანეთამდე ფასობდა. გუთნის ასეთ ძვირფას იარაღს მოდგამში სათანადო შეფასებაც ჰქონდა. თუ ორხლის კვანტ-უღლებს მოდგამში წელიწადში მხოლოდ ერთი გათრეულა ჰქონია, თითო ღვედს მოდგამი თაობაში ერთ ალოს აძლევდა. ღვედის მფლობელი უმეტეს შემთხვევაში თვით გუთნის დედა იყო.

აღნიშნული გარემოება იწაზნებდაც მიუთითებს, რომ გუთნის მფლობელი გლეხი ეკონომიურად შეძლებული უნდა ყოფილიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ XIX საუკუნის საქართველოში სოფლად მცხოვრებთა 10 — 12 %-ს გააჩნდა საშუალოდ საკუთარი გუთანი<sup>49</sup>, ადვილი წარმოსადგენია ძველი ქართული სოფლების ეკონომიური ძლიერების სურათი.

ჯამბარა. ჯამბარა ფამფალაკიანი სახენელის აუცილებელი ელემენტი. ჯანბარის საშუალებით გუთანი მიბმული იყო ფამფალაკზე, ანუ როგორც საბა ორბელიანი აღნიშნავს, — ჯამბარა იყო „ერქენის დასაკრავი“. ჯამბარამ ეთნოგრაფიულ კოფაში დიდხანს შემოინახა თავი, იგი გამწევი ძალით მომუშავე ფამფალაკიან რკინის სახენელებშიც იმავე როლის შემსრულებლად დარჩა, ოღონდ შეიცვალა საჯამბრე ნასალა. ჯამბარას ადრე თუ ტყავისაგან ამზადებდნენ, შემდეგ იგი რკინის ჯაჭვმა შეცვალა. ძველად ტყავის ჯამბარა ძირითადად ორი სახისა მზადდებოდა: დაწული და შეგრეხილი. დაწულ ჯამბარას ტყავი მეტი უნდებოდა (თითქმის ერთი ხარის ტყავი). იგი იმავე წესით იწეგოდა, როგორც ღვედი, სახელდობრ ეგრეთწოდებული კანური წესით. რაც შეეხება შეგრეხილ-დაგრეხილ ჯამბარას, მისი დამზადების ტექნიკა უფრო ნარტივი იყო. ასე, მაგალითად: ჯერ აჭრიდნენ სივანით 20 სმ და სიგრძით 200 სმ შოლტს, გააცლიდნენ ბალანს, დაალბობდნენ, შუაზე გადაკეცავდნენ და შემდეგ დაგრეხდ-

<sup>49</sup> გ. ჩიტიია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმზილევი, I, 1949, გვ. 373; А. М. Аргутинский, Экон. быт. гос. крестьян Телавского уезда, МИЭКБГКЗК., т. V, ч. I, Тифлис, 1887, გვ. 89.



ენ. ერთ თავში ჯამბარას უკეთღებოდა ყულფი, მორე თავში კი ზცირე ყულფი რიკით. ჯამბარის ამ ორი სახეობიდან ქართული მეურნეები უპირატესობას აძლევდნენ დაგრეხილს. „დაწული ჯამბარა უფრო მალე ფუქლებოდა, რადგან თუ ერთი და ორი წვერი ჩაწყდებოდა, მერე სხვებიც მისდევდა“ (ვია იაგორის ძე ლალიაშვილი, 80 წლისა, სოფ. ავნევი, ზნაურის რ-ნი 1952 წ.). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რკინის ჯამბარა ტყავის ჯანბარასთან შედარებით ახალია. მისი გაჩენის დრო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან არის სავარაუდებელი, რადგან ამავე ხანისათვის იწყება აგრეთვე ღვედისა და მისი შემცველი კვანტების მაგიერ ჯაჭვის ჩაბნაც<sup>50</sup>. და თუ კი გუთნეულში ღვედი შეიძლებოდა ჯაჭვით ჩანაცვლებულიყო, პირველ რიგში მეურნე შეეცდებოდა ჯამბარის შეცვლას. რკინის ჯამბარის აღწერილობას გ. ჩიტაია ასე გადმოგვცემს. „ჯამბარა (იგულისხმებოდა რკინის ჯამბარა, გ. ჯ.), რომლითაც რვილა ფამფალაჟზეა დაკრული, რკინის ჯაჭვია, მას აქვს ჩანგალი დასაწოკლებლად და დასაგრძელებლად. რკინის ჯამბარა ახალი შემოღებული ჩანს“<sup>51</sup>.

ჩვენ მიერ თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ჩხიკვაში 1953 წელს დამოწმებული იქნა რკინის ჯამბარა. აღნიშნული რკინის ჯამბარა საკმაოდ მსხვილი ჯაჭვია, რომლის ერთ თავში რკინისავე კავია დატანებული, ხოლო მეორეში მიბმულია რკინის ბრტყელი ნაჭერი. ეს ბრტყელი ნაჭერი შიგნით ნორკალულია და დაბოლოებაზე კავის გამოსადეგად ყური აქვს მოწყობილი. აღნიშნული ჯამბარის ბრტყელი რკინა რვილზე დაიდებოდა საჯამბრე კორის უკან, ჯამბარის ერთი წვერი შოლტს გაეყრებოდა საჯამბრე ჭრილში, შემდეგ ისევე უკან ბრუნდებოდა ფამფალაკის ღერძზე ზემოდან გადავლით და კავით რკინის ბრტყელ ნაჭრის ყურს გამოედებოდა. ასეთი ჯამბარა საკმაოდ ნძიმე იყო და თითქმის ერთ ფუტს აღწევდა. ჯამბარას, როგორც გუთნის აუცილებელ და მუშა იარაღს, მოღვაში თაობაში ნახევარ დღეს აძლევდა.

როგორც მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს. ღვედი და ჯამბარა საკმაოდ ძველიდანვე სახენელი იარაღის შემად-

<sup>50</sup> И. Серебряков, Сельское-хозяйство в Елисаветопольском уезде, Тифлис, 1862, გვ. 100.

<sup>51</sup> გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927, გვ. 210.

გენელი ელემენტები. ისინი ჯერ მარტივი სახენელის და შენდევ დიდი გუთნის კომპლექსში გარკვეული ადგილის მქონენი არიან. გარდა ამისა მათ სიძველეზე უნდა მეტყველებდეს აგრეთვე ამირანის ხალხურ ვარიანტებში ღვედის, ჯამბარის და სამატის მოხსენიება. როგორც ცნობილია, ამირანის დასახსნელად მიმავალ მონადირე კაცს სახლიდან გუთნის ღვედი (სხვადასხვა ვარიანტებში სამატი, ჯამბარა) მიაქვს, რათა ამირანს თავისი ხმლის მითრევა შეაძლებინოს<sup>52</sup>.

**ულელ-აპეურები.** 'სახენელ იარაღებში' გამწევი ძალის შესაბამელად გამოყენებული იყო უღელი ტაბიკებითა და აპეურებით. ისე როგორც საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღებში, კერძოდ სახენელთა შორის შეიმჩნევა განსხვავება, ასევე განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან უღლებიც. მეურნე გლეხი უღლს დამზადებას უფარდებდა როგორც გამწევე ძალას, ისე ადგილმდებარეობასა და უღლის დანიშნულებას, კერძოდ, სამუშაო იარაღს და ამ იარაღში გამწევი ძალის განლაგებას; ასე, მაგ., კალოში სახმარი უღელი მოკლე და მსუბუქი იყო, საყვერის უღელი მძიმე და მხრებდაქნილი, ბარის უღელი დაკუთხულია და საქედურ გამოყვანილი, ფრჩხილებიანი ურმის უღელი მრგვალია და უქედური და სხვ. გ. ჩიტაიან ქართლის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვების შედეგად შემდეგი სახის უღლები დაადგინა: საყვერის, საძირის, საგორავის და კალოს უღელი<sup>53</sup>.

საუღლე მასალად მაგარი ძარღვიანი ხე იყო გამოყენებული, მაგრამ იგი ძალზე მძიმე არ უნდა ყოფილიყო. ძირითადად მას იფანის, თელის და ვაშლის ხისაგან ამზადებდნენ. გაკობიტებულ საუღლე ხეს. გათლას შემდეგ ან ბოლში გამოიყვანდნენ დარბიზის აყრებზე, ან ცეცხლზე მოატარებდნენ. ზოგჯერ ცეცხლზე მოტარებულ უღელს საქონლის პატივით გაგოზავდნენ და დროებით ასე დატოვებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მას გაასუფთავებდნენ, საქედურებსა და შუაში დატოვებულ რიკებს გამოიყვანდნენ, სატაბიკე ნაჩვრეტებს შალაფით ამოიღებდნენ და უღელი მზად იყო.

გუთნეულისათვის საჭირო უღლების რაოდენობა დამოკიდებული იყო ნოდგამის გამწევი ძალის რაოდენობაზე. გუთნეულის

<sup>52</sup> მხ. ჩ ი ქ ვ ა ნ ი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. გვ. 278, 274, 299, 327.

<sup>53</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, გვ. 369. მისივე Зем.делательские системы и пахотные орудия Грузии, ВЭК, Тб., 1951, стр. 101.

უღლებში სამი ტიპის უღელი იყო წარმოდგენილი: 1. საჯდომის ანუ ბალიშიანი, 2. წასაკრავის და 3. საყვერის უღელი.

საჯდომის — ბალიშიანი უღელი ბარის მიწათმოქმედებაში დასტურდება და ისიც დიდი გუთნის კომპლექსში. ამ უღლის ჩვეულებრივი უღლისაგან განსხვავებული ნიშანი იყო მარცხენა მხარეზე (ველისაკენ) ნეტი სიფართე. ეს განსხვავებული სიგანე იწოდებოდა ბალიშად. ასეთ „ბალიშზე“ მეხრე მოხერხებულად ჯდებოდა. უფრო გვიან ბალიშიანი უღელი მხოლოდ საძირის უღელს დარჩა.

გუთნის უღლის მეორე ტიპია წასაკრავის უღელი. ეს უღელი სწორი ხე იყო, საქედურ-სატაბიკე ნაჩვრეტებით მოწყობილი.

უღლის მესამე ტიპი საყვერის უღელია, რომელიც გუთნეულში წინა ხარს ედგა. აღნიშნულ უღელს სპეციალურად ან მძიმეს აკეთებდნენ, ან ჩვეულებრივ საუღლე ხეს საქედურების შემდეგ ეხრებს დაბლა დაუქნიდნენ — დაუკავებდნენ. ქართველი მიწისმოქმედნი უღლის ასეთ ფორმას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან; ერთნი აღნიშნავენ თითქოს წინა ხარს ასეთი უღელი დადგმული აქვს სილამაზისათვის. მეორეთა აზრით, წინა ხარმა რომ წაიფორხილოს, უღლის დაკავებული მხრები მას მიწაზე ყბას არ დაარტყმევინებს, მესამეთა აზრით წინა ხარი, რადგან მეხრე არ უზის უღელზე და არც გამწვევი ძალაა იმის წინ ჩაბმული, ანდებობს, რადგან ღვედი უღელს უკან ეწევა და ხარს აპეურები ყელში ებჯინება. სიმძიმე კი უღელს სწორ მდგომარეობაში აყენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ, როცა ასეთი ფორმის და სიმძიმის უღელი არა ჰქონიათ, „წინა უღელზე ქვაც დაუკიდიათ, რომ ხარს უღელი არ აქედურებინა“ (მიხა გიორგის ძე ლომიძე, 82 წლისა, რუისი, ქარელის რ-ნი, 1952 წ.). როგორც ჩანს, მხარ დაკაულ უღელს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონია.

უღლებს სატოლმეტო ნაჩვრეტებიც გააჩნდა, რაც გამიზნული იყო სუსტი ხარის დასაცავად, რომ ძლიერ ხართან ბმის დროს არ დაჩაგრულიყო. სატოლმეტო ნაჩვრეტის საშუალებით ძლიერ ხარს უღლის ცენტრთან ახლო აბამდნენ, სუსტი კი თავის ადგილზე რჩებოდა.

გარდა იმისა, რომ უღელი პირდაპირი მნიშვნელობით ხარების თუ კამეჩების შესაბამელად გამოთლილ გარკვეული ზომის და მოყვანილობის ხეს ნიშნავდა, მეორეს მხრივ უღელი ხარი წყვილ ხარსაც გამოხატავდა, აქედან მეუღლე, ე. ი. უღლის გამწე-

ვი. ვალატანიტი მნიშვნელობით ცოლის ან ქმრის მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

ძველ ქართულ მწერლობაშიც უღელი, უღლეული წყვილის მნიშვნელობით იხმარებოდა; მაგალითად, „აბუსერიძე ტბელში“ გკითხულობთ: „იწყო, მუშაობად საკვირველისა ამისა ტაძრისა, კერძო კარაულისავე თანა, უღლეულითა მით ქართა თჯითაჲთა, რომელთა სახელითაც უწოდდის: ერთსა „ქურდაობით“ და მეო-ოესა „პირქუშობით“<sup>54</sup>. სამაგიეროდ ყვეარი ორ უღელს, ე. ი. ოთხ ხარს ვარაუდობდა. ამას გარდა არსებობდა ერთი ხარის შესაბამელი უღელიც, რომელსაც საქართველოს მთის რაიონებში ნაკელის გამოსატანი მარხილისათვის იყენებდნენ. ამგვარ უღელს „ცალუღელას“ უწოდებდნენ (ქართლი). ეს ტერ-ტინი ცალუღელა ერთობ გაფართოვდა და ცალუღელას ჰვეშ ტრანსპორტის ის სახეობაც მოექცა, რომელშიც ერთი ხარი ან ერთი კამეჩი იბმოდა (ქართლი). ასეთი ტრანსპორტი გვიანდელ ქართლში პატარა ორთვალა მსუბუქი ურემია, რომელსაც ქართლელი კოლმეურნეები (პატარა ლიახვის ხეობა) იყენებენ და მასში ფურკამეჩები უბიათ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცალუღელა გამომუშავდა სულ რა-ღაც ერთი ათეული წლის წინ.

უღელს ესაჭიროებოდა ოთხი ან ხუთი ტაბიკი და წყვილი აპეური. ტაბიკები ძირითადად ორი სახის მასალით მზადდებოდა: ხისა (ხარებისათვის) და რკინისა (კამეჩებისათვის). ტაბიკი შედგება თავის ტანის და სააპეურე ჰდისაგან. შიგნითა ტაბიკი სწორი უნდა ყოფილიყო. გარეთა ოდნავ გახრილი.

აპეურები მზადდებოდა ღორის ჯაგრისა და თხის ბალნისაგან. ერთ უღელს ორი აპეური სჭირდებოდა. აპეური შიგნითა ტაბიკის ჰდებზე ჩაინასკვებოდა და გარეთა ტაბიკზე გამოყურთმჯადებოდა. რაც რომ გამოხსნა იოლი ყოფილიყო. აპეურების დასამზადებ-ლად ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია სპეციალური იარაღი, რომელსაც „აპეურის საგრეხი მორგვი“ ეწოდება. აპეურის საგრეხი შედგება ორ ჯვარედინად გადაბმუ-ლი ფიცრისაგან, რომელზედაც დადგმულია სამი ან ოთხი პატარა

<sup>54</sup> აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში. 1941, გვ. 58.

მორგევი. მორგევები საკუთარი ღერძებით არის ფიცარში შედგენული და მასზე ბრუნავენ. თითოეულ მორგევს თავზე პატარა ცულფი აქვს. მუშაობის პროცესში მორგევები ერთი მეორეს საერთო თას-მით უკავშირდებიან. ისე, რომ მორგევის მოქმედებაში მოყვანა დაწარჩენებაც ამოძრავებდა. ასეთი ხელსაწყოს საშუალებით აპეურის გრეხას ორი კაცი ესაჭიროება; ერთი ნორგევებს ამოძრავებს, ხოლო მეორე აპეურის ჩამგრეხია. აპეურის ჩამგრეხს წინსათარში ჩაყრილი აქვს ჭაგარი და თხის ბალანი. ერთ-ერთი მორგევის ყულფს გამოაბამს ჩვარს ან თხის ბეწვს. როცა მორგევი ამოძრავდება, გრეხვად მდგომარეობაში მოსული მჩვარი მარცხენა ხელის მუკში აქვს, რომელსაც გარკვეული რაოდენობით უმატებს და აგრეხავს წინსათარიდან ამოღებულ ბალანს. ასე თანდათანობით შეგრეხილ ბაწარს გარკვეული სიგრძის მიღების შემდეგ ბოლო წვერით მეორე მორგევის ყულფზე მიაბამენ, შუაზე გადაკეცავენ და ახლა უკვე ორწვერად დაგრეხავენ. წვერთა რაოდენობა იმაზეა დამოკიდებული, თუ საამისოდ რა რაოდენობის მასალა გააჩნდათ. ან რისთვის ამზადებდნენ — კამეჩის თუ ხარისთვის. კამეჩისთვის უფრო მრავალწვერი იგრეხებოდა, ვიდრე ხარისთვის.

დიდი გუთნით მუშაობის დროს მოდგამში აპეურები ზოგჯერ ერთ-ერთ მოდგამს შექქონდა. რაშიც მას ნახევარ ალოს უხნავდნენ. უმეტეს შემთხვევაში კი მოდგამის ყველა წვერს საკუთარი აპეურები გააჩნდა.

სახნისი და საკვეთელი. ქართულ სახენელ იარაღებს, რომელთაც ზემოთ გავეცანით, გააჩნდა რკინის სახნისი და საკვეთელი. სახნისი საბა ორბელიანის განმარტებით, საკვენელის სათხრელი იარაღი ყოფილა<sup>55</sup>, ხოლო საკვეთელი „ერქუნის მანკილია“<sup>56</sup>.

სახნისის დანიშნულება თავდაპირველად სახენელი იარაღის სათხრელი წვერის სიმაგრის მიცემაა. ამ დანიშნულებისათვის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში მეტნაკლებად სხვადასხვა ფორმის ლითონის იარაღი უნაადებიათ. სახნისის ყველაზე უფრო მარტივი ფორმა დასტურდება ინდურ, ავღანურ და არაბულ სახენელებში. აქაურ სახენელთა სახნისი სწორი ლითონის

<sup>55</sup> სუ ლხან-ს აბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. 1928.

<sup>56</sup> იქვე, საკვეთელი.

ფურცელია, რომელიც სახენელის კბილას მოყვანილობის მიხედვით არის გამოჭრილი და კბილას ზემოდან ეფარება. ასეთი სახნისები ზოგჯერ ფოთლისმაგვარი ფორმისანი არიან და ყუნწით კბილაზე დაკრულნი. ამგვარი მარტივი სახნისებით არის წარმოდგენილი ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული სახენელები: ირანული (სახენელის მოდელი № 3341—368), ინდური (სახენელის მოდელები № 3154 — 8, № 3108 — 2, № 3107) და ავღანური (№ 3085 — 3 სახენელი). აღნიშნული მარტივი სახნისების შემდგომი განვითარება ყურებიანი ტოლფერდა სახნისია, რომლითაც ქართული სახენელები იყვნენ შეიარაღებულნი.

საქ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული სახნისები, ისტორ. მეცნ. კანდიდატმა ნიკ. რეხვიაშვილმა სამ ძირითად ტიპად დაყო. აქედან სახნისების პირველ ტიპად მან მიიჩნია „უფრო ანუ წვერბუდიანი“ სახნისი, მის შემდგომ განვითარებულ სახედ ორფრთიანი, ხოლო ცალფრთიანი სახნისი სახნისების მესამე და განვითარებულ ტიპად<sup>57</sup>.

ჩვენი ნუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში სახნისების 1 ტიპს შეადგენენ № 12 — 27/22, № 1 — 49/1, № 148 — 13/17, 20 — 34/2, № 28 — 45/64 და სხვ. ეს უკანასკნელი სახნისი შემოსულია ქართლიდან. სიგრძე სახნისისა 21,5 სმ-ია, უდიდესი სიგანე 10 სმ. სახნისის წვერი 30°-ით არის წამახვილებული, როგორც ჩანს იგი გათვალისწინებული ყოფილა მაგარი ნიდადაგებისათვის. საერთოდ ამ ტიპის სახნისებს ახასიათებთ ტოლფერდა სამკუთხედის ფორმა სწორი მილითა და უფროთობა (ტაბ. II).

აღნიშნულთან შედარებით განვითარებულ სახნისს წარმოადგენს სახნისი ორი ფრთით (№ 19 — 47/85, № 87 — 39/17, № 62 — 39/33, № 63 — 39/27, № 51 — 39/138, 57 — 40/520 და სხვ. (ტაბ. II).

№ 19 — 47/85: რკინის სახნისი წვერ წამახვილებული და სქელი ყუით ხასიათდება. იგი დაკერებულია. ძველი სახნისი მჭედელს განუახლებია, ისე რომ სახნისის ძველი ყუა და გული (ზურგი) იგივე დაუტოვებია და სხვა ლითონით დაუპირავს. მეტი სისქისათვის სახნისის ფრთის სვეტებიდან სახნისის ყუის ზურგზე ახლად დაპირული რკინის ნაჭერი გაუყოლებია და შენდევ ყუაზე გადაუკეცია უკანიდან შიგნით. სახნისის სიგრძე 33 სმ-ია, სიგანე

<sup>57</sup> ნიკ. რეხვიაშვილი, მკვლელობა რაკაში, 1953, გვ. 159.

ფრთებთან 16,5 სმ, ყუის სიგანე 13 სმ, ფრთების სიგრძე 22 სმ-ია. ტოლფერდა სახნისები სხვადასხვა ზომისაა და იგი სხვადასხვა უფროთო სახენელეებისათვისაა განკუთვნილი. ორფრთიანი სახნისი ამ შემთხვევაშიც ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა. ისინი საერთოდ ხასიათდებიან მაღალი გრძელი ზურგით და ხშირად სამუშაო პირის ოვალური მრუდით. ამ ტიპის სახნისი ნიადაგს პორიზონტალურ სიბრტყეში ქრიდა. სახნისის ზურგი, რომელიც ყუისაკენ თანდათან ნაღლდება, ბელტს შუაზე აპობდა, რაც I ტიპის სახნისს არ შეეძლო. II ტიპის სახნისი საერთოდ უფროთო სახენელეებისათვის იყო განკუთვნილი, თუმცა ამავე ტიპის სახნისი გააჩნდა ფამფალაკიან სახენელსაც, მაგ., მესხურ ჩილღას<sup>58</sup>.

მესამე ტიპის სახნისს შეადგენს ცალფრთიანი სახნისები (ტაბ. II<sub>3</sub>) (№ 19 — 47/103, № 87 — 39/16 და სხვ.). № 87 — 39/16 სახნისის სიგრძე 30 სმ-ია, უდიდესი სიგანე 27 სმ. სიგანე ყურებთან — ცერებთან — 22 სმ; ცერის სიმაღლე 9 სმ. მარჯვენა ცერის სიგრძე 10 სმ. აღნიშნულ სახნისს აქვს მზის და გეომეტრიული სახის ორნამენტი. ცალფრთიანი სახნისები უმთავრესად ფრთიანი გუთნისათვისაა დამახასიათებელი: დიდი გუთნის, ფრთიანი აჩილლის და ფრთიანი ორხელისათვის. ცალფრთიანი სახნისი ისეა გამოყვანილი, რომ გუთნის ფრთას ხელი შეუწყოს მოქრილი ბელტის ფრთაზე აცურებაში. სახენელის მკვლევართა აზრით, სახნისის წვერი სანუშაო ნიადაგების მიხედვით სხვადასხვა ზომისა ჰქონდებოდა. რამდენადაც მძიმე იყო ნიადაგი, მით უფრო მახვილი უნდა ყოფილიყო სახნისის წვერი<sup>59</sup>. ქართული დიდი გუთნის სახნისის წვერი 45° აღწევდა მაშინ, როცა აღმოსავლეთ რუსეთის ნიადაგებისათვის 35° — 35°-ის მქონე წვერი იყო ნავარაუდები. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ქართულ სახენელებს საკნაოდ დიდი გამწვევი ძალა ესაქიროებოდა.

სახნისს, იმისათვის რომ მუშაობის პროცესში მიწიდან არ ამოვარდეს, ქიმები (ფრთისა) დაბლა აქვს დაშვებული. დიდი გუთ-

<sup>58</sup> აღსანიშნავია, რომ ორფრთიანი სახნისების გავრცელება არქეოლოგიურ მასალაში უფრო მეტად მოწმდება. ვიდრე ცალფრთიანი. ორფრთიანი სახნისები ნახულია სამხრეთ რუსეთის ნაქალაქებშიც. იხ. В. А. Количин, Техника обработки металла в Древней Руси, 1953, стр. 95.

<sup>59</sup> Г. Фирстов, Земледельческие орудия Восточной полосы России, Казань, 1854, стр. 61.

ნის სახნისის სიმაღლე თუ ყურებთან 10 სმ-ია, ფრთის და წვერი-საკენ იგი თანდათან დაბლა ეშვება და მიწას უსწორდება, ისე რომ სახნისის წვერი და ყურები ნიადაგს ერთნაირად ემთხვევა.

მეცხრამეტე საუკუნის ზეორე ნახევარში საქართველოში ჩნდება შერეული კონსტრუქციის მქონე დიდი გუთანი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შესულია მუხრანული გუთნის სახელით. აღნიშნულ სახენელ იარაღს გააჩნდა განსხვავებული ფორმის სახნისი, რომელსაც ტრაპეციის ფორმა ჰქონდა. ასეთი ოთხკუთხა სახნისის სქელი ფურცელი ერთი წვერით წინ იყო წაშვერილი, ხოლო ერთი გრძელი გვერდით კბილასა და ხმალაზე დაკავშირებული. სახნისის რეგულირება ისე, როგორც ეს ქართულ გუთანში ხდებოდა სოლების საშუალებით, ამ გუთანში აღარ შეიძლებოდა, რადგან სახნისი რკინისავე კბილაზე, ხმალაზე და ფრთაზე უძრავად იყო დაკავშირებული. მას ხსნიდნენ ზოლოდ გაკვეთის შემთხვევაში, რათა ხელმეორედ დაეპირათ.

აღწერილი ფორმა სახნისისა სახნისების შეოთხე ტიპს განეკუთვნება. შეიძლება მას პირობითად მუხრანული გუთნის სახნისის ტიპი ვუწოდოთ.

საკვეთელი. სახენელის ერთი დამახასიათებელი ნაწილია საკვეთელი. საკვეთელი სახნისთან შედარებით სახენელის გვიანდელი შენაძენი ელემენტია. საკვეთელი გვხვდება როგორც ბარის დიდ გუთანში, ისე მთის მარტივ სახენელებში; მის ერთადერთ დანიშნულებას წარმოადგენს სახნავი ფენის გაპობა ვერტიკალურ სიბრტყეში, რითაც გამყოლ ხმალას უადვილდება აჭრილი ბელტის იოლად გაწევა, ხოლო კბილას კი ამ აჭრილი ბელტის ამოვლება და გვერდზე გადაწვენა.

საკვეთელი წარმოადგენს რკინის ყუასქელ დანას, რომელიც ტარით შესმულია სახენელის რვილში ან მხარში. პირის კვეთის მიხედვით საკვეთლის ორ ტიპს არჩევენ: ტოლფერდა პირიანს და ცალფერდას. აქედან უფრო განვითარებულ ტიპად მიჩნეულია ცალფერდა საკვეთელი, რომელიც საერთოდ ითვლება გვიანდელი განვითარებული ტიპის ფრთიანი სახენელების შენაძენად. იგი უახლესი გაუმჯობესებაა საკვეთლისა საერთოდ. ამდენად ქართულ სახენელთა საკვეთლის ტიპებად დადგენის საქმეში იგი არ გამოგვადგება. საკვეთლების დაყოფა შეიძლება სიდიდის მიხედვით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გარკვეულ წინააღმდეგობაში ვეარდებით.



რადგან სიდიდით (სიგრძით) მარტივი სახენელის საკვეთელი ზოგჯერ გუთნის საკვეთელსაც აღემატება ხოლმე. ქართულ სახენელთა საკვეთლების ტიპებად დაყოფის საქმეში უნდა მოვიშველიოთ საკვეთლის სამუშაო პირის სიდიდე. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ენახავთ რომ მძიმე სახენელის მათ შორის გუთნის საკვეთლის პირის სიდიდე რამდენადმე აღემატება მსუბუქი სახენელის სამუშაო პირის სიდიდეს. ამას გარდა გარკვეული მნიშვნელობა აქვს საკვეთლის მოყვანილობას, რომლის მიხედვითაც იგი ორგანოა: სწორი და მრუდი ფორმისა. სწორ ტანიან საკვეთლებში ექცევა მარტივ-სახენელთა საკვეთლები, მრუდ ტანიანში კი მძიმე სახენელთა (გუთნის) საკვეთლები (მრუდ ტანიანი საკვეთლები № 27—32/32; № 148 — 13/3 (იხ. ტაბ. II). ასეთი საკვეთლები სახენელთა მუშაობას რამდენადმე აადვილებენ, რადგანაც ნიადაგის წინააღმდეგობის დაძლევისათვის მისი მოხრილი ფორმა მეტად ხელსაყრელი იყო. ქართულ გუთანში საკვეთლის მოხრილობის გარდა გარკვეული ყურადღება ექცეოდა რვილში მის დაყენებასაც; სახელდობრ, საკვეთელს რვილთან 90° ნაკლები კუთხე უნდა შეედგინა. ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ № 19—47/103 გუთანში დაყენებული საკვეთელი, რვილის მიმართ 75° ქმნის. ასე დაცერებულ მდგომარეობაში დაყენებულ საკვეთლის პირს მაგარფესვიანი ბალახი იოლად უტურდებოდა და საკვეთლის ყელში გროვდებოდა, საიდანაც მას გუთნის დედა დროდადრო ჩეკით გადაყრიდა ხოლმე.

საერთოდ დიდი გუთნის საკვეთელში გარკვეული თანაზომიერებაა დატული. მარტივ საკვეთლებში თუ ტარის სიგრძე პირის სიგრძეს რამდენადმე ჭარბობს დიდი გუთნის საკვეთელში, ეს განსხვავება ნაკლებია. მაგ., დიდი გუთნის საკვეთელის სიგრძე—66 სმ. პირისა — 30 სმ, მარტივ სახენელთა საკვეთლის სიგრძე — (მაგ., № 28 — 45/13) — 35 სმ, პირისა 16 სმ; № 14 — 51/12, საკვეთლის სიგრძე — 20 სმ, პირისა — 7 სმ, № 28 — 45/14, სიგრძე — 39 სმ, პირისა — 16 სმ.

განვითარებული მიწათმოქმედების პირობებში, ცხადია. სახენელს სახნის-საკვეთლის გარეშე მუშაობა არ შეეძლო. გვიანდელ საქართველოში სახნის ისე აფასებდნენ, როგორც გარკვეულ ქონებას. თუ რამდენად ძვირფასი იარაღი იყო სახნისი, ეს კარგად ჩანს ნიკორწმინდის სიგელიდანაც, სადაც სახნისი საცვლელი ღირებულების გარკვეულ საგნად გვევლინება<sup>60</sup>. უფრო გვიანაც სახ-

<sup>60</sup> თ. ურდანი, ქრონიკები, წ. II. თბ., 1892, გვ. 46.

ნისი თავის მნიშვნელობას, როგორც ქონება, არა კარგავდა. ასე-  
მაგ.: ერთ-ერთი კაჩიერის არზა გვამცნობს, რომ ერასთავების  
რეხელ ყმებს პაპალაშვილებს, შეწუხებულებს მიუმართავთ  
ერეკლე II-სთვის, რომ ცხრამეტი სულისაგან შემდგარ ოჯახს ბა-  
ტონის იასაულებმა სხვა ნივთებთან ერთად სახნისიც წაგვართვე-  
სო<sup>81</sup>.

სახნის-საკვეთელი სახენელი იარაღისათვის საკმაოდ ძვირ-  
ფასი იარაღი იყო და მას მოდგამში ალოთა განაწილების თვალ-  
საზრდით სათანადო ადგილი ეკუთვნოდა. სახნისს ორი ალო ერ-  
გებოდა თაობაში, საკვეთელს კი ერთი ალო. სახნისისათვის ერთი  
ფუთი რკინა იყო საჭირო, საკვეთელისათვის კი 0,5 ფუთი. ამას  
გარდა სახნის-საკვეთელს ყოველწლიურად დაპირვა, ესე იგი და-  
ფოლადება ესაჭიროებოდა, რასაც მოდგამი თავის ხარჯზე აწარ-  
ძობდა, მკედელს კი სახნის-საკვეთლის დასაფოლადებლად გასამრ-  
ჯელოდ ერთი დღის ხვნას შეელოდნენ, რასაც „მკედლის ალო“  
ეწოდებოდა.

ქართული სახენელებისათვის სახნისის უძველეს სახეობად  
კერაქრობით, როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, უნდა  
ვღიაროთ უფროსი სახნისი. არქეოლოგიური მასალა სახნისთა  
მრავალსახეობას არ იძლევა. გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმ-  
ში დაცული სახნისი სახნისთა II ტიპს განეკუთვნება და უფრო  
სახენელი იარაღის სავარაუდოა, აჩაჩის ტიპის სახენელის სახნისს  
წარმოადგენდეს. ასევე აჩაჩის ტიპის იარაღისაა საქ. სახ. მუზეუმ-  
ის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული № 41 — 13/5 რკი-  
ნის სახნისი ხიდისთავიდან. უფრო საინტერესოა სახნისი გუდა-  
რეხიდან № 8ა, რომელიც ჯილღა გუთნისა უნდა იყოს, ამას გვა-  
ჯარაუდებინებს მისი არაჩვეულებრივი სიდიდე საერთოდ ორ-  
ფრთიან სახნისებთან შედარებით, და სისქე. რაც შეეხება ქუთაის-  
ის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ „სახნისებს“,  
ქუთაისის მუზეუმის ფონდი №№ 2324, 209 და 209ა, ისინი უფრო  
ქარჩის ტიპის იარაღებია, ასევე სახნისად საეკვოა საქ. მუზეუმის არ-  
ქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია № 12 — 28/3 „სახნისი“. ეს  
უკანასკნელიც უფრო ქარჩის ტიპის იარაღია, ვიდრე სახნისი.

<sup>81</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვი-  
ლის რედაქციით, წ. II. 1853, გვ. 92, 93.

საქართველოს ტერიტორიაზე სახნის-საკვეთლის შესახებ არქეოლოგიური მონაცემები ჯერჯერობით ისეთ ხელის ჩასაქიდ მასალას არ იძლევა, რომ გაირკვეს თუ რომელ ეპოქიდან ივარაუდება სახნის-საკვეთელი ქართული სახვნელებისათვის. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ძველი იტალიისათვის, სადაც სახნისიანი სახვნელი ანტიკური სამყაროს პერიოდში (ძვ. წ. აღრ. VI) უკვე აღიარებულად ითვლებად<sup>62</sup>. ასევე დამტკიცებულია, რომ დნეპრისა და ბუგის ლიმანის მოსახლეობაც I და II საუკუნეებში რკინის ორფრთიან სახნისს იყენებდა<sup>63</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სახნის-საკვეთლის შესწავლის ნიადაგზე ასკენის, რომ აღნიშნული ტერმინები ზედმიწევნით გამოხატავენ იმ ძირითად ფუნქციას, რისთვისაც ეს იარაღებია განკუთვნილი, რომ ამგვარი შესაფერი ტერმინები როგორც ძველ რომში, ისე საქართველოს მეზობელ ტომებში გვიან ჩნდება და ისიც არა პირდაპირი გამოხატულების შინაარსით. მაგ., სომხურში საკვეთელი შაკრატლის თუ სამართებლის სახელით *ჭակჩქ*. თურქულში „ბიჩალის“ (დანა), ლათინურში *culter* (დანა) ტერმინებით ყოფილა ცნობილი<sup>64</sup>.

სახნის-საკვეთლის არსებობა შორეულ წარსულშია საძიებელი. პროფ. გ. ჩიტაიას დაკვირვებით ხეთურ ხატოვან დამწერლობაში ერთი გარკვეული გამოხატულება სახნისს უნდა წარმოადგენდეს<sup>65</sup>.

აღნიშნული გარემოება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ამ დროისათვის თუ ხატოვან დამწერლობაში მოცემული სახნისის ფორმიდან გამოვალთ, ტოლფერდა სახნისი ძალაში ყოფილა და იგი აჩაჩისნავარი სახვნელის ტიპისათვის არის სავარაუდებელი.

სამიწათმომკვებო იარაღების გაუზგრობასების ცდაები XIX საუკუნის  
სამართვლოში

სოფლის მეურნეობას ქვეყნის ეკონომიური ძლიერების საქმეში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. სოფლის მეურნეობა თავი-

<sup>62</sup> М. Е. Сергеевко. Пахота в древней Италии. С. VII. М., 1941, стр. 223.

<sup>63</sup> В. Д. Блаватский, Земледелие в античных государствах Северного Причерноморья. М., 1953, гл. 107.

<sup>64</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. 1, 1930, გვ. 254.

<sup>65</sup> გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკის მთაბგე, ტ. 1, 1941, გვ. 287.

სი მრავალმხრივი დარგებით ამა თუ იმ ეკონომიური ფორმაციის დროს არა მარტო ნედლეულის ბაზაა, იგი ამავე დროს უშუალო მწარმოებლის როლშიც გამოდის. სოფელი საბაზრო მიმოქცევის სფეროშიც არის ჩაბმული და საქალაქო ცხოვრების გაზრდილი მოთხოვნილებების ფერხულში თავის როლს თანაშობს.

მაგრამ ქვეყნის კაპიტალიზაციის დროს სოფლის მეურნეობა რომ ფეხდაფეხ მიჰყვეს მრეწველობას, მას ესაჭიროება მეურნეობის ახალ ყაიდაზე გარდაქმნა მთელი მისი შესაფერისი წარმოების იარაღებით. ამიტომ სოფელი ნებით თუ უნებლიეთ საზოგადოების გარკვეულ ზრუნვის საგნად იქცევა ხოლმე. თუ თვალს გავაყოლებთ რუსეთის XIX საუკუნის ისტორიას, ეს სურათი თვალნათლივ წარმოგვიდგება. რუსეთის ცხოვრებაში ამ სურათის ერთი გამოხატულება იყო XIX საუკუნის დასაწყისში სოფლის მეურნეობის საიმპერიო საზოგადოების ჩამოყალიბება. აღნიშნულ საზოგადოებას გააჩნდა საკუთარი ბექდვითი ორგანო. ორგანო ათავსებდა სოფლის მეურნეობის საჭირო საკითხებზე გამოცდილ მეურნეთა წერილებსა და ინფორმაციებს. მათ შორის ამა თუ იმ შემამულეთა გამოცდილებებსა და სოფლის მეურნეობაში მიღწევებს ჟურნალი საკმაოდ ვრცლად აშუქებდა. აღნიშნულმა საზოგადოებამ ჯერ სასოფლო სანეურნეო სკოლა დაარსა, ხოლო ცოტა ზოგეიანებით ამ სკოლის ბაზაზე აღმოცენდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამავე დროს საზოგადოებამ გაზარდა და ვააფართოვა თავისი მუშაობა. პერიფერიებშიც დაარსა ერთგვარი ფილიალები<sup>66</sup>. მათ შორის 1850 წელს თბილისში დაფუძნებული იქნა კავკასიის სასოფლო საზოგადოება. ამ საზოგადოებას ცოტა გვიან სასოფლო სამეურნეო სკოლაც დაუარსებია — ლოჰინში<sup>67</sup>. სადაც მოსწავლეებს უნდა მიეღოთ აგრონომიული ცოდნა. 1875 წელს კავკასიის სასოფლო საზოგადოებამ იზეიმა არსებობის 25 წლის იუბილე. რომელზედაც განსაკუთრებით მწვავედ დაისვა საკითხი ქართული სახვნელი იარაღების გარდაქმნა-გაუმჯობესების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ სხდომაზე გამოსულმა აღნიშნული საზოგადოების წევრმა გიევსკიმ, რომელსაც ორ საინტერესო კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი (1. რა ცვლილება უნდა შე-

<sup>66</sup> „Земледельческий журнал“, изд. императорским Московским обществом сельского хозяйства, Москва, № 1, 1821, стр. 50.

<sup>67</sup> „დროება“, 1875, № 114, № 115.

უტანათ ქართულ გუთანში, 2. შეიძლებაოდა თუ არა ქართული გუთ-  
ნის სრულიად შეცვლა), წინააყენა რჩევა, რომ ქართულ გუთანს  
ფრთაზე და კბილაზე გადაკეროდა თხელი რკინა, ხოლო იმერულ  
სახენელს გაჰკეთებოდა ფრთა და გადაკეთებულყო ღრმა სახენე-  
ლად. იგივე რჩევას იძლეოდა, რომ გამოეყენებინათ რამსონის,  
სიმსის, სტარბუკის და ნერუჩევის გუთნები, ოღონდ მათში სათა-  
ნადო ცვლილებების შეტანით. ამავე საიუბილეო სხდომაზე ინ-  
ფორმაცია გააკეთა ჩოლოყაშვილმა, რომელიც შეეხო ჯიმითელი  
გლეხის მიერ განოგონილ სამუდლით მომუშავე გუთანს, რომელ-  
საც თელავის მაზრაში უკვე იყენებდნენ მისივე ცნობით ჯიმითელ  
გლეხს ეს გუთანი შეუქმუშავებია ქართული, რუსული და თათრუ-  
ლი გუთნების შერწყმის ნიადაგზე<sup>68</sup>. უკვე XIX საუკუნის მეორე  
ნახევარში, როგორც ჩანს, უცხოური გუთნები ფეხს საკმაოდ ფარ-  
თოდ იკიდებს საქართველოს მიწაწყალზე. 50 — 60-იან წლებში  
უცხოურ გუთნებს ქართლსა და კახეთში რამდენიმე მემამულე  
„უშავებდა. 1860-იან წლებისათვის თბილისში (ავლაბარში) მო-  
თავსებული იყო დეპო ვინმე ვალისა, რომელიც „რანსომისა და  
„დომბალის“ სისტემის გუთნებით ვაჭრობდა<sup>69</sup>. კავკასიის სასოფ-  
ლო-სამეურნეო საზოგადოების აქტიური მოქმედებით საქართვე-  
ლოში ამ ხანისათვის ფართოდ იწყება სასოფლო-სამეურნეო იარა-  
ღების შემოტანა; მათ შორის ინგლისური და ბულგარული პოვარდის  
სისტემის გუთნები საქართველოში ფოთის ნავსადგურით შემოდო-  
და, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაც ყოფილა<sup>70</sup>.

1883 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების  
მიერ კასპის ახლოს მოეწყო ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღე-  
ბის საცდელი ჩვენება, სადაც გუთნების გარდა წარმოდგენილა  
იყო აგრეთვე სათეს-სანიავებელი მანქანები<sup>71</sup>. კასპში ჩატარე-  
ბულმა იარაღების გამოცდამ ქართველი საზოგადოება დაარწმუნა  
იმაში, რომ ქართული გუთნის შეცვლა დროული საქმე იყო. ამა-  
ვე დროს საჭირო იყო ზრუნვა თვით ამ უცხოური გუთნების სა-  
ქართველოს პირობებისათვის შესაფერისად გარდასაქმნელად. მა-  
გალითად, ისე რომ მას ქართული გუთანივით გრძელი ფრთა ჰქო-

<sup>68</sup> „დროება“, 1875, № 120.

<sup>69</sup> „დროება“, 1867, № 26.

<sup>70</sup> „დროება“ 1867, № 200.

<sup>71</sup> И. М е у н а р г и я, Иностран. плуги на Кавказской почве, Кавказ,  
1883, № 105; „დროება“, 1883, № 86, № 91.

ნოღა და აჭრილი ბელტი ჟუკანეე კვალში არ ჩავარდნილიყო, როგორც ეს უცხოური გუთნებით ხენის ღროსა ხდებოდა<sup>72</sup>. სახენელი იარაღების გარდა საქართველოში ფეხს იკიდებდა სხვა სახის საიჭურნეო იარაღები, მათ შორის სალევები, მაგრამ უცხოური სასოფლო-სამეურნეო იარაღები ძვირად ფასობდა და საქართველოს შიძიმე ნიადაგებისათვის შეუფერებელი იყო, რის გამო მალე გამოდიოდა მწყობრიდან. ამიტომ შემოტანილი იარაღების ძირითად გამსაღებლად ან მემამულენი გამოდიოდნენ, ან სოფლის თითო-ოროლა მოძლიერებული გლეხები. გლეხობის ძირითად მასას მასზე ხელი ვერ უწვდებოდა. თავისი მხრით ქართველებიც ცდილობდნენ შეეტანათ გაუმჯობესება მამა-პაპეულ იარაღებში.

1875 წლის 10 ოქტომბერს ერასტი ჩოლოყაშვილმა თბილისში აკლიმატიზაციის (ამჟამად ბოტანიკურ) ბაღში ჩაატარა თავისი სალევნი მანქანის გამოცდა<sup>73</sup>. აღნიშნული სალევნი მანქანა მოძრაობაში მოდიოდა სამი ცხენით, რომელსაც შეეძლო ორ საათსა და ათ წუთში 300 ძნის გალევვა. მანქანის გამოცდის შედეგად, დამსწრე აგრონომებმა აღიარეს, რომ „ეს სალევავი მაშინა გამოსადეგი იქნება მხოლოდ დიდი მემამულეებისათვის, გლეხები კი მაგდენათ ვერ ისარგებლებენ, რადგან მაშინა ძვირათა ღირს, 150 — 250 მინეთამდი“<sup>74</sup>. აღნიშნული სალევნი მანქანის შესახებ გაზეთში სხვა რამ დაწერილებითი ცნობა არ მოიპოვება; ამდენად ძნელი წარმოსადგენია წისი აგებულება, მუშაობის პრინციპი და სხვ. სალევნი მანქანის გამოგონების ცდა ცოტა გვიანაც გრძელდებოდა. 1881 წლის „დროებაში“ მოთავსებული იყო წერილი ალ. ნათიევისა<sup>75</sup>, რომელიც იუწყებოდა, რომ მან და ი. ტატიევა გამოიგონეს „ჭირნახულის სალევნი მაშინა“. მათ მიერ გამოგონილ მანქანის აღწერილობიდან ჩანს, რომ ამ სალევნის მუშა იარაღს ისევე კევრები შეადგენდა. „მაშინას ამოქმედებს ერთი კაცი, უსაქონლოთ, უწყლოთ და უცეცხლოთ“. ეს მანქანა ყოფილა ექვსიდან ათკევრამდე შედგენილობისა, კევრებზე რაიმე სიმძიმე უნდა მოთავსებულიყო „ქვეები ან ტომრებით მიწა“. მუშა კაცი კი, რომელსაც

<sup>72</sup> ი. სულხანოვი, რამდენიმე სიტყვა შესახებ გენეს გუთნისა, „დროება“, 1884, № 106.

<sup>73</sup> „დროება“, 1875, № 121.

<sup>74</sup> „დროება“, 1875, № 121.

<sup>75</sup> „დროება“, 1881, № 134.


მოდრაობაში ნოყავდა კევრები, ყოველ ერთ საათში უნდა გამოცვლილიყო, რათა არ გადაღლილიყო. წერილის ავტორი აცხადებდა: „მაშინა შეიძლება აქაურ ღურგალს ვააკეთებინოთ, რკინეულობაც აქაურ მკედელს, ჩვენგან მიცემულის პლანით, ან თუ გაკეთებულს ნახავს იქიდგანაც გააკეთოსო“<sup>76</sup>. პაგრამ აღნიშნულ „მაშინებს“ ბედმა ვერ გაუღიმა. კევრის მანქანად გადაქცევის პრინციპი დამარცხდა, სამაგიეროდ გაუნჯობესებულ მანქანა-იარაღებისაკენ მიდრეკილება გზას იკაფავდა, ამ საქმეში გარკვეულ როლს თამაშობდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომელიც რიგი წლების მანძილზე პრესის მეშვეობით, სამეურნეო სკოლის დაარსებით, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობით, ახალ მანქანა-იარაღების დემონსტრირებით ფართო აგიტაციას ეწეოდა საქართველოში. აღნიშნულის უშუალო შედეგი იყო აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული დიდი ხის გუთნის გაუმჯობესებული ტიპების შექმნა: მუხრანული, კაკაბურის და იმიორი გუთნის სახით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციებში დაცულია მუხრანული გუთნები № 19 — 47/101 და 19 — 47/102; პირველი გრენისხევიდან, მეორე ძალისიდან არის ჩამოტანილი. მუხრანული გუთანი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად გ. ჩიტაიამ შეიტანა<sup>77</sup>, რომელიც მან დაამოწმა 1939 წელს გორის რაიონში, ხოლო 1947, 1948, 1949 წლებში მცხეთის, კასპისა და გორის რაიონებში. მუხრანული გუთანი წარმოადგენს რკინისა და ხის მასალით დამზადებულ თავისებური აგებულების დიდი გუთნის ტიპს, რომელშიც ჩვეულებრივი ქართული დიდი გუთნისაგან განსხვავებით რკინის ნაწილები ქარბად არის წარმოდგენილი, (იხ. სურ. 6). მაგ., ხმალა, ფრთა და კბილა მუხრანული გუთნისა რკინით არის დამზადებული, განსხვავებულია აგრეთვე მუხრანული გუთნის სახნისიც, რომლის შესახებ უკვე ზემოთ იყო აღნიშნული. მუხრანულ გუთანში ჩვეულებრივ ქართული გუთნებისაგან განსხვავებით საკვეთელი რვილში არ იყო გაყრილი, არამედ იგი შიგნითა მხრიდან რვილს გარედან ჰქონდა მიმაგრებული, გ. ჩიტაიას აზრით, მუხრანული გუთნის სახით ქართული გუთნის გაუმ-

<sup>76</sup> „დროება“, 1881, № 134.

<sup>77</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში ნივლინებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების მოკლე ანგარიში, ენიმეის შობაზე, ტ. XI, 1941, გვ. 54.

ჯობესება „შემოღებულია XIX საუკუნის სამოციან წლებში. იგი ემთხვევა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ხანს და გუთნის ეს სახეობა ამ ხანისათვისაა დამახასიათებელი“<sup>28</sup>




სურ. 6. მუხრანული გუთანი

ქართული გუთნის გაუმჯობესების ცდები უმთავრესად პირველ რიგში ჯერ ხის მასალის რკინის მასალით შეცვლით დაწყებული, შემდეგ კი მისი აგებულების გარდაქმნაც მოუხდენიათ. ამის საუკეთესო მაგალითი ჯერ კიდევ 1949 წელს დავამოწმეთ სანგო-

<sup>28</sup> გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიწომბილელი, ტ. I, 1949, გვ. 371.



რის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, სადაც სამგორელებს გუთნის ხმალა რეინისა ჰქონდათ ჩადგმული<sup>79</sup>. ხის გუთნის გაუმჯობესება-



სურ. 7. სამმხრიანი სახენელის ოთხმხრიანად განვითარების სქემა ქართული სახენელების მიხედვით

გარდაქმნის მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე „კაკაბური გუთანი“, რომლის შესახებ ვარდისუბანში (თელავის რაიონი) შემდე-

<sup>79</sup> გ. ჯალაბაძე. ხენა-თესვა ძველად სამგორში, ჟურნ. „სოციალისტური სოფელი“, № 8, 1952, გვ. 23.

ჯი დახასიათება გადმოგვეცემს; „კაკაბურ გუთანს ხის რეილი ჰქონდა, საკვეთელი დაკრული აქვს გვერდიდან, რკინისა ჰქონდა ხნალაც. სახნისთიყო ბრტყელი დაწიმი ჰქონდა მოსადები, რომ ხმალაზე ყოფილიყო ჩაკეტილი. ფრთაც რკინისა გააჩნდა, სახელურები კი ხისა. ეს გუთანი გამოიგონეს კაკაბეთში და კაკაბეთიდან მერე აქ შემოიტანეს. ეს იყო მსუბუქი თორე ხენით ისე ხნავდა, როგორც დიდი გუთანი“ (ალექსი სოლომონის ძე თუშიშვილი, 77 წლისა, ვარდისუბანი, 1953 წ.).

სოფ. ახაში (დმანისის რაიონი) გადმოგვეცეს: „ჩვენში ხის „შაფი გუთნის“ მერე გამოიგონეს „იშირი გუთანი“ იმას ყელი და მანჭვები ხისა ჰქონდა დანარჩენი რკინისა. ხმალაც რკინისა, ფთაც; საკვეთელი კი ყელზე გარედან იყო მიკრული“ (ამირან დავითის ძე ლვინიაშვილი, 50 წ. სოფ. ახა, დმანისის რაიონი, 1953 წ.). მთხრობელისავე გადმოცემით იშირი გუთანი სოფ. იმერას ხალხს გამოუგონია<sup>80</sup>.

როგორც ჩანს, გუთნის გაუმჯობესების ცდები თითქმის აღწო-სავლეთ საქართველოს მრავალ კუთხეში დასტურდება. ჩვენი მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით არა მარტო დიდი გუთნის, არამედ ორხელა გუთნის გარდაქმნის მაგალითიც მოწმდება. ასე, მაგ., ქარელის რაიონის სოფ. ფცაში ორხელა გუთნისათვის იქაურ მეურნეებს ფრთა გაუყეთებიათ ხოლო, ორ ფრთიანი სახნისი გუთნის სახნისის ფორმაზე გადაუყეთებიათ, ე. ი. ცალფრთიან სახნისად უქცევიათ. ასეთ ორხელას ჩვეულებრივი ორხელებისაგან განსხვავებით ხნალაც გააჩნდა (გიგა სოლომონის ძე ოსაძე, 90 წლისა, სოფ. ფცა, ქარელის რაიონი, 1952).

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ერთი ხელშემწყობი გარემოება ქართულ სამიწათმოქმედო იარაღების გაუმჯობესება-გარდაქმნისა; მეორე მხრივ კაპიტალიზმის აღმავლობის გზაზე დამდგარ ქვეყანაში, ცხადია, იზრდებოდა საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი, რასაც თავისი ნხრით უნდა მოყოლოდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნაც. სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ერთი კონკრეტ-

<sup>80</sup> იმერა სოფელია დმანისის ახლოს, ეჭვთ. თაყაიშვილის ცნობით იმერაში ბერძნებს უცხოვრიათ, Т а к а и и ш в и я и Евт., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, 1913, стр. 11. ამონაბეჭდი Сб. мат. по опис. местн. и плет. Кавк. вып. XLIII-დან.

ტული მაგალითი სამიწათმოქმედო იარაღებშიც ნათლად იჩენდა თავს და წარმოების ძველი იარაღები თანდათან ან მწყობრიდან გამოდიოდა, ან მათში გარკვეული ცვლილებები შედიოდა. იმსხვერვოდა ძველი მამა-პაპეული ათ ულლიანი გუთანი, თავისი ნტკიცე „შეთხზული“ მოდგამით, რომლის ნაცვლად მწყობრში დგებოდა გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღები, საუკეთესო საშუალება ექსპლოატაციის სოფლის ბობოლათა ხელში.

#### ძართულ სახვნელავთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი იყო აღნოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სახვნელი იარაღები. აქ გვინდა ორიოდ სიტყვით შევეხოთ აღნიშნულ სახვნელებით წარმოებულ შრომას და მის ორგანიზაციასაც.

აღნიშნულ საკითხს სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი მკვლევარი შეხებია<sup>81</sup>, ჩვენ შევეცდებით ზოგიერთი დამატებითი ცნობები წარმოვადგინოთ, რომელიც ველზე მუშაობის დროს იქნა მოპოვებული.

ხენის დროს შრომის ორგანიზაციის ყველაზე ნარტივ სახეს წარმოადგენდა ქართლსა და კახეთში საყოველთაოდ გავრცელებული „ნაცვალგარდა“. „ნაცვალგარდობას“, როგორც შრომის თავისებური ორგანიზაციის ფორმას, მიმართავენ, ხენაში, ბარვაში, თონასა, მკაში და ახოს გატეხვის დროს<sup>82</sup>.

ნაცვალგარდას პატარა ლიხვის ხეობაში „რიგრიგასაც“ უწოდებდნენ, რომელიც იგივე მნიშვნელობის მქონეა, რაც ნაცვალგარდა. ფშავში იგი ხელნაცვლობის სახელწოდებით ყოფილა ცნობილი<sup>83</sup> რიგრიგა და ნაცვალგარდა გულისხმობდა ორი ან რამდენიმე გლეხის შეამხანაგებულ ნუშაობას თანაბარი ძალითა და

---

<sup>81</sup> А. Хаханов, Механ, ЭО. кн, X, ч. 3. М. 1891; გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმოხილველი. ტ. I. თბ. 1949; პ. ზუაზუშვილი. გუთნულის ეთნოგრაფიული ორგანიზაცია, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3. თბ. 1944, აღ. რობაქიძე, მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, მიმოხილველი. ტ. II. თბ. 1951; ს. ჯიქია, კლდექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში, იბერულ კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.

<sup>82</sup> აღ. რობაქიძე, დასახელებული შრომა. გვ. 409.

<sup>83</sup> აღ. რობაქიძე, დას. ნაშრომი, გვ. 409.

იარაღებით. ასეთ დროებით შეამხანაგებებს მიმართავდნენ საშუა-  
რი საქმეების შესრულების მიზნით (ბარჯის, მკის, თოხნის, აოშ-  
ვის და სხვ.). ქართლის ბარში ნაცვალგარდობა ჩუთით მუშაობას-  
თანაც იყო დაკავშირებული. აღ. რობაქიძის ცნობით, ქსნის ხეო-  
ბაში ნაცვალგარდობა მთის გუთნით ხენის პირობებში იყო წარ-  
მოდგენილი<sup>84</sup>. ქართლში 3—4 გლეხი საკუთარი ხარებითა და  
სახენელი ჩუთით რიგრიგაში შემავალ ერთ-ერთ წევრს მთელ დღეს  
შველოდნენ, შემდეგ მეორეს წაეხმარებოდნენ და ასე შემდეგ.  
წრომის ასეთ მარტივ ორგანიზაციაში ყველა ერთნაირ ანაზღაურე-  
ბას ღებულობდა. ამგვარი თანაბარი შრომის ხარჯვა მონაცვლეო-  
ბის შესატყვისის ხევისურეთში მანდავობა რქმევია, სადაც ხევისუ-  
რული სახენელით მომუშავენი სახენელის რკინის ნაწილებით შე-  
დიოდნენ ერთმანეთთან ნანდავობაში<sup>85</sup>. ასე იყო თუშეთშიც.

ხენასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის, ეგრეთ წო-  
დებული კოოპერაციული გაერთიანების უფრო რთული ფორმა,  
რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული  
„მოდგამისა“ და „ამბაზის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მოდგა-  
მი, როგორც ტერმინი ქართლ-კახეთში საყოველთაოდაა გავრცე-  
ლებული<sup>86</sup>. რაც შეეხება ამბაზს, იგი გვხვდება ნაწილობრივ თი-  
ანეთისა და დუშეთის რაიონებში<sup>87</sup>.

მოდგამი, როგორც ხენის დროს წარმოდგენილი გაერთიანე-  
ბა, გულისხმობს ხარ-კამეჩით და სახენელი იარაღით ერთად შეყ-  
რასა და სარგო ალოების, გაერთიანებაში შესული ძალის მიხედ-  
ვით მორიგებას. პ. გუგუშვილი მოდგამის სინონიმად მიიჩნევს  
„გუთნეულს“<sup>88</sup>, ჩვენის აზრით იგი არ უნდა იყოს მოდგამის შე-  
სატყვისი. „გუთნეულის“ შინაარსში ქართველი გლეხობა გულის-  
ხნობს გუთნისათვის საჭირო გამწევე ძალას, ზოგჯერ გამწევე ძა-

<sup>84</sup> აღ. რობაქიძე, დას. ნაშრომი. 409.

<sup>85</sup> იქვე, გვ. 409.

<sup>86</sup> ს. ჯიქიას გამოკვლევით, მოდგამი, როგორც ხენის დროს წარმოდ-  
გენილი შეამხანაგების გამომსატველი ტერმინი; თურქულში, ქართულიდან ყო-  
ფილა შესული, იხ. ს. ჯიქია, დასახ. შრომა, გვ. 396. 397.

<sup>87</sup> გ. ჩიტიანი, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარი-  
ში, ენამკის მოამბე, ტ. XI, გვ. 63; ამბაზი საბაა ლექსაკონის მიხედვით შეამხა-  
ნაგებულს ნიშნავს.

<sup>88</sup> პ. გუგუშვილი, გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია, საქ. მეცნ.  
აკად. მოამბე, ტ. V, № 3, გვ. 329—336.

ლასა და ინვენტარსაც, მაგრამ იშვიათად ამ უკანასკნელს. რაც შეეხება მოდგამს, იგი რამდენიმე პირის გამწევი ძალითა და სამუშაო ინვენტარით ერთად მოდგომას ვ. ი. როგორც საბასთან არის აღნიშნული ჯილდით მოზიარეს ვარაუდობს, რასაც ძველად მეკომეც რქნევია. აქედან უნდა გვქონდეს ნაწარმოები სიტყვა მეკომურიც, რაც კახეთში მეზობლის მნიშვნელობით იხმარება. როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ისე მწერლობაშიც გუთნეულის ქვეშ მხოლოდ გამწევე ძალას გულისხმობდნენ<sup>89</sup>. ამიტომ იყო, რომ თუ ერთ ოჯახს საკუთარი გუთანი ვაჰყავდა სამუშაოდ, ის მოდგანად არ იწოდებოდა და მხოლოდ გუთნეულის სახელის ქვეშ მოიხსენიებოდა. ასე რომ გუთნეული გარკვეულ კონკრეტულ შინაარსს შეიცავს და მისი ვაიგივება მოდგამთან არ შეიძლება.

გამართული დიდი გუთნით ზუშაობისათვის ჩვეულებრივ 8 უღელი ხარი და კამეჩი იყო საჭირო, მაგრამ იყო გამონაკლისებიც, როცა მეტი ან ნაკლები იბმოდა. ნაკლების შებმა ნიადაგების ხარისხზე და მოდგამის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. იგივე პირობები იწვევდა მეტის შებმასაც. მაგ., სამგორში და ვაზიანის მინდორზე ჩვეულებრივ 10 — 11 უღელი იბმოდა ხოლმე, ქართლში კი 6 — 8 უღელი<sup>90</sup>.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ყოველ უღელს თავისი სახელი ერქვა და ასევე ეწოდებოდა თვით უღელში გაბმულ ხარებსაც; მაგალითად: „წინა უღელი“ — „წინა ხარები“, „საძირის უღელი“ — „საძირის ხარები“ და სხვ.

უღელთა სახელები ქართულ დიდ გუთანში შემდეგი განრიგით წარმოგვიდგება:

---

<sup>89</sup> იხ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ II. 1951. გუთნეული.

<sup>90</sup> 1875 წლის სტატისტიკური ცნობებით ქართულ დიდ გუთანში 6—12 უღლამდე იყო შებმული. (იხ. Статистические сведения о состоянии губерний и областей Кавказского и Закавказского края за 1875 год, часть вторая, второе издание, стр. 21).

ფ რ თ ე ს ხ ე ბ ა შ ი	პ ლ ი ა ხ ე ი ს ხ ე ბ ა შ ი	პ. ლ ი ა ხ ე ი ს მ თ ი ს ზ ო ლ შ ი	ქ ვ ე მ ო ქ ა რ თ ლ შ ი
1. გუთნითავის	1. გუთნითაეის	1. გუთნითაეის	1. თაეთუღელი
2. საძირის	2. საძირის	2. საძირის	2. საძირის
3. საშუალის	3. საშუეღის	3. სარეკის-სახე თუღლის	3. საჯღომის
4. „ წასაკრავის	4. წასაკრავის	4. სადგომის	4. საწყები
5. საშეიღდეღლის საჯღომის	5. წინა საჯღომი	5. წინა	5. საჯღომი
6. „ წასაკრავის	6. „ წასაკრავის		6. წინა
7. წინა საჯღომი	7. საყვერის საჯღომის		
8. საყვერის	8. წინა		

გ ა რ ე კ ა ხ ე თ შ ი, ს ა მ გ ო რ შ ი	ქ ი ხ ი ყ შ ი	თ ი ა ნ ე თ შ ი
1. გუთნითავის	1. ღირღიტის	1. ღირღიტის უღელი
2. საძირის	2. ს-გღეღის	2. გძელის უღელი
3. საშუეღის საჯღომი	3. სადგომის	3. საშუალა
4. „ წასაკრავი	4. საყვერის	4. წასაკრავი
5. საიღხერის საჯღომი	5. სადგომი	5. წინა საჯღომი
6. „ წასაკრავი	6. წინაბარეპი	6. წინას წასაკრავი
7. წინა საჯღომი		7. წინა ბაი
8. წინა		

ქართულ სახენეღებში გამწევე ძალად გამოყენებული იყო ხარები და კამეჩები. კამეჩების შებმა, საჯღომ უღელში მთხრო-  
ზეღთა გაღმოცემით, არ შეიღლებოღა, რადგან კამეჩი მეხრის  
უღელზე ჯღომას ვერ იტანს, „ქეღი უსიღღება და ანღებრობაც  
იღის — ითრობა“<sup>1</sup>. ანღებრობა და მასიღცრობა, რაც კამეჩებს  
ბშირად ემართებოღა, გუთნის მუშაობას აფერხებღა.

ერთ ხალხურ ლექსში ამის შესახებ ნათქვამია:

„გუთნიღდეღ-მეხრე შეყრიღან,  
დაღიან უბან-უბანა,  
— შენი კამეჩი არ ვარგა,  
ანღებარია მუღანა“.

ლექსის მეორე ვარიანტი „ანღებარის“ აღგიღას „მასიღცხა-  
რია“ ნახმარი. კამეჩი მხოლოდ წასაკრავ უღღებში ებათ, რადგან  
კამეჩის მოარშიება უკანიღან უფრო იოღი საქმე ყოფიღა<sup>2</sup>. კა-  
მეჩები მოღიოღა გუთნის II — IV და VI უღღებში. კამეჩიან

<sup>1</sup> აღ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 414.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 414.

კუთანი ძლიერი იყო და გუთნეულს ამით დიდი შეღავათი ეძლეოდა. ზოგ სოფელში კამეჩებს ხართან შედარებით 0,5 დღით მეტი ეძლეოდა (გიორგი სოლომონის ძე პარასკევაშვილი, 67 წლის, ზემო სობისი, გორის რ-ნი, 1952 წ.). განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა გუთნის წინახარს, რომლისთვისაც საგანგებოდ გამოცდილსა და ფიცხ ხარს ურჩევდნენ. გორის რაიონის სოფ. კირბალში, წინა ხარს სხვა ხარებთან შედარებით — 0,5 დღე მეტი ჰქონდა, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ წინა ხარს ნარეკლიან საფეხვებში პირველს უხდებოდა მისი გადალახვა, ჯათა ადგებოდა. ამიტომ მეტი ალოც უნდა ჰქონოდაო.

გუთნის მუშა-ხელში შედიოდა გუთნის-ღედა და ჩეხრეები. რვაუღლიან გუთანს 5 — 6 კაცისაგან შემდგარი მოდგამი ქმნიდა. გუთნის-ღედა მოდგამში ძირითადად ინვენტარის მფლობელი იყო. მას ეკუთვნის გუთანი, ღედეები, სახნის-საკვეთელი და ზოგჯერ უღელ-აპეურებათა კი, რასაც ძველად საერთოდ „კუტ-იარაღს“ უწოდებდნენ. ჩვენი ზეჩრებილი მასალების მიხედვით მოდგამი წელიწადში ორ თაობას უ. ი. ორ ალოს ხნავდა. ალო<sup>22</sup> და თაობა გულისხმობდა მოდგამის ყველა წევრისათვის კუთვნილ ღდეების ხანგრძლივობას ერთ სამუშაო სეზონში. თაობაში ღდეების განაწილება ასე იყო წარმოდგენილი: ანეულის ალოზე გუთნიდედისათვის ორი დღის ზენა იყო დაწესებული. მეზრისათვის — ერთი დღე, თითო ხარზე — თითო დღე (XIX ს. 1 ნახევარში და უფრო ადრე უღელ ხარს ერთი დღე ჰქონია), სახნის — ორი დღე. საკვეთელს — ერთი დღე, თითო ღვედს — თითო დღე, ჯამბარა აპეურისათვის — 1 დღე. ღდეების ასეთი განაწილება გაზაფხულის ზენაზე მოდიოდა, რაც შეეხება ანეულის ზენას, მაშინ ერთგვარ ცვლილებას ჰქონდა ადგილი, კერძოდ ანეულის ხენის დროს ორი დღის მეხრე უნდა გამოეყოთ, რომელთაც დღის მეხრეებისგან განსხვავებით თითო დღე ზედმეტი ეძლეოდათ. სამეცნიერო ლიტერატურაში, როდესაც მოდგამში ღდეების განაწილებას იხილავენ (პ. გუგუშვილი, აღ. რობაქიძე<sup>24</sup>), რატომღაც მხოლოდ ანეუ-

<sup>22</sup> ალოს ქვეშ ერთი დღის ზენასაც გულისხმობენ (კახეთი).

<sup>24</sup> პ. გუგუშვილი, დასახ. შრომა, გვ. 331; აღ. რობაქიძე, დასახ. შრომა, გვ. 416.

ლის ალოს ეხებიან და ღამის მეხრე მოდგამის მუდმივი კატეგორია გამოდის, ნაშინ, როდესაც მას მხოლოდ გარკვეულ დროსა და გარკვეულ რაიონებში ჰქონდა ადგილი. ასე, მაგ., ქიზიყურ მოდგამში ღამის მეხრე გაზაფხულის ხენის დროსაც იყო, ქართლში კი ღამის მეხრე მხოლოდ ანეულის ხენის დროს ჩნდებოდა. ღამის მეხრის მოვალეობას შეადგენდა ნამუშევარი გუთნეულის ღამის განმავლობაში პატრონობა და საქონლის საბალახოდ გაყვანა; აგრეთვე დილით ადრე მისი მორეკვა გუთნის გაშლის ადგილზე და დღისით მეხრეობის გაწევა. ღამის მეხრის არყოლას ქართლში ის აპირობებდა, რომ გაზაფხულზე საბალახო მაინც არაფერი იყო მინდვრად და საქონლის ღამით კარში დატოვებასაც აზრი არა ჰქონდა. მეორე მხრივ სახნავ სათესი მინდვრების შორ მანძილზე მდებარეობა ქიზიყელ მიწისმომქმედთ გაზაფხულის პირობებშიც საქონლის კარში დარჩენას აიძულებდა, ამავე დროს ქიზიყის მინდვრები საბალახოების მხრივ ამ დროისათვისაც ვარგისი იყო. ამიტომ იყო რომ შორი მინდვრების დასამუშავებლად ქიზიყის სოფლებიდან მოდგამი მთელი კვირეების საყოფი საგზლით მიდიოდა. მათ თან მიჰქონდათ ფქვილი, ტიკი წყლისათვის, ქვაბი და ზოგჯერ თანავე მიჰყავდათ საკლავიც. მთხრობლის გადმოცემით, წაღებულ ფქვილს იქვე მინდორში ცხერის ტყავზე მოზელდნენ და ხმიაღებს აცხობდნენ (გიგა ჭაბაშვილი, 75 წლისა, ბოლბის ხევი).

მოდგამისთვის ხშირად საკმარისი არ იყო ერთი თაობა. ამიტომ ხენას კვლავ გააგრძელებდნენ ხოლმე, რასაც „მოკლე ალოს“, პატარა ალოს ან „ჩაბრუნებულ გუთანს“, ზოგჯერ „მიბრუნებას“, ხოლო სამგორში „ოთხს“ უწოდებდნენ. დიდი ალო თუ 40 — 41 დღე გრძელდებოდა<sup>55</sup>, მიბრუნება, ანუ მოკლე ალო მის მეოთხედი დროის მონაკვეთში ეტეოდა. ეგების აქედანვე შე-

<sup>55</sup> ვახტანგ VI დასტურლანალში განსახდურულია, რომ „ბა თანა უნდა მოხნას წელიწადში დღიური ორმოცდაათი, როგორც ჩანს ვახტანგ VI გუთნით ხენის მინინუნს აწესებდა. შესაძლებელია იმ დროისათვის საქართველოს ავბედობის პირობებში ესეც გარკვეულად მაღალი ნორმა იყო, თუმცა, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უღელ ხარს ადრე ერთი ალო ეძლეოდა მაშინ ვახტანგის დროინდელ განაწესში ორი თაობა უნდა ივარაუდებოდეს, ალბად ერთი გაზაფხულის. მეორე კი ანეულისა, რაც 50 დღიურის მოხვნის შემძლებლად გამოვიდოდა (დასტურლანალი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1884, გვ. 23).



იქმნა ჩაბრუნებული გუთნის მეტად თავისებური სახელწოდება  
ოთხი.

გუთნის მოდგამში ხშირად „სამეტაო მეხრე“ ანუ „ჯოხის მეხ-  
რეც“ ლებულობდა მონაწილეობას, რომელსაც ხარები არ გააჩნდა.  
ასევე არც რაიმე ინვენტარით იყო მოდგამში შესული. იგი სხვის  
ხარებს მწყემსავდა — სხვის ხარებზე მეხრეობდა, „მოდგამში  
მხოლოდ ერთი ჯოხით იყო მოსული“. ასეთი მეხრე თაობაში ლებუ-  
ლობდა მხოლოდ თავის სამეხრეო ერთ ღღეს, თუ ღამის მეხრეო-  
ბას ივალებდა, მაშინ ორ ღღეს მიიღებდა.

გუთნის მოდგამისაგან განსხვავდებოდა „ორხელას მოდგამი“,  
ე. ი. მოდგამობა დაკავშირებული სახქნელ იარაღ ორხელათი მუ-  
შაობასთან, ორხელასაც „ამოყავდა თაობა“, ე. ი. ორხელას მოდ-  
გამები მოირიგებდნენ სამუშაო ღღეებს იმდენს, ვისაც რა ეკუთვ-  
ნოდა. განაწილების მიხედვით ორხელას მოდგამი 12 — 13 ღღეს  
მუშაობდა. ორხელას, როგორც სახქნელ იარაღს, ბარშიც და მთა-  
შიც მხოლოდ გაზაფხულის ხენაზე იყენებდნენ. საანეულო ხენა  
მთაში ზამთრის ხანგრძლივობის გამო წარმატებით არ სარგებ-  
ლობდა. რადგან შემოდგომის ხორბალი იშვიათად ითესებოდა,  
ბარში კი ანეულობის დროს გამოგვალულ ნიადაგებს ორხელა  
ველარ უმკლავდებოდა. მთის იმ ზოლში, სადაც ორხელას საანეუ-  
ლოდ თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებდნენ, ამ ხენას „ცულ  
ულელას“ უწოდებდნენ (ზემო ქარები. პატარა ლიახვის ხეობა).

ორხელას მოდგამს ახასიათებდა „კუტი ალოს ამოყვანა“, რაც  
ნიშნავდა მოდგამში შემავალ ხელმოკლე კაცისადმი ერთი ღღით  
დახმარებას. ორხელათი ბარის პირობებში გუთნის წესზე ნაღრივ  
ან ნაზურგით ხნავდნენ. ფერდობ ადგილებში კი გარდიგარდმო, —  
ქვემოდან ზემოთ. ამგვარ ხენას მოსდევდა ნახნავის ტერასულა  
წყობა, რაც მეურნეთა აზრით ხელს უწყობდა წვიმის შეკავებასა  
და ნიადაგში გაჭდომას. — „მიწაც არ ირეცხებოდა“. საპირისპირო  
მოვლენა იქნა ჩვენ მიერ დამოწმებული თრიალეთში, სადაც ფერ-  
და ადგილებში გარდიგარდმო კი არა, სიგრძით უხნავთ. რასაც  
იქაური მეურნეები იმით ამართლებენ, რომ „თრიალეთში მეტი  
სინესტე და წვიმებიც იცის პურის ფესვებში რომ დიდხანს არ იდ-  
გეს წყალი და მალე დაიწუროს, ამას გრძივად ხენა დიდად შეე-  
ლისო“ (დმანისის რ-ნი, სოფ. გომარეთი).

ხუთ ულლიან ორხელას თაობაში ღღეების განაწილება ასე  
იყო წარმოდგენილი: გუთნიდედას — 2 ღღე ჰქონდა, მეხრეს —

1 დღე; სულ სამი მეხრე იყო, თითო ხარს—თითო დღე, სახნისს—2 დღე, საკვეთელს — 1 დღე.

მოდგამის ყველაზე უფრო არქაულ ფორმად ალ. რობაქიძეს ახალციხური მოდგამობა მიაჩნია, რომლის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ალ. ხახანაშვილის მიერ იქნა გამოქვეყნებული<sup>86</sup>. ახალციხური მოდგამისმაგვარი გაერთიანება სახეხელი იარაღის ირგვლივ, რომელიც იკრიბებოდა წევრთა სახეხელი ფართობის მოხვნის მიზნით და ანგარიში არ ეწეოდა იმას, თუ ვინ რითი იყო მოდგამში შესული, ჩვენ მიერ დამოწმებულ იქნა 1953 წელს საინგილოში. ინგილოური მოდგამიც, ისევე როგორც ახალციხური, არ ითვალისწინებდა ვინ რითი მონაწილეობდა მოდგამში. მოდგამის თითოეული წევრი საინგილოში იმდენს ხნავდა, რაც განზრახული ჰქონდა დასამუშავებლად; დღეების ტოლმეტობას ანგარიში არ ეწეოდა.

ალ. რობაქიძის აზრით მოდგამობა „... დიდი ოჯახის რღვევის შედეგად წარმოიქმნა და მისი შემდგომი განვითარება სასოფლო-თემური ურთიერთობის პირობებში მიმდინარეობდა“<sup>87</sup>, რომელიც შემდეგ, უკვე გვიან ექსპლოატაციის გარკვეულ ფორმად იქცა<sup>88</sup>. მოდგამში როგორც აღრინდელი (XVIII საუკ. მიწურულისათვის) მასალიდან ირკვევა ხშირი ყოფილა წევრთა შორის უთანხმოებათა ნიადაგზე გამწევი ძალის და ზოგჯერ გუთნის დაზიანების შემთხვევებიც, რასაც დავით ბატონიშვილის კანონთა კრებულში გარკვეული ასახვა უპოვია. ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ „При возделывании нивы, ярмо состоит из известного количества волов, как часто случается, не все одному принадлежат хозяину, а от сего и бывает, что во время пашии один у другого в соре убивает волов или делает повреждение самому паугу. тогда виновный осуждается без искльчения“<sup>89</sup> და სხვ. მოდგამის მესვეურობა გუთნის-დედის ხელში იყო და მოდგამის შიგნით გარკვეულ წესრიგსაც ის ამყარებდა. მას

<sup>86</sup> Ал. Х а х а н о в, Обычай Груз. крестьян при пахании, ЭО, № 4. М. 1891, გვ. 192; ალ. რობაქიძე, დასახ. შრომა, გვ. 419.

<sup>87</sup> ალ. რობაქიძე, დასახ. შრომა, გვ. 418.

<sup>88</sup> ალ. რობაქიძე, დასახ. შრომა, გვ. 419, 420.

<sup>89</sup> დავით ბატონიშვილი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, აბ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. 1959, გვ. 316. § 582.

შეეძლო მოდგამის არაწესიერა წვერი გაეკიცხა და განედევნა კიდევც შემადგენლობიდან.

ამრიგად, სახენელ იარაღებთან დაკავშირებით მარტივი იქნეს იარაღი თუ რთული, შესაბამისი სამეურნეო შრომითი გაერთიანება იქმნებოდა. ამ გაერთიანებებს, მარტივ სახეწელებით ნუშაობასთან რომ იყო დაკავშირებული, კარგად ემჩნევათ შრომის ორგანიზაციის არქაული ფორმა, მეორე შემთხვევაში, რთულ სახენელთან წარმოდგენილი გაერთიანება აშკარად ატარებს კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ინტერესებს, რომელიც თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს კაპიტალიზმის განვითარების ხანაში აღწევს.

## თავი მესამე

### საოშ-საფარცხები

პროფ. გ. ჩიტაიამ სამიწათმოქმედო სისტემა შემდეგი სახის პროცესებად ჩამოაყალიბა: „მოკარვება, გაპოხიერება, ხვნა, ფარცხვა, მორწყვა, თესვა, მარგვლა, მკა, ლეწვა და სხე.“<sup>1</sup> ამ სისტემის გარკვეული ეტაპია ნიადაგის თესვისწინა დამუშავება და თვით თესვა ანუ აოშვა და ფარცხვა. საოშ-საფარცხად გამოყენებული იყო „ფორჩხი“, „კავი“, „ორხელა“, „კაბლო“ და „ფარცხი“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცულია 1948 წელს ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ს. ნიგოზაში შექმნილი ფორჩხი, რომელიც როგორც აღნიშნა პროფ. გ. ჩიტაიამ, — პირველად შემოვიდა სამუზეუმო კოლექციათა ფონდში, როგორც სამეურნეო იარაღის ერთ-ერთი სახე<sup>2</sup>. აღნიშნული ფორჩხი გატარებულია მუზეუმის ეთნოგრაფიის საინვენტარო წიგნში № 21 — 48/5-ით. ფორჩხი ხისაა, შედგება ოვილისაგან, კბილებისა და ხელნებისაგან. რვილი ოთხკუთხა სწორი ხეა, სიგრძით 341 სმ, სისქით — 11 × 10 სმ. რვილს ერთ მხარეზე სახელურიც აქვს, რომელიც იმავე ხის გაგრძელებას წარმოადგენს. რვილს აქვს კბილების ჩასასხმელი 12 ბუდე (თითოეული ბუდის ზომა — 5 × 4 სმ-ია). კბილის ბუდეები გამქოლნი არიან. კბილთა შორის მანძილი — 21 სმ-ია. რვილს აქვს ორი ჰორიზონტალური ნაჩრეტი; თითოეულის ზომა 10,5 × 3,5 სმ-ზე. აღნიშნულ ნაჩრეტში ხელნის თავები არის შედგმული. ფორჩხის კბილები ოთხკუთხა

<sup>1</sup> გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმობილველი. ტ. I. 1949. გვ. 368.

<sup>2</sup> იკვე, გვ. 398.

ფორმისაა და სოლისებურად წაწვეტილი. თითოეული კბილი შედგება: წვერის, ტანის და ტარისაგან. კბილი ტარით რვილშია შესული და ზემოდან სოლით არის გახეშილი (გამაგრებული). კბილის სიგრძე 36 — 38 სმ. აღნიშნული ფორჩხის კბილები ხმარებით მოცვეთილია. ფორჩხს აქვს ორი ხელნა. ხელნის თავები რვილში გამაგრებულია ჭინჭილაქით. ხელნის მეორე თავში შალათით ამოჭრილია სატაბიკე ნაჩერეტები უღლის დასამაგრებლად.

სულხან-საბა ორბელიანი ფოცხს განმარტავს, როგორც საოშ იარაღს, რომელიც ხნულის მეორედ გადასახნავად ყოფილა გამოყენებული. ფოცხს ქართლ-კახეთში ორი სხვადასხვაობით ეხვდებით: ფოცხი, რომელიც ხელით სამუშაო ფოცხის აღმნიშვნელია და მოთიბული ყანის შესაგროვებლად გამოიყენებოდა და ფორჩხი, რომელიც საბასეულ ფოცხის განმარტებას უპასუხებს ე. ი. საოშად გამოსადეგია.

ველზე ეთნოგრაფიული მასალების შეკრებისას ჩვენ მიერ ფორჩხი დამოწმებული იქნა შიდა ქართლის და თრიალეთის მუზინდვრეობაში. მთხრობელის გადმოცემით, „ანეულის ასაკაებლად — ასაოშად დიდი დრო იყო საჭირო, ამის დასაჩქარებლად ფორჩხს იყენებდნენ“ (ლაზარე ალექსანდრეს ძე ედილაშვილი, 80 წლის, სოფ. ბრეთი, ქარელის რ-ნი, 1952 წ.). ფორჩხმა საქაოლ გვიანობამდე შემოინახა თავი თრიალეთის ზეგანის მემინდვრეობაში. ფორჩხი აქაც იმავე ფუნქციის შემსრულებელი იყო ე. ი. საოში იარაღის როლში გამოდიოდა. ჩვენ მიერ სოფ. გომარეთში (დმანისის რ-ნი) და მის ახლო სოფლებში ფორჩხი მუშაობის პროცესში იქნა დამოწმებული (1953 წ.). ფორჩხით ხნულს აფხვეერებდნენ იმ დროს, როცა პურის თესლი უკვე გადაბნეული იყო ხნულში. ფორჩხში გაბმული იყო 4 უღელი გამწვევი საქონელი, უძღვებოდა ორი მეხრე და „ფორჩხი-დედა“ ანუ ის ვინც ფორჩხზე იდგა და ფორჩხის რეგულირებას ხელმძღვანელობდა.

საოში ფორჩხის სიდიდე და კბილთა რაოდენობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავისებურად იყო წარმოდგენილი. ამ მხრივ, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამუშაო ნიშნის მდებარეობას და ხარისხს. სხვა გზით ძნელია ახსნა იმ ფაქტისა, რომ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ფორჩხი სიდიდით ორჯერ ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოში არ-

სებულ ფორჩხებს<sup>3</sup> ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში ნიადაგის მოსახნავად კაცი კმაროდა, ნიცრე ზომის ფორჩხიც ეფექტს იძლეოდა.

ფორჩხს, როგორც აღენიშნეთ, კბილები რვილის ვერტიკალურად აქვს ჩასმული, მას კბილები რვილში პორიზონტალურ მდგომარეობაშიც ჰქონია მოწყობილი. ასეთი ფორმით წარმოდგენილ ფორჩხის კბილებს წვერები დაბლა ჰქონია დაკაუჭებული. ყოველი კბილი თავისი კაუჭით მუშაობის დროს სათანადო კვალს ტოვებდა. აღნიშნული ტიპის ფორჩხი გასული საუკუნის 60-ანი წლებისათვის ყვირილის აუზში იქნა დამოწმებული<sup>4</sup>. რომ კაუჭიან კბილთა შორის თანაზომიერება არ დარღვეულიყო, კბილები წნელით ყოფილა ჩაწნული. მუშაობის პროცესში აქაც მფორჩხავი ფორჩხზე დგას და მუშაობის რეგულირებას აწარმოებს თავისი ტანის სიმძიმის წინ ან უკნ გადაადგილებით<sup>5</sup>. ფორჩხს ჩვეულებრივ ორი ხელნა ჰქონდა, მაგრამ ცალხელნიანი ფორჩხიც არ ყოფილა გამონაკლისი. როგორც ჩანს ფორჩხები თავისი მრავალსახეობით გუთნებს არ ჩამორჩებოდნენ. ასე, მაგ., რაფ. ერისთავმა გასული საუკუნის 80-იან წლებში იმერეთში დაამოწმა ისეთი სახეობა ფორჩხისა, რომელსაც რვილზე სკამიც კი ჰქონია მოწყობილი<sup>6</sup>. დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ფორჩხს საშუალოდ 8 კბილი გააჩნდა. თუ კბილთა შორის მანძილსაც საშუალოდ 18 — 20 სმ ავიღებთ, მაშინ რვილის სიგრძე დაახლოვებით 180 — 200 სმ გამოვა. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ფორჩხის რვილის სიგრძე 350 სმ აღწევდა. მუზეუმში დაცული ფორჩხის რვილის სიგრძე 340 სმ-ია, რომელსაც 12 კბილი გააჩნია. XIX საუკუნის ლიტერატურული ცნობებიდან ვიცით, რომ რვილს 15 კბილიც ჰქონია<sup>7</sup>. ასეთი ფორჩხი ცხადია ზემოთ დასახელებულ ფორჩხებთან შედარებით საკმაოდ დიდი ზომისა იქნებოდა. მისი სამუშაო ველის მოდების მანძილიც, როგორც ჩანს,

<sup>3</sup> X. Л. Вермишев, Земледелие у государственных крестьян Закавказского края. Сводь. Мат. по изуч. Эк. быта Гос. кр. Зак. кр., т. IV, Тб., 1888, გვ. 269.

<sup>4</sup> A. I. Petzholdt, Der Kaukasus, Bd. II, 1867, გვ. 139.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 139

<sup>6</sup> P. Эристов. Очерки Имеретии, Тифл., 1876, გვ. 15, ტაბ. 7 და 38.

<sup>7</sup> Petzholdt, დაახელებული შრომა, გვ. 136, 137.

საქმაოდ დიდი იყო. ს. ზელნისკის ცნობით, ყოფილ ალექსანდროპოლის მაზრაში ასეთივე ფორჩხის რეილი 3 — 3 1/2 არშინის სიგრძისა ყოფილა, რომელსაც 10 — 12 კბილი ჰქონია<sup>8</sup>. სომხეთის შარურო-დარალაგიოზის მაზრაში რეილის სიგრძე 4 არშინი ყოფილა<sup>9</sup>.

თუ ყველა ზემოთ წარმოდგენილ მასალას გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ საქართველოს მუზეუმში დაცული ქართული საოში ფორჩხი თავისი სიდიდით ბევრად აღემატებოდა, როგორც დასავლეთ საქართველოში ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში გავრცელებულ ფორჩხებს (ტაბ. III). ამასთან დაკავშირებით კითხვა ისმის: რა აპირობებდა აღმოსავლეთ საქართველოს ზემინდვრებაში ასეთი დიდი ზომის ფორჩხის გამოყენებას; უპასუხებდა იგი ნიადაგების მოთხოვნილებას თუ რნტენსიური მიწათმოქმედების გარკვეული ნაყოფი იყო? ჩვენი აზრით, აქ ორივე ფაქტორია საგულგებელი, რომლებიც ერთიმეორეში მჭიდროდ უნდა ყოფილიყო გადაჯაჭვული. ფორჩხს ხნულის ბელტების დასაშლელად იყენებდნენ, მაგრამ მისი ფუნქცია მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ფორჩხის კბილების მყარად დამაგრება ასეთი დიდი ზომის მძიმე რეილზე და კბილთა შორის გარკვეული თანაზომიერების დაცვა, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე ნიადაგში მარცვლის გარკვეულ სიღრმეზე მოქცევისათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ თრიალეთელი მეურნე ფორჩხის კბილების ფუნქციას თესლის „დასამარებით“ გამოხატავს. მთხრობელის გადმოცემით „ფორჩხს ანუელის ხნულში სამარე უნდა გაეკეთებინა თესლისათვის“ (ამირან დავითის ძე ღვინიაშვილი, 50 წლის, სოფ. ახა, დმანისის რ-ნი, 1953 წ.).

ცნობილია, რომ სხვადასხვა სიმაღლეზე მოხვედრილი ნათესი არათანაბრად აღმოცენდება ხოლმე. ეს თავის მხრით, გარკვეულ გავლენას ახდენს ყანის ზრდა-განვითარებაზე და საერთოდ მოსავლიანობაზე. ფორჩხს ეს მძიმე ამოცანა თავისი აგებულების წყალობით უნდა გადაეჭრა. აღნიშნულის გადასაწყვეტად ფორჩხით გარკვეული სახის მუშაობა სრულდებოდა.

<sup>8</sup> С. И. Зелинский, Экономич. быт гос. крестьян в Шорагеле, Александропольского уезда Эриванской губернии, МИЭКБГКЗК, т. I. Тбилиси, 1885, стр. 37.

<sup>9</sup> А. Г. Деконский, Экономический быт гос. крестьян западной части Шаруро-Даралагезского уезда Эриванской губернии. МИЭКБГКЗК, т. I, стр. 683.

ფორჩხი საკმაოდ მძიმე სამუშაო იარაღი იყო. მასში 4 — 5 ულელი გამწევი ძალა იბმოდა. ზაფხულის ხნულში ე. ი. ანეულში ჯერ დაითესებოდა, ხოლო შემდეგ ფორჩხის გადატარება ხდებოდა. ფორჩხს ნიადაგების ხარისხიანობის მიხედვით ამუშავებდნენ; თუ მაგარი ხნული იყო ჯვარედინი სვლით, ხოლო თუ ნიადაგი „მჩატე“ — „ალქატი“ იყო ერთი მიმართულებით გადაატარებდნენ. სარწყავ ნიადაგებში ფორჩხს სხვა დანიშნულებითაც იყენებდნენ, მაგალითად, ამ იარაღით სკოდნიათ ჭანგისა, ოროვანდისა და სხვა სარეველა ბალახებისაგან ნიადაგის გაწმენდა.

აღნიშნული იარაღი საქართველოში XIX ს-ის 70-იან წლებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. გასული საუკუნის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისისათვის იგი ნაკლებადლა გვხვდება.

ამის ერთი მიზეზთაგანი ჩვენი აზრით კაპიტალიზმის განვითარება უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა სოფლად გლეხობის და გლეხური მეურნეობის გადატაკება და დაქუცმაცება. ამავე ხანისათვის დამახასიათებელია საბაზრო მეურნეობაში სოფლის ჩათრევა თავისი ნედლეულის წყაროებითა და ცოცხალი სამუშაო ძალით. ამავე დროს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ხორბლეულის რაიონებში სიმინდის კულტურის ფართო მაშტაბით შექრა. ერთი ქართლელი კორესპონდენტი 1864 წელს იუწყებოდა, რომ „ახლა სიმინდი ძველთან შედარებათ დიდი რაოდენობით ითესება. იმდენად რამდენადაც ნაყოფიერ და საყოველთაოდ სარწყავ მიწებში იგი იძლევა უზარმაზარ მოსავალს, დესეტინაზე 400 ფუთზე მეტს, არაყსახდელ ქარხნებისათვის იაფ ნედლეულს იძლევა და შინაურ პირუტყვთათვის კარგი ფურაყია, ამავე დროს ყოველწლიურად იმერეთში გააქვთ დიდი რაოდენობით“<sup>10</sup>. სიმინდის კულტურას ქართველმა მეურნემ შესაბამისი იარაღები შეუქრია. იგივე სიმინდის კულტურა გარკვეულ შრომის მოთხოვნილებებსაც აყენებდა. ადვილი წარმოსადგენია, რომ აღნიშნული დროისათვის მიწების სიმცირე წვრილგლეხურ მიწებს სისტემატურ ექსპლოატაციაში აბამდა. სასუქისა და დასვენების მაგიერობას სიმინდისა და პურის თესლმონაცვლეობა იკავებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმინდის აღება ოქტომბრის მიწუ-

<sup>10</sup> Копреспонденция из Гори, ЗКОСХ. 1864, № 5, стр. 31—32.



რულამდე გრძელდებოდა, ხოლო შემოდგომის ხორბალი კი ამ დროს უკვე დათესილი უნდა ყოფილიყო, გასაგებია რომ ამ დროისათვის რანაირი მოდგამიც არ უნდა ყოფილიყო, ნასიმიდარ მიწებს სწრაფად ვერ გადახნავდა, ფორჩხი ნასიმიდარის ასაოშად უძლური იყო. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ თრიალეთის ზეგანზე ფორჩხის გვიანობამდე შემონახვა სწორედ იმან შეაპირობა, რამ აქ გარკვეული კლიმატური პირობების გამო სიმიდის კულტურამ ფენი ფართოდ ვერ მოიკიდა.

ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო ნასიმიდარის სასწრაფოდ გადასახნავი მსუბუქი სახვნელის ე. ი. არამოდგამით მომუშავე საჩვენელის გამოყენება. მსუბუქ სახვნელებიდან კი ბარში ორხელა და ჩუთ-კავი იყო ცნობილი. გ. ჩიტაიამ ყოფილ აღბულალის (თეთრიწყარო) რაიონში „... ანეულის ასაჩუთავად (თესვის წინ მოსახნავად) და სიმიდის ყანისათვის სახმარად ჩუთი დაამოწმა<sup>11</sup>. ს. ვ. მაჩაბლის ცნობით, ივრის სანაპიროზედაც სიმიდის აღების ჩერე ჩუთით სცოდნიათ ნასიმიდარის გადახვნა, რომელშიც შემდეგ ხორბალს თესდნენ<sup>12</sup>. მთხრობლის გადმოცემითაც, „კავს ნასიმიდარის და ანეულის მოსახნავად! იყენებდნენ“ (გიგა სოლომონის ძე ოსაძე, 90 წლისა, სოფ. ფცა, ქარელის რ-ნი, 1952 წ.).

თითქმის იმავე მიზეზებით უნდა აიხსნას ბარის შემინდვრებიდან ორხელას გამოსვლაც, რომელიც ქართლის ბარის შემინდვრებაში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, და რომელსაც იყენებდნენ აგრეთვე როგორც საოშ იარაღს.

ს. ვ. მაჩაბლის ცნობით, ცხინვალისა და ალის მიდამოებში თბილისის მაზრასთან შედარებით ნიადაგის დამუშავებას უფრო რთული წესით ეწეოდნენ ამ ადგილებში ნიადაგს გაზაფხულის ხორბლისათვის ორჯერ ხნავდნენ; ერთხელ შემოდგომაზე მოხნავდნენ ქართული გუთნით და ამას მძრალად დატოვებდნენ. გაზაფხულზე კი თესვის წინ ამავე მძრალს ხელახლა დაამუშავებდნენ, ნაგრამ ამჯერად არა გუთნით, არამედ ორხელით და ჩუთითაც<sup>13</sup>.

ბარის მიწათმოქმედებაში რომ ორხელა უმთავრესად საოშ იარაღს წარმოადგენდა, ამაზე თვით მისი კონსტრუქციაც მეტყვე-

<sup>11</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან. გვ. 213.

<sup>12</sup> С. В. М а ч а б е л и. ЭКБГКр. Тифл. уезда, Тифл. губ. МИЭКБГ-КЗК, т. V. ч. 2, ст. 236.

<sup>13</sup> მისივე. ЭК. БГКр. Горинского уезда Тифл. губери. МИЭКБГКЗК, т. VI, ч. 1, ст. 211.

ლებს. ბარულ ორხელას მთის ორხელასაგან განსხვავებით საკვეთელი არ გააჩნდა. ზოგჯერ ბარის ორხელას სახნისიცი თავისებური ჰქონდა; ის გუთნის სახნისიციით ცალფრთიანი ყოფილა, მაგრამ მასთან შედარებით მცირე ზომისა. სამაგიეროდ ბარის ორხელას ზოგჯერ ფრთა და ხმალაც ჰქონდა, რომლითაც აოშვის და საერთოდ ნარბილ ნიადაგების დამუშავების პირობებს იოლად ეგუებოდა. ორხელას 4-5 უღელი გამწვევი ძალა ესაჭიროებოდა. კავ-ჩუთი, რომელსაც უღელი ხარის ძალა ჰყოფნიდა და ერთი კაცი უძღვებოდა, ქართლის მემინდვრეობაში ფეხს ფართოდ იკიდებდა, და საბოლოოდ-საოში იარაღის ფუნქციაში გამოდიოდა.

სარწყავ რაიონებში კავი სიმძნდის კულტურის ფეხის პოდგამდეც საოში იარაღის როლში გამოდიოდა. როგორც ცნობილია, სარწყავის მიწები ურწყავის ნიადაგებთან შედარებით მეტად მძინე დასამუშავებელი იყო. ამას იწვევდა რწყვის შედეგად მამულებში ბალახის სიუხვე, რასაც ფორჩხის კბილები აგრერივად ვერ უმკლავდებოდა.

ერთ მიკრორაიონში ფორჩხის ნაცულად კავის შემოღების მაგალითს მთხრობელი ასე გადმოგვცემს: „კავი საქშაქელებმა გამოიგონეს. ისინი ზემოქართლები არიან: მათ დედოფლის წყაროსთან სახნავ-სათესი მინდორი და იქვე ბინებიც ჰქონდათ, სადაც ცხენები, სხვა საქონელი და სამუშაო იარაღებიც ინახებოდა. აქვე ბინებში ჰქონდათ კაეები. ჩვენ კაეები იმათგან გადმოვიღეთ. წინათ ერთი გრძელი ხე იყო, იმას ჰქონდა თითები ძირიდან. ხე იყო მუხისა და იმას ფორჩხს ვეძახდით. ფორჩხში ება სამი უღელი ხარი. მუშაობის დროს ფორჩხზე ორი კაცი იდგა და ფორჩხამდა ხნულსა. ეს იყო მანამდე კავი გაჩნდებოდა (ხარიტო ასანიძე, 78 წლისა, სოფ. წვერი, ქარელის რაიონი, 1952 წ.). ცხადია ეს მაგალითი კავის-ჩუთის საერთოდ ახლად შემოღებაზე არ ლაპარაკობს. იგი ერთ მიკრორაიონში მისი, როგორც საოში იარაღის გამოყენების მაგალითია მხოლოდ.

კავი საბას განმარტებით მოკაულ ხეს ან მოკაულ რკინას აღნიშნავს. მეორე შემთხვევაში კავი ნავის ლუზასაც გამოხატავდა<sup>14</sup>. მხოლოდ რ. ერისთავმა კავი ტერმინის ქვეშ იმერეთში დაამოწმა სახენელი იარაღი<sup>15</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ტერ-

<sup>14</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, კავი. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

<sup>15</sup> Р. Эрнстov, Очерк Имеретин, стр. 22.

მინი კავი, როგორც სახენელი იარაღის წაწილის გამოხატველი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის თვით საბას დროსვე არსებობდა<sup>16</sup>. კავი, სახენელი იარაღის სახელწოდება, ქართლის დასავლეთ ნაწილში გავრცელებული ტერმინია. კავით შესრულებულ მუშაობას აკავება ეწოდებოდა. კავის მეორე სახელი აღმოსავლეთ საქართველოში ჩუთია. ჩუთით შესრულებულ მუშაობას აჩუთვა რქმევია. გ. ჩიტაიას ცნობითაც, აღბულაღის რაიონში ჩუთს იყენებდნენ ანეულის „ასაჩუთავაღ“<sup>17</sup>. — კავის და ორხელა იარაღის აღწერილობაზე აქ არ შევიჩერდებით, რადგან იგი წინამდებარე წაშრომის პირველ თავშია წარმოდგენილი. მთხრობელთა გადმოცემით, აკავების დროს „რიგრიგა“ სცოდნიათ. რიგრიგა სანაცვლო მუშაობა იყო, რომელიც ჩუთ-კავებით მომუშავენი თავისი იარაღითა და ხარით ერთი მეორეს მორიგეობით შველოდნენ, რათა აოშვა მოკლე დროში მოესწროთ. ჩუთ-კავით მუშაობისათვის საჭირო იყო უღელი ხარი ან კამეჩი. ჩუთი უღელზე მიემაგრებოდა წნელით ან კაპნით. თუ საქონელი ხამი იყო, მუშაობის დროს მჩუთავს გარდა, რომელიც სახენელსაც უძღვებოდა და ხარსაც, საჭირო იყო მეორე დამხმარე პირი, რომელიც ხარს წინ უნდა გაძლოლოდა. ჩუთით მუშაობა სახნავი მიწის ან ნაღრიდან უნდა დაეწყოთ ან ნაპირიდან. ჩუთით მუშაობის წესი რამდენიმე სახით წარმოგვიდგება: 1. სახნავის გასწვრივი აოშვა, 2. გარდიგარდმო, 3. ჯვარედინი და 4. აყურით აოშვა.

სახნავის გასწვრივი აოშვა გულისხმობდა ჩუთით ისეთ მუშაობას, როცა გუთნით გავლებული კვლების გასწვრივ ხდებოდა ჩუთის გატარება. გარდიგარდმო აოშვისას ჩუთი გუთნით გავლებული გრძივი კვლების საპირისპირო მოძრაობას აკეთებდა, მარჯვნიდან მარცხნივ და უკან, ასე ერთი თავიდან მეორისაკენ თანდათანობით. ჯვარედინ აოშვას მიმართავდნენ შედარებით მაგარი სტრუქტურის მქონე ნიადაგების დამუშავეებისას, მაგ., იქ სადაც ნიადაგს წებოვანება მეტი აქვს, გოროხები ძნელი დასაშლელია, ჯვარედინი მუშაობისას ჩუთი ასრულებს ორი მიმართულუბით სვლას, — სიგრძეზე და გარდიგარდმო.

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, გვ. 177—178.

<sup>17</sup> გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, გვ. 213.

აოშვის მეოთხე სახე თრიალეთში „აყურით აჩუთვის“ სახელს ეტარებს. იგი ჯვარედინი აოშვისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ აყურით აოშვისას ჩუთით მუშაობას იწყებდნენ დასამუშავებელი ნაკვეთის რომელიმე კუთხიდან. ერთი კუთხიდან დაწყებული მუშაობა მის მოპირდაპირე კუთხეში მთავრდებოდა. ამ ერთი რიგის აოშვის შემდეგ მეორე საპირისპირო მხრიდან იწყებოდა აოშვა. ე. ი. ჩუთი აკეთებდა დიაგონალურ სვლას. აღსანიშნავია, რომ აოშვას ჩვეულებრივ წინ უძღოდა თესვა და აოშვის შემდეგ ფარცხის გადატარება. აყურით აოშვის შემდეგ კი ფარცხევას აღარ მიმართავდნენ. მეურნეთა აზრით აყურით აოშვა ხელს უწყობდა ნათესების ქარებისაგან დაცვის საქმეს. თვით ტერმინი აყურვა ლინგვისტთა აზრით ყურედან უნდა იყოს ნაწარმოები, რაც კუთხის, კუნჭულის მნიშვნელობით დღესაც იხმარება. საერთოდ აყურით აოშვას შედარებით მაგარ ნიადაგების დამუშავებისას იყენებდნენ.

აოშვის აქ ჩამოთვლილი წესები ძირითადად ორი სახის სამუშაოების დროს სრულდება, I და II სახის აოშვა შედარებით რბილი ნიადაგებისათვის იყო გათვალისწინებული. III და IV სახის აოშვას კი აწარმოებდნენ ნაწვერლების და ნასიმიზდრების დამუშავებისას. ჩუთ-კავით და საერთოდ მარტივი სახეწელებით ნიადაგის რამდენჯერმე დახვნის წესი სხვაგანაც დასტურდება, ასე მაგ., ნახიჩევანის მაზრის დასავლეთ ნაწილში გასული საუკუნის 80-იან წლებში გარდიგარდმო აჩუთვა დაუმოწმებია ნ. ნიკიფოროვის<sup>18</sup>. ხვნის მეტად თავისებური წესი ჰქონიათ ყუბანის უკრაინელებსაც, მაგ., სპირალური სვლით გარედან შიგნით<sup>19</sup>. აღსანიშნავია, რომ მრავალჯონის გადახვნა ნიადაგისა ძველ რომშიც სცოდნიათ<sup>20</sup>.

აოშვას დაფარცხვა მოსდევდა. ფარცხვა თესლის დაფარვას გულისხმობს. ფარცხვა აგრეთვე ხელს უწყობს ნიადაგის ხელო-

---

<sup>18</sup> Н. К. Никифоров, Экономический быт Государственных крестьян западной части Нахичеванского уезда Эриванской губернии МИЭБГЗК, т. I, Тб., 1885, стр. 560.

<sup>19</sup> О. Бержкович. Эволюция рільничого пащння на Кубані. науковий збірник Ленінградського товариства дослідників української, історії Письменства та Мова, вып. I, 5, Київ, 1928, стр. 100.

<sup>20</sup> М. Е. Сергеевко, Пахота в древней Италии, Советская археология, т. VІІ, 1941, стр. 221.

ანი ზედაპირის შემქმნელობას. ყოველივე ამას ძველად ასრულებდა უბრალო ფიჩხის წნული, ლასტი და ფიცრის კაბუღი.

ქართლ-კახეთის მემინდვრეობაში ფარცხის ქვეშ კაბდოც იგულისხმებოდა. კაბდო ფარცხის ფიცარია, — განმარტავს საბა, — ფარცხი კი კაბდოს ლასტიაო<sup>21</sup>. საქართველოს მთიანეთში უკაბდო ფარცხიც სცოდნიათ, რომელსაც კაბდოს ნაცვლად ხელნები პირდაპირ ფარცხის ისარზე ჰქონდა მიბმული. ბარისაგან განსხვავებით მთის ზოლში ფარცხი რამდენადმე მცირე ზომისა ჰქონიათ, კაბდოს გავრცელების ზოლი მთაში ერთობ შეზღუდულია, რასაც მთის სახნავეების ხევ-ფერდობიანი მდებარეობა აპირობებდა<sup>22</sup>.

შინამრეწველობის მასალების მიხედვით ქართლში კაბდო კეთდებოდა წიფლის ხისა; სიგრძით — 2,5 არშინი, სიბრტყე 6 ვერშოკი. კაბდო შუაზე ორგან გაიჩვირტებოდა იქ სადაც ხელნები უკეთდებოდა. ხელნების სიგრძე 3,5 არშინი იყო. კაბდოში შესულ ხელნას ჩხირი ჩაეყრებოდა, რომ არ გამოძვრალიყო<sup>23</sup>.

ხევსურეთში კაბდო სიგრძით 9 მტკაველი და სიგანით ერთი მტკაველი ყოფილა. გორის რაიონში „კაბდოს სიგრძე 13 მტკაველი იყო, სიგანე მტკაველზე მეტი“. მთხრობლის გადმოცემით „კაბდო ღონიერი ხის ფიცარი უნდა ყოფილიყო, სიგრძით 4 — 4,5 არშინი, სიმაღლით 8 ვერშოკი“ (სანდრო იოსების ძე წიკლაური, 60 წლის, სოფ. ბერშუეთი, გორის რ-ნი, 1952 წ.). კაბდოს ბარში მთის კაბდოსაგან განსხვავებით შუაშიც ჰქონდა ამოკერეთილი, რომელშიც ღვედის თავი თავსდებოდა. მთურ კაბდოს ღვედის ნაცვლად კვანტი უკეთდებოდა. კვანტი ან ღვედი ძირს რომ არ გათრეულიყო და ხარს შიგ ფეხი არ ჩაედგა, ამოკრული იყო უღელზე „მემველას“ საშუალებით. კაბდოს სხვა მცირე ზომის ამოკერეთილებში ფარცხის მისაბმელი წნელები ყოფილა შედგმული, რომლებიც ჭინჭილაჭებით—ხის ჩხირებით მაგრდებოდა. კაბდოთი მუშაობა მთის ზოლში თუ ფერდა ადგილები იყო ისევე სწარმოებდა, როგორც ხენა, ე. ი. ფარცხვას იწყებდნენ ქვემოდან ზემოთ გარდიგარდმო სვლით. კაბდო რომ ფერდა ადგილში არ და-

<sup>21</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, კაბდო. ფარცხი.

<sup>22</sup> М. В. М а ч а б е л и. Экон. быт. гос. крестьян Тiftonского уезда, Тифлис. губернии, МИЭКВГКЗК, т. V, ч. I, стр. 442.

<sup>23</sup> შინამრეწველობის მასალები ქართლიდან, გვ. 359.

ცურებულები, ხელით ეკირათ (საძნდრო ლევანის ძე რაზმაძე, 65 წლის, სოფ. ჭარები, სტალინირის რ-ნი).

კაბლო ძველ საქართველოში მიწის საზომ ერთეულადაც ყოფილა გამოყენებული<sup>24</sup>. მას იყენებდნენ კალოს გასაწმენდადაც, ძირითადად კი ხნულში მაგარი ბელტების დასაფშვნელად და ნიადაგის ზედაპირის მოსასწორებლად.

ძველ მიწათმოქმედებაში, განსაკუთრებით ქართლ-კახეთის დაბლობ რაიონებში კაბლო და ფარცხი ერთად იყო წარმოდგენილი. კაბლო სახოკიას მოწმობით იმერეთში არ ჰქონიათ. თესვის პროცესში ეს ორი იარაღი ერთიმეორეზე იყო მიბმული.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია რამდენიმე ფარცხი და ფარცხის მოდელი. უნდა აღინიშნოს, რომ ფარცხი, ეს თითქოს სამიწათმოქმედო იარაღების ერთი მარტივი სახეობათაგანი, საქართველოს ყველა კუთხისათვის თავისებური სახითაა წარმოდგენილი. ყოველ მათგანს აქვს ერთი-მეორისაგან რაღაც განსხვავებული ნიშანი, მაგ., ჩაწვნის წესი, ისრების რაოდენობა და სხვ. ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული ფარცხი № 1 — 34/189 ხისაა, შედგება: ფიჩხის წნელებისა, სამი ისრისა, ორკაბა მცირე ფიჩხის წნელების და ერთი გრძელი ჯოხისაგან.

სამი ისარი ანუ სამი ჯოხი (თვითეულის სიგრძე 120 სმ) ერთი-მეორის პარალელურადაა დალაგებული (ჯოხებს შორის მანძილი 8 — 10 სმ). ჯოხები თავსა და ბოლოს ჩაქდებულია, რომ ჩაწნული ფიჩხი არ გამოიშალოს. ფიჩხი ისეა ჩაწნული, რომ ყოველი მათგანის ცერი ანუ მსხვილი თავი მოქცეულია ფარცხის მეორე ჯოხის ქვეშ. წნელის მომყოლი ტანი პირველ ისარზე ზემოდან გადაევლება და ქვეშ გამოივლის, აქედან მეორე ისარზე კვლავ ზემოდან გადადის, მესამე ისარზე ქვემოდანაა ამოხვეული და უკან ბრუნდება, საპირისპირო მიმართულებით და პირველი ისრიდან უკან დაბრუნებული ბოლოთი ექცევა მესამე ისრის ქვეშ, ამას ზოსდევს მორიგი წნელის ამავე წესით ჩაწვნა. ამგვარად, ჩაწნული ფარცხის ცერები ქვემოდან ექცევა ისარზე გაყოლებით. იმიტომ რომ ფარცხს ბელტების დაფშვნის მეტი უნარი მიეცეს, ცერების მიყოლებით მეორე და მესამე ისარს შორის ამო-

<sup>24</sup> ალ. რ. ბ. ა. ქ. ძე, მოდგამი როგორც ექსპლუატაციის ერთი ფორმა, მიმომხილველი, ტ. II, გვ. 415; თ. სახ. თ. კია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, I, 1950, იხ. კაბლო.

ტარებულა ორკაპი და კაპებით ერთი-მეორისაგან შეგრეხილი გაუსხეპავი წნელები. წნელის კაპში გაყრილია გრძელი ჭოხი. ასეთი კაპიანი წნელი იმდენი ცალია, რამდენიც თვით ცერი. ფარცხს პირველ ისარზე გამობმული აქვს წნელის ჩაგრეხილი რგოლი. რგოლის საშუალებით ფარცხი უღელს უკავშირდება (ტაბ. IV, 2). მთხრობლის გადმოცემით, „კაბლო და ფარცხი გუთნიდელას უნდა დაეშაღებინა. ფარცხის წნელისათვის გუთნიდება მეხრეს გაგზავნიდა ტყეში. ის იქ ფარცხის წნელს დაამზადებდა. წნელი უნდა შინდისა ყოფილიყო. საღამოს მოდგამის რომელმე წევრი ურემს წაიღებდა და წნელს სოფელში მოიტანდა. ფარცხის დაწვნაში გუთნიდელას მეხრე ეხმარებოდა. ფარცხი იწვნიოდა ორ ისარზე. ისრები ერთი მეორეზე თითო არმინის დაშორებით წნელებით გადაიბმოდა. შინდის წნელები ისრებზე ისე უნდა ჩაწნულიყო, რომ წნელის ცერი მეორე ისრის ქვეშ მოქცეოდა. ცერი წნელის მსხელი თავია, რომელიც ბელტებს ფშენიდა“, (სანდრო იოსების ძე წიკლაური, 80 წლისა, სოფ. ბერშუეთი, გორის რ-ნი, 1958 წ.).

ქიზიყში ფარცხის დამზადების ორი წესი იქნა დამოწმებული — ფარცხი ორ ჭოხზე დაწნული და ფარცხი სამ ჭოხზე. პირველ შემთხვევაში აღებულია ფარცხის ხე, რომელსაც წნელს ისე გადააგრებენ, რომ ცერი მოექცეს ქვემოდან. ამოხვეული ფიჩხის ტანი მეორე „საფიჩხე ხის“ ქვეშ მოექცეოდა ხოლმე. კაბლოზე მოსაბმელად ფარცხის ხეს ე. ი. პირველ ისარს წნელს გამოაბამდნენ, რასაც იქ „ყურები“ ეწოდებოდა და აღნიშნულით კაბლოზე მიმაგრდებოდა. მეორე შემთხვევაში აღებული იყო სამი ისარი — სამი ჭოხი, პირველ ისარზე ფარცხის წნელი გადაიქრიხებოდა, ცერი ამ შემთხვევაშიც მეორე ისრის ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ წნელის ტანი მესამე ისრის ე. ი. საფიჩხე ჭოხის ქვეშ უნდა მოყოლოდა. კახური ფარცხი სხვა კუთხის ფარცხებისაგან გამოირჩეოდა აგრეთვე თავისი სიდიდით. მისი სიგრძე ზოგჯერ 4 მეტრს აღწევდა. მაგრამ ქიზიყში დიდი ზომის ფარცხის გვერდით არსებობდა მცირე ზომის ფარცხი, რომელშიც გამწევე ძალად სახედარი ყოფილა გამოყენებული. სახედარშებმული ფარცხის გამოყენება უნდა ყოფილიყო შეპირობებული გლეხების ხელშოკლებით. საერთოდ ფარცხების აგებულება და მათ შორის განსხვავება როგორც ფიჩხის ჩაწვნის, ისე სიდიდის მიხედვით გამოწვეული უნდა ყოფილიყო სახნავ-სათესი ნიადაგების

მდებარეობით და ხარისხით. ვაკე ადგილებში დიდი ზომის მძინე ფარცხები, ხოლო მთის პირობებში მსუბუქი ფარცხები ზოგჯერ კაბდოს გარეშე, სწორედ ზემოთ დასახელებული მიწეზებით იყო შეპირობებული. ამას გარდა, ბარში დიდი გუთნით დამუშავებული ხნულები მთის მსუბუქი სახენელებით დამუშავებულ ნიადაგებთან შედარებით მოითხოვდა საფარცხი იარაღის შესაფერის აგებულებას, უფრო მძიმეს და უნარიანს. ყოველივე ამას ფარცხი თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც წარმატებით სძლედა თავისი ცერების საშუალებით. ნიადაგში თესლის მიბარების საკითხი კაცობრიობის განვითარებაში მიწათმოქმედების კულტურის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ მხრივ საქართველოს მემინდვრეობაში აღნიშნულ პროცესს საკმაოდ დიდი ისტორიული წარსული აქვს.

ამიერკავკასიის ტერიტორია დიდი ხნის წინათ უკვე ბინადარი მოსახლეობით იყო წარმოდგენილი. აქაური მოსახლეობა ძირითადად მესაქონლე მიწათმოქმედნი ყოფილან. ამის საბაბს გვაძლევს ბრინჯაოს ხანისათვის საქართველოს ტერიტორიაზე უხვად წარმოდგენილი სამეურნეო იარაღები. გარდა იმისა, რომ მიწათმოქმედების იარაღები ადგილობრივი წარმოშობის იერს ატარებს, ამავე იარაღების დამზადების კერები ადგილზე, საქართველოს ტერიტორიაზეა მიკვლეული. მკვლევართა საფუძვლიანი მოსაზრებით ძველად საქართველოს ბარი თუ მიწათმოქმედების კერა იყო, თავის დროზე მთა მეტალურგიის აკვანს წარმოადგენდა<sup>25</sup>.

ამიერკავკასიის მესაქონლე — მიწათმოქმედთა შესახებ სინტერესო მონაცემები მოგვებოვება ვანის სახელმწიფოს წარწერებში. მაგ., სარდურ III ალაფში გარკვეული ადგილი ეჭირა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის დალაშქვრის შედეგად მოპოვებულ ტყვეებსა და სხვადასხვა საქონლის ჯოგებს<sup>26</sup>. Haucar-ის აზრით აღნიშნული გარემოება იმაზედაც მოუთითებს, რომ ამიერკავკასია I ათასწლეულისათვის საკმაოდ მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული<sup>27</sup>. ამავე პერიოდისათვის მიწათმოქმედება

<sup>25</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, გვ. 53.

<sup>26</sup> Haucar, Fr. *Kaukasus-Luristan... Eurasia Septantrionalis Antiqua*, ტ. IX. Helsinki, 1934, გვ. 48.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 49.



საერთოდ მესაქონლეობასთან ერთად მაღალ დონეზეა ასული. აქ რომ აღარ მივუთითოთ ისეთ მაღალ სამეურნეო იარაღზე როგორც იყო კვერი, სახენელების მრავალსახეობა ძალაში უნდა ყოფილიყო. სახენელთა მრავალსახეობის გვერდითვე უნდა ეივარაუდოთ ნიადაგის მოხვნის შემდგომი დასამუშავებელი იარაღების გამოყენებაც.

აქად. ივ. ჭავჭავიძე იღობა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I წიგნში ყურადღება მიაქცია მოხნული მიწების შემდგომი დამუშავების ძველად არსებულ წესებს. „დაბადების“ მონაცემების საფუძველზე გაარკვია, რომ დაბადების ქართულ მთარგმნელთა მიერ ამ პროცესისათვის სათანადო ტერმინების მიყენება შემთხვევითი ამბავი არ იყო, რომ ნიადაგების დამუშავების გარკვეულ ეტაპს ძველად „ქვეყნის მოქმნაჲ“ წარმოადგენდა<sup>28</sup>. „მიწის ზედაპირის გასწორება, — აღნიშნავს ივ. ჭავჭავიძე, — მოწოდებულია პირისაჲ სწორედ იმ ქვეყნის მოქმნის შედეგი იყო, რომელიც თავის მხრით მოხვნას მოსდევდა“<sup>29</sup>.

აქად. ივ. ჭავჭავიძის აზრით, „ქართული ტერმინი ქვეყნის მოქმნაჲ უეჭველია, მიწის მოხვნისავე აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. არამედ მოხვნის შემდეგ ბელტების გაფხვიერება გასწორებისა“<sup>30</sup>. საეარაუდოა, რომ ძველ საქართველოში მოქმნამოწრთელების ანუ აოშვა დაფარცვის პროცესი სათანადო სიმაღლეზე იდგა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საოშ იარაღებს, კერძოდ ფოჩხს, დიდი გამოყენება ჰქონდა ანეულების დამუშავების საქმეში. ანეული, რომელიც ზაფხულის ნახნავს ნიშნავდა (საბა), როგორც აღნიშნავს ივ. ჭავჭავიძე — „ყანეულიდან“ უნდა წარმომდგარიყო და „კვლავ გადახნული ნაყანევის, დასვენებული მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“<sup>31</sup>. ანეულს ღარგად იცნობს დაბადების ქართველი მთარგმნელი<sup>32</sup>. დაბადების ბერძნულ და სომხურ ტექსტში ანეულის ადგილზე ნახმარია

<sup>28</sup> ივ. ჭავჭავიძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1. 1930, გვ. 153.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 153.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 153.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 380.

<sup>32</sup> დაბადება, იერონიო დ. გ.

ახალგატეხილში ხენის (ბერძნულში— $\tau\beta\ \nu\acute{\epsilon}\lambda\mu\chi$ ) ან უბრალოდ ხენის (სომხურში— $\text{հենի}$ ) შესატყვისი ტერმინები<sup>33</sup>.

შავთელის ლექსში ანეულის ერქვანთან გარკვეულ ურთიერთობაში წარმოდგენაც გამონაკლისად არ უნდა მივიჩნიოთ. იქ ნათქვამია, რომ

„ჰყოფს ანეულსა, მყოფს ან ეულსა,  
აროდეს ბიცად ერქვნისა ძალიო“.

მრავალუღლიანი განვითარებული სახნავი იარაღის ძალა ანეულად მოხნულს მოლოდინს არ გაუმტყუნებდა. ერქვანი მეთორმეტე საუკუნეში საანეულო იარაღია. — საქართველოს გვიან ეთნოგრაფიულ ყოფაშიც საანეულო ე. ი. ზაფხულის ნახნავისათვის საქართველოს ბარში სწორედ დიდი გუთანი იყო გამოყენებული. ზაფხულის სიცხეებით დაგვალულ მინდორს მხოლოდ დიდი გუთანი უმკლავდებოდა. შავთელის ლექსშიც დიდი გუთნის ერქვნის ძალის და ანეულის გარკვეულ მიმართებაში წარმოდგენა ძველ საქართველოში საანეულო სისტემების არსებობაზე მიუთითებს.

ძველი მიწათმოქმედების გარკვეული მონაპოვარი საანეულო სისტემა ნიადაგის საკმაოდ რთული დამუშავების პროცესია, რომელიც ქართველმა ხალხმა დიდხანს შემოინახა. ასე მაგ., ახალციხის მიდამოებში ანეულის სისტემაში შედიოდა: გათერძვა — დაგახარვა<sup>34</sup>.

ამგვარად, ანეული ქართველთა მიწათმოქმედების უძველესი მონაპოვარი ჩანს. იგი შეიძლება წინ უსწრებდეს ერქვანის გაჩენის ხანსაც კი. საანეულო სისტემა რთული სახით წარმოგვიდგება: ზაფხულში დიდი გუთნით მოხვნა, შემოდგომით მისი ხელახლა გადახვნა — აოშვა, შემდეგ კი ფარცხვა. ეს რთული პროცესი არ შეიძლებოდა იარაღის ერთი რომელიმე სახეობით ამო-

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 380.

<sup>34</sup> А. Вермишев, Земледелие гос. крестьян Закавказского края, СМИАБГЗК, т. IV, 1888, გვ. 282.

წურულიყო. ამასთან ერთად აქ საქმე გვაქვს უფრო საგულისხმო ზოგუნასთან, კერძოდ, რომ ანეულთან დაკავშირებულია საშენობის მოყვანის მოყვანა. შემოდგომის ანუ რ ბ ი ლ ი პ უ-რის მოყვანა სწორედ საანეულო სისტემასთან არის კავშირში. თავისთავად ეს ვარემოება მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის ნაჩვენებელია. რომ მეურნე თითქმის მთელი წლით მარხავს მარცვალს, რათა მომავალ წელს მოსავალი მოიწიოს, ეს მომენტი მიწათმოქმედების განვითარების მაღალ საფეხურზე მიუთითებს. ამავე შემოდგომის ხორბლეულის მოყვანასთან არის დაკავშირებული ის საინტერესო მეთოდი შემოდგომის ხორბლეულის შენარჩუნებისა, რომელიც ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ცნობილია თავთავის „დაკოდვა“, „დაყვერვის“ სახელით და „დადოლმიშების“ წინააღმდეგ ბრძოლის ე. ი. პურის გადაგვარების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად არის გამოყენებული. თავთავის დაკოდვა გამოიხატებოდა შემოდგომის ხორბლის სათესლედ აღებული თავთავებისათვის თავისა და ბოლოს მოკვეცაში და თავთავის შუა ტანის სათესლედ გამოფშენეტაში, რითაც სამოთხი წლის მანძილზე შემოდგომის პურს მაღალხვავიანობის პირობებში ინარჩუნებდნენ. აღნიშნულ ვარემობასთანვე იყო დაკავშირებული თესლმონაცვლეობა, რაც აგრეთვე გამოიხატებოდა ერთი სოფლის, ვთქვათ სარწყავი სოფლის მინდორზე ურწყავი სოფლის მინდორიდან საშემოდგომო ხორბლის თესლის გადატანაში და პირიქით. ყოველივე ეს საქართველოს მეშინდვრობაში ინტენსიური ხასიათის მიწათმოქმედების გამომხატველ ნათელ სურათს წარმოგვიდგენს.

ანეულის დასამუშავებელ იარაღთა შორის ჩვენ განვიხილეთ „ფორჩხი“. სულხან-საბა ორბელიანი ფორჩხის მაგიერ ამ იარაღის სახელწოდებად ფოცხს ხმარობს. როგორც ჩანს ფოცხი საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი ყოფილა ვიდრე ფორჩხი. მაგრამ ტერმინი ფოცხი მარტო საქართველოს მასშტაბით როდი იყო გავრცელებული, იგი სომხურშიც ამ ფორმით შესულა (*ჭიყխ*). აქარიანი ამ სიტყვას კავკასიური ბუნების მქონედ მიიჩნევს. მაგრამ ყველაზე მეტად ქართველურ ტომებში წარმოდგენილად<sup>28</sup>.

<sup>28</sup> იხ. აქარიანი, სომხური განმარტებითი ლექსიკონი. *ჭიყხ*.

რაც შეეხება საფარცხს. ამ სიტყვის ძირი შესაძლებელია „ფრცხენადან“ მომდინარეობდეს, „ფრცხენა“ ხომ „ფრცხილით“ იყო შესაძლებელი. „ყოველსა საცხოვარსა, რომლისა განყოფილიყოს კლიკი და ფრცხილითა ფრცხნიდისა“<sup>36</sup> ნათქვამია დაბადების ტექსტში. აქვს თუ არა ფარცხს ფრცხილთან რაიმე ურთიერთობა ტერმინოლოგიურ მსგავსების გარდა, გადაჭრით მტკიცება -- ჩვენ ამჯერად არ შეგვიძლია; თუ თესვის უძველეს წესს ივალს გადავავლებთ, რომელიც ეგვიპტურმა მასალამ შემოგვიხანა, ვნახავთ რომ ეგვიპტის უძველეს ხანაში თესლის დამარხვის მიზნით დათესილ ხნულზე თხების გადატარება სკოდნიათ. 2) იმავე ეგვიპტეში რამზეს IV-დან (XII საუკ. ძვ. წ. აღრ.) თესვის სხვა ფორმა ჩნდება. თესლი ითესებოდა მოხენის წინ. რომლის დროსაც დაფარცხვა აღარ იყო საჭირო. 3) თესვის პირველი წესი -- ცხოველთა „ფრცხილის“ დახმარება, საქართველოს პირობებში დამოწმებული არ არის, მეორე წესი კი გვიანდლამდე იქნა ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული. თესვის შემდგომ განვითარებულ ეტაპს წარმოადგენს ფარცხით და კაბდოს გამოყენებით წარმოებული თესვა.

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი საოშ-საფარცხები მარტო საქართველოში როდი მოიპოვებოდა, მათ ანალოგიები თვით კავკასიის ხალხთა მეურნეობაში გააჩნიათ; მაგრამ ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართლურ საოშ-ფორჩხს სიდიდის მხრივ არსად სხვაგან ბადალი არ მოეძებნება. ქართული და კავკასიური ფორჩხის ტიპური ნიშანია ერთ დედანზე ასხმული ერთმწკრივი კბილები. ამ ტიპის ფორჩხი გავრცელებულია ავრეთვე ესპანეთში, ბალკანეთში, საერთოდ ხმელთაშუაზღვის აუზში, წინა აზიაში, ინდოეთში, ავღანისტანში<sup>37</sup>. ფორჩხის მეორე ტიპად გვევლინება ერთ დედანზე ასხმული ორმწკრივი კბილები, რომელიც გავრცელებული იყო შუა აზიის ქვეყნებში, კერძოდ ხორეზმში<sup>38</sup>. ფორჩხის ძველ სა-

<sup>36</sup> დაბადება. ლევიტელთა 11 3; 11 4 11 7 11 26.

<sup>37</sup> ლ. კაკაბაძის, ჯარ ფხვილის თეორიე ზეჩქა, 1001Свод МИЭКБГКЗ-KIV. გვ. 269

<sup>38</sup> P. Leser. West-ostliche Landwirtschaft, Festschrift, Wien, 1928, გვ. 421. Рао Саheb С. К. Kalkar. Indigenous Implements, об ტაბულე-ბი, XXXIV, 4: V. 1 და გვ. 5.

<sup>39</sup> М. В. Сазонова. К этнографии узбеков Южного Хорезма, Археологические и Этнографические работы Хорезмской Экспедиции—1945—1948 гг., М., 1952, გვ. 257.

ხეობიდან მესამე ტიპს წარმოადგენს ფორჩხი ჰორიზონტალური ჩარჩოთი. რომელიც უფრო ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი<sup>49</sup>. ამ უკანასკნელს უთაერესად ფარცხის მიზნით იყენებდნენ. რაც შეეხება კაბლოს და ფარცხს იგი სხვადასხვა სახით თი-აქმის ყველა მიწისმომქმედ ხალხთა მეურნეობაში დასტურდება.

აღნიშნული იარაღების ასეთმა გავრცელებამ მატერიალური კულტურას ისტორიის მეკვლევეარი L. de la-ი იმ მოსაზრებაზე მიიყვანა, რომ იგი საოშ-საფარცხების წარმოშობის ადგილად ძველ რომს აღიარებს. ამ მოსაზრებას იგი ამართლებს იმით, რომ ძველ რომაელებს წნელებჩაწნული ფარცხი გამოყენებული ჰქონიათ სა-მეურნეო იარაღად; ვინაიდან მას ხელთ არ ჰქონდა სხვა ქვეყნებში გავრცელებული აღნიშნული იარაღების შესახებ რაიმე ისტორიული მასალა, საკითხი იოლად გადაწყვეიდა. ფარცხი, კაბლო და ფორჩხი მისი აზრით ძველი რომიდან უნდა გადმოსულიყო მის შემოხელ ქვეყნებში. მას თავისი მოსაზრების წყაროდ ერთი ნაზრივ ხელთ ჰქონდა ცნობები ძველი რომის სამეურნეო იარაღებზე, და მეორე მხრივ შემოხელი ქვეყნების აღნიშნული იარაღების შესახებ გასული საუკუნის მოგზაურთა ცნობები. ცხადია ამიერ-კავკასიაზე და საქართველოში გამვლელ მოგზაურთა ზერელე ცნობებზე დაყრდნობა ამ ქვეყნის მიწათმომქმედების იარაღებზე განვითარებისა და იმ რთული სამიწათმომქმედო პროცესების გა-უთვალისწინებლად დასკვნის გამოტანისათვის საფუძვლიან საყრდენს არ წარმოადგენს. კერძოდ, ამ საკითხზე მსჯელობისას კავკასიის შესახებ იგი ეყრდნობა A. Petzholdt-ის შრომას „Der Kaukasus“. თუ რაპდენად სანდო წყაროდ უნდა იქნას მიჩნეული A. Petzholdt-ის წიგნი, საქმარისია გავიხსენოთ ჟურნალ Записки Кавказского общества селских хозяйств-ის რედაქტორის ნ. სიტოვსკის 1864 წელს ამავე ჟურნალის № 2 დაბეჭდილი რეცენზია დასახელებულ წიგნზე. სიტოვსკი რეცენზიაში შენიშნავდა, რომ პეტ-კოლდტმა, რომელმაც კავკასიური ფარცხი მიიჩნია ჩამორჩენილი მიწათმომქმედების იარაღად, ის ველარ შენიშნა, რომ მისი თანამემამულე გერმანელი კოლონისტებიც ჩარჩოიანი ფარცხის ნაცვლად, რომელსაც ისინი კარვად იცნობდნენ, ახლა ადგილობრივ

<sup>49</sup> ლე ხე რ ი. დასახელებული შრომა, გვ. 428.

ფიჩხაწულ ფარცხს იყენებენ<sup>41</sup>. კავკასიის შესწავლა, აღნიშნავდა სიტოვესკი, — ახლა სათვალთვალო ჯოგრიტებით და სამგზავრო ეკიპაჟების თანჯარებიდან არ შეიძლება, მითუმეტეს რაიმე მცენიერული ხასიათის ნარკვევის დაწერაო<sup>42</sup>.

ექვის ქვეშ არის დასაყენებელი აგრეთვე ლეზერის გამოტანილი დასკვნები კავკასიურ საოშ-საფარცხი იარაღების შესახებ, რომელთაც თითქოს ეს იარაღები რომაელთა წყალობით შეიძენს<sup>43</sup>.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას რომ ქართველი მიწისმომქმედნი თვით იყვნენ გადამცემნი იმ დიდი კულტურის შექმადგენელი ელემენტებისა, რომელსაც მიწისმომქმედება შეიცავდა. საფიქრებელია, რომ ძველი რომაელების სამიწათმოქმედო კულტურაზე წინა აზიიდან გადასულ ეტრუსკების გავლენას გარკვეული წვლილი მიუძღოდეს.

„დედამიწა, — წერდა კ. მარქსი, — არის უდიდესი ლაბორატორია, არსენალი, რომელიც იძლევა როგორც შრომის საშუალებას, ისე შრომის მასალას, საცხოვრებელ ადგილს, კოლექტივის (Gemeinschaft) ბაზისს<sup>44</sup>“. ქართველ ხალას ეს უდიდესი ლაბორატორია რომ ჰქონდა იგი მეტად თავისებურიც იყო, რადგან საქართველოს მიწათმოქმედება გაშლილი იყო გეოგრაფიული მატური პირობების მრავალფეროვნებაში, სადაც სამიწათმოქმედო იარაღების თავისებურება და სიმრავლე კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. ჩვენ ეპოქაში ფარცხმა, კაბდომ, ფორჩხი, ორხელამ და ხის გუთანმა დრო მოჰამა, ეს საუკუნოებრივი იარაღებიც, რომლებიც ძველ მიწისმომქმედების გარკვეულ საფეხურს უპასუხებდა, დღეს ახალი სოციალისტური მეურნეობის განვითარებისა და აყვავების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა.

როდესაც საკითხი ქართველი ხალხის მიერ შეტანილ წვლილს შეეხება მიწისმომქმედების მსოფლიო კულტურის საგანძურში, ჩვენ

<sup>41</sup> Н. Ситовский, По поводу отчета о сельскохозяйственном путешествии по Закавказскому краю г. Петцольда, ЗКОСХ, № 2, 1864, გვ. 69.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 65

<sup>43</sup> P. Leber, დასახელებული შრომა, გვ. 428.

<sup>44</sup> კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 9.

გვერდს ვერ ავუვლით საქართველოში არსებული ხორბლეულის  
ენდემურ ჯიშებს, რომლებიც ქართველთა მიწათმოქმედების მალა-  
ლო დონის ნაყოფს უნდა შეადგენდეს. ხორბლეული ჯიშების შე-  
ნარჩუნება-გაუმჯობესების საქმე კი უნდა განხორციელდებუ-  
ლიყო მემინდვრეობაში არსებული ერთი მეორეზე უწყვეტ ჯაჭვად  
გადაბმული პროცესების წყალობით, რომელთანაც დაკავშირებუ-  
ლი იყო შესაბამისი იარაღები.

## თავი მეოთხე

### სამკალ-სათიბი და ხალეფი იარაღები

მას შემდეგ რაც პურის თესლს მიწას მიაბარებდნენ, იგი იწვებდა: გაღივებას, აღმოცენებას, გადაჯღომას, ჯაჭეჯილებას, მუხლში შესვლას, დაორსულებას, დაოდოშებას და შემოსვლას. შემოსულის ანუ წარმოდგომილი პურეულის მოსაწევად ძველ საქართველოში სხვადასხვა ხერხი იყო გამოყენებული. ყველაზე უფრო მარტივს აქედან ხელით გლეჯა წარმოადგენდა. ივ. ჯავახიშვილს საკვები მცენარეების და მათ შორის ხორბლეულის მოკრეფის პირველად წესად თავთავების ხელით გლეჯა მიაჩნია. აღნიშნულ წესს გარდა იმისა, რომ იგი შორეულ წარსულში ყოფილა გამოყენებული, ქართლის მთიანეთში გვიანდლამდე შემოუნახავს თავი. გვიანდელ ხანაში პურეულის გლეჯა გამოწვეული ყოფილა იწირი ნიადაგებით. იქ, სადაც ყანა დაბალი და თხელი მოდიოდა ძნელი იყო სამკალ-სათიბი იარაღების მიყენება, რაც მეურნეს აძულებდა ხელით გლეჯისათვის მიემართა. მეორე მხრივ ამ წესს ერთგვარად აპირობებდა პურეულის გარკვეული სახეობა. მაგ., ქერი, როგორც ბარში, ისე მთის პირობებში უმთავრესად ხელით იგლიჯებოდა.

სამკალ-სათიბი იარაღების წარმოშობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურთან, როცა მიწათმოქმედებას ფართო ასპარეზი შეექმნა, როცა ადამიანი ფლობს პურეულის გარკვეულ სახეობებს და ამავე დროს ზრუნავს კიდეცა შინაური პირუტყვის იაკვებით უზრუნველყოფა მოაგვაროს პურეულის ღერების ხარჯზე. ხელით ყანის თავთავების მოკრეფის გარდა საქართველოს პირობებში გარკვეული რაიონებისა და პურის ჭიშებისათვის გამოყენებული ყოფილა ყანის თავთავების მოსაკრეფი იარაღი, რომე-





ლიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „შნაკვის“ სახელით. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდში დაცულია 1938 წელს ეთნოგრაფ ფ. ქიქოძის მიერ შექმნილი, „შნაკვი“ სპ. ხუბიდან (ლეჩხუმი) № 15 — 38/13; შნაკვი — ხისაა, წარმოადგენს ორ მრგვალ ჯოხს ბოლოებში შევიწროვებულს და წვეტიანს. ყუნწი ჩაჭრილია და ზედ დახვეული აქვს თოკი. რომლის საშუალებით გადაბმულია მეორე ჯოხზე. თითოეული ჯოხის სიგრძე — 38 სმ. იხმარება მახასა და ზანდურის მოსაქრეფად. მუშაობის დროს შნაკვი მაკრატლისებურად მოძრაობდა (სურ. 8.). შნაკვით მოწყვეტილ თავთავეებს კალათში ალაგებდნენ. შნაკვის გავრცელების არეალი რაქა-ლეჩხუმით შემოიფარგლება. ის გარემოება, რომ მახასა და ზანდური საქართველოს ენდემურ პურის ჯიშებად არის ცნობილი და რომ შნაკვი აღნიშნული პურის ჯიშებთან არის დაკავშირებული, ამასთან რომ საქართველოში ლითონის ნამგალი გვიან ბრინჯაოს ხანაში ჩნდება, პროფ. ბ. კუფტინს აფიქრებინებს, რომ საქართველოში გვიან ბრინჯაოს ხანამდე ლითონის ნამგლის არ არსებობა შეპირობებულია ენდემური პურის ჯიშებით. მას შემდეგ როცა საქართველოში გაჩნდა არა ენდემური პურეული, რომელიც კუფტინის აზრით ხმელთაშუაზღვის აუზიდან უნდა ყოფილიყო შემოსული, გაჩნდა ლითონის ნამგალიც, რომელიც მისივე ვარაუდით ამ ჯიშებს თან უნდა მოჰყოლოდა<sup>1</sup>.

არქეოლოგი ოთ. ჯაფარიძე არ ეთანხმება კუფტინს და არა ენდემური პურის ჯიშების შემოსვლას ლითონის ნამგალთან ერთად აღმოსავლეთს მოაწერს<sup>2</sup>. აღნიშნული ავტორებიდან კუფტინს თავისი მოსაზრების ერთ საფუძვლად მოჰყავს კავკასიური და ქართული ლითონის (ბრინჯაოს) ნამგლების მსგავსება ხმელთაშუაზღვის აუზთან. ხოლო ოთ. ჯაფარიძე, დებულების დასაბუთებას ცდილობს კავკასიური და აღმოსავლური ნამგლების მსგავსების საფუძველზე.

<sup>1</sup> Б. А. К у ф т и я, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მუზეუმის ბოამბე, XII-В, 1944, გვ. 324.

<sup>2</sup> ოთ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, 1953, გვ. 205.

აღნიშნული მიზეზებით ეგზომ დიდი საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ ძნელია. ერთი კი ცხადია, რომ ჩვენში რბილი პურის არსებობა წინ უსწრებს ლითონის ნამგლებს.



სურ. 8. სამკალ-სათიბი იარაღები: 1. შნაკვი, 2. ნამგლები, 3. ღელები, 4-5. ცელის ტიპები

მოდგომილი „ყანის მოსაწევედ, საქართველოში“ გარდა ხელით გლეჯისა და შნაკვისა ძველთაგანვე გამო-

ყენებული იყო ნამგალი. უძველესი ნამგლის ტიპებად ჭერჯერობით კაეის ნამგლებია აღიარებული. კაეის ნამგლები წარმოდგენილი იყო კაეის ან ობსიდიანის მცირე პრიზმული ფორმის ანატაკეებით, რომლებიც ჩასხმული იყო ცხოველის ყბაში ან ხის მოღუნულ ბუდეში<sup>3</sup>. საქართველოს ტერიტორიაზე კაეის ნამგლები დამოწმებულია რამდენიმე ადგილზე<sup>4</sup>. კაეის ნამგლების გვერდით მათ თანადროულად პროფ. ბ. კუფტინმა ლითონის ნამგალიც აღმოაჩინა. კაეის და ლითონის ნამგლის თანაარსებობა მართო საქართველოს მაგალითით არ განისაზღვრება; ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა სირიასა, ეგვიპტესა და წინააზიის სხვა ქვეყნებში, სადაც აღნიშნულ გარემოებას რკინის ხანისათვისაც ადასტურებენ<sup>5</sup>. რაც შეეხება ევროპის ხმელთაშუა ზღვის უზის ქვეყნებს, მათ წინა აზიის სამიწათმოქმედო კულტურიდან შექმონდათ ბევრი რამ<sup>6</sup>. მართალია კაეის ნამგლებს გარკვეული სარიტუალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა<sup>7</sup>, მაგრამ ეს გარემოება კაეის ნამგლების გვერდით ლითონის ნამგლების თანაარსებობის საკითხის გადაწყვეტას ბევრად ვერ მოჰფენს შუქს.

ნამგლების საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გარნის ენეოლითური ხანის გათხრებს, სადაც სხვა ნივთთა შორის ნაპოვნი იქნა სპილენძის ნამგალიც<sup>8</sup>. აღნიშნული სპილენძის ნამგალი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი ენეოლითის ხანას განეკუთვნება. ამავე დროს იგი საყურადღებოა თავისი მოყვანილობით, რომელიც ხასიათდება ყუნწით, რაც ერთი მხრივ კავშირშია კავკასიურ ბრინჯაოს ყუნწიან ნამგლებთან, ამავე დროს განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს უყუნწო ნამგლებინაგან, რომელთაც ტარი წყვილი მანქვალთ ეგებოდათ. ნამგლის ორივე ტიპი ყუნწიანი და უყუნწო, როგორც არქეოლოგიური მასალები

<sup>3</sup> Götze, Sichel, Realexikon der vorgeschichte. 1928, ტ. XIII, გვ. 71;

<sup>4</sup> Б. К у ф т и н, Археологич. раскопки в Трналетн. 1, 1941, გვ. 63. ა. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, მიმოხილველი, II, გვ. 248.

<sup>5</sup> G ö t z e, დასახულებული შრ., გვ. 71. შდრ. В. В r o n t f o s, geräte alforientalischen Bodcubaus Wiss. Z. Univ. Halle, ges.—Sprachw. VI, 4, August. 1957, გვ. 683 შდრ.

<sup>6</sup> Г. К л а р к, Донсторическая Европа М., 1953, გვ. 115.

<sup>7</sup> ა. გობეჯიშვილი, იქვე. გვ. 248; G ö t z e, იქვე. გვ. 72.

<sup>8</sup> Б. А р а к е л я н, Гарни, 1., Археологические раскопки в Арменин. № 3, Ереван, 1952, გვ. 25, სურ. 12.

ცხადყოფენ, ენეოლითის ხანისათვის ივარაუდება. ამავე დროს უყუნწო ნამგლები უფრო ცელის ტიპის იარაღისაკენ იხრება. ეს იარაღი გარდამავალი ფორმა უნდა ყოფილიყო სამკალი იარაღისა სათიბისაკენ, რომელსაც საფიჭრებელია, ტარად სწორი ჯოხი ეგებოდა. ამ ტიპის იარაღი თავთავებმოცლილი ნამჭის სათიბად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ბრინჯაოს მასალის რკინის მასალით შეცვლის საფეხურზე ნამგალს უკვე ფუნქცია უნდა გაფართოვებოდა და თავთავებიანი ყანის სამკალ იარაღად ქცეულიყო. ეს ხანა 1 ათასეულის დასაწყისს უახლოვდება. ამ დროისათვის განვითარებული საღეწი იარაღი კევრი ძალაში შედიოდა<sup>9</sup>.

ნამგალი საერთოდ მარტივი, მაგრამ მეტად ფართო მოხმარების იარაღი იყო. ამიტომ საქართველოს მკვდლობის ცენტრებში მას განსაკუთრებული ინტერესით ამზადებდნენ. მკვდლობის ძველი ცენტრები საქართველოში უმთავრესად ან მთისა და ბარის საძვინდვლო ადგილებზე მოდიოდა, ან საბაზრო ცენტრებში. მაგ., ქართლში: დუშეთი, საგურამო, მეჯვრისხევი, გორი, მერეთი, ცხინვალი, ხაშური; კახეთში — თელავი, ყვარელი, ანაგა, კოტორი; იმერეთში — ხონი, სამეგრელოში — ახუთი; სვანეთში — მესტია, ჭუბური; გურიაში — მახარაძე, ნაგომარი. მაგრამ ამა თუ იმ კუთხეში მეტი უპირატესობით ერთი რომელიმე სარგებლობდა, ასე, მაგალითად, ქართლში მკვდლობის რამდენიმე კერიდან ყველაზე მეტი გასავალი მეჯვრისხეველ ნამგლებს ჰქონია. აქაურ მკვდლებს სცოდნიათ ნამგლის დამზადების თავისებური წესი. მეჯვრისხეველი ნამგლის დამზადების ტექნიკას მთხრობელი ასე ვაძმოგვეცემს: „ნამგალს წინათ ნაკუწი რკინისაგან ვამზადებდით, ნაკუწ რკინაში შედიოდა უკვე დიდი ხნის წინათ ხმარებიდან გამოსული რკინის სხვადასხვა ნივთები და მათი ნარჩენები. ასეთ სხვადასხვა სახის ნივთებს მკვდლები ქურაში ერთ ზოდად შეადუღებდნენ, შემდეგ ზოდიდან ნამგლის საყოფ ნაწილს ჩამოჰრიდნენ. ჩამონაჭერს ჯერ სიგრძეზე გაჭიმავდნენ, ხოლო შემდეგ შუაზე გააპობდნენ და ფოლადს ჩაუდებდნენ. ამის შემდეგ სანამგლე რკინა-ფო-

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. 1, 1951, გვ. 13, 14; ტ. ჩუბინაშვილი. მიცვალბულის კევრზე დასაფლავება სამთავროში საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. XII. № 1, 1951, გვ. 67—68; I. Morgan, La Préhistoire Orientale. III. Paris, 1927; გვ. 300; Я. И. Гумел, Курган № 2 близ Ханлара, КСИИМК, т. XXIV, М., 1949, გვ. 58.

ლადის ნაქერს კვლავ ქურაში ჩადებდნენ და დაადუღებდნენ. ქურაში ხურებისას რკინის ნაქერს აყრიდნენ რიყის ლამს. რომ რკინა არ გადაწულიყო — არ გადახურებულყო. როცა რკინა გახურდებოდა და ყვითელ ფერს მიიღებდა, გამოიღებდნენ და კვერის ცემით შეახორცებდნენ, 'ნამგლის ფორმას მისცემდნენ და პირს გამოუყვანდნენ; შემდეგ ხდებოდა მარაგის და ყუნწის გამოყვანა, რომ ნამგლის პირი წყალში წრთობით არ გამრუდებულყო, მომზადებული ჰქონდათ ნამგლის ფორმის ყალიბი ძროხის ქონით. ძროხის ქონში ნამგლის წრთობა წყალთან შედარებით ხანგრძლივდებოდა. სამაგიეროდ ასეთი ნელი წრთობით ნამგლის თხელი პირი არ მრუდდებოდა და საიმედო იყო". მქედლებისავე გადმოცემით რკინა-ფოლად ნარევი ნამგალი უკეთესი გამოდიოდა. ასეთ ნამგალს, როგორც სიმაგრე, ისე მქრელობა და მეტი ელასტიურობა ახასიათებდა. ყველა მქედელმა ნამგლის დამზადების ეს მეთოდი არ იცოდა; ვინც იცოდა ამ მიღწევას სხვას ისე ადვილად არ უზიარებდა, იგი მხოლოდ მომავალ თაობას მემკვიდრეობით გადასცემდა. იქნებ ნამგლის დამზადების ამგვარი ტექნიკა იყო მიზეზი იმისა, რომ მეჭვრისხეველ ნამგალს ფართო ბაზარი ჰქონდა, მისი გატანა ხდებოდა: ბაღიაურში, ყანდაურში, საგარეჯოში, მანგლისში, ალგეთის ხეობაში და დმანისის რაიონის ზოგიერთ სოფლებში.

ნამგლებს, ისე როგორც ლითონის სხვა იარაღებს, თან ახლდა მქედლის დამლა. ხშირად მქედლის დამლა მოხელის გვარისა და სახელის ინიციალებით იყო წარმოდგენილი, ზოგჯერ ცხოველის ან ფრინველის რაიმე ნიშნით, ან კიდევ მზის, მთვარის გეომეტრიული ორნამენტებით. მქედლის დამლა თაობიდან თაობაში გადადიოდა თითქმის უცვლელად და ხშირად განაყარ ოჯახსაც უწილადდებოდა. გორის რაიონის, სოფ. ზერტიში მცხოვრები მქედელი ვასო სოლომონის ძე მაზანაშვილის თქმით: „მეჭვრისხეველა მქედელი მაზანაშვილები მათი ბიძაშვილები არიან. მათ ჰქონიათ მამა-პაპეული დამლა, ეს იყო კურდღლის ფეხი. ვინაიდან ჩენი მოდგმა მქედლები იყვნენ, რო გაიყარნენ ბიძაშვილებიც ამ დამლას ადებდნენ“ (ვასო სოლომონის ძე მაზანაშვილი, 55 წლის, სოფ. ზერტი, 1952 წ. გორის რ-ნი). ეს გარემოება საყურადღებოა. ვინაიდან ნამგლის დამღების შესწავლას შეუძლია დაგვეხმაროს ამა თუ იმ მქედლის ნახელავის გავრცელების დადგენის საქმეში.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე შემონახულია და გავრცელებულია ნამგლის სხვადასხვა ტიპები. მათი დაყოფა შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით მაგ., მარანგის<sup>20</sup> პირის მოყვანილობისა და სხვ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული ნამგლები პირის გამახვის მიხედვით ორ ტიპად წარმოგვიდგება — გლუვიპირიანები და დაკბილულ პირიანები ანუ ღუღეები. გლუვიპირიანებში ექცევა სამკალ-სათიბი და სასხლავ-საჩეხი ნამგლები, დაკბილულ პირიანებში სამკალი ღუღეები. ნამგლების დაყოფის მეორე ნიშნად მარანგი || მარაგი შეიძლება ავიღოთ. ნამგლის მარაგი სახელურის ყუნწიდან იწყება და საკრელ პირამდე გრძელდება. ნამგლის მარაგი ან ვიწროა და სქელი (ეს შეიმჩნევა არქეოლოგიურ რკინის ნამგლებში), ან ბრტყელია და თხელი. ლესილპირიან ნამგლებს სხვადასხვა ზომის მარაგი გააჩნიათ; მათი სიგრძე 15-დან 30 სმ-მდე აღწევს. უმარანგო ნამგლებს სამუშაო პირი ყუნწიდანვე ეწყებათ.

ნამგლები ერთი მეორისაგან განსხვავდებიან სამუშაო პირის მოყვანილობითაც. არის ნამგალი უბეჩაბრუნელი და არის უბეგაყვანილი. მათ შორის განსხვავება იმაში ზღგომარეობს, რომ უბეჩაბრუნებულ ნამგალს სამუშაო პირი ნამგლის მოხრილობამდე ეწყება ე. ი. მარანგის გაგრძელებაზე, უბეგაყვანილს კი ნამგლის მოხრილობიდან. უბეგაყვანილი ნამგლები ხასიათდება შედარებით გრძელი მარანგით, რის გამოც მუშაობის დროს მარჯვენა ხელს შედარებით თავისუფლად უხდება მოძრაობა. უბეჩაბრუნებული ნამგლით მუშაობისას კი მარჯვენა ხელის მოძრაობა გარკვეულ მანძილზე სრულდება, — იგი უფრო მოკლე რადუსიან მოქნევას აკეთებს. უბეგაყვანილი ნამგლებით მუშაობა მშველს ყანის დიდი რადიუსით თავმოყრის საშუალებას აძლევს, მაგრამ ამავე ნამგლის უბეში მოყრილი ყანის დაბლუჯვა ნამგლის გაშლილი პირის გამო ძნელდება, ამიტომ მის დასაძლევად სათითებებს იყენებდნენ.

საყურადღებოა, რომ თრიალეთური კაჯის ნამგლის საკრელი კბილების რაოდენობა საკმაოდ მოზრდილი რადიუსის მქონე ნამ-

<sup>20</sup> მარაგი—მარანგი—საბას განმარტებით—ნამგლის ტარი. მარაგი წარმოადგენს ნამგლის საკრელი პირიდან სახელურამდე დატოვილ ღერს, რომელიც სხვადასხვა ნამგლებში სხვადასხვა ზომით წარმოგვიდგება.

გლის ფორმას გვაძლევს<sup>11</sup>. ცნობილია, რომ პირველად კაჟის ფირფიტები ცხოველების ყბის კბილების ბუდეებში ლაგდებოდა. თრიალეთური კაჟის ნამგალი ყბის ფორმას სცილდება და როგორც ჩანს მას ხის ბუდე გააჩნდა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გ. კლარკი იხილავს რა ევროპის ნამგალთა გენეზისის საკითხს, ცხოველის ყბის მაგვარი ნამგლის ფორმას ევროპაში მეტალურგიის გაჩენის ხანას უკავშირებს და მას მახლობელი აღმოსავლეთიდან შესულად მიიჩნევს<sup>12</sup>. თრიალეთური კაჟის ნამგალი ამ ფორმიდან უკვე რამდენადმე წინ არის წასული.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სხვადასხვა დანიშნულების ნამგლები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. არსებობდა სამკალი, სათიბი, სასხლავი, საჩეხი და სხვ. ნამგლები<sup>13</sup>. განსხვავდება შეინიშნება არა საერთოდ ფუნქციონალურად განსხვავებულ ნამგალთა შორის, არამედ სამკალ ნამგლებშია. ამის მიხედვით ქართლური სამკალი ნამგალი განირჩევა კახურისაგან, ხოლო თვით ქართლურში ანსხვავებენ მთისა და ბარის ტიპის ნამგლებს. მთის ნამგალი პატარა რადიუსიანი სამუშაო პირითა და მოკლე მარაგით ხასიათდება. ხშირ შემთხვევაში მთის ნამგალს მარაგი არც გააჩნია, იგი ბარულთან შედარებით ტლანქად არის დამუშავებული. იმას გარდა, რომ ნამგლები განსხვავდებოდა, განსხვავებული იყო ამ იარაღით მუშაობის წესიც. ჯერჯერობით ჩვენ მიერ დამოწმებულ იქნა ყანის მკის ორი წესი: მკა ნამგლის ერთი გამოსმით და მკა დ ა ნ ა ც ე ლ ე ბ ი თ. მკა ნამგლის ერთი გამოსმით გულისხმობს მმკელის მიერ მოსაპრელი ყანის ნამგლის უბეში შემოკრებას და ნამგლის გამოსმას თავისკენ, რასაც ის აღწევს ნამგლის მარჯვე შემოქნევით მარჯვენა მხრიდან. ნამგლის უბეში მოყრილ ყანას მმკელი მარცხენა ხელით ბლუჯავს და წინ ნამგლის პირზე გადაწევს, ხოლო იმავე მომენტში მარჯვენა ხელით ნამგალს თავისკენ მიიზიდავს. მკის ეს წესი იმითაა საყურადღებო, რომ მას საქართველოს გარკვეულ რაიონებში იყენებდნენ. ამ წესით მკიდნენ ალაზნისა და ივრის

<sup>11</sup> Б. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети, т. 1, Тб. 1941, ტაბ. XLIV, ტაბ. XI, V.

<sup>12</sup> Г. К л а р к. Донсторическая Европа, 1953, გვ. 117.

<sup>13</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ბაქურციხის არქეოლოგიური ძეგლები, ხელნაბეჭდი, თბ., 1941, გვ. 81—87.

ქობის ბარში. შედეგი ამ სახით შესრულებული მუშაობისა ისაა, რომ ნამგლის ერთი გამოსმით მუშაობისას ყანა თითქმის შუაზე იჭრება. ამიტომაც ის რაც მოუჭრელი რჩება მიწაზე საკმაოდ მაღალია, რომელსაც ნამჯას უწოდებენ. ამგვარად მომკილ ყანას საბოლოო შედეგი ის მოსდევს, რომ მოსავლის გაღწევა იოლი ხდება ბზის სიმციროს გამო. იქ, სადაც მკის ასეთი წესი იყო გამოყენებული, მშველები ხის ერთ სათითეს იცვამდნენ, რომელსაც მარცხენა ხელის ნეკათითზე იკეთებდნენ: ხშირად ხის სათითის მაგიერ ტყავის უქვიტო სათითეც ჰქონიათ. ხის სათითეების ნაკლებ გამოყენებას კი იმით ხსნიან, რომ მათ დანაცვლებით მშველებივით ყანის მუჭაში შემოკრება არ უხდებათ და 'ნეკზედაც' ნხოლოდ იმიტომ იცვამენ, რომ ნამგალზე თითი არ გაიჭრან. მკის ამ სახეობას მთხრობელი იმით ხსნის, რომ მათი ყანები სქელი და მაღალი იზრდება და ძირში რომ მოჭრან ნამჯა ლეწვის საქმეს გააძნელებს.

მკის მეორე სახეობა — დ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ი თ ი მ კ ა გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი იყო ქართლსა და მთიულეთში. ამ სახის მკა ვარაუდობდა ყანის ზედა ნაწილში ნამგლის მოდებას, მოსაჭრელი ყანის ღერების ნამგლის უბეში შემოკრებას, მარცხენა ხელით მათ დაბლუჭვას; ამის შემდეგ ნამგლის ქვემოთ ყანის ძირებისაკენ დაშვებას-დანაცვლებას და ნამგლის მოზიდვას. ასეთი წესით ყანა ძირში იჭრება და ძირს დარჩენილ მოუჭრელ ყანის ნაწილს „ნაწვე-რალს“ უწოდებდნენ. „ნაწვერალი“ ძველი ქართული ტერმინის „წუელის“, რაც ყანის ღეროს აღმნიშვნელი იყო, სახეცვლილი ფორმაა. სადაც ფუძისეული „ელ“ გააფრიკატების შედეგად ნაწველარის მაგივრად ნ ა წ ვ ე რ ა ლ ი ა მიღებული.

როგორც განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, „თავდაპირველად ადამიანს პურეულის მოკრების დროს მხოლოდ მისი თავთავების შეგროვება აინტერესებდა. პურეულის ჩალა მას არ სჭირდებოდა, რადგან საქონლის საკვები ბალახი ისედაც ბევრი იყო. მხოლოდ შემდეგში, მოსახლეობის გამრავლებისა და ნკვიდრი ბინადრობის მოკიდებასთან ერთად, პურეულის ჩალის გამოყენებაც აუცილებელი შეიქმნა<sup>14</sup>. ჩვენ მიერ აქ წარმოდგე-

<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 79.



ჩილ მკის ორ წესში გაწესებულების გამომწვევი გარკვეული მიზეზები უნდა ვიგულოთ. მკის პირველ წესში საქონელზე ზრუნვა პურის ჩაღის ხარჯისაკენ არ იხრება. მეორეში პურის ჩაღის ზედმიწევნით ძირამდე ჭრიან ისე, რომ მხოლოდ ნაწვევრალიღა რჩება. ეს თავისი მხრით იარაღის გარკვეულ ფორმის ჩამოყალიბებაზე რეაგირებს, თხოულობს მის დიდ რადიუსიანობას. ამასთან ნამგლით მუშაობის მეორე წესს ემატება მმკელის დამატებითი აღკაზმულობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მკელს ყანის დაბლუჯვის რადიუსის გადიდების მიზნით მარცხენა ხელზე წამოცმული აქვს სამი ცალი ხის ჰვინტიანი სათითვე კრასაც პირველ წესში ერთი სათითვე ცელიღა. დანაცვლებით მკას ხშირად თხელი და დაბალი ყანები იწვევღა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც საქონელზე ზრუნვა იყო მაინც წამყვანი. თქმა იმისა, რომ იმავე კახეთში მკის პირველი წესის არსებობა საქონლის საკვებზე ზრუნვას გამორიცხავღა, არ შეიძლება. აქ უეკვეღად დიდ როლს თამაშობღა ივრისა და ალაზნის სანაპიროების კარგი საძოვრები. ივრის სანაპიროების შესახებ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იუწყებოღა, რომ ზამთარ-ზაფხულ ბალახი ითიბებისო<sup>15</sup>. ისე რომ, პურის ჩაღით დაინტერესება აღნიშნულ კუთხეში შეიძლება ამითაც იყო ერთგვარად შენეღებული.

მკის ამ ორი წესიღან უფრო აღრეულ ფორმად ნამგლის ერთი გამომსით წარმოებული მკა უნღა იქნეს მიჩნეული. საყურადღებოა, რომ ძველ ეგვიპტეში და ეგეოსის კულტურაშიც ყანა თავთავებთან ახლო იქრებოღა<sup>16</sup>. იყო თუ არა აქ ზრუნვის საგანი საქონელი ან თუ ჩაღით არ იყო დაინტერესება, რა ეწოღა იგივე პურის ნამჯის მაგეირობას, ჩვენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯრუჰის ოთხთავში წარმოდგენილ მმკელის მინიატურაში მმკელს სათითვებიც აქვს გაყეთებული. მკის მეორე წესი აქ მტკიცედ შეიძლება ვივარაუდოთ, რადგან მკელი იმავე დროს ძირში ჰრის ყანას<sup>17</sup>.

მკა მეტად მძიმე სამუშაო იყო. მმკელს უხდებოღა გამხმარი, გაფიცებული ყანის ხელით დაბლუჯვა, მთელი დღეების მანძილ-

<sup>15</sup> ჯართლის ცხოვრება. ან-დღოფლისეული ნუსხა. თბ.. 1942. გვ. 210.  
<sup>16</sup> (Vignot). ხაღით ზითითებული შრომა. გვ. 71; Knapik, G. Динсторическая Европа. М.. 1953. ვვ. 117.  
<sup>17</sup> საქ. საბ. მეხ. ხელნაწერთა II ფონდი № 1667. გვ. 87 წარმოდგენილი მკა.

ზე წელში მოხრილს მუშაობა. ამ მძიმე მუშაობის შესამსუგებებლად ქართველი მეურნე სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. იმისათვის, რომ თვალები ოფლისაგან დაეცვა შუბლზე „საოფლეს“ იკეთებდა; მკლავების დაზიანებისაგან ასაღებლად „სამკლავეებს“ და „საძაჭურებს“. ტანზე კი ან უსახლებო დაბამბული „დუშლული“ უნდა სცმოდა (ქართლი) ან წინსაფარი-სამკვდილი (ქიზიყი). საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში დაცულია № 10 — 34/8 საოფლე. საოფლე წარმოადგენს ვიწროდ ჩაყერილ დაბამბულ ნაჭერს, რომლის სიგრძე 24 სმ-ია. სიგანით კი 4 სმ. ნაჭერს აქვს თავზე გასაკვრელი ორი მოკლე ზონარი. მშველს მუშაობის პროცესში ქული არ ეხურა, ან მხოლოდ საოფლეს გაიკრავდა შუბლზე ან თავშალი ჰქონდა თავზე წაკრული. საოფლეს დანიშნულება იყო თავიდან ჩამონადენი ოფლის შეწოვა, რომ თვალები არ შეეწუხებინა. სამკლავე (კოლ. № 10 — 34/9) წარმოადგენს მრგვალად ამოკერილ ტილოს ნაჭერს. იგი ჩვეულებრივ სახელოს წააგავს, რომელიც წინ რომ არ წამოხდილიყო, მაჯაზე კვლავ ნაჭრით გაჯადაიხვეოდა. ამ უკანასკნელს სამაჯური ეწოდებოდა. სანაჯური ორკეცად შეკერილი ნაჭერია, სიგრძით 50 სმ., სიგანით 6 — 7 სმ. მშველი, რომ მუშაობის პროცესში არ გაცივებულიყო. როგორც ზემოთაც ითქვა, უსახლებო დაბამბული საცმელი ჯაჩნდა. გადმოცემით ასეთ საცმელს ტანზე მოდენილი ოფლი გარეთ არ უნდა გამოეშვა. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სამკვდილის შესახებ ცნობები პირველად სტ. მენტეშაშვილმა გამოაქვეყნა საქ. სახ. მუზეუმის მონაბეში. მანვე ჩამოიტანა მუზეუმში სამკვდილის ერთი ეგზემპლარი № 10 — 34/6. 1953 წელს კიდევ ერთი სამკვდილი შეემატა ჩვენს მუზეუმს<sup>18</sup>.

მშველის კოსტუმის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ქიზიყური „სამკვდილი“. სამკვდილი შედგება ზედატანისა, სახელოები-სა და წინსაფარი კალთისაგან. წელსქვეითი ნაწილი ანუ წინ კალთა მთლიანი ტყავია. კალთას აქვს მოკვრებული წელზე შესაკვრელი ბაწრები. ქვედა კალთა ზედატანზე წაკვრებულია მხოლოდ წინა მხრიდან. სამკვდილის ზედატანი ერთი მთლიანი ტყავისაგან არის დამზადებული. ტყავის შუაზე ამოჭრილია თავის გასაყოფი საყელო. საყელოს შემოვლებული აქვს ქსოვილის ნაჭერი. სამკვდილს მხრებზე მოკვრებული აქვს ტყავისავე სახელოები, რომლე-

<sup>18</sup> სტ. მენტეშაშვილი, კალთობა ქიზიყში, საქ. სახ. მუზეუმის მონაბე. ო. 1X-ბ, გვ. 60.

ზიც ილლიიდან მაჯამდე გახსნილია, ხოლო მაჯასთან მცირეზე ჩა-  
ყვრილი. სამკვდილის უკანა კალთა მხრებზეა გადაფენილი და ძუ-  
შაობის დროს მხოლოდ დაფარებულ მდგომარეობაში რჩება.  
სამკვდილს წელზე მიკერებული აქვს ტყავის ფუნჯები, რომელზე-  
დაც სამაჯურები, საოფლე, სათითე და მუშა  
იყო ხოლმე მიბმული. სამკვდილის ზომები შემდეგი სახით წარ-

რ

სურ. 9. მკელი სანკვილით

მოვეიდგება: წინაკალთის სიგრძე — 52 სმ, სიგანე — 70 სმ; ზედა-  
ტანი მხრებამდე — 48 სმ, უკანსაფარი მხრებიდან — 26 სმ, სახე-  
ლოების სიგრძე — 64 სმ-ია (სურ. 9).

სამკვდილი მზადდებოდა დათრიმლული ტყავისაგან. მასალად იყენებდნენ თხის, ცხვრის და ხბოს ტყავს. ერთ სამკვდილს ორი ტყავი სჭირდებოდა. ტყავეები დაბლებთან მიჰქონდათ თურმე. ხშირად შეეკრვიათ ციცივე ტყავის მოხელეები კერავდნენ. ან გამოყვანილ ტყავს გლებები სახლში წაიღებდნენ და სასურველ სამკვდილს იკერავდნენ. ჩაცმის წინ სამკვდილი ცხვრის ქონით უნდა გაეპოხათ, დაეღობოთ. ასევე პოხავდნენ მუშაობის შემდეგაც. სამკვდილის შიგნით ან არაფერს იცვამდნენ ან თუ ჩაიცვამდნენ მხოლოდ პერანგს.

მკვდლის აღჭურვილობაში შედიოდა სათითე. სათითე ხისა მზადდებოდა, ძველად სცოდნიათ რქის სათითის ხმარებაც (თელავის მუზეუმის კოლექცია № 1490). საქართველოში როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ იცოდნენ ერთი სათითის ხმარება (ყვარლის და სიღნაღის რ-ნი) და ერთზე მეტი სათითის ხმარება, კერძოდ ორის, სამის (ქართლი). საქართველოში ხის სათითეები თვითეულ თითზე ცალ-ცალკე იცმოდა მეტი მოხერხებული მოქმედებისათვის სათითეს თითის წვერთან საქარეს უყოლებდნენ. თითს მუცელზე ტარის გაგრძელება ჰქონდა, რომელსაც მცირე ნაჩვრეტი გააჩნდა. აღნიშნულ ნაჩვრეტში თასმა იყო გაყრილი და მაჯაზე მიიბმოდა. აღსანიშნავია, რომ თურქეთში და დაღესტანში სამკალ სათითეებს თუმც იყენებდნენ, მაგრამ მათი სათითე სამი თითისათვის ერთი ფიცრისაგან არის გამოთლილი. ამიტომ სამივე თითს მუშაობის დროს ერთიმეორისგან დამოუკიდებელი მოძრაობის შესრულება არ შეუძლია, როგორც ეს ქართულ სამკალ სათითეებშია წარმოდგენილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ სათითეების გამოყენების ისტორია მკაში საქმაოდ ძველი ჩანს. იგი ჯერ კიდევ ჯრუჯის ოთხთავის მინიატურაშია ასახული. რაც შეეხება „მუშას“, იგი წარმოადგენდა მოკლე მაგარი ხის ჯოხს, რომლის სიგრძე ნაქვეარ მეტრზე ნაკლები იყო, სიმსხოთი ცერისთითისოდენა. მისი ერთი თავი კონუსური წვერით ბოლოვდებოდა. წვერთან ახლო მცირე ჰლე გააჩნდა. მუშას იყენებდნენ ძნის შესაკვრელად, ულოს გამოყურთმაჯების დროს ნასკვის გასამართავად. „მუშის“ საშუალებით ულოს შეკონვა რამდენადმე ჩქარდებოდა და ხელიც არ ზიანდებოდა. ხშირად მუშის მაგიერობას ჩვეულებრივი ტაბიკიც ეწეოდა.

როგორც ვნახეთ სამკვდილი თავისი მხრით მშველის სხვა აღ-  
 ჟურვილობათა კომპლექსშია წარმოდგენილი. თვით ტერმინი სამ-  
 კვდილი ძველ ქართულ მწერლობაში არ ჩანს. ქართველ ლექსი-  
 კოგრაფსაც სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ამგვარი  
 სიტყვა არ მოეპოვება. აღსანიშნავია, რომ იმავე ქიზიყში. სადაც  
 აღნიშნული ტერმინი და აღწერილი ჩასაცემელია წარმოდგენილი,  
 სამკვდილი მარტო მკელის ჩასაცემელს როდი ეწოდება, მკედლის  
 წინსაფარსაც სამკვდილს ეძახიან. ზოგად სამეცნიერო ლიტერატუ-  
 რაში მკელის სამკვდილის მსგავსი ჩასაცემელი სხვა ხალხთა ყოფაში  
 დადასტურებული არ არის. არც ძველი ეგვიპტის და არც წინა  
 აზიის მხატვრობაში მშველებს რაიმე ჩასაცემელი არ გააჩნიათ.  
 ეგოსის კულტურაშიც მშველები, ისე როგორც ძველი ეგვიპტე-  
 ლები, წელსზემთ ჩაუცმელნი არიან. ერთგვარ ექვს იწვევს ჰა-  
 ვია ტრიადაში ნაპოვნი მშველების ვაზა (Schmittnerwaase). რო-  
 მელზედაც მშველთა შორის წარმოდგენილ ერთ-ერთ პიროვნებას  
 აცვია უსახლებო კოსტიუმი თევზის ფარფლისებური მორთულობით.  
 დანარჩენი მშველები, აღნიშნულ ვაზაზე რომ არიან წარმოდგე-  
 ნილნი, წელს ზემთ ჩაუცმელნი არიან, მხრებზე ფიწლები აქვთ  
 ვადებული და სიმღერით მიემართებიან სამკალად (აღნიშნულ ვა-  
 ზას ძვ. წ. XVI ს. ათარიღებენ). აღნიშნულ ვაზაზე Karo-ს დაკვირ-  
 ვებით. მშველებს ნამგლები უჭირავთ და წელზე სალესავებიც;  
 აქვთ ჩამოკიდებული. ამ სცენის მონაწილე ჩაცმული პიროვნება  
 კი მიჩნეულია მეთაურად — ხელმძღვანელად<sup>19</sup>.

ტყავის სპეც-ტანსაცმლის არსებობა ქიზიყის პირობებში  
 შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს. ამ მდგომარეობას აპირობებ-  
 და ქიზიყის მეურნეობაში. როგორც მეცხოველეობის საკმაოდ  
 ძველთაგანვე მაღალ დონეზე არსებობა, ისე ქიზიყის პირობებში  
 ტყავის დამუშავების საქმის ცოდნა და მიყოლა.

ამასთან დაკავშირებით გ. ჩიტაიას აზრით წინსაფარის გავრ-  
 ცელების არეალი კავკასიის იმ ხალხებში მოწმდება, რომელნიც  
 მეცხოველეობას. კერძოდ მეცხვარეობას მისდევდნენ. წინსაფარს  
 გ. ჩიტაია უკავშირებს ძაფის რთვის. ამ მოსაზრებას ქიზიყელთა  
 ყოფაში საკმაო საფუძველი მოეძებნება, რადგან. როგორც ცნო-  
 ბილია, ქიზიყელთა ძველ ყოფაში მეურნეობის წამყვანი დარგი

<sup>19</sup> Reallexikon. ტ XI ტ.ბ. 95.

უფრო მეცხოველეობა იყო. ქიზიყის სოფლების დღევანდელი სახ-  
ნავ-სათესი ადგილების სიშორეც იმაზე მიუთითებს, რომ მათი  
მინდვრები უმთავრესად საძოვრებად იყო გამოყენებული და არა  
სახნავ-სათესად. მაგრამ დროთა განმავლობაში იგივე ქიზიყის  
მეურნეობაში წამყვან დარგად უნდა წამოწეულიყო მევენახეო-  
ბა, რომელსაც ხელს უწყობდა საკმაოდ კარგი მდებარეობა. შე-  
საძლებელია მეურნეობის ეს დარგი ალაზნის არხის გაყვანის შემ-  
დგომი ხანის ნაყოფი იყოს.

მშველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარცხენა ხელით ყანას  
ბლუჯავდა; მარჯვენა ხელში ნამგლით ყანის მკას — შოკრას აწარ-  
მოებდა. იმისათვის, რომ მომკილი ყანა ხელში მეტი მოეგროვებინ-  
ა, რათა მეულოეს-ძნის შემკვრელს მუშაობა გაადვილებოდა,  
შეკლს მარცხენა ხელის თითებზე წამოცმული ჰქონდა სათითებო.  
სათითებს ორი დანიშნულებით იკეთებდნენ, სახელდობრ, ხელი  
დაზიანებისაგან დაეცვათ და ყანა მეტი დაეგროვებინათ. მომკი-  
ლი ყანის იმ რაოდენობას რაც მუქაში თავსდებოდა, მუქე უ-  
ლი ეწოდებოდა. მუქეულზე მეტის დაგროვების მიზნით მარ-  
ცხენა ხელში დაგროვილი ყანის ღერებს იმავე ნამკალიდან რამ-  
დენამე ღერს უტბად გადაახვევდა და სალოკი და შუა თითის ქვეშ  
გაატარებდა, ეს უკვე მუქეულს აღემატებოდა, მას წკიპურტს  
(გარეკახეთი, კახეთი) ან თიბურტს (ქართლი) უწოდებდნენ.  
წკიპურტი მუქეულის შემდეგ ორი სამი კეთდებოდა.  
მუქაში ბლომად დაგროვილ მომკილ ყანას კი ხელეური  
რქმევია. სამ-ოთხ ხელეურს ერთი ძნა გამოდიოდა. ხელეურებად  
დალაგებულ ყანას მეხელეური ძნებად დაალაგებდა და  
შემდეგ მეძნეური ულოს საშუალებით შეკონავდა. მკის  
დროს მშველთა და მეულოე მეძნეურთა შო-  
რის ასეთი შეფარდება ყოფილა: 4 მომკალს ერთი მეხელეური და  
ერთი მეძნეური უნდა ჰყოლოდა. თუ მომკალთა რიცხვი მეტი  
იყო, მაშინ საჭირო ხდებოდა ერთი მეულოეს გამოყოფაც, რომე-  
ლიც საულოე ყანას გლეჯდა, ალბობდა და ყანის ულოს-საკონავს  
ამზადებდა. თუ სამკალთან წყალი შორს იყო, მაშინ მეულოე დო-  
ლით ადრე უნდა გასულიყო, მზის ამოსვლამდე საულოე ყანა მო-  
ეკრა. თუ ყანა მოკლე იყო ძირიანად უნდა მოეგლიჯა და ნესტიან-  
ადგილზე შეენახა, რომ მუშაობის დროს ადვილად გადაეგრიხა.  
შეკონილი ძნები ლაგდებოდა „სამეულებად“ ან „ოთხეულებად“.

ქართლსა და კახეთში ძნების დალაგების წესი სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება. მთის ფერდა ადგილებში სამეულებად დალაგებული ძნა ისე უნდა ყოფილიყო დაწყობილი, რომ წვიმის შექმნის დროს წყალი იოლად აეცდინა. ამ მიზნის მისაღწევად ორ ძნას თავთავების მხრით ფერდის დაქანებისაკენ მოათავსებდნენ, მესამეს კი ზემოდან მათ საპირისპიროდ. სამეულში სამი ძნა შედიოდა. ბარში სამივე ძნა თავთავებით ერთ მხარეზე იყო მიმართული. ოთხეულებად დალაგების დროს მეოთხე ძნა გარდიგარდმო თავსდებოდა. მთხრობლის გადმოცემით ოთხეულებად დალაგება უმთავრესად სადალოდ აღებულ სამეოთხედო მამულებში სცოდნით. მამულის პატრონი ურმით ჩამოუვლიდა და ამ მეოთხე ძნას აიღებდა თურმე.

ურემზე რომ დადება გაადვილებოდათ, სამეულები შემდეგ ათეულებად ან ურმეულებად ლაგდებოდა. ათეულში ათი ძნა შედიოდა, ურმეულში უფრო მეტი. ექვსი ურმეული ერთ სათვალავს შეადგენდა. ძნების დადგმის სხვა შესატყვისებიც გვხვდება, მაგ., ძირი, წერა, ბჭა, ფეხი, ფთემოქცეული და სხვ.

ნამგლებს გარდა, პურეული მოსავლის ასაღებად გამოყენებული იყო ცელიც. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცულია ქართული ცელის რამდენიმე ნიმუში. №№ 62/39/65; 26 — 07/56; 63 — 39/3; 202 — 89; 15 — 38/39; 10 — 23/15; 13 — 27/205 და სხვ. (სურ. 84, 8).

გაწყობილი ცელი შედგება პირის, ტარის, რგოლის და სახელურისაგან. ჩამოთვლილი კოლექციიდან განსაკუთრებით გამოირჩევა № 62 — 29/35 ცელი. აღნიშნული ცელისპირი სწორი რკინაა, სიბრტყით 5 სმ, პირის სიგრძე 51 სმ, წვერი შემოკავებული აქვს იგივით, ყუნწით შესმულია ხის ტარში და მაგრდება რგოლით, რგოლი რკინისაა. ხის ტარი სიგრძით 154 სმ-ია, ტარს სახელური არ გააჩნია (საერთოდ, ქართული ცელისათვის ტარზე მოწყობილია სახელური არ იყო დამახასიათებელი, რასაც მთხრობლები იმით ხსნიან, რომ ქართული ცელით ორივე მხარეზე, ე. ი. მარჯნიკ და მარცხნივ ერთნაირად მუშაობდნენ, რაშიაც სახელური ხელს შეუშლიდა). ყუნწიდან ტარი შიგნით არის მოხრილი. შემდეგ კი იგი ისევე ცელის პერპენდიკულარულად დგება.

ცელის ყუნწის ხის ტარში ჩასამაგრებლად ძველად გამოყენებული ყოფილა წნელის „ჩორჩოტინა“, ზოგჯერ კი ხარის ან კამეჩის რქისაგან გამოჭრილი რგოლი. რქის რგოლით არის წარმოდგენილი № 26 — 07/56 ცელი. წარმოდგენილი კოლექციის მიხედვით, ცელის ყველაზე მარტივ ტიპს სევანეთიდან ჩამოტანილი № 26 — 07/56 შეადგენს. აღნიშნული ცელისპირი სიგრძით 16 სმ-ია, პირის სიბრტყე 3 სმ. ცელისპირებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ბარში შედარებით დიდი ზომის, ხოლო მთაში შედარებით მოკლე და ვიწრო პირიანი (განსაკუთრებით სევანეთში) ეკლები ყოფილა გავრცელებულ-გამოყენებული, მაგ., № 15 — 38/89 ცელის პირის სიგრძე 83 სმ-ია, № 202 — 89-ისა 49 სმ, № 13 — 27/205 კი 52 სმ. ქართულ ცელს ადგილობრივი მკვდლები აწვადებდნენ.

უფრო გვიან, კერძოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ცელის გვერდით ჩნდება „რუსული ფაბრიკული ცელი“. რუსული ცელის შემოსვლას თან მოჰყვა ცელისპირის გამოსაყვანი მოწყობილობა ზინდან-კვერის სახელწოდებით. ქართული ცელი თუ ქვაზე ილესებოდა, რუსულ ცელს „გამოწევა“ სჭირდებოდა ხოლმე. რუსული ცელისათვის საჭირო ზინდან-კვერი შედგებოდა ჩაქუჩისა და სამფეხა სკამისაგან, რომელსაც შესამე ფეხზე მოწყობილი ჰქონდა პატარა გრდემლი. მთიბელა, რომდესაც მას ცელის გამოწევა — ფ. ი. ცელის პირის გამოყვანა (გათხელება, გალესვა) სურდა, სამფეხა სკამზე დაჯდებოდა, მესამე ფეხზე მოწყობილ გრდემლზე ცელის სამუშაო პირს დადებდა და კვერის ცემით ცელის ერთი წვერიდან მეორე ბოლომდე — გავიდოდა. ამავე ახალ რუსულ-ფაბრიკულ ცელს თან მოჰყვა ცელით მუშაობა ბოლომდე ერთ მხარეზე. ამას უმთავრესად აპირობებდა ცელის მოყვანილობა, რომელიც ქართული ცელივით სწორი კი არ იყო, არამედ წვერი აღერებული ჰქონდა და ყუა ზემოთ ამოქნლი. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ცელით მომკილა უანის მხარეზე ნათევებად მიწვენის მიზნით სპეციალური მოწყობილობაც დაუმატებიათ, რომელსაც ფოჩხს უწოდებდნენ, ასეთი მოწყობილობის მქონე ცელს კი ფოჩხიან ცელს. ცელის ფოჩხი შედგებოდა ცელის ტარზე გაწყობილი სამი წმინდა შვინდის ჩხირისაგან. ჩხი-



რები წვერებით მიმართული იყო ცელის სამუშაო ნაწილსაკენ,<sup>20</sup> ხოლო ერთი თავით დამაგრებული ცელის ტარზე.

ცელისა და ნამგლის მუშაობას მთის პირობები ფერდა-დაქანებული ადგილები საკმაოდ აძნელებდა. ამიტომ მკელი თუ მთიბავე ფერდა ადგილებში მუშაობისათვის იყენებდა ფეხზე წამოსაცმელ წნელისაგან შეგრეხილ რგოლებს, რომელსაც რ ჩო ლი<sup>20</sup> ეწოდებოდა (ქართლი). ხევისურეთში ამავე სიძნელის დასაძლევად რკინის წრიაპები ჰქონდათ გამოყენებული. ხევისურული წრიაპის მანგარის ჩრდილო ოსეთის ყოფაშიც დასტურდება. აქაც ამ იარაღს მთური მიწათმოქმედება აპირობებდა<sup>21</sup>. მკელი თუ მთიბელი წრიაპებისა და რჩოლის საშუალებით უზრუნველყოფილი იყო ფერდაზე დაცურებისაგან.

ცელი საბას განმარტებით ბუნგრძელი ე. ი. ტარგრძელი სათიბელი ყოფილა. უფრო ადრე დაბადების ქართველ მთარგმნელთაც უხმარიათ ეს სახელი. აქად. ივ. ჯავახიშვილი ექვისქვეშ აყენებს დაბადების ქართველ მთარგმნელთა მიერ ცელის, როგორც ტერმინის იმ დროისათვის არსებობას. რადგან დაბადების ბქრანულ და ებრაულ ტექსტებში ცელი არ არის მოხსენებული. ამავე დროს თიბეა ე. ი. ის რაც ცელით სრულდებოდა, დაბადებაში არსად არაა ნახმარი და ყველგან მკა გეხვდება. მიუხედავად ამისა, გიორგი ხანძთელის ცხოვრების დამოწმებით, სადაც უკვე თიბეაზეა ლაპარაკი, ჯავახიშვილი ცელის არსებობას ვარაუდობს, დაახლოებით მეცხრე საუკუნეზე ადრე<sup>22</sup>.

გ. კლარკის აზრით ცელის გაჩენის იდეა 'ნამგლის ტარის დავრძელებიდან უნდა დაწყებულიყო, როცა საჭრელი პირიდან მარანგი დაგრძელდა, რის წყალობითაც ნამგალი გახდა უფრო რხევადი — მოქნილი სამუშაო იარაღი. ეს კი თავისი მხრით საშუალებას იძლეოდა ნამგლის სახელური გაკეთებულიყო უფრო მარტივი, ხოლო ნამგლის სამუშაო პირი რამდენადმე გაზრდილიყო. მილი აზრით ნამგლის გარდაქმნა ცელის შექმნისაკენ მიმართუბოდა<sup>23</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ნამგლებში აღნიშნული

<sup>20</sup> ჩაგრებილ წნელს სინგილოში დღესაც „ჩირჩოლს“, იგივე რჩოლს უწოდებენ.

<sup>21</sup> ლენინგრადის სსრ კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმის ჩრდილო ოსეთის კოლექცია №№ 4905/15; 4905/16; 4905/17; 4905/18 წრიაპები.

<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, 1934. გვ. 90.

<sup>23</sup> Г. Кларк, Доисторическая Европа, М., 1953, გვ. 118.

მონაცემები დასტურდება, ცელის შემოდების ხანის დადგენა მაინც ძნელია, რადგან ამ საკითხში საქართველოს არქეოლოგიას ვერ კიდევ თავისი სიტყვა არ უთქვამს.

თუ ყანის აღება ცელით მიმდინარეობდა, მაშინ საჭირო ხდებოდა სხვა დამხმარე იარაღები — ორთითი და ფოცხი. ორთითი გრძელ ტარისანი ორი საკმაოდ მოზრდილი კაბიანი ჯოხია, რომელიც თითებით ცალმხარეზეა — შიგნით ამოხრილი. ფოცხი შედგება ტარის, დედნის და თითებისაგან. მოთიბული ყანა ან თივა რამდენიმე ადგილას გროვდებოდა, თვითნებურად ამ ზვინს ბუღუღი-ბუღუღი ეწოდებოდა. მთის ზოლში იცოდნენ დაზვინვა უფრო მკვიდრად, ჯოხის დახმარებით. ქართლის მთიანეთში ასეთ მკვიდრად დადგმულ ზვინს (ლიახვისა და ქსნის ხეობა) ჯაურა, ხოლო კახეთში კვირტი, სარკვი, თუშეთში ჩადილა ეწოდებოდა. ჯაურის დასადგმელად გამოყენებული იყო გრძელი სარი-ჯოხი, რომელსაც ძირთან ახლოს კაბი გააჩნდა. ჯოხს მიწაში ჩასვამდნენ კაპზე ფიჩხებს დააწყობდნენ, შემდეგ კი მოთიბულ ყანას ჯოხის ირგვლივ დაყრიდნენ და ასე თანდათან ჯოხის თავამდე ამოიყვანდნენ. ერთი კაცი ფეხით ყანას ტკეპნიდა, მეორე კი აწოდებდა. ჯოხი რომ თავამდე მოიყრებოდა, მას ბალახის ქანჩის გაუკეთებდნენ. ასეთი წესით დადგმული ყანის ბუღუღი საშიში არ იყო არც ქარებისა, და არც წვიმით წახდენისაგან.

ძნების გადატანა კალოსთან საძნე ურმის საშუალებით ხდებოდა, რომელიც ჩვეულებრივად ურმისაგან ამ დროისათვის სპეციალურად გამოთლილი გრძელი ქალებით გამოირჩეოდა. მთის ზოლში ჯაურების გადატანა უმთავრესად დაბალ თელებიანი ურმით ან მარხილით სცოდნიათ. თითო საძნე ურემზე 70 — 90 ძნა თავსდებოდა. მარხილით ან დაბალი ურმით კი თითო ჯაურის მეტი ვერ გადაჰქონდათ თურმე.

კალოსთან მიტანილი ჯაურები ისევ ფეხზე უნდა დაეყენებინათ თუ ლეწვა მაშინვე არ მიმდინარეობდა, მიტანილი ძნა კი ძირებად ან ფთემოქცეულებად იდგმოდა. ძირი სამკუთხედის ფორმის ან კონუსის ფორმაზე შენდებოდა. რაც შეეხება ფთემოქცეულს, იგი ჯერ ოთხკუთხედის, ხოლო ოთხკუთხედზე საბძლიური სახურავის ფორმით გაწყობილ ძნებს წარმოადგენდა. ფრთემოქცეულის სწორი კედლების თავზე ძნები თავთავებს მხრიდან ნახევარზე წინ ე. ი. გარეთ იყო გადმოშვებული, აქედან კი მათზე იწყებოდა სხვა ძნების სახურავისებური ფორმით დალაგება, რასაც

ბერძენოლებოდა (კახეთი). ასეთი ფორმით დადგმული „ფრთა-პოქცეული“ არც ჩახურდებოდა და მას არც წვიმა აფუჭებდა.

იმისათვის, რომ შემოსული პურეულის აღება სწრაფად წარემართათ, ძველ საქართველოში გამოყენებულ იყო სხვადასხვა სახელწოდებით არსებული დროებითი შრომითი გაერთიანებანი: „დაძახილი“, „ულამი“, „სეფე“, „მამითადი“, „მუყა“ და „ნაცვალგარდა“. ღარიბი და მცირე ყანის პატრონი უმთავრესად საკუთარი ძალით იღებდა მოსავალს. თუ მას სურდა დროზე მოეთავებინა მოსავლის აღება, მეზობლებს შეუამხანაგდებოდა და ისინი მორიგეობით ერთიმეორეს შეელოდნენ. ასეთი შეამხანაგება, რომელიც მხოლოდ გარკვეულ სამუშაო სეზონში იქმნებოდა, ნაცვალგარდას სახელს ატარებდა. სანაცულო მუშაობაში ზოგჯერ 10-მდე მშველი ერთიანდებოდა. მკის დროს შექმნილ დროებით გაერთიანებაში შრომის ორგანიზაციას წარმართავდა ერთ-ერთი ბეჯითი მშველი, რომელმაც იცოდა სამკალ ყანას საიდან მისდგომოდა. მაგ., თუ ყანა ზემოთ იყო წახრილი, მკა ქვემოდან უნდა დაეწყოთ, თუ მარჯვნივ იყო წახრილი, მაშინ მარცხნიდან უნდა მისდგომოდნენ. ყანამ თავთავების სიძიმით, წვიმებისა და ქარების მოქმედებით ერთ რომელიმე მხარეზე იცის „წალეხვა“ — ცალმხარეზე მიწოლა; მშველს რომ ნამგლით მუშაობა გაადვილებოდა, ამ მდგომარეობას ყურადღებას აქცევდა. ყანა საითაც იყო წახრილი მისი საპირისპირო მხარე ყანის ზურგად იწოდებოდა. ქიზიყში იტყოდნენ „ყანას ზურგიდან მეექვ“. ყანა საით-ქენაც არი მიშველებული, — აღნიშნავს მთხრობელი. — იმ მხარეს უნდა მიყოლოდნენ მშველები (ნასყიდა მშველიშვილი, 80 წლისა, ანაგა, სიღნაღის რ-ნი. 1953 წ.). მშველთა მეთაურს, მესვეური ეწოდებოდა. მესვეურზე იყო დამოკიდებული მშველთა მუშაობის დაწყება-დამთავრების წესრიგის დაცვა. იგივე ანაწილებდა მშველებზე მეუღლებსა და ძნის შემკერელებს.

მკის დროს შრომითი გაერთიანებიდან აღსანიშნავია დაძახილი, რომელიც, როგორც ტერმინი გვიჩვენებს, დაძახებასთან ე. ი. მიწვევასთან არის დაკავშირებული. დაძახილის დროს სამკალის პატრონი სოფელს შეატყობინებდა — დაუძახებდა. რომ მას აქვს ამა და ამ ადგილას ყანის მკა. ვისაც სურვილი ჰქონდა, ის წავიდოდა და უფასოდ და აუნაზღაურებლად შეელოდა. დაძახილს მიმართავდნენ, როგორც ქართლში, ისე ქიზიყში. იმავე ქიზიყში

დაძახილის პარალელურად არსებობდა მუყა<sup>24</sup>. მთხრობლის გადმოცემით მუყას უველა გლეხი ვერ აწყობდა. მუყას მხოლოდ შეძლებულნი მართავდნენ, რომელნიც წინდაწინ მშველებს ჯარგი ქეიფით გამასპინძლებას ჰპირდებოდნენ. იგი მამითადივით დიდ ხარჯებს თხოულობდა. მუყას, როგორც შრომის დროებით გაერთიანების სახეს, სხვა სამუშაოების შესრულების დროსაც ჰქონია გამოყენება; მაგ., ისეთი სამუშაოების შესრულების დროს, როგორც იყო სახლის მშენებლობა, განსაკუთრებით საძირკვლის ჩაყრის დღეს, ასევე ვენახის კრეფა და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში საყოველთაო გავრცელება ჰქონდა კოოპერაციული შრომის სხვადასხვა სახელწოდებით არსებულ გაერთიანებებს; ასეთი იყო ულაში, მამითადი და სეფე.

მამითადი ანუ მამითნადი საქართველოში საკმაოდ ძველთაგან მომდინარეობს, კერძოდ ალ. რობაქიძის გამოკვლევით იგი XIII საუკუნიდან უკვე წერილობით წყაროებში იხსენება<sup>25</sup>. მამითადის პარალელურია სეფე. მამითადი და სეფე ორივე გარკვეულ საბატონო ბეგარას ვარაუდობდა, რომელიც სრულდებოდა მთელი სოფლის ან მეზატონის ვალდებულთა მიერ მასიური შრომით: ხენის, სახლის შენების, შეშის მოტანის და მკის სამუშაოების შესრულების დროს. თუ დაძახილი გარკვეულად მხოლოდ დამძახებელთან სურვილით მუშაობას გულისხმობდა და სამაგიეროს ანაზღაურება, შრომა მოგება არა ხდებოდა, სეფესა და მამითადში შრომა მიგების პრინციპი დაცული იყო. მთხრობლის გადმოცემით, „ციციანთ ტყეში ფულს არ ვუხდიდით და სამაგიეროთ ნამგლითა და გუთნით ვეხმარებოდით ხოლმე, ამას სეფეს ვეტყვოდით, მამითადიც ეს არისო“ (მიხა გიორგის ძე ლომიძე, 82 წლისა, რუისი, 1952 წ.). საინტერესოა, რომ სეფე, — საბას განმარტებული აქვს „ღიდებულთათვის“, მაგრამ ლექსიკოგრაფს არა აქვს ნათქვამი თუ რა იგულისხმებოდა დიდებულთათვის, შრომითი დახმარება თუ ბეგარა-ვალდებულება. საერთოდ „სეფე“, „სასეფო“ მეტად გავრცელებული ტერმინია, მაგ., „სეფე მიწები“, „სასეფო

<sup>24</sup> სტ. მენთეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი, იხ. მუყა.

<sup>25</sup> ალ. რობაქიძე, მოდგამი., გვ. 419.

მამული“, „სეფე პური“, „სეფისკვერი“ და სხვ. ძველ ქართულში კი „სეფე კაცი“ და „სეფე ქალი“. აკად. ს. ჯანაშიას აზრით. — „სეფე-ქალი“ და „სეფე კაცი“, — ძველ ქართულში მეფის, სამეფო კარის. სამეფო ხელისუფლების მსახურებს აღნიშნავენ<sup>26</sup>. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „მეფე-სეფე“ კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ერთად ჩნდება. მეფე სეფე და სოფელი ერთიმეორესთან გარკვეულ მიმართებაში არიან. სეფეც და სეფეც კლასობრივი საზოგადოების წყალობაა, სამაგიეროდ სოფელი, სეფე-კაცთა და სეფე-ქალთა შემადგენლობით სამეფო ხელისუფლების მსახურია<sup>27</sup>. უფრო გვიან სეფეს სახელმწიფოებრივი ვალდებულების მატარებელი მნიშვნელობა უვიწროვდება და ცალკეულ დიდებულთა და მებატონეთათვის ერთდროულ სავალდებულო ბეგრის გამომხატველ შინაარსს და ეარაუდობს. ნაგ., მთელი სოფლის ან რამდენიმე სოფლის საბატონო სამუშაოზე გამოსვლა, როგორც ეს ხეშოთ მოტანილი მაგალითში იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება მამითადას, იგი უფრო ვიწრო მნიშვნელობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო; ეგების მამითადი სოფლის შიგნით უბნის ან გვარის საბატონო სამუშაოზე გამოსვლას გულისხმობდა.

აქ ჩამოთვლილი მკის დროს შექმნილი შრომითი გაერთიანებანი შეიძლება სათანადო თანამიმდევრობით დალაგდეს, მიუსედავად იმისა, რომ მათ თავისი პირველადი სახე დაკარგული აქვთ. ყველაზე უფრო მარტივი სახით მათ შორის შრომის ნებაყოფლობით პრინციპზე აგებული დაძახილი წარმოგვიდგება. დაძახილში სამკალის პატრონის მიერ მთელი სოფლის დაძახება-შეტყობინება მეტად საგულისხმო ელემენტია, სოფლის გამოსვლა ერთეულთა დახმარების მიზნით სამაგიეროს მოუხლეკლად კერძო საკუთარების ჩამოყალიბების საზღვრებს იქით იქრება. სხვა სახის შრომით გაერთიანებებში კი, როგორცაა ულამი, მამითადი, მუყა, სეფე, აშკარად მოცემულია კლასობრივი საზოგადოების ნიშნები.

ლენინი სწავლობდა რა რუსეთის პირობებში არსებულ ამ სახის შრომის დროებით გაერთიანებებს, მათ „შრომა ნიგების“ სა-

<sup>26</sup> ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, შრომები, 1, გვ. 160.

<sup>27</sup> ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, რევენია, შიომხილჯლი, ტ. III. 1953, გვ. 297.

მუშაობთა გარკვეულ ფორმას მიაკუთვნებდა, რომელიც მებატონეთა მიერ გამოყენებული იყო ექსპლოატაციის საშუალებად, გლეხები კი იძულებულნი იყვნენ ემუშავათ“... მუქთად, მხილვად ჭანჭ-სმისათვის, რომ არ დაეკარგოთ სხვა „საშოვარი“ მიწათ-მფლობელთან<sup>28</sup>.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა მიწათმოქმედებაში დაქირავებული შრომის ფართოდ გამოყენება. აღნიშნულმა გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სამკალსათიბ სანუშაოებშიც. როგორც ცნობილია, პურეულას მოსავალი თითქმის რამდენიმე კვირით ადრე შემოდის კახეთსა და გარე კახეთში, ვიდრე ქართლში და საქართველოს მთიანეთში. ვიდრე აქ პურეული მოსავლის აღებას შეუდგებოდნენ, ქართლიდან და მთიულეთიდან კახეთის, გარეკახეთისა და ყარაიისაკენ მმკელები სამკალ-სათიბი მოწყობილობით შეიარაღებულნი მიდიოდნენ. სოფლიდან სამკალ სამუშაოზე წასვლას ქართლში „სამკალათს“ წასვლას უწოდებდნენ. ქართლშივე გვხვდება გამოთქმები ს ა მ კ ა ლ ა თ ი, ს ა მ კ ა ლ ა თ შ ი და სხვ. სამკალად მთიდან ბარში ჩამოსვლა ახალი ამბავი არ უნდა იყოს; დადასტურებულია, რომ მთიელები მკის სამუშაოებზე საფასურად მხოლოდ ჭირნახულს ღებულობდნენ, რაც მეტად საგულისხმო მომენტია; იგი ნაუთითებს მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო ხასიათის ნიადაგზე აღმოცენებულ გარკვეულ ურთიერთობაზე. სამკალათს წასული ბარელები მხოლოდ ფულზე მუშაობდნენ, მათ ჭირნახული არ აინტერესებდათ. ისინი შედარებით მოკლე სამუშაო სეზონში მუშაობდნენ და მალე თავის ყანებს უბრუნდებოდნენ. ბარელთა გასვლა სამკალად, გვიანდელი წარმოშობისა უნდა იყოს.

#### სალეწი იარაღები

სულხან-საბა ორბელიანი კ ა ლ ო ს განმარტავს, როგორც სალეწავ ადგილს. ლეწვა კი ყანის და ბ ე გ ვ ა ყოფილა. და ბ ე გ ვ ი ს ა და და ც ე ხ ვ ი ს მიზნით ძველად გამოყენებული იყო გარკვეული ზომის მოპირკეთებული ნიადაგი და საამისოდ გათვალისწინებული იარაღია ძველად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კალო სხვადასხვა ადგილზე იყო წარ-

<sup>28</sup> ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 215—216.

მოდგენილი, მაგ., ქართლში და კახეთში კალო სახ-  
 ლის კარზე იმართებოდა, ე. ო. ეზოს ფარგლებში; თუ  
 მინდორი სოფლიდან შორს იყო, მაშინ კალო მინდორში ეწყე-  
 ბოდა. ხევსურეთში კალო სახლის ბაზზე იყო მოწყობილი, სა-  
 დაც ზამთარში ყინულზე პურს ლეწავდნენ<sup>29</sup>. კალოს სახლის ბა-  
 ზე მოწყობის მაგალითები პატარა ლიახვის ხეობის მთის ზოლ-  
 შიკ მოწმდება. თუ კალო სახლკარის ადგილს სცილდებოდა, ძა-  
 წინ ადგილი ისეთ ნიდაშოში უნდა შეერჩიათ, რომ ნიაყი ყოველა  
 მხრიდან მიდგომოდა. კალო ახლო უნდა ყოფილიყო წყალთანაც.  
 საკალოე ადგილს მრგვლად შემოწერდნენ 15 — 20 ნაბიჯის დი-  
 ამეტრით და გადათხნიდნენ. კალოს ზედაპირის მოსასწორებლად  
 იყენებდნენ კაბდოს. კაბდოს საშუალებით ზედმეტი მიწა გა-  
 რეთ გაქჷონდათ. იყო ისედაც, რომ მოსწორებულ კალოზე სპეცია-  
 ლურად აყალო (თიხნარ) მიწას მოიტანდნენ თხლად ნოფენიან  
 (ჭიზიყი), რათა კალოს ზედაპირი უფრო მკვიდრად მომჯდარიყო-  
 გამაგრებულიყო. მოსწორებულ ნიდაგს მორწყავდნენ და და-  
 ტკეპნიდნენ. ძნის ჩაშლის წინა დღეს კალო ერთხელ კიდევ უნ-  
 და მოერწყათ და შემდეგ კი დილით ბზე მოებნიათ. კალოში ჩაყ-  
 რილ ძნას ულოს შემოაცლიდნენ. შემდეგ მას ფესვებს დაჰკრიდ-  
 ნენ, რომ ლეწვაში ხელი არ შემლოდათ და ფესვებზე აყოლი-  
 ლი მიწაც ხვავში არ გარეულოყო. ფესვებ დაჰკრილ ულოს სალექ  
 ძნასთან ერთად კალოში მოფენდნენ.

სალექ ძნაზე კევრს როცა შეაყენებდნენ, იგი ძველ დაობე-  
 ბულ პურზე უნდა გადაეტარებინათ; მორწმუნეთა აზრით ეს ხვავს  
 ბარაქას მისცემდა. ასევე, კალოს გულში სამკრელოს  
 (წალდს, ცულს) ჩააგდებდნენ, კალოს ავი თვალი არ მიკარებო-  
 და. პირველი დღის კალოში უნდა ჩაეშალათ აგრეთვე გასული  
 წლის მკის დროს მესვეურის ნიერ შეკრული ყანის ჭვარი (მკის  
 ჯვარი)<sup>30</sup>.

საქართველოში კევრს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.  
 უკანასკნელ ხანებში კევრი ქართველ არქეოლოგთათვის არც თუ  
 ისე იშვიათი აღმოჩენის საგანი გახდა. იგი განსაკუთრებით ამიერ-

<sup>29</sup> გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე, ანალები, ტ. 1, 1947 გვ. 145.

<sup>30</sup> А. Я. Х а х а н о в, Обычай крестьян при пахоте в Кахетии, „Кав-  
 каз“, 1893, № 205.

კავკასიის ტერიტორიაზე წარმოდგენილი<sup>21</sup>. არქეოლოგიური მასალით დამტკიცებულია, რომ კევრი მიცვალებულის ინვენტარშია მოქცეული, რომ მასზე ნიკვალეზული ყოფილა დასვენებული. აღნიშნულ სამარხთა თარიღი I ათასეულის დასაწყისია<sup>22</sup>. მიცვალებულის კევრზე დასაფლავების წესი, როგორც ღღემდე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ცხადყოფენ, ამიერკავკასიის კულტურულ სამყაროში ტრიალებს. ამასთან, აღსანიშნავია ის საინტერესო გარემოება, რომ კევრის მიცვალებულის კულტთან კავშირს წინა აზიის ძველი მოსახლეობის, კერძოდ სირიელების ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ანოწმებენ. გასული საუკუნის 70-იან წლებში ეთნოგრაფმა Wetstein მა ბალდადის ახლო სოფლებში სირიელებთან დაადასტურა, რომ მათ კევრი წმინდა იარაღად ჰქონიათ მიჩნეული, და რომ მათვე 'ქემოუნახავთ წესი მიცვალებულის დამარხვამდე კევრზე დასვენებისა; კევრზე დასვენებულ მიცვალებულს სირიელები კალოზე გამართულ კარავში ათავსებდნენ<sup>23</sup>. ეს გარემოება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ განათხარ კევრების საკითხთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა, რადგან აქ გარკვევით მოჩანს წინააზიის ძველი სამყაროს მოსახლეობას შორის ის იდეოლოგიური საერთო ნიშანი, რომელიც მეურნეობის მაღალი დონის იარაღის გამოყენებაზე და ამ ხალხთა საერთო ღიდ სამიწათმოქმედო კულტურის მატარებლობაზე მეტყველებს.

ამ ჭრილში კევრი, როგორც საღეწი იარაღის ერთ-ერთი საკმაოდ ეფექტური სახეობა, ნიწათმოქმედებაში წინა აზიის, კერძოდ ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობის გარკვეული მონაპოვრის სახით გვევლინება.

კევრი ერთი ან ორი ფიცრისაგან შედგენილი სოლისებური ფორმის ხის სათანადო ზომის იარაღია, რომელიც ძირიდან მოკობილია მაგარი ჯიშის ქვებით.

<sup>21</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ.1, 1952, გვ. 13—14; ტ. ჩუბინაშვილი, მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XII, № 1, 1951, გვ. 67;

Morgan I. ზემოთ მითითებული შრომა, ტ. III, 1927, გვ. 300; Я. И. Гумел, Курган № 2 близ Ханшара, Кр. Сообш. Ин. Ист. Муз. Культ. XXIV, 1949, გვ. 56.

<sup>22</sup> ტ. ჩუბინაშვილი, დასაფლავებული შრომა. გვ. 67.

<sup>23</sup> I. L. Wetstein, Die Sirische Dreschtifel, Zeitschrift für Ethnologie, Berl. 1873, Band V, გვ. 295.



საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცულია ქართლ-კახეთიდან და სუანეთიდან ჩამოტანილი კევრები და კევრის მოდელები (№№ 1 — 32/1; 1 — 34/166; 19 — 47/95 და სხვ.). კევრი შედგება დედანიის, თავისა და შემაერთებელი ფარეშისაგან (სურ. 10). კევრის თავი გამოყვანილია, მას ცხვირი მალა აქვს აწეული, რათა საღეწი ძნა იოლად აიცილოს. თავს გვერდზე აქვს ველი, რომელიც ამსუბუქებს კევრის თავს და შემაერთებელ ფარეშს ფარავს, მუშაობის დროს ხარს ფეხზე რომ არ ამოდოს და არ დააზიანოს, საკვერე ნასალად გამოყენებული იყო: ნაძვი, ფიჭვი, თელა, იფანი და წიფელი. ჩამოთვლილი მასალიდან უპირატესობა ჰქონდა ნაძვსა და ფიჭვს. მთხრობლის გადმოცემით (ვანო გიორგის ძე დემეტრაშვილი, 72 წლისა, სოფ. ქორდი, გორის რ-ნი). „იგი კოხს კარგად იყენებდა. კოხს რო ჩავსუამთ კოხის ბუდეში, ფიჭვი რეზინივით იწვევა და წყალს რო დავასხავთ მერე უქერს. სხვა ხეს ეს თვისება არა აქვს და ამიტომ ხშირად ლეწვის დროს კოხები ბუდეებიდან ვარდებიან“. ამას გარდა, ფიჭვის ან ნაძვის მასალით დამზადებული კევრი, იმავე მთხრობლის გადმოცემით, არა მარტო კოხებით ლეწავდა, არამედ ფიჭვის კევრს მუშაობის დროს ფიცრის გაცვეთის შედეგად თავისივე ზოლები რჩებოდა, რომლებიც „დანასავით ჭრიდა ყანას და არც პურს აფუჭებდა“.

კევრის დასამზადებლად საჭირო იყო: ცული, შალაფი, ხერხი, სატეხი, ხელეჩო და ჩაქუჩი. კევრისათვის საჭირო ხეს ტყეში შეარჩევდნენ, გააპობდნენ, გააკობიტებდნენ და დამორილ გაეწოცხვირულ ხეს შინ მოიტანდნენ. შინ მოტანილ საკვერე ხეს ხელეჩოთი გამოიყვანდნენ<sup>24</sup>. კევრის ფიცარი სისქით 5 — 8 სმ უნდა დაეჭირათ, სიგრძით კი 180 — 200 სმ. კევრს ქვედა მხრიდან შალაფით ან საჭრეთლით დაქვერეთდნენ 3 — 4 სმ სიღრმით. შემდეგ მაგარი ჭიშის ქვას დაამტვრევდნენ და დაიწყებდნენ მოკოხვას. ვინაიდან საკვერე მასალის ორი ხის ჭიშვი უკეთესად ითვლებოდა, მაგრამ ყველგან არ მოიპოვებოდა, ამიტომ კევრის ხის მასალის მოტანა ზოგ რაიონებს შორის მანძილიდან უხდებოდათ. ადგილობრივ მონხელეთა მიერ ფიჭვისა და ნაძვის გავრცელების ადგილებიდან დანზადებული კევრე-

<sup>24</sup> კევრის დაზნადებაზე უფრო ფართოდ ია. სუ. მენთემაშვილი, კევრი, საქ. სახ. მუზეუმის ნოამბე, IX-ბ.

ბი შემოდრიოდა. შიდა ქართლში დადგენილ იქნა კევრის შემოტანის გზები, როგორც ჩრდილოეთიდან ისე სამხრეთიდან. კერძოდ, კევრები შემოდრიოდა: ჩრდილოეთიდან — დიდი ლიახვის ხეობით (ჩავის მიდამოებიდან) გორის, ქარელისა და სტალინირის რაიონებში. პატარა ლიახვის ხეობით (გერის მიდამოებიდან) იმავე რაიონებში. სამხრეთიდან მტკვრის და ატენის ხეობით (ბორჯომის და ახალციხის მხრიდან) გორის, ხაშურის, ქარელის და ქასპის რაიონებში. კევრები გადმოჰქონდათ ურმებით ან ცხენებით. ჩრდილოეთიდან შემოტანილი კევრები შიდა ქართლში „ქართული კევრების“ სახელით იყო ცნობილი, სამხრეთიდან შემოტანილს კი ახალციხურს, ზოგჯერ ბერძნულ კევრებსაც უწოდებდნენ. ახალციხურ კევრს ოდნავ ჰქონდა თავი აწეული და ორი ურთიმეორესთან მიტყუპებული ფიცრისაგან იყო შედგენილი. ჩვენ მიერ გორის რაიონის სოფ. ზერტში 1952 წელს აზომილი ახალციხური კევრი შემდეგი განაზომებით წარმოგვიდგება: სიგრძე — 191 სმ., თითოეული ფიცრის სიგანე — 43 სმ-ია. თავთან თითოეული ფიცრის სიგანე — 19 სმ, ფიცრის სისქე — 5 სმ. კევრის ტანი ძირიდან მოკოხილია მოგრძო ფორმის კაჟით. ამავე სოფელში აზომილი ქართული კევრის სიგრძე — 194 სმ-ია, ფიცარი ბოლოსკენ განივრდება და სიგანე — 45 სმ-ია. კევრი მოკოხილია 98 სმ სიგრძეზე. კევრის თავის სიგრძე 48 სმ-ია, თავის სიმაღლე — 13 სმ. ახალციხური კევრი 1949 წელს დავამოწმეთ სამგორშიც, რომლის შესახებ ნთხრობელმა (ვანო გიორგის ძე ბერუაშვილი, 65 წლისა, სოფ. მარტყოფი, საგარეჯოს რ-ნი), გადმოგვცა, რომ კევრები მას თრიალეთში ცხვარში ყოფნის დროს შეუქმნია. საქართველოს გარეთ ახალციხური კევრის ტიპი მოწმდება წინააზიაში, კერძოდ სირიაში<sup>25</sup>. ახალციხური კევრის საინტერესო ნიმუში ჩვენ მიერ დადასტურებული იქნა სოფ. დიდ გომარეთში (დწანისის რ-ნი). აღნიშნული კევრი სამი ფიცრისაგან იყო შედგენილი (კევრის სიგრძე — 170 სმ, სიგანე — თავში სამივე ფიცრისა ერთად 45 სმ-ია. შუაში — 65 სმ, ბოლოზე — 78 სმ). კევრი მოკოხილია ნალისებური ფორმის კაჟის ქვით. თითოეულ ფიცარზე კოხები განლაგებულია 21 რიგად და ხუთ-ხუთ მწყრივად. ფიცრები ერთიმეორესთან დაკავშირებულია ზემოდან გაკრული ხის სარტყლებით.

<sup>25</sup> W e t z s t e i n, დასახ. შრომა, გვ. 277.

კევრები დამზადების ადგილებიდან ხშირ შემთხვევაში მოუკონავე შემოქონდათ. ყოფილა შემთხვევა, რომ კევრები: ჰოსაკოხი მასალა გაზაფხულისათვის ცალკეულ ხელოსნება შემოქონდათ და ადგილზე აწარმოებდნენ როგორც ახალი, ისე კოხებდაცენილი კევრების შეკეთებას.

ქართული კევრები შედგენილობის მიხედვით ორ სახისაა: ერთი ფიცრისაგან და ორი ფიცრისაგან დამზადებული. ქართველ მეურნეთა დაკვირვებით ერთი მთლიანი ფიცრისაგან დამზადებული კევრი ცხენისათვის ყოფილა განკუთვნილი, მეორე კი ხარებისათვის.

კევრში ჩვეულებრივ ერთი ცხენი ან უღელი ხარი იბმოდა. სამხრეთ აღმოსავლეთ საქართველოში სცოდნიათ კევრში კაჭიჩის შებმაც.

კევრი მოკოხვის მიხედვით როგორც სტ. მენტეშაშვილი ადგენს, სამი სახისა დასტურდება: ქვით მოკოხილი, ქვითა და რკინით მოკოხილი და მხოლოდ რკინით მოკოხილი<sup>36</sup>. ჩვენი შეკრებილი მასალის მიხედვით ქვით მოკოხილ კევრებში კოხის რამდენიმე ფორმა დასტურდება: ოთხკუთხა ქვა. მრგვალი მოგრძო ფორმის, რომბისებური მოყვანილობის და ნალისებური ფორმისა.

კევრში, როგორც აღვნიშნეთ, უღელი ხარი ან ერთი ცხენი იბმოდა. ერთ უღელხარბმულ კევრს კალოში ასამდე ძნას ჩაუშლიდნენ. საქართველოს მთის ზოლში პურეულის სიმცირე მეურნეს მეტი სიფრთხილისაგან მოუწოდებდა. ამიტომ ლეწვის დროს, რომ ხარს საღეწი ყანა არ ექამა, პირზე წნელით მოწულ „საპირეს“ ამოაკრავდნენ.

ლეწვის დასაჩქარებლად საჭირო იყო ჩაშლილი ძნის კალოს ზედაპირზე თანასწორად მოფენა და თავის დროზე კალოს ქცევა, რაც ნიშნავდა ფიწლის საშუალებით ყანის აწეწასა და ნალეწის გადაბრუნებას. კალოს 3—4-ჯერ უნდოდა ქცევა. ამის შემდეგ ყანა ლეწვაში შედიოდა. ახლა საჭირო იყო ნალეწის თანმიმდევრობით ნიჩბით გადაბრუნება. პირველზე ე. ი. ქცევის დროს იტყოდნენ: საქცევიოა, ვუქციოთ, ვუფიწლოთ, მეორეზე კი — სანიჩბია, ვუნიჩბოთო (ქართლი). ნიჩბით ქცევის დროს საჭირო იყო

<sup>36</sup> სტ. მენტეშაშვილი, კევრი, საქ. მუზეუმის მოამბე, IX-ბ. გვ. 92.

კალოს გულის გამოღება, რაც ნიშნავდა კალოს ცენტრიდან ნალეწის ნაპირებზე გამოხვეტას, რომ კევრს ნამჯის გაღეწვის შემდეგ თხელ ფენაზე სვლის გამო კოხებით კალო არ გაეფუჭებინა. გაღეწვის შემდეგ კევრს გადააყენებდნენ ე. ი. მას კალოს გარეთ გაიტანდნენ და ხარებს გამოუშვებდნენ. არნადის საშუალებით ნალეწს კალოს შუაგულში შეაგროვებდნენ. არნადი წარმოადგენს 90° შედგენილ 150 სმ სიგრძისა და 20 — 30 სმ სიგანის ორ ფიცრისაგან შეკრულ იარაღს, რომელსაც აქვს 180 სმ სიგრძის ტარი. ხშირად არნადს მთლიანი ფიცრისგანაც ამზადებდნენ. თუ ამინდი ხელს უწყობდა, ე. ი. ხანიავო ამინდი იდგა ნალეწს გაანიავებდნენ კიდევაც. გასანიავებლად გამოყენებული იყო ხის ფიწლები და ნიჩბები. განიავებას იწყებდნენ ხევის ერთი მხრიდან. რომ ქარს ბზესთან ერთად მარცვალი არ გაყოლოდა, ხევი ფიწლით ისე უნდა აეყარათ, რომ მარცვალი ქარის საპირისპიროდ გადაბნეულიყო, ბზისა და ხევის გასაცალკევებლად კი გასანიავებელ ხეავთან ახლოს ან გრძელ ხეს დადებდნენ, ან კიდევ ორთითებს ჯოჯონად — ერთმანეთზე მიბჯენით დააყუდებდნენ, ამას ბაცაცი ერქვა, ფიწლებით განიავების შემდგომ განიავება ნიჩბით ხდებოდა, რასაც ხეავის ნიჩაბში გამოყვანასაც უწოდებდნენ. კახეთის ზოგ რაიონებში გასანიავებლად უმეტესად ნიჩაბი იყო გამოყენებული (ქიზიყი), რაც ერთი მხრივ იმიტაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ კახურ კალოს ნაკლები ბზე ახასიათებდა და ნაკლებბზიანი ხევის გასანიავებლად ნიჩაბიც კმაროდა.

განიავების შემდეგ ხორბალს ჯერ ცხავეში გაატარებდნენ და ჩელხს-ჯელხს-ჯოლხს — გაუღეწავ თავთავებს და საერთოდ განიავების შემდგომ მიყოლილ ნარჩენებს გააცლიდნენ. გაცხავების დროს ერთს ცხავე ეჭირა, მეორე ცხავეში ხორბალს უყრიდა, ნესამე კი ცოცხით პურის გაცხავებულ ხეავს „შემოუსუროვებდა“ ე. ი. ცხავეს თუ რამ ჩეჩქი გაუვიდოდა, შემოაგვიდა. გაცხავების შემდეგ ხორბალს ცხრილში გაატარებდნენ და საცალოებში ჩაყრიდნენ.

ჩვენ აქ კალოს იარაღებიდან კევრზე გავამახვილეთ ყურადღება. აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ლეწვის სხვა საშუალებებიც არის ცნობილი. მთის ზოლში ლეწვა საქონლას ფე-

ზით იცოდნენ. როგორც ჩანს, საქართველოს თავისებური ბუნებრივი პირობები კევრსაც გარკვეულ ზღვარში აქცევედა. საქონლის ფეხით პურეულის ლეწვის პრაქტიკას ადგილი ჰქონდა მთიანი კავკასიის სხვა ხალხთა ყოფაშიც, მაგ., ჩრდ. კავკასიაში ოსებში და სხვ. საქონლის ფეხით ლეწვისას ზოგჯერ საქონელი გაბმული იყო ერთ გრძელ საბელზე ასხმულ რკლებში. საბლის ერთი წვერი მიბმული იყო კალოს ცენტრში ჩასმულ ძარგილზე და საქონელი მის ირგვლივ ტრიალებდა. მცირე ყანის პატრონება არა იშვიათად მიმართავდნენ ყანის ხელით გამოფშენეტის პრაქტიკასაც. ჩრდილოეთის ხალხში საკმაოდ გვიანდლამდე ძალაში იყო ლეწვის ერთ-ერთი ძირითადი იარაღი „ჯოხი“—ცეპი. ცეპით მუშაობა საკმაოდ მძიმე საქმეს წარმოადგენდა, ამავ დროს ნაკლებ ეფექტიურს. ჯოხების გამოყენება საქართველოს პირობებშიც დასტურდება, თუმცა იგი დაკავშირებულია გარკვეულ სამეურნეო კულტურებთან, მაგ., სიმინდის ცეხვა საცხეველი კეტებით. ასევე ჰეაგის ბერტყვა ხეცურეთში „რიქნას“ საშუალებით (იხ. ეთნოგრაფიის განყოფილების კალექცია № 12 — 27/40).

ძველად ეგვიპტეში, როგორც ჩანს, ყანა თავთავებთან ახლო იჭრებოდა. ამავ დროს იგივე თავთავები მაშინვე არ ილეწებოდა და სპეციალურ ნაგებობაში ინახებოდა. ასეთი სათავსი ნაგებობა თავთავებისა წაკვეთილი კონუსისმაგვარი ყოფილა, რომლიდანაც შემდეგ დრო და დრო გამოჰქონდათ თავთავები და კალოში ჩაშლის შემდეგ საქონლის ფეხით ლეწონენ<sup>27</sup>. პურის შესანახ ნაგებობას ძველ საქართველოშიც იცნობდნენ. რომელსაც ორმო-საგან განსხვავებით ხარო ეწოდებოდა. ახლა ძნელია თქმა იმისა ქართველთა წინაპრები ინახავდნენ თუ არა ორმოებში და ხაროებში პურის თავთავებს. ცხადია კევრის სამეურნეო იარაღად ქცევის შემდეგ გაულეწავის შენახვას აზრი აღარ ექნებოდა. შესაძლებელია საქართველოს პირობებშიც, როცა შნაკვი, ჯეისა და სპილენძის ნამგალი წამყვანი სამკალი იარაღები იყო და ყანის მოჭრა თავთავებთან ახლო ხდებოდა, ქართულ ორმოებსა და ხაროებშიც თავთავები ისევე ხანგრძლივად ინახებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ ეგვიპტეში.

გასალეწი ძნის ხანგრძლივი შენახვის პრაქტიკა გვიანდელ საქართველოში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთის ზოლში დას-

<sup>27</sup> И. Клигген, Средн. патриархов, земледелья, ч. 1, СПб, 1898, гл. 318, სურ. 82, გვ. 319, სურ. V, გვ. 83.

ტურდება, სადაც ხშირად ვალეწვას ბუნებრივი პირობების გამო  
ჯერ ასწრებდნენ. ამ მოვლენის გათვალისწინების გამო შემუშა-  
ვებული იყო მოთიბული ყანის დადგმის ისეთი წესი, რომელსაც  
დიდხანს შენახვით არ დაზიანდებოდა (ასეთი იყო ჭაურა, კვირ-  
ტი). საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ისიც,  
რომ გარკვეული დროით ძნას შენობაშიც ინახავდნენ. ამის ზა-  
გალითი თუშეთის მეურნეობაშია წარმოდგენილი. თუშეთში ძნის  
შესანახად სპეციალური ნაგებობა ჰქონდათ, რომელსაც სახელიც  
ს ა ძ ნ ე ეწოდებოდა. თუშური საძნე ორსართულიანი ნაგებო-  
ბაა, რომელიც საბძლური გადახურვითა და საკმაოდ დიდი და თ-  
ვისუფალი ინტერიერით ხასიათდება. საძნეს სახურავი დაყრდნო-  
ბილია რამდენიმე სვეტზე. სვეტებს შორის ამო-  
ფიცრულია თხლად, რომ ჰაერმა თავისუფლად იმოძრაოს. ქვედა  
სართული საქონლის გომურად იყო გამოყენებული, ზედაში ძნა  
ლაგდებოდა. თუშური საძნე მთისა და ბარის მეურნეობის 'შერ-  
წყმის საინტერესო ელემენტია.

## თავი მესამე

### მოსავლიანობის გადიდების ზოგინიერტი ხალხური წესი აღმოსავლეთ საქართველოში

ერთ გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებში ხანგრძლივი ცხოვრება ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფს აჩვენებს ბუნების ამ გარემოს თავისებურად ათვისების ხერხებს, მის გარდაქმნის წესებს. ადამიანთა საზოგადოება განვითარების მორიგ საფეხურზე ინტენსიურად იყენებს მის წინა ფორმაციაში წარმოებულ სამეურნეო გამოცდილებებს და იგი მოთხოვნილებათა შესაბამის ახალ, მაღალ საფეხურზე აჰყავს. სამეურნეო ცოდნა, გამოცდილებათა წინსვლა დიდად იყო დამოკიდებული იმ გარემოს თავისებურებაზე, სადაც ადამიანთა საქმიანობა მიმდინარეობდა. საქართველოს გეოგრაფიული გარემო მიწათმოქმედებისათვის იმთავითვე ფართო გასაქანს იძლეოდა. ამისი ერთი უტყუარი დამადასტურებელი ნიშანია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური სამეურნეო ხასიათის იარაღთა მრავალსახეობა.

ძველი დროის იარაღთა ხარისხი და რაობა მეცნიერებას საშუალებას აძლევს იმსჯელოს მემინდვრეობის თუ საერთოდ მიწათმოქმედების განვითარების გარკვეულ დონეზე.

მემინდვრეობის განვითარების დონეზე მსჯელობას სათანადო ნათელს ჰფენს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ძველი ხალხური წესი.

ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ერთი რიგის წეს-ჩვეულებებს, რომელიც მიმართული იყო მემინდვრეობაში მოსავლიანობის გადიდების მიზნით. რადგან მემინდვრეობა რამდენიმე რთული სამეურნეო პროცესის შემცველია: ნიადაგის მომზადება, გაპატივება, ხვნა, აოშვა, თესვა, ფარცხვა, რწყვა, მარგვლა და სხვ. ჩვენ ამ პროცესების მიხედვით თანამიმდევრობას დავიცავთ და მოსავლიანობის გადიდების ცალკეულ მხარეს ამ პროცესების მიხედვით წარმოვადგენთ.

აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს შემდეგი სახის ღონისძიებები დაეადგინოთ: ნიადაგის დასვენება, ნიადაგის გაპატივება, ღრმად მოხვნა, საანეულო სისტემა — აოშვის სხვადასხვა წესით თესლის შერჩევა, თესლმონაცვლეობა და სხვ.

ნიადაგის დასვენების საკითხს ქართველთა მემინდერეობაში აღრევე ჰქონია ყურადღება მიქცეული. იმასთან დაკავშირებით თუ მოხვნის შემდეგ მიწა რამდენხანს ისვენებდა, შემუშავებული იყო შესატყვისი ტერმინები: ნარბილი, რცხალი, ყამირი, კორდი, ნასვენები, ანეული, მზრალი, და სხვ. მიწის დასვენების მიზნით ძველად, სკოდნიათ ეგრეთწოდებული სამმინდეროვანი სისტემისშავგვარი ზენა-თესვა მონაცვლეობა, რასაც მიწის „სამტრედათ“ დამუშავებას უწოდებდნენ. სამტრედათ დამუშავების სისტემის გამოყენების დროს მიწა სამწელიწადში ერთხელ იხვნოდა. პირველ წელს, რომ მოსავალს მოიწვედნენ, მეორე წელს მიწა საძოვრად გამოიყენებოდა, მესამე წელს სათიბად და კვლავ მოიხვნოდა და დაითესებოდა<sup>1</sup>.

არქანჯელო ლამბერტის მოწმობით სამეგრელოში სამმინდეროვანი სისტემის შავგვარი სამგვარი თესლისმონაცვლეობა სკოდნიათ: „პირველ წელიწადს სთესენ ღომს, მეორეს სიმინდსა და მესამეს პურსა. შემდეგ ამისა მიწას სამის, თუ ოთხის წლით ასვენებენ“<sup>2</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილი კლავროთის ცნობებზე დაყრდნობით (XIX ს. დასაწყისი) აღნიშნავდა, რომ „XIX ს. დამდეგს საქართველოში, ქ. დუშეთის მიდამოებში მიწის დასვენება ოთხ ანდა ექვს წელიწადში ერთხელ ყოფილა წესად მიღებული, „ხეცში“ კი სახნავ მიწას თურმე 5 ან 6 წელიწადში ერთხელ ავენებდნენ. საფიქრებელია რომ — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ასეთივე წესი იქნებოდა ძველადაცო“<sup>3</sup>. საგულისხმოა, რომ დუშეთის რაიონში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალითაც ნიადაგის დასვენების ხანგრძლივობა ექვს წელს ვარაუდობს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ჯ. ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული მასალები სამგორიდან, 1955, რე. № 2, პუბლიკა.

<sup>2</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქ. ეკ. ისტორია, 1, გვ. 282.

<sup>3</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 381.

<sup>4</sup> ხალხის გადმოცემით „საბნისმა შვიდწელიწადში ერთხელ ოქროს უნდა წამოტყარა წვერი კაი ნამუშევარი მოვიდეს“. გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმომაილველი, ტ. 1, გვ. 382.



დასვენებული მიწის პირველ კატეგორიაში შედიოდა ერთი წლით ნასვენი მიწა, რომელსაც „ნარბილს“ უწოდებდნენ, ორი წლით ნასვენ მიწას „რცხალს“, სამი წლით დასვენებულს „ნაჩხატს“, ოთხი წლით ნასვენს „ყამირი“ და უფრო დიდი ხნით ნასვენს „კორდს“ უწოდებდნენ<sup>5</sup>. ნარბილის გვერდით იხმარებოდა „ნაწვერალი“, „ნაცვარალი“. ნაწვერალი პურეულის აღების შემდეგ მოუხნავად დატოვებული მიწის გამომხატველი ტერმინია და ეს სახელი ამ ტიპის მიწას გასდევს მეორე წლამდე. მეორე წელს ნაწვერალი ნაჩხატად იქცევა და ასე შემდეგ.

სახნავი ფართობის მიწის სტრუქტურის შენარჩუნების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნიადაგის გაწმენდას ქვიბისაგან. რასაც მიწათმოქმედნი ეწოდნენ, როგორც ხენის დაწყუცამდე, ისე ხენის შემდეგ<sup>6</sup>. ამ პროცესს მიწის „მოქვაება“ ზოგჯერ კი აკენჭვა ეწოდებოდა. მოქვაებაზე მთელი ოჯახის წევრები გამოდიოდნენ, ხელში კალათები ეჭირათ და შეკრებილი ქვა სახნავი მიწის გარეთ ნაპირზე გაჰქონდათ. მოქვაებულ მიწას მოხენის და დაფარცხვის შემდეგ კიდევ ერთხელ შემოუვლიდნენ და ასე ხდებოდა ქვიანი ხირხატი მამულების გაწმენდა-გასუფთავება ქვებისაგან. ამავე რიგის საშუალებას ეკუთვნის მიწის მოკარება, რომლითაც ახოდ ნატეხში ხის ფესვებისაგან გაწმენდის პროცესი გამოიხატებოდა. აღნიშნული გარემოება, მართალია, ხელს უწყობდა მოსავლიანობის გადიდებას, მაგრამ მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახნავი მიწების საქონლის ნაკელით გაპატივებას.

ნაკელის გამოყენება აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებაში ორი განსხვავებით წარმოგვიდგება: მთის პირობებში ნაკელი სახნავ-სათეს მამულში გაჰქონდათ. ბარის პირობებში კი ძირითადად ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებში. ამ გარემოებამ შეაპირობა ალბად მ. მაჩაბელის მოსაზრება (XIX ს. მიწურულში) იმის შესახებ, თითქოს კახეთში, განსაკუთრებით პანკისის ხეობაში, ნიადაგის გასანოყიერებლად ნაკელს რომ არ იყენებენ სახნავი ნიადაგის წესიერ გაპატივებაზე წარმოდგენაც არა აქვთ<sup>7</sup>. თუ რამ-

<sup>5</sup> გ. ჩიტაია, რაქული სახენლი. ვნიშვის მოამბე. ტ. I, 1937. გვ. 276.

<sup>6</sup> М. В. М а ч а б е л и, Экон. быт гос. крестьян Тифлисского уезда Тифлисской губернии. МНЭКБГКЗК. т. V, ч. I, Тифл., 1857. გვ. 443.

<sup>7</sup> იქვე. გვ. 443.

დენად ესმოდათ მიწის გასანოყიერებლად ნაკელის მნიშვნელობა იმავე ბარის პირობებში ან ზაქართველოს შთიანეთის მცხოვრებთ, ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

საქონლის ნაკელის შესაგროვებელი ადგილი ყოველთვის ბოსელთან იყო გათვალისწინებული. ბოსელი სამეურნეო ხასიათაა ნაგებობაა, რომელიც საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსს აესებდა. ბოსლის სიდიდე დამოკიდებული იყო ოჯახის შეძლებაზე. საწყალ — ღარიბ გლეხს, რომელსაც ორი ხარი ან ერთი ძროხა გააჩნდა, ბოსელი არ ქონდა და პირუტყვი ზამთრის პერიოდში თავის სადგომ ბინაში ჰყავდა შეყვანილი. პირუტყვისათვის საცხოვრებელი სახლის ერთ მხარეზე მოწყობილი იყო ბაგა, რომელშიც ბზე, თივა, ან ჩალა ჩაიყრებოდა, ბაგასთან საბმურები, ზედაგარდა, რკლები, დანალული ზღვე და „სანარწყლე“ იყო მოწყობილი. სანარწყლიდან ნაკელის საპატივეზე გადასაყრელად ბოსელს ან სახლს „სანათური“ ჰქონდა დატანებული. ბოსლიდან ნაკელის გამოტანა საპატივეზე თუ ბოსელი მიწური იყო, გოდრებით ან ხელის ჯინებით სწარმოებდა. ნაკელის გამოსატან გოდორს სპეციალურ ზურგიან სამფეხა სადგარზე დადგამდნენ. სამფეხა ისეთი სიმალისა უნდა ყოფილიყო, რომ ერთ კაცს მეორე პირის დახმარების გარეშე გოდორი ზურგზე მოეკიდა.

საქონლის ნაკელის ღირსებას მისი ხნოვანების მიხედვით განასხვავებდნენ. ერთ წელზე მეტი ხნის ნაგროვი ძველ, ანუ დამწვარ პატივად იწოდებოდა, იმერეთში მას „მწიფე პატივსაც“ უწოდებდნენ. ერთ წელზე ნაკლები ხნის ნაგროვი ნაკელი ახალ პატივად ითვლებოდა. დამწვარი პატივი მეტი უპირატესობით სარგებლობდა, „მოსავალს იმავე წელიწადს შეატყობინებდა თავის ძალას“. ახალი ნაკელით გაპატივებული მამული კი უკეთეს მოსავალს მეორე წელიწადს იძლეოდა. ამას გარდა ძველი ნაკელის ტრანსპორტირება, ნიადაგის ზედაპირზე მოშლა-მოფანტვა და ღნულში ჩაყოლება უფრო ხელსაყრელი იყო ვიდრე ახლისა.

ნაკელი ბად-ვენახში ან სახნავ-სათეს მინდორში ძირითად ზამთრის პერიოდში გაჰქონდათ. საამისოდ იყენებდნენ მარხილზე შედგმულ ჯინს. ნაკელის გროვებს ისე ანაწილებდნენ, რომ მისი

---

\* მთის ზოლში გავრცელებული ძველი ტიპის სახლებს ნაკელის გადასაყრელი „სანათური“ არ ახასიათებს. ნაკელი გამოჰქონდათ გოდრებით და ჯინებით კარებიდან, რომლიდანაც შეუდიოდათ საქონელი და შედიოდნენ თვითონ.

გაშლის დროს დასამუშავებელი ნაკვეთის ყველა კუთხე დატარულიყო. ნაკელის დაყრის რაოდენობა დამოკიდებული იყო გლეხის შეძლებაზე. დღიურზე საშუალოდ აყრიდნენ 100 — 150 ჟინს. ისე, როგორც პროფ. გ. ჩიტაიას მასალებიდან ირკვევა, ნაკელი მიწაზე ვერშოკნახევარი სისქით უნდა მოეფინათ.

მთის პირობებში, სადაც უგზობა იმის საშუალებას არ იძლეოდა, რომ პატივი ჯინით ან ურმით გაეტანათ, იგი გაჰქონდათ ზურგზე ან ცხენზე მოსაკიდი ვოდრებით. ხეესურეთში ამ ორი უკანასკნელი საშუალების გარდა გამოყენებული იყო ვიწრო ჯინი, რომელსაც ძირზე გაკრული ჰქონდა უბრალო ქავეები. ასეთი ჯინის სიგრძე ორი, სიგანით ერთი, ხოლო სიღრმით ნახევარი არშინი ყოფილა. ასეთ ჯინში შებმული ჰყავდათ ერთი ხარი ან ერთი ცხენი.

მარჯვე მეურნე მამულში თოვლზე გატანილ ნაკელს მაშინვე გაშლიდა, რომ ნაკელი ნალექებისაგან დაშლილიყო და მიწას დაერეოდა მისი წვენი. ნაკელ მოყრილი მიწა გუთნით უნდა მოეხნათ თუ ეს ბარში იყო, მთაში კი მისთვის შესაფერისი სახვნელით. მთის პირობებში მოხვნის წინ ნაკელის მსხვილ ნატეხებს ქალები ხელით ამსხვრევდნენ და მიწის ყოველ კუთხეში აბნევდნენ. იყო შემთხვევები, როცა მეურნე ნაკელი ბევრი უგროვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მამულს ნაკელი არ სჭირდებოდა მაინც ზამთრის ხელსაყრელ პირობებს ხარბობდა, ნაკელს მამულში გაიტანდა და სახნავი მიწის თავში დაყრიდა, რომ შემდეგი წლისათვის მოეხდინა მისი მოშლა-მობნევა. ამ მიზნით მინდორში გატანილი ნაკელი, ქარების, წვიმისა და მზის მოქმედებით იფიტებოდა და თავის ღირსებას კარგავდა.

მართალია, გლეხს ესმოდა ნაკელის ძალა და მნიშვნელობა, მაგრამ მას ხშირად არა ჰქონდა შესაძლებლობა მამულის ყოველი ნაკვეთისათვის მიეწვდინა იგი. ამას იწვევდა ზოგჯერ სახნავ-სათვისი მიწების სიშორე, სატრანსპორტო საშუალებების უქონლობა, ან თვით ნაკელის მომცემი საქონლის არყოლა.

სოფლიდან საკმაოდ შორმანძილზე მდებარე მიწების გაპატოვების ერთგვარ საშუალებად გამოყენებული იყო ძალავამოლეულ მიწაში ნახირის „დაყრა“ ან საქონლის რამდენიმე კვირით ღამისთევით გაჩერება. ფშავში ამ მიზნით სკოდნათ მწირ მამულში საქონლის ბაქის მოწყობა ღამის თევისათვის. ამგვარი ბაქი მწირ მიწაში მოძრავი ყოფილა. ორ კვირას მამულის ერთ ნა-

წილში იმართებოდა, შემდეგ მას გადაუნაცვლებდნენ და ასე მიწის ყველა კუთხეში მოინაცვლებდნენ.

ქართლში ალქატი მიწის პატრონი მენახირეებს შეუთანხმდებოდა, რომ მისი მიწა „საყარად“ გამოეყენებინათ. მენახირე ამისათვის სათანადო გასამჯელოს ღებულობდა. შუადღისას ნახირს ალქატ მიწაში მირეკდა და „დაყრიდა“ (ნახირის დაყრას უწოდებენ შუადღისას ნახირის ერთ ადგილზე შემოკრებას 'შე-სასვენებლად, ხოლო იმ ადგილს სადაც ნახირი ეყრებოდა „საყარას“). მეურნეთა აზრით მამულისათვის ყველაზე უკეთესი იყო ცხვრის ფარის დაყრა, მიწას ცხვრის „დრემლით“ გაპატივება ღიღბანს ყოფნიდა. აღნიშნული წესით მიწის გაპატივება, რომ მნიშვნელობას არ იყო მოკლებული, ამას ადასტურებს ტოპონიმიკაში შემორჩენილი სახელები: „ნამსუქნები“, „ნამცხვრები“, „ნაძროხები“, „სანახირო“, „არხაჯი“ და სხვ. ნამცხვრები და ნაძროხები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მიწის ამ ნაკვეთში ერთგან ძროხის ნახირი, ხოლო მეორეგან ცხვრის ფარის სადგომი უნდა ყოფილიყო.

სახნავ-სათესი მამულის გაპატივების ერთ-ერთ სახეობას მიწის „მონეხვწყალა“ წარმოადგენს, რომელიც ხევსურეთის პირობებში გაზაფხულით სწარმოებდა. საპატივესთან მთიდან დაშვებულ ნაკადულს გადაუშვებდნენ, ნაკელს ნიჩბით გადმოქექავდნენ და კალოსავით გულს გამოუღებდნენ. წყალს ნაკელში დაატბორებდნენ. შემდეგ ქალები და ბავშვები ფეხით ნაკელს გათქვეფავდნენ და ამის შემდეგ ნეხვწყალს სახნავ-სათესი მამულისაკენ მიუნაკადლებდნენ. ასე იქცეოდნენ თუ გასაპატივებელი ნაკვეთი ბოსლის ქვემოთ იყო მოთავსებული. ბარში კი „მონეხვწყალისათვის ნაკელი სახნავი მიწის თავში უნდა დაეყარათ, მისთვის ზოგჯერ ორმო მოეთხარათ. ნაკელს შიგ ჩაყრიდნენ და წყალს მიუშვებდნენ, წყალი ორმოში ჩავიდოდა ნაკელის წვესს გამოიტანდა და შემდეგ ნათესში მინაკადლებულ კაწრებში მიიმართებოდა<sup>9</sup>.

მთის პირობებში ნაკელს ღიდ ღირსებას ანიჭებდნენ. ფერდა სახნავ ადგილებში მიწა მალე ირეცხებოდა და ძალას კარგავდა. ყოფილა შემთხვევა, როცა უღონო მიწის პატრონი და ნაკელის მქონე გლეხი შეამხანაგებულან, იმ მიზნით, რომ უღონო

<sup>9</sup> შეადარე. სტ. მენტეშაშვილი, აჭარის ჭონოგრაფიული მასალები, ენიმკის მოამბე, ტ. II, ნაწ. 1, 1937, გვ. 143.

ნიწა გაეპატივებინათ და დაემუშავებინათ. ასეთ შემთხვევაში ნიადაგის დამუშავებას (მოხვნა, დაფარცხვა) ორივე ერთნაირად ეწეოდა. ასევე სათესლე ხორბალსაც სანახევროდ გამოიღებდნენ და მოწეულ მოსავალს ეს ორი ამხანაგი შუაზე გაყოფდა თურმე<sup>10</sup>.

ამგვარი მხარე ურთიერთობისა გვიჩვენებს, რომ მიწის ნაკვეთი და ნაკელი მეურნეთა შეამხანაგებაში ტოლძალოვნად გამოდიოდა.

ქართველი გლეხობა მიწათმოქმედებაში რომ ნაკელის ღირსებას საკმაო მნიშვნელობას ანიჭებდა, ამასთან დაკავშირებით საინტერესო მომენტია მოცემული ერთ ქართულ ზღაპარში. ზღაპრის მიხედვით ერთ საწყალ გლეხს სამი ვაჟიშვილი ჰყოლია. უფროს მათგანს განუზრახავს რომ მღვდელს დასდგომოდა მოჯამაგირედ. მოჯამაგირეობის პირობა მეტად უცნაური დაუდიათ. მოჯამაგირე გასამჯელოს მხოლოდ მაშინ მიიღებდა, თუ მღვდელს თავის საქციელით გააკვირვებდა, მოთმინებიდან გამოიყვანდა და გააბრაზებდა. მოჯამაგირეს მღვდლის გასაბრაზებლად შემდეგი რეზი უხმარია. მას შეუნიშნია, რომ მღვდლის ბოსლის საპატივეზე მრავალი წლის ნაგროვი ნაკელია დაყრილი. აულია გოდორი და ნაკელი მღვდლის ვენახში გაუტანია და მოუფენია. მოჯამაგირის აზრით თურმე მღვდელს ვენახი აუყროლდებოდა და ეს გააბრაზებდა. მაგრამ ამ ამბავმა მღვდელი პირიქით გაახარა. მოჯამაგირე სახლში დაბრუნებულა დაღონებული და მამისათვის შეუჩივლია. მამა გაწყრომია და შეილისათვის უთქვამს: „შენ მღვდელი სამუდამოდ აგიშენებია და აბარა გააბრაზებდაო“. მღვდელზე შურის საძიებლად შუათანა ძმა მიდის, შემდეგ შესამე ძმა. ზღაპრის დანარჩენი ნაწილი ჩვენთვის საინტერესო აღარაა. აქ ნათლად ჩანს, რომ როგორც მღვდელს, ისე გლეხს, ნაკელის მნიშვნელობა მამულისათვის კარგად ესმის. გაპატივებული მამულით ადამიანის „აშენება“, მისი ქონებრივად მოძლიერება შეიძლებოდა.

ნაკელს სახნავ-სათესი მიწისათვის რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამის ერთ მეტად საგულისხმო მაგალითს გვაძლევს საქორწინო მისალოცში ნაკელის შეწვევის წესის არსებობა და ზოგჯერ მისი მზითევში გატანებაც. 1902 წელს გ. ხეჩუაშვილმა „ივე-

<sup>10</sup> მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 444.

რიაში“ მოათავსა მოთხრობა „დურგლიანთ ქორწილი“. ავტორს მოთხრობაში აღწერილი აქვს ქართლელი საწყალი გლეხის ქორწილი, სადაც სხვათაშორის ნათქვამია, რომ „ზოგმა ფული შეაწია, ვისაც ფული არა ჰქონდა, ზოგმა: სასუქი შეაწია, ზოგი შევლას დაჰპირდა ხენაშიო“<sup>11</sup>. მწერლის მიერ წარმოდგენილი შესაწირავის სახეობა ჩვენ გადაჭარბებულად არ მიგვაჩნია, რადგან ჩვენი მასალებით არაერთგან დამოწმებული გვაქვს ქორწილში გუთნის შეწვევა; არის შემთხვევები როცა „ფუჩიჩი“ კი (ე. ი. იმინდის ჩალა) შეუწევიათ თუ მიულოციათ. ვასაგებია, რომ ისეთი მძლავრი და ძვირფასი იარაღი როგორც გუთანი იყო საქორწინო მისალოცის საპატიო საჩუქარს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის მზითვის წიგნებში ხომ გუთანისა და სამეხრეოს მზითევში გატანება არც თუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა<sup>12</sup>.

მიწის განოციერების ერთ-ერთი საშუალება, რომელსაც იშვიათად, მაგრამ მევენახეობა-მებოსტნეობაში მაინც ჰქონდა ადგილი, ეს იყო შემოდგომით ხიდან დაცვენილი ფოთლების მიწაში ჩაყოლება ბარვის დროს.

ნიადაგის გაპატივება ამ გზით თუმცა არ ატარებდა აქტიურ ხასიათს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, იმ მხრივ რომ მიწისმოქმედის მიერ მიგნებულა ნიადაგის გაპატივების ეს საშუალებაც. მეურნეთა აზრით „მიწაში ფოთლები ჩალბებოდა და მიწას საქონლის ნაკელივით უხდებოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ქსენოფონტეს დროს ნიადაგის პატივით გაპოხიერების გარდა „ბალახ-ნამჯიანი მიწის გადაბრუნებითაც ცდილობდნენ ხოლმე სახნავის განოციერებას“<sup>13</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდით რომ იყო გამიზნული, მაინც ნაკელის გამოყენებას უტკავშირდება, ან ნიადაგის რამდენიმე წლით დასვენებას. ყველაზე უფრო თავისებურ საშუალებას ნიადაგის დაჭობების წესი შეადგენდა, რასაც ხალხი სახნავი ფენის დაცვისათვის იყენებდა, ხოლო აქედან გამომდინარე იგი მოსავლიანობის გადიდების საქმეს ემსახურებოდა.

<sup>11</sup> გ. ხეჩუაშვილი, დურგლიანთ ქორწილი, „ივერია“, 1902, № 192, გვ. 3.

<sup>12</sup> ს. ბარნაველი, გასათხოვარი ქალის მზითვეი XVIII საუკუნისა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 1941, XI-B. გვ. 100—120

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, გვ. 382.

სახნავ-სათესი ნიადაგის დაცვა სხვადასხვა წესით სრულდებოდა. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ერთ მათგანზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს შემინდვრეობაში დამოწმებულია „დაქაობების“ სახელით.

საკითხთან დაკავშირებით ეთნოგრაფიული მასალები გვაწვს გამოყენებული, რომელიც დაქაობების წესის ფაქტის დადგენის საშუალებას იძლევა.

ნიადაგის დაქაობების წესი, მეურნეთა მიერ პირველ რიგში მიმართული იყო იქითკენ, რომ ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის საშუალებით მაღალი მოსავალი მოეწიათ. ამავე დროს იგივე წესი წარმოადგენდა ნიადაგის სახნავი ფენის გაზრდა-შენარჩუნების საუკეთესო საშუალებასაც.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა ქართლში დაქაობების მიზნით მწირ-აღქატ მიწაში წყალს მიუშვებდნენ ბოლმე და გაზაფხულიდან შემოდგომამდე სისტემატურად რწყავდნენ. წყალი იმდენი რაოდენობით უნდა ედინათ, რომ მიწის ყველა კუთხე დაეივებულყო. ხშირი რწყვის შედეგად მიწის ამ ფართობში ჭაობის ბალახი, კბილი და სხვ. მატულობდა და იზრდებოდა. სამი-ოთხი წლის მერე მთელ ნაკვეთში „ქილი გადაჯდებოდა“. ბალახ მომრავლებულ ნაკვეთში შესულ წყალს ნიადაგის გარეცხვის უნარი ეკარგებოდა, ხოლო ამავე დროს წყლით შეტანილი ნალექები ადგილზე რჩებოდა. შემოდგომით დასაქაობებელი მიწის რწყვას შეწყვეტავდნენ მომავალი წლის გაზაფხულამდე. წამოზრდილ ბალახს ცელით ჩათიბავდნენ და შიგვე ჩააღობდნენ. ასე გრძელდებოდა 7 — 8 წლის და ზოგჯერ მეტი ხნის განმავლობაში. დაქაობებულ მიწაში წყლის დინებას შეწყვეტდნენ და ამის შემდეგ მიწას გამოაშრობდნენ, რომ გუთნით მოეხნათ.

დაქაობების დროს ხდებოდა აგრეთვე მიწის ნაკვეთის ზედაპირის მოსწორება. თუ მიწის ნაკვეთს დაბლობი ან დამრეცი კიდეები გააჩნდა მაშინ „ჩაბლობი“ ადგილების კიდეებში მიწის ნაკვეთის სიმაღლის შესწორებით ჩასხამდნენ ნედლი ხის პალოებს. პალოები ერთი მეორის გაყოლებით თითო-ორთა მტკაველზე იყო დაშორებული. პალოებზე წნელებს ჩააწნავდნენ და ამკარად ლასტი გამზადდებოდა. როცა მიწის ნაკვეთში წყალი დიოდა ნედლი ხის პალოები დახარდებოდა, ფესვს გაიდგამდა და უფრო საიმედო სიმაგრეს ქმნიდა. მიწის ნაკვეთში დასაქაობებლად

შეყვანილი წყალი ცხადია დაბლობი ადგილისაკენ იმავე ნაკვეთიდან მიწის ნალექებს დიდი რაოდენობით მიდენიდა, მაგრამ ანალოგებზე ჩაწნული ლასტი გასასვლელს არ აძლევდა. ასე თანდათანობით დაქაობებასთან ერთად ხდებოდა ნაკვეთის ზედაპირის მოსწორებაც.

მიწის განოციერების ამ მეთოდს სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ სტ. მენტეშაშვილმა მიაქცია ყურადღება<sup>14</sup>. აქარლები, როცა მათ სასუქის მიცემის საშუალება არა ჰქონდათ, მიწას სტოვებდნენ მოუხნავად, შემდეგ რწყავდნენ და ასეთი წესით მიწის გასუქებას გაქალაქებებს უწოდებდნენ<sup>15</sup>. საინტერესოა, რომ აქარლები გაქალაქებულ მიწის გასუქებას ატყობდნენ იმაზე, მოიყვანა თუ არა ერთგვარი ბალახი, რომელსაც აქარლები ლეშხს ანუ ყვავილას ეძახიან. ქართლშიც დასაქაობებლად დაგდებულ მიწაში ჰილი, რომ მოერეოდა და მიწის ფართობში მთლიანად გადაჭდებოდა მაშინ ნაკვეთში წყლის დინებას შეწყვეტდნენ და დაქაობებული ნაკვეთის გამოშრობას იწყებდნენ. წყლის დინების შეწყვეტა და ნიადაგის გამოშრობა ზოგჯერ ორ წელიწადსაც გრძელდებოდა და ამის შემდეგ ხდებოდა „ქაობის“ მოხვნა დიდი გუთნით“. დაქაობებული მიწა რომ მოიხენოდა, იმას ნაქაობარს უწოდებდნენ. თუ დაქაობებული ნაკვეთი სავენახეთ იყო გათვალისწინებული, იმას მზრალად დააგდებდნენ და შემოდგომით ღობნავდნენ. გაზაფხულზე მზრალში (ნამზრალში) ვაზის რქას ჩაყრიდნენ. ნამზრალი ნიადაგი გაზაფხულზე რბილი იყო და ვაზის რქის მიწის სიღრმეში ჩაშვებას აადვილებდა. თუ დაქაობებული მიწა სახნავ-სათესად უნდოდათ და არა სავენახედ, მაშინ ქაობი ანუ უნდა მოეხნათ და შემოდგომით აოშვის შემდეგ ხორბლეული დაეთესათ. ნაქაობარ მიწას დიდხანს გასდევდა სიხოყვირე.

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ ნიადაგის დაქაობების ანალოგიურ მაგალითზე, რასაც ადგილი ჰქონდა აქარელთა მიწათმოქმედებაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიადაგის გაპატივების მეთოდი ძველთაგანვე მომდინარეობდეს. მართალია ამის პირდაპირი მამტიკიცებელი წყაროები არ გავვაჩნია, მაგრამ რადგან ნიადაგის გა-

<sup>14</sup> სტ. მენტეშაშვილი, აქარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმის-მთაბე, 11, 1, თბ., 1937, გვ. 143.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 143ა



ნოციერების ეს მეთოდი რწყევასთან არის დაკავშირებული. რწყვის ამ მიზნით წარმართვა მეურნეთა მიერ აღრიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი, ყოველ შემთხვევაში შუასაუკუნეებში მისი არსებობა და გამოყენება რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს. საინტერესო ფაქტი ამასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ სოფელ ქორდის (გორის რაიონი) ტოპონიმიკამ შემოგვინახა. აქ მინდვრის ერთი ნაკვეთის აღსანიშნავად შემონახულია „ქაობების“ სახელწოდება. სადაც არც ძველად და არც გვიან მისი პირდაპირი გაგებით არავითარი ქაობი არ უნდა ყოფილიყო. ქაობების სახელი კი მას უნდა შერქმეოდა განოციერების მიზნით ხელოვნურად წარმოებული დაქაობების გამო.

დაქაობება ანუ წყლის გამოყენება ნიადაგის განაყოფიერების მიზნით საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ხანებში, როგორც საქართველოს ისე საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ნიადაგების შესწავლამ ნათელყო, რომ წლების განმავლობაში ნიადაგების სისტემატური ექსპლოატაცია, განსაკუთრებით მთიან და დაფერდებულ ადგილებში იწვევს ნიადაგის სახნავი ფენების ეროზიას. ეროზიის ქვეშ იგულისხმება სახნავი ფენის ჩამორეცხვა, დაღარვა-დახრამვა, ნიადაგების ეროზიას განსაკუთრებით ხელს უწყობდა რწყვის ძველი სისტემა.

ეროზია განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს იმ რაიონებში, სადაც სახნავი ნიადაგები დაქანებულ მდგომარეობაშია წარმოდგენილი; განსაკუთრებით კი როცა ეს ნიადაგები ირწყვოდა. შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ 0,5 გრადუსით დახრილ მდგომარეობაში მდებარე სარწყავი მიწებიც კი ადვილად ხდებიან ეროზიის მსხვერპლნი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გორის რაიონის სარწყავი ნიადაგები  $12^{\circ}$  —  $13^{\circ}$  დახრილ მდგომარეობაში არიან, მაშინ ადვილი წარმოსადგენია თუ რა სწრაფად უნდა წარმართულიყო ამ მინდვრების სახნავი ფენის ჩამორეცხვა-დაღარვა. ქართლის ტოპონიმიკაში ამასთან დაკავშირებით შემონახულია სახელები: „ქვაკირა“, „სერი მიწები“, „თეთრი მიწები“, „ქვიანები“, „ხირხატები“, „ღორღიანები“ და სხვ. ეს მინდვრის ის ადგილებია, სადაც სახნავი ფენა დაიშალა, გადაირეცხა, მოხდა დახრამვა შავი ნიადაგისა და სახნავი ფენა დავიდა თეთრ მიწაზე, რომელშიც ბლომად ერევა ქვა და ღორღი.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ ეროვნული პროცესი ისტორიული ხასიათისაა<sup>16</sup>, ხოლო ამ ისტორიულ პროცესის შესწავლას დღეისათვის გარკვეული ყურადღება აქვს დათმობილი. სახელდობრ მეცნიერებას აინტერესებს თუ რა დროიდან დაიწყეს ადამიანებმა ბრძოლა ეროზიის წინააღმდეგ. ბოლო ხანებში განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება ჰპოვა ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების გამოყენების შესახებ გამოთქმულმა მოსაზრებებმა.

1956 წლის 3 აპრილს გაზ. „იზვესტიამ“ მოათავსა პ. ბ. ხუხრიანსკის წერილი „Овраги“, იგი აღწერს თუ მან როგორ დაიწვა დახრამვისაგან პატარა მდინარის სანაპირო. იმავე წლის 22 აპრილს „იზვესტიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა რამდენიმე წერილი, რომლებიც ეხმაურებიან ხუხრიანსკის წერილს. ამ წერილებიდან აღსანიშნავია პროფ. ს. სობოლევის წერილი „Нельзя с эрозией поинуть государственной важности. იგი მიუთითებს ეროზიის წინააღმდეგ გადაუდებელ ღონისძიებების ჩატარებაზე და აღნიშნავს თუ რა დიდი ზიანი მოაქვს ეროზიას. რომ მეფის რუსეთში ყოველწლიურად 300 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა გამოდიოდა ხმარებიდან და რჩებოდა დაგდებულ უვარგის მდგომარეობაში. ეს პროცესი, აღნიშნავს პროფ. ს. სობოლევი, დღესაც გრძელდება და ამიტომ საჭიროა გადაუდებელი ბრძოლა ეროზიის შესაჩერებლად. ს. სობოლევი: ჩამოთვლის რიგ ღონისძიებებს რითაც შეიძლება ბრძოლა ეროზიის წინააღმდეგ. მათ შორის ერთერთია რწყვის ახალი მეთოდის გამოყენება, შემდეგ ხელოვნური ტყეების გაშენება, სარწყავი რუების გასწვრივ მცენარეულის დარგვა, ნიადაგის განოყიერება და სხვ.

იმდენად რამდენადაც საქართველოს სახნავი ადგილების რელიეფი ეროზიის მეტად ხელშემწყობ გარემოს ჰქმნის, ამდენად ნიადაგების ეროზიის ისტორია საქართველოს პირობებში საქმალად დიდი ხნიდან უნდა დაწყებულიყო.

ძველ ქართულ მწერლობამ სამწუხაროდ არ შემოგვინახა ეროზიაქმნილი. ნიადაგების გამომხატველი რაიმე ტერმინი. სავარაუდოდ კი შეიძლება „ალქატი“ და „ბიცი“ (XII — XIII სს.) მივიჩნიოთ, რადგან ერთიც და მეორეც, ღარიბი, გამოფიტული, მლაშე ნიადაგების მნიშვნელობითაც იხმარებოდა ხალხში.

<sup>16</sup> ვ. მირზაშვილი, ნიადაგის დაცვის ღონისძიებანი მთიანი რელიეფის პირობებში, თბ., 1955, გვ. 3.

ძველად საქართველოს პირობებში გამოყენებული სახნავე ფენების დაცვის სხვა ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ნიადაგების ტერასული დამუშავება, რასაც ქართლის სამხრეთ რაიონებში ჰქონდა ადგილი და რომელსაც შუასაუკუნეებში „ოროკი“ ეწოდებოდა. ოროკი ფერდა ადგილების ბაქნებად მოვაკებას აღნიშნავდა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძველი მიწათმოქმედების შესწავლის საკითხთა რიგში, ქართველთა მიწათმოქმედების ისტორიის შესწავლას, როგორც ისტორიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემას თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი, იმდენად რამდენადაც საქართველო მიწათმოქმედების მიმდევარი უძველესი ქვეყანაა, რომელსაც ხანგრძლივი ტრადიციული თვითმყოფი მდიდარი ცოდნა გამოცდილება ახასიათებს. ნიადაგის დაცვა განოყიერების ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი ერთი ხალხური წესი ქართულთა მიწათმოქმედების შემინდვრობის დარგის საყურადღებო მოვლენათაგანია. მისი უფრო ფართოდ შესწავლა ნათელ წარმოდგენას მოგვცემს იმის შესახებ თუ საქართველოს პირობებში რა დროიდან დაიწყო ნიადაგების ეროზიული მოვლენებისაგან დაცვის ღონისძიებებზე ზრუნვა.

მოსავლიანობის გადიდების ხალხურ წესებში გარკვეული ადგილი უჭირავს ხენა-თესვის წესიერად წარმართვას, თითოეული კუთხისათვის მის შესაფერის ღონეზე. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა ხენის პროცესს, რომ ნიადაგის დახარვეზებას არ ჰქონოდა ადგილი და გადახნულ მიწაში არ დარჩენილიყო უსწორმასწორო მალლობა-დაბლობი ადგილები. ფრთიანი გუთნით ხენასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მონაპოვარია ნაღრით და ნაზურგით წარმოებულ მონაცვლეობითი ხენა. დიდი ყურადღება ექცეოდა მიწაში თესლის თანაბარ სიღრმეზე განლაგებას და მარცვლის ზომიერ რაოდენობით მობნევას. ყოველივე ეს კი მოსავლიანობის გადიდებას უწყობდა ხელს.

თესლის მიწაში წესიერი მიზარება და მისი აღმოცენების უნარიანობის ამალღება ბევრად იყო დამოკიდებული შესაფერის

სამეურნეო იარაღზე თვით მეურნის წლების მანძილზე დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებაზე და ნიადაგების განლაგებაზე<sup>17</sup>.

საქართველოს პირობებში თესვის დროს გამოყენებული იყო აოშვის ოთხი სხვადასხვა მეთოდი, რომელთაგან (ნახნავის გასწვრივი აოშვა, გარდიგარდმო, ჭვარდიანი და „აყურით“ აოშვა) ჭვარდიანი და „აყურით“ აოშვის წესი გამოყენებული იყო შედარებით წაგარი სტრუქტურის მქონე ნიადაგებისათვის.

უხვი მოსავლის მიღების სხვა საშუალებებიდან აღსანიშნავია სათესლე მასალის შერჩევა და მისი შენახვა. ამ საკითხთან დაკავშირებით შესანიშნავ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს შერეული თესლის თესვის მაგალითი, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ იყო ფეხმოკიდებული ურწყავი რაიონების მემინდვრობაში. შერეულ თესლის ქვეშ დღემდე ჩვენში ქერისა და დიკის თესლის ერთიმეორეში არევა და ასე დათესვა იგულისხმებოდა, რასაც — ქერქრელს უწოდებენ. ქვექრელის მნიშვნელობაზე და მის რაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული აზრი უკვე არსებობს და ამიტომ ამ საკითხს ჩვენ აქ ფართო მსჯელობის საგნად არ გავხდით. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ შერეული თესლის ქვექრელის თესვა გვალვიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომ პურეულის ერთი მათგანი მაინც შეენარჩუნებინათ. ანდა როგორც მთხრობლები აღნიშნავენ „ლარიბი გლეხის მიერ მოგონილი ხერხი იყო პურეულის უხვი მოსავლის მიღებისა“. თანამედროვე პირობებში ქვექრელის თესვა სამეურნეო დანიშნულებას მოკლებული აღმოჩნდა. სამაგიეროდ ქვექრელის ე. ი. შერეული თესლის თესვის გამოყენებამ მემინდვრობის სხვა კულტურებში ჰპოვა თვისი აღორძინება, სახელდობრ ჩვენ მხედველობაში გვაქვს სიმინდისა და ლობიოს ერთად

<sup>17</sup> გ. ა ბ ე ს ა ძ ი ს დაკვირვებით „ნიადაგის ჩამორეცხვის თავიდან ასაკი-ლებლად დაფერდებულ ადგილებზე ხენა უნდა ჩაჩარდეს დაქანების გარდიგარდ-მო ბიძართულებით (გ. ა ბ ე ს ა ძ ე. პურეული და სამარცვლე პარკოსანი კულ-ტურები. თბ., 1953, გვ. 87). აღნიშნული წესით ფერდა ადგილების დამუშავებას ქართულთა ძველ მიწათმოქმედებაში დიდიხანია რომ მისდევდნენ და ამგვარ ხენას „კალფრთაზე ხენას“ უწოდებდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ამის გვერდით გავრცელებული იყო დაფერდების ასწვრივი ხენაც. რასაც მისდევდნენ იმ რაი-ონებში საცა ზამთარი ხანგრძლივი იცოდა ხოლო საშემოდგომო პურეულის თესვა-მოყვანას მაინც ეწეოდნენ. დაფერდების ასწვრივი ხენა მურუნეთა აზრით, იმ მხრივ არის ხელსაყრელი, რომ ხელს უწყობს ნალექების ჩამოშრეტას და ნა-ფეხს ჩაღებობა აღარ ემუქრება.

თესვის მაგალითი. სიმინდისა და ლობიოს ერთად თესვა ხელსაყრელია რადგან აღმოცენება ზრდა-განვითარებაში აღნიშნული კულტურები ერთიმეორეს ხელს არ უშლიან. ასევე მათი მომწიფება სხვადასხვა დროს ხდება. ცხადია აქ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დასათესად გათვალისწინებული თესლის გარკვეული დოზით შერევას. ასე მაგ., შიდა ქართლში სიმინდში ლობიოს მეოთხედ წილს ურევდნენ. ამავე დროს სიმინდთან შესარევად ლობიოს ყველა სახეობა არ გამოიყენებოდა. საამისოდ იყენებდნენ კუტ ლობიოს, რომელსაც კავი არ გამოაქვს. უკავო კუტი ლობიოს ჯიშებში შედიოდა მინდვრის შავი, მინდვრის წითელი და მინდვრის ნიკორა ლობიოები. საერთოდ, ლობიოს ამ ჯიშებს „მინდვრის ლობიოს“ სახელით იცნობდნენ. მინდვრის ლობიოს ჯიშების შესწავლამ შემდგომში შესაძლებელია მეტად საინტერესო მასალა მოგვცეს. სახელდობრ, მინდვრის ლობიოს ჯიშების შემუშავება წარმომავლობის შესახებ.

ცნობილია, რომ სიმინდი საქართველოში XVII საუკუნისათვის შემოდის. რაც შეეხება სიმინდისა და ლობიოს ერთად თესვის მეთოდს, აღებული უნდა იყოს ქვერელის თესვის მაგალითიდან (სამწუხაროდ ჩვენ არ მიგვიწვდება ხელი იმ მასალებზე თუ სად, რომელ ქვეყანაში იყენებდნენ სიმინდთან ერთად პარკოსანი კულტურების თესვას).

დიდი ყურადღება ექცეოდა სათესლე მარცვლეულის შერჩევის საქმეს. კარგი მეურნე ყოველთვის ცდილობდა ზემოჩამოთვლილ საშუალებებთან ერთად მაღალხარისხოვანი თესლი დაემზადებინა. ცდილობდნენ, რომ სათესლედ პირველი განალეწი აეღოთ. მეურნეთა აზრით, „პურის პირველი ლეწვის დროს კალო გადათოხნილია და რბილია, რბილ კალოზე პურის მარცვალი ლეწვით არ იღლება და ღონეს ინარჩუნებს“. სათესლე მარცვალი მსხვილი და სრული უნდა ყოვილიყო, კარგად მომწიფებული. მას გაურეცხავს ინახავდნენ ცალკე.

უკანასკნელ ხანებში, პირველად კი 1949 წელს ჩვენს მიერ ჯერ სამგორის სოფლებში (მარტყოფი, ახალსოფელი), შემდეგ კი შიდა ქართლში, ალგეთის ხეობაში და თრიალეთში მუშაობის დროს მიკვლეულ იქნა სათესლე მარცვლეულის შერჩევა-შენახვის საგულისხმო წესები, რომელთა შორის აღსანიშნავია „პურის უკოდვის“ წესი. პურის დაკოდვა როგორც უხვი მოსავლის, ისე პუ-

რეულის მაღალმოსავლიანი სახეობის თვისებების შენარჩუნების საქმეს ემსახურებოდა. ზოგიერთ რაიონში დოლის პურთან შედარებით თავთუხი ბარაქიანი ხეავით ხასიათდებოდა. მაგრამ თავთუხისა, მეურნეთა გადმოცემით, სამი წლის შემდეგ გადაგვარება იცოდა. თავთუხის გადაგვარების ერთ-ერთ მიზეზად, მთხრობელთა მიერ, მიჩნეულია ლეწვის დროს „ნადოლისპურალ“ კალოზე თავთუხის გაღწევა. თავთუხის გადაგვარებას კი შემდეგნაირად აღწერენ: „რომ მეოთხე წელს თავთუხს მარცვლი უწვრილდებოდა, ნაკმაზი მატულობდა, მარცვლი მოკლე იყო და თავთავიც წვრალდებოდა“. ასევე ემართებოდა თურმე „შავფხა თავთუხსაც“. მეურნეთა აზრით, მეოთხე წელიწადს იგი დოლისპურად იქცეოდა. იმისათვის რომ მაღალი მოსავალი შეენარჩუნებინათ, ამიტომ საჭირო იყო ან თესლის გამოცვლა ან სათესლე მარცვლის შერჩევა. სათესლე მარცვლის შერჩევის ერთი სახეობაა „თავთავის დაკოდვა“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სამი წლის შემდეგ თავთუხის თავთავს თავსა და ბოლოს მოაკვეცავდნენ და თავთავის შუა ტანს სათესლედ გამოფშენტავდნენ ხოლმე. თავთუხის გადაგვარებას ძველად დადოლებას უწოდებდნენ (გარე კახეთში „დადოლშიშებას“), ხოლო იმ ღონისძიებას რაც თავთუხს გადაგვარებიდან იხსნიდა თავთავის დაკოდვას. ამ წესით მიღებული თესლი თავთუხს თავის თვისებებს კვლავ სამი წლის განმავლობაში უნარჩუნებდა, ამის შემდეგ კი თავთავის დაკოდვა მეორდებოდა.

პურის ან თავთავის დაკოდვის წესი თუ მემინდვრეობაშია, მის მაგვარ წესს დაკოდვისავე სახელით ცნობილს იყენებდნენ: მებოსტნეობაში, მევენახეობასა და მეხილეობაში. პურეულის თავთავის დაკოდვის გარდა მაღალი მოსავლის მიღების საქმეს ემსახურებოდა თესლის გამოცვლის წესი. მეურნეთა დაკვირვებით თავთუხი თუ 3 — 4 წლის შემდეგ მოითხოვდა გადახალისებას, დოლისპური უფრო დიდხანს უძლებდა. დოლისპურის გადაგვარებასაგან დასაცავად გამოყენებული იყო თესლის გამოცვლის წესი (ამავე წესს იყენებდნენ თავთუხის მიმართაც). რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი სოფლის მეურნენი, სათესლე ხორბლეულსა მეორე სოფლიდან ეზიდებოდნენ. ეთნოგრაფიული მასალით დგინდება მეტად საყურადღებო გარემოება, რომ სარწყავი სოფლის მეურნეებს სათესლე ხორბალი ურწყავი სოფლებიდან შეჰქონდათ და პირიქით „ურწყაველებს“ სარწყავი სოფლებიდან. ჩვენს მიერ შეკრებილი მასალებიდან ასეთი მაგალითები იქნა დამოწმებული:

სოფ. ტინისხიდელები სათესლე ხორბალს ცელიდნენ — რუისში, ფცაში, ბერძენაულში. მეჭვრისხეველები ცელიდნენ შინდისში, ქვეშელები — არბოში, ქორდლები არბოში, ერედვში, ალგეთის ხეობის სოფლები ცელიდნენ შულავრელებთან. თესლის გადაცვლა ხდებოდა სრულიად უბრალოდ, გადამცვლელი ურმით წაიღებდა სათესლე ხორბალს იმ სოფელში სადაც უნდოდა გადაცვლა და აქ ხორბალს „პირისპირ“ გადაცვლიდა. „მიწას რომ იცვლის თესლი, — მთხრობელთა აზრით, — მოსავალი მაშინ კარგი მოდის“. აქვე მიუთითებენ, რომ ურწყავ მიწებში ნათესი ხორბალი, რადგან სარწყავს არ იყო შეგუებული, სარწყავ მიწებში დათესვისას გვალვიანობის შემთხვევაში მეტ გამძლეობას ამჟღავნებდა. აღნიშნული თვისებების გამოვლენა შეეძლო თუ არა გადაცვლილ სათესლე ხორბლებს სპეციალური კვლევის საგნს შეადგენს. ერთი კი ცხადია, რომ სამეურნეო პრაქტიკაში მისი ფართოდ გამოყენება თესლმონაცვლეობის წესის რამდენადმე გამართლებაზე უნდა მიუთითებდეს.

სათესლე მასალის გამოცვლასთან დაკავშირებით ერთი საყურადღებო მაგალითი XIX საუკუნის 80-იან წლების დანაცვლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებიდან მოგვეპოვება, ცნობილია, რომ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დასავლეთ საქართველოდან დიდი რაოდენობით გადიოდა სიმინდი დასავლეთ ევროპის ბაზრებზე. სიმინდის კულტურით გლეხობა დიდად დაინტერესდა, რამაც გამოიწვია სახნავ-სათესი მიწების სისტემატურ ექსპლოატაციაში ჩაბმა. მეორეს მხრივ ამ ინტენსურ ექსპლოატაციას მოჰყვა სიმინდის მოსავლის შემცირება. დაკნინდა სიმინდის მარცვალი. დაპატარავდა სიმინდის ტარო და ამას მოჰყვა მოსავლის დაბალხეავიანობა\*). ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე ვიდრე არ იქნა შემოტანილი ეგვიპტური სიმინდი, რითაც მოხდა სიმინდის გადახალისება და ეგვიპტური სიმინდის ჯიშმა ხელახლა ააღორძინა სიმინდის მოსავლიანობა. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თესლის გამოცვლის წესის გამოყენებას მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა სათესლე ხორბლებულის შენახვა. ძველად აღმოსავლეთ საქართველოში სათესლე ხორბლებულის შესანახ სა-

\* ა. გუგუშვილი, მარცვლულის მეურნეობა. 1954, გვ. 56.

შუალეხად სხვა საშუალებების გარდა ძირითადად გამოყენებული იყო ორმო ან ხარო. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ორმოები გავრცელებული იყო კახეთში (ქიზიყითურთ), გარეკახეთში, თრიალეთში, შიდა ქართლში) და ქვემო ქართლში. ორმოებს იყენებდნენ ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა სახნავ-სათესი მინდორი სოფლიდან შორ მანძილზე იყო. მაგ., ქიზიყის ზოგიერთ სოფლებს. სახნავ-სათესი მინდორი შორმანძილზე ჰქონდათ (20 — 30 კმ). პურის ლეწვას ისინი მინდვრად აწარმოებდნენ და იქვე კალსთან მოთავსებულ ორმოებში ინახავდნენ სათესლედ გათვალისწინებულ ხორბალს.

ორმო და ხარო ქართველი გლეხის სამეურნეო ნაგებობის კომპლექსში შედიოდა, მაგრამ მათი არსებობა დადასტურებულია როგორც ზემოთ ვნახეთ სახნავ-სათეს მინდორში კალსთან ერთად და აგრეთვე ეკლესიების კარზედაც. სახელდობრ, ქარების (XI — XIII სს.), ყინწვისის (XI — XIII სს.), მოხისის ეკლესიების კარზე. პურის ხარო 1954 წელს ჩვენს მიერ მიკვლეული იქნა ძეგვის ახლოს ცერონის მთაზე არსებული ნასოფლარის მიდამოებში შემორჩენილი ძველი საყდრის კარზე.

ამგვარი სამეურნეო ნაგებობის ეკლესიებთან თანაარსებობა უნდა მიუთითებდეს საეკლესიო მამულებიდან ან საეკლესიო ნატურალური შემოსავლის ეკლესიის კარზევე შენახვის ფაქტზე.

პურის ორმოებთან დაკავშირებით საინტერესოა თომა მოციქულის საკვირველებათა საკითხავის ერთი ადგილი, სადაც გადმოცემულია თომა მოციქულისა და მეფის დიალოგი. როდესაც მეფეს თომა მოციქულის საკვირველი ცოდნის ამბავს მოახსენებენ, მეფე დაიბარებს მას და ცოდნას უმოწმებს. თომა მოციქულს ჩამოუთვლის, რომ მას შეუძლიან; ნაგების, გემის ანძების, ქვის სვეტების და სამეუფეო ტაძრების შენება. მეფე თომა მოციქულს უბრძანებს, რომ მან ააშენოს ტაძარი. თომა მოციქულმა მეფეს ასაშენებელი ტაძრის ნახაზი გააცნო და უჩვენა, რომ „ტაძარს კარი დასავლით ექნება ქართა მიმართ, ხოლო საპურე სამხრით და წარსადინელნი წყალთანი ჩრდილოთ“<sup>18</sup>. ამ კონტექსტში წარმოდგენილი საპურე ჩვენი ვარაუდით პურის ხარო ან ორმო უნდა იყოს.

ეკლესიის კარზე პურის ხაროების თუ ორმოების არსებობა

<sup>18</sup> საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი H-46, გვ. 46.



ბის გარდა ძველად სკოდნიათ აგრეთვე ეკლესიების ახლო კალოე-  
ბის გამართვა. თითოეულ კომლს აქვე კალოსთან ჰქონია პურის  
ორმოებიც. ქარელის რაიონის სოფ. მოხისში გვიანდლამდე რო-  
გორც კალოები, ისე პურის ორმოებიც ეკლესიის ახლოს ეკლესი-  
ის ეზოში ჰქონიათ. ეგების ეს გარემოება გარეშე მტრისადმი თვა-  
ლისახვევის მიზნით იყო გამოწვეული.

ხაროს და ორმოს ხორბლეულის შესანახად იყენებდნენ, ერ-  
თი ესაა, რომ შიდა ქრთლში ხარობების გვერდით ფართოდ იყო  
გავრცელებული ორმოები. მთხრობელთა გადმოცემით „ორმო უბ-  
რალოდ არი ამოთხრილი, ხარო კი ქვეთკირით ამოშენებულ ორმოს  
ეწოდება“. ამგვარადვე იყო კლასიფიცირებული სამეურნეო და-  
ნიშნულების ორმოები XIII საუკუნეშიც.

პურის შესანახი ორმო უბრალოდ კეთდებოდა. მიწას დაახ-  
ლოებით ერთ საეწენზე ამოთხრიდნენ ისე, რომ ორმოს ძირი გა-  
